ფალვა ციცუა

დაღვითი ომის პროგლემა ქართულ საბჭოთა რომანში

სახელგამი
19 თბილისი 57

შესავალი

მსოფლიოში მოწინავე საბჭოთა ლიტერატურა მოწოდებულია ემსახუროს კაცობრიობის უკეთილშობილესი იდეალის განხორციელებას — კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. კომუნისტური პარტიის მიერ განსაზღვრულია საბჭოთა ლიტერატურის ამოცანები. მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა მიზანი, გარდა ხალხის სამსახურისა. იგი უნდა ზრდიდეს საბჭოთა ხალხს და, განსაკუთრებით, საბჭოთა ახალგაზრდობას გმირობისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით, პოეტური სიტყვით აღაფრთოვანებდეს საბჭოთა ადამიანების გმირულ შრომას კაცობრიობის ისტორიაში არნახული ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

ამ დიდმა ამოცანებმა უაღრესად გაზარდა საბჭოთა მწერლის ღირსება, მაგრამ ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა მას.

უპირველესად საბჭოთა ლიტერატურა ასახავს ჩვენს სინამდვილეს, ჩვენს გმირულ ეპოქას. მაგრამ ასახვა არ შეიძლება იყოს თვითმიზნური, ასახვისა და ზემოქმედების ფუნქცია მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ლიტერატურის მონაწილეობას კი სწორედ ზემოქმედების ფუნქცია განსაზღვრავს. საბჭოთა ლიტერატურამ უნდა გამოაწრთოს ადამიანის სული.

მაგრამ როგორ, რა საშუალებით?

მხატვრულ ლიტერატურას გააჩნია თავისი საკუთარი საშუალებანი, სპეციფიკურნი, ისეთნი, რომელნიც მხოლოდ მას ახასიათებს. როცა მხატვრულ ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ, სწორედ ამ სპეციფიკურ ნიშნებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნე-

ლობა. ლიტერატურის სპეციფიკური საშუალებანი მთლიანად ექვემდებარება ესთეტიკურ იდეალს, ფაქტისა თუ სახის ესთეტიკურ შეფასებას მშვენიერების თვალსაზრისით.

მშვენიერება იყო იდეალი ყველა დროისა და ყველა ხალხის ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყველა დროისა და ყველა ხალხის ხელოვნება მშვენიერების ძიებასა და განმტკიცებას ისახავდა მიზნად. მშვენიერების ძიება ისევე სპეციფიკური და მუდმივია ხელოვნებისათვის, როგორც სპეციფიკური და მუდმივია, ვთქვათ, იურისპრუდენციისათვის — სამართლიანობა, ფილოსოფიისათვის — ჭეშმარიტება და სხვა. ზედნაშენის სპეციფიკური თავისებურებანი მდგომარეობს მასში, რომ ის მომსახურებას უწევს საზოგადოებას პოლიტიკური, იურიდიული, ესთეტიკური და სხვა იდეებით. ყველა ახალი ეპოქა ახლებურ კონცეფციას აყალიბებდა მშვენიერებაზედაც, ახალ შინაარსს დებდა მშვენიერების არსში, ისევე როგორც იძლეოდა სამართლიანობისა და ჭეშმარიტების ახალ გაგებას.

ამასთან დაკავშირებით იდეალს ლიტერატურა და ხელოვნება ხან ცხოვრებაში ხედავს და ხან ცხოვრების მიღმა. მაშინ, როცა კლასები ისტორიულ სარბიელზე პერსპექტივას კარგავენ, მათი იდეოლოგიის გამომხატველი ლიტერატურა და ხელოვნება თანდათან შორდება სინამდვილეს, ხან წარსულში ეძებს, მშვენიერებას, ხან რეალური, ამქვეყნიური ცხოვრების მიღმა და მისტიკური საბურველით ფარავს თავის იდეალს. მშვენიერია ის, რაც გაუგებარია, რაც ბურუსითაა მოცული, რასაც ვერ წვდება ადამიანის გონება, ირაციონალურია, არ ჰგავს ცხოვრების სინამდვილეს. ბურჟუაზიულ-დეკადენტური ხელოვნება თავის უკიდურეს რეაქციულ გამოვლინებაში საოცრად ცვლის მშვენიერების შინაარსს. მისთვის გაუგებარი ხდება მშვენიერის არსი. იცვლება ზღვარი მახინჯსა და მშვენიერს შორის და ხშირად მახინჯი იჭერს მშვენიერის ადგილს. ეს ლიტერატურა ფაქტიურად ხდება მახინჯის იდეალის მატარებელი. ის, რაც მახინჯია პროგრესული კაცობრიობის გაგებით, მშვენიერია დაავადებული ბურჟუაზიულ-დეკადენტური ხელოვნებისათვის. ამ მხრით, საინტერესო მაგალითს წარმოადგენს დღე-

ვანდელი ბურჟუაზიული სამყაროს ლიტერატურა და ხელოვნება, რომელშიაც, საბოლოო ანგარიშით, ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე მიმართულება შეიძლება გავარჩიოთ. ლუი არაგონის, ნაზიმ ჰიქმეთის, მარტინ ანდერსენ ნექსეს და სხვათა თხზულებებში სულ სხვანაირ ესთეტიკურ შეფასებას ღებულობს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება და სხვანაირად ხატავს მას რეაქციული იდეოლოგიის გამომხატველი მწერლობა.

სხვადასხვა კლასის იდეოლოგი ხელოვანნი სხვადასხვა კუთხით სვვრეტენ სინამდვილეს და სხვადასხვაგვარად უყურებენ მშვენიერებას. მშვენიერების გაგება კლასობრივია, პარტიულია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

ჯერ კიდევ 1905 წელს ვ. ი. ლენინი ავითარებდა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს. მან ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე დააყენა საკითხი — თუ მანამდე ლიტერატურა და ლიტერატორი შეგნებულად თუ შეუგნებლად დგებოდა ამა თუ იმ კლასის თვალსაზრისზე, ახლა პროლეტარული, ნამდვილად თავისუფალი ლიტერატურა გადაჭრით და გარკვევით უნდა ჩამდგარიყო პროლეტარიატის საქმის სამსახურში.

რეალისტური ხელოვნება, ასე თუ ისე, ყოველთვის იყო დაკავშირებული პროგრესული კლასის მსოფლმხედველობასთან და მჭიდროდ უკავშირდებოდა ცხოვრების სინამდვილეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეძებდა თავის იდეალს, ცხოვრებაში ეძებდა მშვენიერს.

თავისი ჭეშმარიტად სახალხო ხასიათის გამო ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება ხალხის ცხოვრებას საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც მშვენიერებას ხედავს მშრომელთა ძლევამოსილ წინსვლაში კომუნიზმის მწვერვალებისაკენ და აღფრთოვანებული უმღერის მას, მხარს უჭერს და ეხმარება ამ წინსვლას.

საბჭოთა ლიტერატურა თავის იდეალს ახორციელებს უმთავრესად დადებით სახეებში, მშვენიერის იდეალს გაანივთებს დადებით გმირში, რომელიც ცხოვრების შვილია.

მაგრამ მშვენიერების პრობლემა არ უნდა განვიხილოთ ცალმხრივად. მშვენიერების პრობლემა არ შეიძლება შევზღუდოთ მშვენიერის ასახვით. ამ პრობლემას რამდენიმე მხარე

აქვს. სახელდობრ, მშვენიერების პრობლემის ძირითადი მხარეები ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: მშვენიერება — იდეალი ლიტერატურისა და ხელოვნებისა, მშვენიერის ასახვა და მშვენივრად ასახვა. აქედან ძირითადი და მთავარია: მშვენიერება როგორც იდეალი ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის. დანარჩენი ორი მხარე პირველისაგან ნაწარმოებია და მთლიანად მასზე არის დამოკიდებული.

საკითხი მშვენივრად ასახვის შესახებ არ უნდა იწვევდეს გაუგებრობას. ის უნდა მივიჩნიოთ ხელოვნებისა და ლიტერატურის აუცილებელ პირობად. სადავოდ არ შეიძლება ჩაითვალოს საკითხი იმის შესახებ, რომ შესატყვისი ფორმის გარეშე შინაარსი ვერ პოულობს სასურველ გამოხატულებას. მშვენიერი, ანუ სრულყოფილი ფორმა ის არის, რომელიც მეტი სისავსით და ადეკვატურობით გადმოგვცემს შინაარსს. ფორმის სრულყოფა იდეალის უფრო სრულყოფილი განხორციელებისათვისაა საჭირო და მხოლოდ ამდენად, მას არავითარი დამოუკიდებელი არსებობა და მნიშვნელობა არა აქვს.

უფრო გაბუნდოვანებულია საკითხი მშვენიერის, როგორც ასახვის ობიექტის შესახებ. ყველა იზიარებს იმ აზრს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების იდეალი მშვენიერებაა. მაგრამ ზოგიერთებს ჰგონიათ რომ თავის იდეალს ხელოვნება ახორციელებს მხოლოდ მშვენიერის ასახვის გზით, თავისი ასახვის ობიექტად ირჩევს მხოლოდ მშვენიერს. უკანასკნელ დრომდე სადაოდ მიაჩნდათ არამშვენიერის ასახვის შესაძლებლობა, საკითხი თავისი შინაარსით ფაქტიურად ასეთ გამოხატულებას იღებდა: ლიტერატურისა და ხელოვნების იდეალი მშვენიერებაა. უნდა აისახოს მხოლოდ მშვენიერი, მხოლოდ დადებითი. თუ ამ მოთხოვნის წაყენება არ შეიძლებოდა გასული საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურისათვის, იმიტომ, რომ სინამდვილე არ იძლეოდა ამის საშუალებას, ახლა ჩვენი სინამდვილე მხოლოდ დადებითს, მხოლოდ მშვენიერს შეიცავს, ტიპიური ჩვენთან დადებითი გმირი შეიძლება იყოს და არა უარყოფითი, არ შეიძლება უარყოფითის ტიპიურის ხარისხში აყვანაო. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ტიპიურობის საკითხის არასწორი გაგება და მცდარი პოზიცია კონფლიქტის

პრობლემაში, რაც თავის მხრივ სუბიექტური იდეალიზმის რეციდივებთან იყო დაკავშირებული.

ამასთან ცნობილია, რომ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულება არის ადამიანებზე ზემოქმედება, აგრეთვე ცნობილია ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის უდიდესი რეზონანსი. ამასთან დაკავშირებით რიგი კრიტიკოსებისა ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა ლიტერატურამ მკითხველზე გავლენა უნდა მოახდინოს მხოლოდ დადებითი მაგალითებით. აქ მეტი რომ არა ვთქვათ, ადგილი აქვს მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკური, ობიექტური კანონების გაუგებრობას და, ამავე დროს, სერიოზულ დაბნეულობას ესთეტიკის ზოგად საკითხებში.

ლიტერატურისა და ხელოვნების პროგრესული ფრთა თავისი იდეალისაკენ — მშვენიერებისაკენ ყოველთვის ისწრაფვის არა მარტო მშვენიერის ასახვისა და გამოხატვის გზით, არამედ ამავე მიზანს ემსახურება არამშვენიერის, მახინჯის ასახვითაც, აძლევს რა ამ მახინჯს უარყოფით ესთეტიკურ შეფასებას და მკითხველში იწვევს ზიზღსა და სიძულვილს მახინჯისადმი, განაწყობს მის წინააღმდეგ საბრძოლველად. უკვე ამით ლიტერატურა და ხელოვნება ავითარებს მშვენიერის კონცეფციას. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ისეთ დიდ შემოქმედთა გაგება, როგორიც იყვნენ, ვთქვათ, გოგოლი, სალტიკოვ-შჩედრინი, „კაცია ადამიანის“ ავტორი და კრიტიკული რეალიზმის სხვა მრავალი წარმომადგენელი.

ცნობილია პარტიის მითითება მწერლობისადმი, რომ ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი დროის გოგოლები და შჩედრინები, რომლებიც სატირის ძლიერი ცეცხლით ამოსწვავენ ჩვენს სინამდვილეში არსებულ მახინჯ მოვლენებს. განა ეს მწერლები სამსახურს არ გაუწევენ ჩვენი ლიტერატურის მთავარ მიზანს, განა ასეთი თხზულებები არ განავითარებენ მშვენიერების იდეალს?

და არა თუ სატირულ ნაწარმოებებში, არამედ ჩვენი ლიტერატურის ყოველ თხზულებაში უნდა გამოჩნდეს უარყოფითი, რომელსაც ებრძვის დადებითი. დადებითი გმირი მხოლოდ ამ უარყოფითთან ბრძოლაში, დაბრკოლებათა გადალახვაში

შეიძლება გამოჩნდეს მთელი სისრულით და დიდი მხატვრული ძალით.

მაგრამ ამასთან ისიც უეჭველია, რომ ჩვენი ეპოქის მამოძრავებელი გმირი დადებითი გმირია, ასევე უნდა გვესახებოდეს ის ჩვენს ლიტერატურაში. დადებითი გმირი ჩვენი ლიტერატურის მთავარი გმირია.

საბჭოთა ლიტერატურა თავისი ყურადღების ცენტრში აქცევს ახალ ადამიანს, შემოქმედ ადამიანს, რომელიც აღსავსეა ენერგიითა და ძალღონით და გამსჭვალულია უკეთილშობილესი იდეალით, ადამიანების მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის იდეალით. ჩვენი ლიტერატურის მთავარი გმირი ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანია.

* *

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ბურჟუაზიული ლიტერატურა.

ბურჟუაზიული ლიტერატურა ადიდებს მორალურად გარყვნილ ადამიანებს, განგსტერს უწოდებს თავის მთავარ გმირს. მისი უბედურება ის არის, რომ არ შეუძლია შეცვალოს ეს მთავარი „გმირი" — ქურდი, მკელელი, კომბინატორი და გაიძვერა.

ჯერ კიდევ 30-იან წლებში დრამატურგმა სამუილ ბერმანმა დაწერა პიესა „მეტეორი". ამ პიესის გმირი რაფაელ ლორდი ბინძური გზებით აღწევს სიმდიდრესა და იმარჯვებს მოწინააღმდეგეებზე. ამ პიესამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამერიკაში, რომელთა გამო ლიტერატურათმცოდნემ და კრიტიკოსმა პროფესორმა კვინნმა შემარიგებლად განაცხადა: „ბერმანი მართალია, რაფაელ ლორდს რომ გაამარჯვებინა, რადგან საეჭვოა მაყურებელს კმაყოფილება მიეღო რაფაელ ლორდის მოწინააღმდეგე კაპიტალისტების გამარჯვებით, რომლებიც უარესნი არიან, ვიდრე ის" [1].

მაგრამ, ცხადია, ბურჟუაზიული ლიტერატურა ვერ წარმოადგენს მთლიანად კაპიტალისტური ქვეყნების ლიტერატურას.

---

[1] ციტატი მოყვანილია „ლიტერატურნაია გაზეტადან", 1948 წ., № 75, გვ. 2.

მართალია, კაპიტალისტურ მსოფლიოში ადგილი აქვს რეაქციული ლიტერატურული ძალების გააქტივებას, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს პროგრესული ლიტერატურის განუხრელი ზრდა, მისი მნიშვნელოვანი მიღწევები. საუკეთესონი კაპიტალისტური ქვეყნების მწერლებიდან ემსახურებიან ხალხს. არაგონი, ჰიქმეთი, ნერუდა და სხვა მრავალი მწერალი წარმოადგენენ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის მებრძოლ მოწინავე ადამიანებს.

ეს მწერლები თავიანთ გამოსვლებში აცხადებენ, რომ ისინი შთაგონებულნი არიან მოწინავე საბჭოთა ლიტერატურით, მოწინავე საბჭოთა მწერლების შემოქმედებით, მათი ბრძოლით ხალხის ბედნიერებისათვის, მათი უანგარო მოღვაწეობით. საბჭოთა ლიტერატურა გადაიქცა უდიდეს ძალად, რომელიც გზის მაჩვენებელი და მასწავლებელია პროგრესული მსოფლიოს მწერლობისათვის.

* *

თუ ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურა ვერ პოულობს დადებით გმირს, რომელიც იმედით შეხედავდა მომავალს, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირი მომავლის მშენებელი ადამიანია, ემსახურება ხალხის საერთო კეთილდღეობას. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება ამ ახალ ადამიანისათვის. ჩვენი ლიტერატურაც მისი სახელით აწარმოებს ბრძოლას, ყოველთვის მხედველობაში ჰყავს ეს გმირი.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს სავალდებულო იყოს, ყოველთვის დადებითი გმირი იდგეს ნაწარმოების ცენტრში. შეიძლება ზოგჯერ მეტ ადგილს მოიცავდეს სხვა ტიპის დახასიათება თუ მოქმედება. ეს სრულებით არ უშლის ხელს იმას, რომ მწერალმა დადებითი გმირი დაგვიხატოს როგორც მთავარი, ჩვენი ეპოქის მამოძრავებელი ძალა. ასეთი მაგალითები ჩვენ საკმაოდ გვაქვს საბჭოთა ლიტერატურაში. მ. გორკის „კლიმ სამგინის ცხოვრებაში“ კლიმ სამგინი არ არის დადებითი გმირი, მაგრამ იგი დგას ნაწარმოების ცენტრში და არა კუტუზოვი და მისი მეგობრები; ასევე შოლოხოვის „წყნარ დონ-

ში“ თხზულების ცენტრში გრიგორი მელეხოვია და არა კომუნისტი მიხეილ კოშევოი; ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვაში“ მთავარი მოქმედი პირი გვადი ბიგვაა, რომელიც მხოლოდ ნაწარმოების ფინალში წარმოგვიდგება დადებით გმირად.

საქმე იმაშია, რომ სინამდვილის ასახვა სოციალისტური რეალიზმისათვის არ ნიშნავს ტრაფარეტულ, შაბლონურ მიდგომას ცხოვრებისადმი. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მექანიკური ნიველირება, მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მწერლის ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, ტალანტის თავისებურებას. სამყაროს გრძნობადი ათვისების რთულ პროცესში მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მწერლის ფანტაზიას, გამომგონებლობას, ორიგინალურ ხერხებს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი კუთხით უდგება ხელოვანი ცხოვრებას, როგორია ცალკეული მხატვრული ნაწარმოების კონკრეტული იდეა. აქ მხატვრული ასახვის სპეციფიკის ერთ მხარესთან გვაქვს საქმე. მაგალითად, ლეო ქიაჩელი იღებს ერთ პრობლემას ცხოვრებიდან. ეს პრობლემა მთავარია მისი რომანისათვის. „გვადი ბიგვა“ ,გვიჩვენებს თუ როგორ გარდაქმნის ჩვენი რევოლუციური სინამდვილე ძველი ჩვეულებებით, დრომოჭმული მსოფლშეგრძნებით აღჭურვილ ადამიანს. ეს არის რომანის კონცეფცია, რომლის მიხედვით აისახება კონფლიქტები, ვითარდება სიუჟეტი, და ამდენად წინა პლანზე გვევლინებიან არა გერა, ნაია და სხვები, არამედ სწორედ გვადი ბიგვა.

სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოების შეფასებაში უნდა ვიყენებდეთ ერთ კრიტერიუმს: ხელოვნების მოცემული ნაწარმოები თავისი ორიგინალური თვისებებით რამდენად უწყობს ხელს სოციალისტური იდეალის განვითარებას, რამდენად გვიხსნის მშვენიერს ჩვენი ახალი ეპოქის თვალსაზრისით, რაც საბოლოო ანგარიშით, პასუხობს ახალი საბჭოთა ადამიანის ინტერესებს.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ლიტერატურაში საერთოდ განუხრელად იჭერს ცენტრალურ ადგილს დადებითი გმირი. მის მთავარ როლსა და ადგილს ლიტერატურაში განაპირობებს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება. უარ-

ყოფითი ტიპებისადმი და მოვლენებისადმი ყურადღების აუცილებლობამ, მათ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაჩრდილოს მთავარი, დადებითი, რომლის გულისთვისაც წარმოებს ბრძოლა უარყოფითთან. პირიქით, მახინჯთან ბრძოლა და მშვენიერის ყოველმხრივ ძლიერი გამოვლენა დიალექტიკურად ავსებენ ერთიმეორეს.

საბჭოთა ლიტერატურის ესთეტიკური იდეალის უპირველესი გამომხატველი კი დადებითი გმირია, რომლის ზემოქმედების ძალაც ხალხის მასებზე უაღრესად დიდია. დადებითი გმირი, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ხალხის ინტერესებს, მაგალითი ხდება საბჭოთა ადამიანებისათვის. დადებითი გმირის ასახვა საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა.

* *

საბჭოთა ლიტერატურას აქვს გარკვეული მიღწევები ჩვენი ეპოქის გმირის გამოხატვაში. ჩვენმა მხატვრულმა პროზამ შექმნა დადებითი გმირის მრავალი მკაფიო და ნათელი მხატვრული სახე, რომელთაც თავიანთი მხატვრული ძალით მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვეს და საბჭოთა ადამიანებისათვის მიბაძვის, მაგალითის წყარო გახდნენ. ყველა საბჭოთა მკითხველისათვის ცნობილია კლიჩკოვის, ჩაპაევის, ლევინსონის, კოჟუხის, დავიდოვის, ჩუმალოვის, მერესიევის და სხვათა გმირული სახეები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენი მწერლები მიღწეულით უნდა დაკმაყოფილდნენ. პარტიის XX ყრილობამ კვლავ მოუწოდა მათ, კიდევ უფრო გააძლიერონ შემოქმედებითი მუშაობა და შექმნან ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერისი ხელოვნების ნაწარმოებნი, სადაც წამყვან ადგილს დაიჭერს მშრომელი ადამიანი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანი.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანაა დაეხმაროს მწერლობას ამ საპატიო ამოცანის გადაჭრაში. დადებითი გმირის პრობლემის ცალკე გამოყოფა, ჩვენის აზრით, საშუალებას მისცემს მკვლევარს უფრო ღრმად ჩაწვდეს ამ მნიშვნელოვან საკითხს, თვალი გაადევნოს დადებითი გმირის ასახვა–შექ-

მნის პროცესს ისტორიული თვალსაზრისით. და გამოარკვიოს ასახვის ძირითადი კანონზომიერებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა ლიტერატურათმცოდნეობას ჯერ კიდევ ვერა აქვს ჯეროვნად შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლების განმავლობაში პრესაში მრავალი სტატია გამოქვეყნდა დადებითი გმირის მხატვრული სახის შესახებ. ეს აშკარა გახდა 1954 წლის ზაფხულ-შემოდგომის დისკუსიაზე დადებითი გმირის პრობლემის ირგვლივ.

უმთავრესი ნაკლოვანებანი ამ წერილებისა, ჩვენის აზრით, ის არის, რომ ისინი შეიცავენ დადებითი გმირის თვისებების დახასიათებას და ნაკლებად განიხილავენ სახის შექმნის კონკრეტულ ხერხებს, რაც მთავარია, მკრთალად, ან სრულებით არ აშუქებენ დადებითი გმირის მხატვრულ ასახვასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ საკითხებს. როგორც ყოველი შესწავლისა და განხილვის პროცესში მყოფი საკითხი, ეს პრობლემაც იწვევს აზრთა სხვადასხვაობასა და კამათს. არ არის ზუსტად განსაზღვრული „დადებითი გმირის" ცნების შინაარსი, ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი ამ პრობლემასთან დაკავშირებით და სხვ.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას ეს საკითხი საგანგებო შესწავლის საგნად არ გაუხდია. ქართული ლიტერატურული კრიტიკა წლების განმავლობაში გვერდს უვლიდა ამ პრობლემას. მხოლოდ ზემოხსენებული დისკუსიის დროს დაიწერა რამდენიმე სტატია.

ქართულ ლიტერატურას კი, ჩვენის აზრით, აქვს საინტერესო ცდები და ზოგჯერ გარკვეული მიღწევები დადებითი გმირის ასახვაში.

ავტორმა გაითვალისწინა საკითხის სირთულე და პირველი კვალის გაყვანის სიძნელე, ამიტომ შემოფარგლა კვლევის ობიექტი და წინამდებარე ნაშრომის საგნად აირჩია რამდენიმე რომანი, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ქართულ საბჭოთა პროზაში.

კვლევის ობიექტის შემოსაზღვრის მიზნით ავტორი ჯერჯერობით გვერდს უვლის აგრეთვე ისტორიულ რომანს.

თავი პირველი

1. დადებითი გმირის ცნება და ტრადიციის საკითხი

სანამ კვლევის საგანს უშუალოდ შეეხებოდეთ, სასურველია გვქონდეს ცოტად თუ ბევრად ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს დადებითი გმირის ცნება.

ცხადია, დღეს პრინციპულ დავას აღარ შეიძლება იწვევდეს ის, თუ ვინ არის ჩვენი ეპოქის და, აქედან, ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის, დადებითი გმირი. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი ეს კომუნიზმის მშენებელი ადამიანია. ზოგადად ეს გასაგები და მისაწვდომია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აზრთა იმ ნიუანსობრივ სხვაობას, რასაც ჯერ კიდევ ეხვდებით ამ საკითხის ირგვლივ და რომელზედაც ქვემოთ, საგანგებო თავში გვექნება საუბარი. მაგრამ დადებითი გმირის ცნების ამგვარი განმარტება რომ არ არის საკმარისი, მაშინვე ცხადი გახდება, როგორც კი შეეხებით ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხს.

ჰყავდა თუ არა დადებითი გმირი, ვთქვათ, კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურას?

თუ ჰყავდა, ცხადია, ის კომუნიზმის მშენებელი გმირი ვერ იქნებოდა, არამედ ასრულებდა სხვა ფუნქციას საზოგადოების განვითარებაში. მაშინ საჭიროა დადებითი გმირის ცნების განსაზღვრისათვის მოინახოს უფრო ზოგადი ფორმულა, რომელიც მოიცავდა და გამოხატავდა არა მარტო საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის შინაარსს. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ტრადიციისა და ნოვატორობის საკი-

თხისათვის, თუნდაც იმისათვის, რომ არ მივიდეთ შეცდომამდე და არ გამოვაცხადოთ დადებითი გმირი საბჭოთა ლიტერატურის საკუთრებად, არამედ ვეძიოთ ის ნამდვილი სიახლე, რაც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ შეიტანა დადებითი გმირის ასახვაში.

ა. გურვიჩის აზრით, მაგალითად XIX საუკუნის ლიტერატურას არ ჰყოლია დადებითი გმირი.

ჩვენ აქ არ შევჩერდებოდით გურვიჩის ამ მოსაზრებაზე, რომელიც გაზეთმა „პრავდამ“ თავის დროზე მკაცრად გააკრიტიკა, რომ ამ შეხედულებათა უარყოფას პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდეს „დადებითი გმირის“ ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით. ა. გურვიჩის გაგებით „დადებითი გმირი იმდენადაა დადებითი, რამდენადაც ის თავისი მოქმედებით გამოსადეგია მიბაძვის მაგალითად“ [1].

აქ აღრეულია ერთმანეთში მიზეზი და შედეგი. გმირი იმიტომ კი არ არის დადებითი, რომ ის მაგალითად გამოდგება, არამედ იმიტომ არის მიბაძვის ღირსი, რომ დადებითია. ხოლო რატომ არის დადებითი, სწორედ ეს საკითხი უნდა იქნას გადაჭრილი საგნის თვით არსში ჩაწვდომის გზით და არა განყენებული მსჯელობით იმის შესახებ, თუ „რამდენად გამოდგება ის მიბაძვის მაგალითად“.

ამით კი არ უარვყოფთ დადებითი გმირის, როგორც მაგალითის მნიშვნელობას. სწორედ ეს მხარეა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო. ოღონდ უნდა გაირკვეს, რატომ არის ეს გმირი სამაგალითო, რომ გვქონდეს ჭეშმარიტი გასაღები, რომელ გმირს ვუწოდოთ სამაგალითო, დადებითი.

მითითება „მოქმედების რაგვარობაზე“ იგივეა, რაც მითითება მორალზე. გმირის სახეს მართლაც მისი ზნეობა განსაზღვრავს, მაგრამ მორალი არ შეიძლება იყოს რაღაც თავისუფალი, დამოუკიდებელი და საყოველთაო, დროისა და სივრცის გარეშე. მორალის გაზომვა არ შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამ-

---

[1] ა. გურვიჩი, დადებითი მაგალითის ძალა, ჟურნ. „Новый мир“ №9, 1951 წ., გვ. 157.

დენად შეუძლია მის მატარებელს იყოს მაგალითი სხვებისათვის. მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში დადგენილია, რომ მორალი ისტორიულ-სოციალური კატეგორიაა და უპირველესად სწორედ ამ ასპექტში უნდა იქნას ის განხილული. ზნეობას განსაზღვრავს ისტორიულ-სოციალური გარემო და გმირის შეფასებაც მისი ქცევის მორალურობის თვალსაზრისით კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით უნდა წარმოებდეს. საკმარისია, გვერდი ავუაროთ ისტორიულობის თვალსაზრისს, რომ მაშინვე მსჯელობა ჭეშმარიტებისაგან დაცილებული და სუბიექტური გახდეს. ამ გაგებით ადამიანი წყდება თავის კონკრეტულ პრაქტიკულ საქმიანობას, ისტორიულ-სოციალურ გარემოს და ცხადდება რაღაც თვისებების კრებულად. წინადადება ეძლევა მწერალს გმირი შეთხზას თავისი გონების სფეროდან, იმარჩიელოს თუ რა შეიძლება გამოდგეს მაგალითად და რა არა, აშორებს შემოქმედს ცოცხალი სინამდვილისაგან და უარყოფს ლიტერატურისა და ხელოვნების სპეციფიკურ თვისებას — გრძნობად აღქმას. „მაგრამ ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა“, „სინამდვილეში საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას ეკუთვნის“ (მარქსი) [1].

ცხადია, დაუშვებელია დროის, ე. ი. ისტორიულობის ფაქტორის უარყოფა. თუ XIX საუკუნის ლიტერატურის დადებით გმირს განვიხილავთ დღევანდელი, ჩვენი ეპოქის ხელოვნების დადებით გმირთან შედარებით, ცხადია, კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირი გაცილებით დაბალ საფეხურზე აღმოჩნდება. მაგრამ გვართმევს თუ არა ეს გარემოება უფლებას მას დადებითი ვუწოდოთ?

რა თქმა უნდა არა.

დადებითი გმირის ცნება არ არის რაღაც მუდმივი სიდიდე, რომელიც არ იცვლის თავის შინაარსს ისტორიულად, პირიქით, ის იცვლება ეპოქის შესაბამისად.

---

[1] კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 2, გვ. 486, თბილისი, 1950 წ.

თუ ჩვენი ეპოქის დადებითი გმირის მორალს განსაზღვრავს ამ გმირის მონაწილეობა კომუნიზმის მშენებლობაში, XIX ს. დადებითი გმირი ჯერ კიდევ მხოლოდ ეძიებდა საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთეს ფორმებს და ამ ძიებაშია სწორედ მისი დადებითობა.

კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. არა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმების ძიება, არამედ თუნდაც მხოლოდ პროტესტი ძველის წინააღმდეგ, უკვე წარმოადგენს დადებით მოვლენას, უკვე წარმოადგენს საფუძვლის მომზადებას ახალი ფორმების ძიებისათვის. გახრწნილი საზოგადოებისაგან განაწამები ჩაცკი მზადაა „მთლად ქვეყნის მიმართ გადმოანთხიოს მისი გულის ბოღმა მთლიანად“:

„ვისთან ვიყავი, სად მაწამებს ბედი მუხთალი,
აქ ყველა მდევნის, მტანჯველთა ბრბო სულთამხუთავი.
ბრბო, — სიყვარულში მოღალატე გამცემლებისა,
შურის და მტრობის დაუღალავ დამცველებისა,
უგბილ ჰკვიანთა და გარეწარ სათნო კაცების,
ავყია, მიხრწნილ დედაბრების, ბერიკაცების
ბრბო, ვისი სუნთქვაც ხლართავს ჰორის ქსელსა და ბადეს
ხმაშეწყობილად შეერთდა და გიჟად მაცხადებს!
თქვენ მართალი ხართ: ვინც მოასწრებს თუნდაც ერთი დღით
თქვენს შორის ყოფნას, თქვენთან სუნთქვას ერთი ჰაერით
და მას გონება ისევ საღი მაინც დარჩება,
ცეცხლის ალიდან უვნებელი ის გადარჩება!“ [1]

მარქსისტული ესთეტიკის თვალსაზრისით უნდა ვაღიაროთ ამ გმირის დადებითობა, გმირისა, რომელიც წინ სწევს ისტორიულ განვითარებას თუნდაც არა პრაქტიკულად, არამედ მხოლოდ პროტესტით და თავისი სტიქიური გამოსვლით ამზადებს ნიადაგს შემდგომი ბრძოლებისათვის.

სწორედ გრიბოედოვის მიერ დასურათებული საზოგადოების მთელი სიდუხჭირის შეგნება გახდა მიზეზი დეკემბრის გმირების გამოსვლისა, რომელიც ლენინმა დაახასიათა, როგორც

---

[1] ა. გრიბოედოვი, „ვაი ჭკუისაგან“, ნაწყვეტი, „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 2, 1945 წ., თარგმანი სიკო ფაშალიშვილისა.

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი. ცხადია, დეკაბრისტებს არ შეიძლება სცოდნოდათ, რომ სამხედროთა შეიარაღებულ გამოსვლებს, როგორი დიდი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონოდა მას, არ შეეძლო შეეცვალა რუსეთის ბედი, რომ ასეთი ძირფესვიანი ცვლილებები შესაძლებელი იყო მხოლოდ ხალხთა მასების რევოლუციური გამოსვლების გზით, როცა პროლეტარიატის ეს მოძრაობა განათებული იქნებოდა მეცნიერული კომუნიზმით. მაგრამ, როგორც ცნობილია, მეცნიერული კომუნიზმი ერთბაშად არ შექმნილა. იმისათვის, რომ წარმოშობილიყო მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორია, რომელიც მოქმედების ერთადერთ სწორ გეზს მისცემდა კაცობრიობას, საჭირო იყო ჯერ პროტესტი წარმოშობილიყო არსებული გაბატონებული საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებისადმი, თუნდაც დეკაბრისტების გამოსვლის სახით, თუნდაც ჩაცკის სტიქიური ამბოხების სახით.

რომ ავიღოთ კერძოდ ჩაცკი და განვიხილოთ დამოუკიდებლად, ე. ი. ამოვგლიჯოთ გმირი ისტორიული განვითარების ჯაჭვიდან, მაშინ იგი შეიძლება ვერ გავიაზროთ, როგორც დადებითი გმირი; იგი კომიკურ მდგომარეობაშია თვითონაც, ის არ არის აღჭურვილი სინამდვილის ამოცნობის ჭეშმარიტი ცოდნით, არც გამბედაობა ჰყოფნის, რომ შეებრძოლოს გაბატონებულ ძალებს, მათ მორალურ გახრწნილებას, პროტესტს აცხადებს, თუმცა თვითონაც არა აქვს თავისთვის გარკვეული ცხოვრების განვითარების ტენდენცია, მომავალი. მაგრამ ეს პროტესტი იყო საფუძველი იმისა, რომ შემდგომში, ამავე პროტესტის გაძლიერების გზით, თუნდაც გონების სფეროში. დასახულიყო არსებული სინამდვილის გარდაქმნის იდეა.

როცა ცალკეული მხატვრული ნაწარმოების გმირს განვიხილავთ მისი დადებითობის ან უარყოფითობის თვალსაზრისით, უპირველესად საჭიროა გავარკვიოთ თხზულების ავტორის დამოკიდებულება სინამდვილესთან, მისი მსოფლმხედველობა, მეთოდი, რამდენად სწორად ასახავდა ის სინამდვილეს, რამდენად რეალისტურია მისი თხზულება. ეს უპირველესი პირობაა. მაგრამ ერთი ცალკეული მწერლის შემოქმედების ანალიზიდან გამომდინარე მაინც ძნელია ამა თუ იმ გმი-

რის დადებითობის განსაზღვრა. ამისათვის საჭიროა მთელი ისტორიული პროცესის გათვალისწინება. თუ განვიხილავთ გმირებს რეალისტი მწერლების, კერძოდ, კრიტიკული რეალისტების თაობათა მიხედვით, მაშინ უფრო ნათლად წარმოგვიდგება ამ გმირების თანდათანობითი განვითარება, თანდათანობითი გააქტივება (ჩაცკი, ბელტოვი, რუდინი და მერე ლოპუხოვი, კირსანოვი, განსაკუთრებით •რახმეტოვი; ქართულ ლიტერატურაში, რომელიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება XIX საუკუნისათვის: გაბრიელი, კაკო, ზაქრო, სიმონა და სხვ.) და ნათელი გახდება, რომ ცალკე აღებული გმირი, რომელიც ერთი შეხედვით შეიძლება არ მოგვეჩვენოს დადებითად, გარკვეული ისტორიული პერიოდისათვის პროგრესულ ძალას წარმოადგენდა. მომდევნო ეპოქის გმირებთან კავშირში მის არსებობას, განპირობებულს ისტორიის მსვლელობით, ეძლევა აზრი, როგორც პროგრესულისა.

ამასთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია ლენინის მოთხოვნა: გავიგოთ „ცალკეული რევოლუციონერის მოღვაწეობის მნიშვნელობა **რევოლუციური ამბების საერთო ჯაჭვთან დაკავშირებით**“... „თუ ცალკეულ რევოლუციონერს შევაფასებთ იმ გარეგნულად უსარგებლო, ხშირად უნაყოფო მსხვერპლთა თვალსაზრისით, რომლებიც მან გაიღო, და განზე დავტოვებთ მისი მოღვაწეობის შინაარსსა და მისი მოღვაწეობის კავშირს წინა და **შემდგომ რევოლუციონერებთან**, თუ ასე შევაფასებთ მისი მოღვაწეობის მნიშვნელობას, — ეს ან სიბნელე და საშინელი უმეცრება იქნება, ანდა რეაქციის ინტერესების, ჩაგვრის, ექსპლოატაციისა და კლასობრივი უღლის ბოროტგანზრახული, თვალთმაქცური დაცვა“ [1].

ზემოხსენებული მოსაზრებიდან გამომდინარე ლენინი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას სამ პერიოდად ჰყოფდა. ლენინი განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყისებს ხედავდა ჯერ კიდევ დეკაბრისტების გამოსვლაში. „თუმცა ისინი საშინლად შორს იყვნენ ხალხისაგან“ (ლენინი), მაგრამ ასეთი გამოსვლა უკვე შეიცავდა არსებულის შეცვლის იდეას.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 394, გამოც. 4. (ხაზი ჩემია — შ. ჩ.).

სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი მათს მოძრაობაში, — არსებული გაბატონებული წყობა არ არის მუდმივი, ღვთით დაკანონებული, იგი შეიძლება შეიცვალოს და უნდა შეიცვალოს.

ამგვარი მიდგომა რევოლუციონერის მოღვაწეობის გაგებისადმი ჩვენთვის საინტერესოა, **როგორც პრინციპი პროგრესულის გაგებისათვის.** ცხადია, სრულებით არ ვფიქრობთ, რომ „დადებითის" ცნება მხოლოდ რევოლუციონერის შინაარსით განვსაზღვროთ. **რევოლუციონერი, ეს არის დადებითის უმაღლესი გამოვლინება** საზოგადოებრივ განვითარებაში, მაგრამ ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარებაში რევოლუციური ფორმა არ არის ერთადერთი ფორმა, არის სხვა — ევოლუციური ფორმებიც. ამდენად „დადებითი" არ შეიძლება საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ერთნაირ შინაარსს ატარებდეს, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება, რომ ის რომელიმე ეტაპს არ ახასიათებდეს, და თუ მწერლობა **რეალისტურია,** მან, ასე თუ ისე, არ ასახოს ეს დადებითი. „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა **მოგვცეს ახალი** თავიანთ წინამორბედებთან შედარებით" [1]. ლენინის ეს შეხედულება ისტორიულ მოღვაწეებზე სავსებით სამართლიანია საერთოდ დადებითი გმირის მიმართაც. XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთში რომ კომუნისტი-რევოლუციონერი ვეძიოთ, დიდ შეცდომას დავუშვებდით. „წერილში გოგოლთან" ბელინსკი აყალიბებს თავისი დროის უახლოეს ამოცანას: «Ей (России — შ. ჩ.) нужны... пробуждение в народе чувства человеческого достоинства, столько веков потерянного в грязи и навозе...»[2].

იმ დროისათვის ეს იყო პირველი მოთხოვნილების ამოცანა და ამავე დროს რეალური ამოცანა, რომლის განხორციელება შესაძლებელი იყო სინამდვილეში. რევოლუციონერის ჩამოყალიბებამდე ადამიანში აუცილებელია გაღვიძებული იქნეს ადა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 217.

[2] „Литературное наследство", т. 56, стр. 572.

ძიანური ღირსების გრძნობა — ეს პირველი საფეხურია ადამიანის თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე. შემთხვევითი როდი იყო, რომ კატერინას ერთი შეხედვით უპრეტენზიო გაბრძოლებას დობროლიუბოვმა უწოდა „სინათლის სხივი ბნელ სამეფოში“. კატერინას გაბრძოლებაში დობროლიუბოვმა დაინახა ამბოხება დახავსებული, ადამიანის სულის დამმონებელი, ჩარჩ-ვაჭრული მორალის წინააღმდეგ. კატერინას, ისე როგორც ჩაცკის, წარმოდგენაც კი არა აქვს იმის შესახებ, თუ შეიძლება კოლექტიური, დარაზმული შებრძოლება ამ უბედურებასთან, ანდა სად არის მისი სათავე მაგრამ მისი შინაგანი სტიქიური პროტესტი გვიჩვენებს იმას, რომ ადამიანი ვეღარ ეგუება მონობას, ბურჟუაზიული საზოგადოების გაბატონებული ძალების გახრწნას, ზნეობრივ გათახსირებას. ეს უკვე პირობაა შემდგომი ბრძოლებისათვის. ამდენად შეიძლება ვუწოდოთ კატერინას ამბოხს სინათლის სხივი ბნელ სამეფოში.

საქართველოში გლეხთა რევოლუციური გამოსვლების წინამორბედებს წარმოადგენდნენ ი. ჭავჭავაძის, ე. ნინოშვილის და სხვების თხზულებათა გმირები.

სოციალური ბრძოლა ავლენდა პროგრესულ იდეალთა მატარებელ და გამტარებელ ადამიანთა თაობებს, როგორც ჩაგრული მასების წრიდან, ისე ინტელიგენციის მოწინავე ფრთიდან. ეს მოვლენები რეალისტურ ლიტერატურას საშუალებას აძლევდა აესახა დადებითი ეროვნული ხასიათები. ეს იყო **ერთი წყარო.** დადებითი გმირების მთელ პლეადას იძლეოდა აგრეთვე სინამდვილე, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატრიოტების სახით. ეს იყო **მეორე წყარო.**

XIX საუკუნის რუსულმა ლიტერატურამ შექმნა ასეთ გმირთა სახეები. ტარას ბულბა და ოსტაპი — გოგოლმა, ინსაროვი — ტურგენევმა, პეტრე პირველი, როგორიც ის დაგვიხატა პუშკინმა „პოლტავაში“ და სხვ. მე-19 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ მოგვცა ასეთი გმირების მრავალი მხატვრული სახე.

XIX საუკუნის კრიტიკულ-რეალისტურმა ლიტერატურამ არა თუ ასახა დადებითი გმირები, არამედ ამ საუკუნის მწერლობის ცალკეულ წარმომადგენლებთან ვხვდებით შეხედულე-

ბათა გარკვეულ სისტემას დადებითი გმირის თაობაზე. ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის ესთეტიკურ შეხედულებებში დიდი ადგილი უჭირავს დადებითი გმირის პრობლემას. ჩერნიშევსკი თავისი რომანის — „რა ვაკეთოთ“ — შექმნისას ხელმძღვანელობდა გარკვეული, მის მიერ შემუშავებული პრინციპებით დადებითი გმირის შესახებ. უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ეს საკითხები საქართველოში ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგს და სხვებს.

ყოველივე ზემოთქმული, ჩვენის აზრით, ადასტურებს იმას, რომ დადებითი გმირი ჰყავდა კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურას. და სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. რეალისტური ლიტერატურა, რომელიც ეყრდნობა ტიპიურობის საფუძველს, გვერდს ვერ აუვლის ახლისა და ძველის ბრძოლას და ამდენად ახლის, დადებითის, პროგრესულის ასახვას, შეგნებულად თუ შეუგნებლად.

მცდარია მოსაზრება, რომლის მიხედვით კრიტიკული რეალიზმის ამოცანას მხოლოდ უარყოფა შეადგენდა. კრიტიკული რეალიზმის უარყოფა არ იყო პესიმისტური უარყოფა, სკეპტიციზმი, არამედ იყო უარყოფა დიალექტიკური.

ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის გმირები არ იყვნენ პერსპექტივიანი, მომავლის რწმენით აღჭურვილი გმირები, ისინი უფრო მეოცნებენი არიან და ნაკლებად მოქმედებენ, იღუპებიან გაბატონებული საზოგადოებრივი წყობის ძალებთან ბრძოლაშიო. ეს სამართლიანი მოსაზრებაა. მაგრამ იმაზე კი არ ლაპარაკობს, რომ ეს გმირები არ იყვნენ დადებითნი **თავისი ეპოქის ძალთა შეფარდების შესაბამისად,** არამედ მიუთითებს იმ დიდ განსხვავებაზე, რომელიც არის კრიტიკულ-რეალისტური ლიტერატურის დადებით გმირსა და სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დადებით გმირს შორის. აქ ჩვენ შევჩერდით მხოლოდ კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის დადებით გმირებზე. მაგრამ დადებით გმირებს ასახავდა რეალიზმის სხვა სახეობებიც, სხვა მიმართულებისა და სტილის ლიტერატურაც, რომელიც ასე თუ ისე ასახავდა სინამდვილეს.

ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოების განვითარების მთელ ისტორიაში წარმოებს ბრძოლა ძველსა და ახალს, რეაქციულსა და პროგრესულს, დრომოჭმულსა და მზარდს, უარყოფითსა და დადებითს შორის. თუ ხელოვნება და ლიტერატურა სიწამდვილის ასახვაში ასე თუ ისე ამჟღავნებს რეალისტურ ტენდენციას, ხელოვნების ნაწარმოებში ამა თუ იმ ზომით, ამა თუ იმ სახით, თავს იჩენს ის დადებითიც, რომელიც ახასიათებს სინამდვილეს, განვითარების რომელ საფეხურსაც არ უნდა ეხებოდეს ნაწარმოები.

მაშასადამე, „დადებითი გმირის" ცნების განსაზღვრისათვის საჭიროა მოინახოს ზოგადი ფორმულა, რომელიც **კი არ** გააერთიანებდა ყოველი ეპოქის დადებით გმირს, არამედ **დააკავშირებდა** მათ ერთმანეთთან, დაგვანახებდა ისტორიულად კანონზომიერ ურთიერთობას მათ შორის. ცნობილია, რომ ჩვენი ეპოქის ადამიანი კანონიერი მემკვიდრეა იმ ყოველი პროგრესულისა, რაც ახასიათებდა წინა ეპოქებს და წარმოადგენდა ჩვენი ხალხების არსებობისა და განვითარების სასიცოცხლო ძარღვს. ჩვენი ადამიანები არ შეიძლება ნიღილისტურად ეკიდებოდნენ წინაპრების ღვაწლის შეფასებას.

მაშ, რა შეიძლება იყოს დამაკავშირებელი ნიშანი „ძველი" და „ახალი" გმირებისა?

ასეთ ნიშნად ჩვენ მიგვაჩნია ხალხის სამსახური.

დადებითი გმირი ეს ისეთი მხატვრული სახეა, რომელიც ახორციელებს პროგრესულ, მოწინავე ტენდენციებს თავისი ხალხის ცხოვრებაში კონკრეტულ-ისტორიულ პერიოდთან შეფარდებით.

დადებითობის ხარისხს განსაზღვრავს ის, თუ რამდენად სრულად და თანმიმდევრულად ახორციელებს გმირი ცხოვრებაში თავისი ხალხის გადაუდებელ ამოცანებს კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებში. გმირის სიდიადე ამ ამოცანების სიდიადეზეცაა დამოკიდებული.

ამიტომ დადებითი გმირის ტიპები მრავალგვარნი შეიძლება იყვენ და სხვადასხვა ხასიათისა. არ შეიძლება „დადებითი გმირის" ცნების ერთ რომელიმე სახემდე დაყვანა. ეს ცნება გაცილებით მეტის შემცველია.

ის გმირები, რომელნიც ხალხის ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიულ პერიოდში გამოხატავდნენ მოწინავე, პროგრესულ ტენდენციებს, ამა თუ იმ ზომით ყოველთვის დარჩებიან როგორც მაგალითები მომავალი თაობებისათვის.

წარსულ თაობათა მაგალითის ათვისება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მიბაძვას კონკრეტულ მოქმედებაში; მომავალი თაობები ითვისებენ იდეალს თავისი ხალხისადმი თავგანწირული, უანგარო სამსახურისა, რომლის შინაარსს უკარნახებს თავისი ხალხის ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული პირობები საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპზე.

დადებითი გმირის მხატვრული სახის ზემოქმედების ძალას განსაზღვრავს სახის სინათლე და სიმკვეთრე, რაც დამოკიდებულია არა მარტო ასახულ სინამდვილეზე, არამედ არანაკლებ მწერლის პალიტრის მხატვრულ ძალაზე.

დადებითი გმირის აქ მოცემული ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება შეუცდომლად განისაზღვროს ამა თუ იმ ეპოქის გმირის დადებითობის კონკრეტული შინაარსი. კომისარი კლიჩკოვი, რომელიც თვით ფურმანოვის აზრს გამოხატავს, ფიქრობს ჩაპაევზე:

„ეს ნამდვილად სახალხო გმირია... გმირი თავისუფლების ბანაკიდან — ემელკა პუგაჩოვის, სტენკა რაზინის, ერმაკ ტიმოფეის-ძის... **ისინი თავის დროზე თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, ეს კი სხვა დროს შეესწრო — და სხვა საქმეს აკეთებს**“ [1].

საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი, ისევე როგორც ადრინდელი ეპოქის ხელოვნების დადებითი გმირი, ახორციელებს თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, პროგრესულ, მოწინავე იდეალებს.

მაგრამ დადებითი გმირი საბჭოთა ლიტერატურისა, რომლის საფუძველია სოციალისტური რეალიზმი, როგორც ესთეტიკური მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი მეთოდი, თვისობრივად ახალი, საზოგადოების ისტორიაში და ლიტერატურაში არნახული გმირია.

რა განსაზღვრავს ამ თვისობრივ სიახლეს?

---

[1] დ. ფურმანოვი, „ჩაპაევი“, გვ. 28. (ხაზი ჩემია — შ. ჩ.).

ნოვატორობის საკითხისათვის

მაქსიმ გორკის „დედა“ იყო პირველი ნაწარმოები, რომელშიაც ყველაზე რელიეფურად და მრავალმხრივ აისახა რევოლუციური მუშათა კლასის წარმომადგენელნი. პავლე ვლასოვი, ნახოდკა, ნილოვნა და სხვ. თავიანთ ცხოვრებას უკავშირებენ მუშათა მასების მოძრაობას. უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ამ გმირებისა ის არის, რომ ისინი საზოგადოების გარდაქმნისათვის იბრძვიან არა ინდივიდუალურად, არამედ უერთდებიან მასების მოძრაობას.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთში და მის კოლონიებში მომწიფდა ის ძალა, რომელსაც უნდა გამოეყვანა მშრომელი ხალხი ფართო გზაზე. ხალხთა მასების მოძრაობა მუშათა კლასის მეთაურობით მიზნად ისახავდა სრულიად ახალი საზოგადოების შექმნას. სოციალისტურ წყობილებას კი არ უნდა შეეცვალა ექსპლოატაციის ერთი ფორმა სხვა ფორმით, როგორც ეს იყო წინანდელ რევოლუციებში, არამედ უნდა მოესპო ყოველგვარი ექსპლოატაცია, სრულიად გაეთავისუფლებია ჩაგრული მშრომელი ხალხი ამ მძიმე ტვირთისაგან.

განხორციელება ამ უდიდესი მიზნისა, რაც კი ოდესმე კაცობრიობას დაუსახავს, შეეძლო მხოლოდ ხალხთა მასების ქედუხრელ მოძრაობას. „პროლეტარული რევოლუცია, — ამბობდა ლენინი, — ძლიერია სწორედ თავისი წყაროების სიღრმით. ჩვენ ვიცით, რომ იმ ადამიანების ადგილას, რომლებმაც უანგაროდ გასწირეს თაყიანთი სიცოცხლე, თავი დასდეს ამ ბრძოლაში, იგი აყენებს სხვა ადამიანთა რიგებს... ადამიანებს, რომლებიც ფართოდ არიან დაკავშირებული მასებთან და რომლებიც განაგრძობენ მათ საქმეს, ივლიან მათი გზით, დაამთავრებენ იმას, რაც მათ დაიწყეს“ [1].

მასების ამ გმირულმა მოძრაობამ გამოიმუშავა სრულიად ახალი ზნეობა. ახალი გმირი უმაღლესი, კომუნისტური მორალის მატარებელია. ის თითქო იკრებს სახალხო მოძრაობის ძალას და ხდება მისი გამომხატველი; უძლეველია, როგორც ხალ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 96 (მე-4 გამოც.).

ხი. მას აქვს უნარი საერთო საქმისათვის თავის განწირვისა, აქვს რკინისებური ნებისყოფა, დამოუკიდებლობა, ახასიათებს ცოდნისადმი სწრაფვა, შრომის სიყვარული, განუხრელი მოძრაობა წინ, კომუნიზმის დიადი მწვერვალებისაკენ. „კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის“ [1].

საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის ისტორია არის სსრ კავშირში-კომუნიზმის მშენებლობის მხატვრული ისტორია.

საბჭოთა ლიტერატურის არც ერთი დადებითი გმირი, კორჩაგინიდან კოშევოიმდე და მერესიევამდე, არ არის განმარტოებული გმირი. საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი მასების შუაგულშია. მასების მოძრაობა წარმოადგენს ამ გმირის სასიცოცხლო ძალას.

მასების მოძრაობა განსაკუთრებულ ძლიერებას აღწევს მისი მიზნის სიცხადისა და სინათლის გამო. მასების მოძრაობა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, არ არის სტიქიური, იგი ორგანიზებულია, ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმს —უკვდავ მოძღვრებას, რომელიც გზას უნათებს კაცობრიობას კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

ამის გამო საბჭოთა ლიტერატურის გმირი შეგნებულია, ფლობს საზოგადოების განვითარების კანონების ჭეშმარიტ ცოდნას და ხელმძღვანელობს მით, რაც ამტკიცებს მის ნაბიჯს, უძლიერებს რწმენას გამარჯვებისადმი. კომუნიზმის მშენებლობაში ის გამოდის პარტიასთან და მთავრობასთან მჭიდრო კავშირში. თუ კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირი კონფლიქტში იყო გაბატონებულ საზოგადოებრივ წყობასთან (და არა სინამდვილესთან, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე), საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი ჰარმონიულ დამოკიდებულებაშია გაბატონებულ საზოგადოებრივ წყობასთან, (და არა სინამდვილესთან, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე). ეს კი გმირის მოქმედებას მატებს ძალას და

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 354.

სიმტკიცეს. კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის გმირი ხშირად გამოდიოდა პროტესტით, მაგრამ მას არ ჰქონდა წარმოდგენილი შემდგომი განვითარების გზები, მომავალი ბუნდოვნად ესახებოდა. ჩაცკი მრისხანე მონოლოგს ამთავრებს სიტყვებით:

„შორს მოსკოვიდან, აქ მომსვლელი მე აღარა ვარ,
წავალ, მოვძებნი ქვეყნად კუნჭულს ამ ცის გარეთა,
შეურაცხყოფილ წმინდა გრძნობის შესაფარავად,
კარეტა ჩქარა, ჩემი კარეტა“ [1].

გაბრიელმა, კაკომ, ზაქრომ და სიმონამ არა იციან რა მათი შემდგომი ცხოვრების გზის შესახებ, თავიანთ-წმინდა გრძნობათა შესაფარავად, ესენიც გარბიან მაშინდელი საზოგადოებიდან და სადღაც, ტყეში მიფარებულ კუნჭულს ეძიებენ.

ამ გმირებისაგან განსხვავებით, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის გმირები ნათლად ხედავენ თავიანთ მომავალს და მტკიცე ნაბიჯით მიდიან პარტიის მიერ ნაჩვენებ გზაზე, თვით ახორციელებენ თავიანთ მომავალს.

* *

მხატვრულ თხზულებაში დადებითი გმირი გვევლინება როგორც მხატვრული სახე. სახის სრულყოფილობის ერთ-ერთი სპეციფიკური თვისება ჰარმონიულობაა. რამდენადაც ჰარმონიულია მხატვრული სახე, იმდენად სრულყოფილი და ძლიერია ის.

დადებითი გმირის ასახვისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შეგნებისა და მოქმედების ჰარმონიას, თუ რამდენად შეუძლია გმირს თავისი პროგრესული შეხედულებანი განახორციელოს ან იბრძოლოს მათი განხორციელებისათვის ცხოვრებაში. ცხადია, XIX საუკუნის ლიტერატურის გმირები უმთავრესად მხოლოდ მოაზროვნე გმირები იყვნენ, რომლებიც ობიექტურ-ისტორიული პირობების გამო იფარგლებოდნენ პრო-

[1] ჩვენს მიერ ციტირებული ტექსტის გაგრძელებაა.

ტესტით გონების სფეროში, ანდა პირიქით, მათი ერთი ნაწილის გამოსვლა ხასიათდებოდა სტიქიური ამბოხებით ექსპლოატატორთა პირდაპირი დაწოლის პასუხად.

რა თქმა უნდა, ჩვენ უფლება არა გვაქვს არ დავინახოთ ის დადებითი, რაც ამ გმირებს ახასიათებთ, ესენი გარკვეულ საფეხურს წარმოადგენდნენ, მაგრამ XIX საუკუნის კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურაში არ ჩანს გმირი, რომელიც განასახიერებს მასების მოძრაობის შეერთებას სოციალიზმთან, მის რევოლუციონურ თეორიასთან.

ორივე მათგანს სინამდვილე იძლევა დანაწევრებულად და თავისთავშივე უსრულს. ერთი მხრივ, სტიქიურად მეამბოხე გმირი არ გამოხატავს მასების მოძრაობას სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და მეორეს მხრივ, პროტესტი გონების სფეროში არ განვითარებულა მწყობრ რევოლუციურ თეორიამდე. ამიტომ როგორც ერთი, ისე მეორე, ამ თავის განვითარების დაბალ საფეხურზე, ისიც ერთიმეორისაგან გამოთიშული, უძლურია განახორციელოს სინამდვილის გარდასაქმნელად რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც უშუალო რეალურ შედეგს მოგვცემდა.

ასეთი გმირი, რომელიც ითვისებს რევოლუციურ თეორიას და თავის გამოსვლას უერთებს მასების მოძრაობას, პირველად მოგვცა პროლეტარიატის რევოლუციურმა მოძრაობამ, დასახა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ თავისი განვითარების საწყის საფეხურზევე. პირველად ასეთი გმირები მოგვეევლინა მ. გორკის რომანში „დედა“, ქართულ ლიტერატურაში კი ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“.

ვლასოვის, ნილოვნას, ტარიელის სახეებში თანდათანობით მეღავნდება შეგნებისა და მოქმედების ჰარმონიულობა, რაც გაცილებით მეტ სრულყოფილობას და სიძლიერეს ანიჭებს ამ გმირებს, აჰყავთ ისინი სრულიად ახალ, მაღალ საფეხურზე, ვიდრე ადრინდელი ლიტერატურის დადებითი გმირები.

სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში დადებითი გმირი გაცილებით სრული, ჰარმონიული პიროვნებაა, ძლიერი პერსონაა, იმიტომ, რომ ნათლად აქვს გააზრებული მომავალი, გრძნობს და განიცდის ამ მომავალს, მოქმედებს გარკვეულად

და გაშარჯვების რწმენით. და თუ ლიტერატურა და ხელოვნება თავის იდეალს — მშვენიერს, ხშირად გმირშიაც ახორციელებს, სოციალისტური რეალიზმის მწერლობისათვის გაცილებით უკეთესი პირობებია ჰარმონიული, ძლიერი, სრულყოფილი გმირის დახატვისათვის. მოქმედებისა და გარდაქმნის ეპოქაში მთელი სისრულით ხორციელდება გმირის შესაძლებლობა, ხდება მისი პოტენციის მთლიანი გამოვლინება. როგორც ცნობილია, სოციალიზმი კი არ უარყოფს, არამედ ათავსებს ინდივიდის ინტერესებს კოლექტივის ინტერესებთან. სწორედ სოციალისტურ საზოგადოებას შეუძლია პირადი, ინდივიდუალური ინტერესების მაქსიმალური დაკმაყოფილება. უფრო მეტიც — სოციალისტური საზოგადოება წარმოადგენს პიროვნების ინტერესთა დაცვის ერთადერთ მტკიცე გარანტიას.

ამასთან, სოციალისტური საზოგადოება მოითხოვს საბჭოთა ადამიანის მიერ მთელი შესაძლებლობის გამოვლინებას საზოგადოებრივი ინტერესის თვალსაზრისით. ამავე დროს, საზოგადოების ინტერესები არ არის წინააღმდეგობაში ადამიანის პიროვნულ ინტერესებთან, როცა ისინი არ გამოდიან კომუნისტური მორალის საზღვრიდან და, საზოგადოების განვითარების მოცემული ეტაპის შესაბამისად, შეიცავენ რეალურ, გარანტირებულ საფუძველს.

სოციალისტური საზოგადოება ხელს უწყობს პიროვნების არა მარტო მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არამედ მისი სულიერი სამყაროს გამდიდრებასაც, ავლენს ადამიანის მთელ შესაძლებლობას კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

სამამულო ომის წლებში და ომისშემდგომ აღდგენითს პერიოდში საბჭოთა ეპოქის გმირმა გამოავლინა საუკეთესო თვისებები, გმირული ბრძოლით დაიცვა თავისი სამშობლო და აშენებს კომუნიზმს. ამ პერიოდში მან კიდევ უფრო განიმტკიცა სახელი, როგორც ხალხთა განმათავისუფლებელმა გმირმა, საკაცობრიო იდეალების მატარებელმა გმირმა, რომელიც გრძნობს ძლიერ კავშირს თავის ხალხთან და ამავე დროს არ ივიწყებს პასუხისმგებლობას მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის ბედისათვის.

მთელი პროგრესული მსოფლიო ახალ საბჭოთა ადამიანში ხედავს მეჩირაღდნეს, გზის გამკაფავს, ბრწყინვალე მაგალითს.

ეს ახალი ადამიანია სოციალისტური რეალიზმის დადებითი გმირი. მას ახასიათებს გმირობა, სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, შრომითი ენთუზიაზმი და ენერგია, კოლექტივიზმის გრძნობა, ატარებს საკაცობრიო იდეალს, მის ქცევას განსაზღვრავს სოციალიზმისათვის მასების მოძრაობაში გამომუშავებული სრულიად ახალი ტიპის მორალი — კომუნისტური მორალი.

* *

საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირის თვისობრივი სიახლე, უპირველეს განსაზღვრა ასახვის ობიექტის სიახლემ, ასასახავმა სინამდვილემ.

საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი ახალი სოციალისტური ტიპია, რომელთანაც დაკავშირებულია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ახალი იდეური შინაარსი. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოვუშვათ **საკითხის მეორე მხარე. ახალ ეპოქას შეაქვს თავისებურებანი თვით ასახვაში,** სხვანაირად, ხელოვნების ცხოვრებასთან დამოკიდებულებაში.

ხშირად, ლაპარაკობენ რა სოციალისტური რეალიზმის თავისებურებებზე, აღნიშნავენ, რომ ამ ახალი მეთოდით ახალი სინამდვილე აისახება. ეს ბევრს არაფერს გვეუბნება ამ მეთოდის, როგორც ასახვის ახალი სისტემის თავისებურებებზე, არაფერს ამბობს მის განსხვავებაზე, ამ კუთხით, თუნდაც კრიტიკული რეალიზმისაგან. **მეთოდის სიახლე, უპირველეს, სიახლეა ასახვაში.** თუ გვექნებოდა განსხვავება ერთი და იგივე ობიექტის, ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნის ცხოვრების რომელიმე მხარის ასახვაში კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის მეთოდებით ასახვისას, აი სწორედ მაშინ გვექნებოდა განსხვავება ამ მეთოდებს შორის.

ცნობილია, რომ რეალიზმის საერთო ნიშნებს ინარჩუნებს სოციალისტური რეალიზმიც. მაგრამ ამ ახალ მეთოდს გააჩნია

ისეთი თავისებურებანი, რომელნიც განასხვავებენ მას ადრინდელი რეალიზმის სხვა სახეობათაგან და აყენებენ გაცილებით მაღალ საფეხურზე.

ცხოვრების სიმართლის ღრმა გახსნა იყო და დარჩება რეალიზმის უმაღლეს ამოცანად. სოციალისტური რეალიზმი ახერხებს უფრო ზედმიწევნით შეასრულოს ეს ამოცანა.

რატომ?

ცხოვრების სიმართლით ასახვას მხატვრულ ნაწარმოებში წინ უსწრებს მისი ასახვა მწერლის გონებაში და მხატვრული ნაწარმოების სიმართლე დამოკიდებულია ამ ასახვის სიმართლეზე.

ვ. ი. ლენინმა თავის ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" დაამტკიცა, რომ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განუსაზღვრელად მრავალნაირი მოვლენების შემეცნება გვევლინება ერთიან პროცესად და ყველა თავის ფორმაში ემორჩილება საერთო გნოსეოლოგიურ პრინციპებს. ლენინმა ასე ჩამოაყალიბა ასახვის თეორიის არსი: „ჩვენი შეგრძნებანი, ჩვენი ცნობიერება მხოლოდ სახეა გარეგანი სამყაროსი და თავისთავად გასაგებია, რომ ასახვას არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლად იარსებოს, მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის დამოუკიდებლად" [1]. საკითხის მეორე მხარეა, რამდენად შეუძლია ადამიანს ჩაწვდეს მოვლენის არსს, თუ გარეშე პირობები არსებობენ, მაშინ რამდენად შესაძლებელია მათი შეცნობა? მარქსიზმი ამტკიცებს, რომ სამყარო და მისი მოვლენების კანონზომიერებანი შეცნობადია, მაგრამ ამასთან მიუთითებს შეცნობის პროცესის სიძნელეზე. ამ სიძნელეს ორი მხარე აქვს: ჯერ ერთი, სამყარო იმყოფება მუდმივი მოძრაობისა და განახლების პროცესში, მეორეს მხრით, შეცნობის პროცესი შეზღუდულია სუბიექტის ცოდნის განსაზღვრულობით. ეს ორი მხარე წარმოადგენს ასახვის მთავარ მომენტებს: „სამყაროს სურათი არის სურათი იმისა თუ როგორ მოძრაობს მატერია და როგორ „აზროვნებს მატერია" [2]. სხვანაირად: მოაზროვნე მატერიის — სუბიექტის გარეშე სამყა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 75, ქართული გამოცემა.

[2] იქვე, გვ. 45.

რო არსებობს, მაგრამ სამყაროს **სურათი არ არსებობს.** სამყაროს სურათი გვესახება ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთმიმართებაში. მაშ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ობიექტური სამყაროს **სურათი** ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ „აზროვნებს მატერია", ე. ი. სუბიექტის გონებისა და საერთოდ ფსიქიკის განვითარების დონეზე. აქედან ერთადერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ: მხოლოდ ჭეშმარიტი მსოფლმხედველობა აძლევს მწერალს საშუალებას მიაღწიოს თავისი ნიჭის, მხატვრული ტალანტის სრულ გამოვლინებას, აძლევს მართალ, სწორ წარმოდგენას სამყაროზე, წესრიგი შეაქვს მის მიერ სამყაროს გრძნობად ათვისებაში.

მოწინავე მსოფლმხედველობა აახლოებს ხელოვანს ხალხთან, ამდიდრებს მის შემოქმედებას მაღალი იდეალებით.

სოციალისტური რეალიზმის მწერლობა აღმოცენდა როგორც ახალი საზოგადოებრივი ძალების იდეოლოგიის ერთი სფერო. საბჭოთა მწერლობა თავის ხმას უერთებს მომავლის მქონე პროგრესულ ძალებს. საბჭოთა მწერლობის გარდა, არ არის და არასოდეს არ ყოფილა ლიტერატურა, რომელიც თავისი ნაწარმოებების თემატიკის საფუძვლად დებს მუშათა კლასისა და გლეხობის ცხოვრებას და მათ ბრძოლას სოციალიზმისათვის.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის თემატიკის სიახლე და ინტერესების თავისებურება განსაზღვრა მისმა იდეურმა პოზიციებმა. ჯერ კიდევ 1905 წელს ლენინმა ლიტერატურა „საერთო პროლეტარული საქმის ნაწილად" გამოაცხადა. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა შეგნებულად ატარებს პარტიულობის პრინციპს, ამ სიტყვის არა სექტანტური, არამედ უაღრესად ფართო მნიშვნელობით. და რაც უფრო თანმიმდევრულად ახორციელებს საბჭოთა ლიტერატურა პარტიულობის პრინციპს, მით უფრო უახლოვდება ის ხალხს, ხალხის ამოცანებს.

ცხოვრების ხილვა პარტიული პოზიციებიდან, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პოზიციებიდან საშუალებას

აძლევს მწერალს ღრმად ჩაწვდეს მისი განვითარების ტენდენციებს, მის მამოძრავებელ ძალებს, გაიგოს ცხოვრება მთელი სირთულით, ღრმად გასსნას მისი სიმართლე და გვიჩვენოს ის თავის მრავალმხრივობაში.

აი სწორედ აქ მივადექით ლიტერატურის სპეციფიკურ საკითხს. ცხოვრების ამგვარად ხილვას შეაქვს სიახლე ტიპიზაციაში.

საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელი ძალების, ძველისა და ახლის ბრძოლის, ძველის გარდაქმნის პროცესის, ახლის ზრდისა და გამარჯვების პროცესის ღრმა შეცნობა ეხმარება მწერალს ფაქტების შერჩევაში თავისი თხზულებების ტიპიური სახეებისათვის, სწორ მიმართულებას აძლევს ხელოვანს მოვლენებისა და გარემოებების ტიპიურობაში გამოხატვისათვის. ყველა ამის გამო, სოციალისტური რეალიზმი უნდა განვიხილოთ როგორც უფრო მაღალი საფეხურის რეალიზმი, თუ რეალიზმის მთავარი დამახასიათებელი თვისებაა „ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოებებში“ ასახვა.

თუ ჩვენ გვინდა ვიპოვოთ ის ახალი, რასაც შეიცავს სოციალისტური რეალიზმი, მაშინ რეალიზმს უნდა შევხედოთ განვითარების თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ამ თვალსაზრისით უნდა შევისწავლოთ. განსაკუთრებით ტიპიურობის პრობლემა, ტიპიური სახისა და ტიპიური გარემოების პრობლემათა გადაწყვეტა რეალიზმის ისტორიაში.

* *

მაშასადამე, ის სიახლე დადებითი გმირის ასახვაში, რაც საბჭოთა ლიტერატურას შემოაქვს, დამოკიდებულია ორ ძირითად განმსაზღვრელ საფუძველზე. პირველი, რაც მთავარია, **ასახვის ობიექტის**, ცხოვრების სინამდვილის, **თვისობრივი სიახლე. მეორე**, რომელიც პირველისგანაა დამოკიდებული, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, დამოუკიდებელ მნიშვნელობას იღებს, **მეთოდისეულია.**

ამ გარემოებების შეერთების წყალობით დადებითი გმირი წინ იწევს საბჭოთა ლიტერატურაში, როგორც ცენტრალური,

მთავარი გმირი, მოქმედი და მამოძრავებელი გმირი. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა თავის იდეალს — მშვენიერებას უმეტეს ნაწილად სწორედ ამ გმირში ახორციელებს. ეს არის სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი.

ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენი მწერლობა აღარ უნდა ასახავდეს უარყოფითს. ისე როგორც კრიტიკისა და უარყოფის ეპოქაში იყო დადებითი, მხარდასაჭერი, არსებულის განმტკიცებისა და წინსვლის ეპოქაში არის უარყოფითი, უარსაყოფი.

•

სულიერი და ფიზიკური ძლიერებით აღჭურვილი გმირის დახატვა ახალი არ არის ლიტერატურაში, ოღონდ სოციალისტური რეალიზმი ამ ძლიერ გმირს აღარ ხვევს მითოსის, ფანტასტიკის გარსში და ძლიერების წყაროს თვით ადამიანში, კოლექტიურად დარაზმულ ადამიანში ხედავს.

ადამიანი ყველაზე ძლიერი და ძვირფასია სამყაროში. ასეთია ეპოქისა და ამ ეპოქის ლიტერატურის დევიზი. მითოლოგიური და ფანტასმაგორიული ლიტერატურა, მაგალითად, ადამიანის, პიროვნების ძლიერებას ღმერთკაცობაში, ან ღმერთთან ნათესაობაში ხედავდა. საბჭოთა ლიტერატურისათვის ადამიანის ძლიერების წყაროს წარმოადგენს პიროვნების კავშირი მის მაგვარ ადამიანების კოლექტივთან. კოლექტიურობაშია თანამედროვე მოწინავე, პროგრესულ ადამიანთა ძალა. კომუნიზმი არის არა ცალკეული პიროვნებების, არამედ მასების მოძრაობა. მასების მოძრაობაში ეძლევა ძალა და აზრი, პოულობს მთლიან გამოვლენას პიროვნების ენერგია.

ამასთან, საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი არის არა ცალკეული პიროვნების, არამედ საბჭოთა ადამიანის ზოგადი მხატვრული სახე.

დადებითი გმირის ასახვის ტრადიცია ქართულ ლიტერატურაში

საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხი თავგანწირვით იცავდა თავის არსებობასა და თავისუფლებას მრავალრიცხოვანი დამპყრობლებისაგან. ამ ბრძოლებში იჭედებოდა და ყალიბდებოდა ქართული ეროვნული ხასიათი, რომლის უპირველესი თვისებაა თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული და მისდამი უანგარო სამსახური, განსაცვიფრებელი გმირობა სამშობლოს დაცვაში, გრძნობის სინაზე და სხვა ერების უფლებებისადმი პატივისცემა.

მდიდარი ქართული ხალხური სიტყვიერების სასიცოცხლო ძარღვია გმირული სული, სამშობლოს დაცვის იდეა. განსაკუთრებით რელიეფურად აგვისახავს ხალხური სიტყვიერება მშრომელი ადამიანების მისწრაფებებსა და სურვილებს. ამ სურვილების განმახორციელებლად ყოველთვის გამოყვანილია ფანტასტიკური ძალით აღჭურვილი გმირები. ფოლკლორი იყენებს ცხოვრებიდან აღებული ნამდვილი გმირების ისტორიასაც, გარდაქმნის მას თავის პოეტურ სამყაროში და ნამდვილი მხატვრული ძლიერებით აღჭურვილს აწვდის ხალხს იმედად და ნუგეშად. ასეთ გმირად უნდა მივიჩნიოთ არსენა, რომელიც შესანიშნავი მხატვრული ფერებითაა განხორციელებული „არსენას ლექსში". ქართული ხალხური პოეზია ყოველთვის ატარებდა სიმართლისათვის მებრძოლი შემმართებელი გმირის იდეალს.

ქართული ლიტერატურაც სამშობლოსათვის თავდადებულ გმირს ადიდებს. ჩვენთვის ცნობილ პირველსავე ჰაგიოგრა-

ფიულ ძეგლებში ასახულია ძლიერი ნებისყოფის გმირები, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან თავიანთ იდეალს, თავიანთ ხალხს. შუშანიკი, კონსტანტი კახი, მიქელ გობრონი, გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი — ჩვენთვის საინტერესონი არიან არა როგორც განყენებული ქრისტიანული რელიგიის ფანატიკოსი მსახურნი, არამედ როგორც ქართველი პატრიოტები, რადგან, როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგია, გარკვეულ პერიოდებში, განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდებოდა ეროვნულ ინტერესებს და ქართველი ხალხის თვითმყოფობის ერთგვარ საყრდენს წარმოადგენდა. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყო პერიოდები, როცა საქართველოს გამაერთიანებელ რეალურ ძალას ეკლესია და ენა წარმოადგენდა [1]. გიორგი მერჩულის სიტყვით „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

შ. რუსთაველის გენია უმღერის მეგობრობასა და სიყვარულს, ვაჟკაცობასა და თავდადებას, უანგარო პატრიოტიზმსა და ხალხთა შორის ძმობას.

ამაღლებულ იდეალებს დიადი ქართველი მგოსანი სწორუპოვარი ოსტატობით ახორციელებს უჟკნობ მხატვრულ ფორმაში, უბადლო მხატვრულ სახეებში. თინათინი, ნესტანი, ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი არა მარტო ქართული ლიტერატურის უბრწყინვალესი მხატვრული სახეები არიან, არამედ წარმოადგენენ მსოფლიო ლიტერატურის მშვენებას.

გმირების ამ ბრწყინვალე პლეადას არ შეიძლება არ მივუმატოთ მძლეთამძლე ამირანის მონუმენტური ფიგურა.

აღორძინების ეპოქაში თეიმურაზ პირველმა უმღერა თავის დედას, წამებულ დედოფალს, ქეთევანს. მისდამი მიძღვნილ პოემაში პოეტმა შექმნა თავდადებული, პატრიოტი ქართველი ქალის ამაღელვებელი სახე.

არჩილი თავის შემოქმედებაში ახდენს ხასიათების დიფერენცირებას, „ზოგს აქებს“ და „ზოგს აძაგებს“. თეიმურაზის პირით „გაბაასებაში“ ის მოგვითხრობს ფეოდალურ კინკლაო-

---

[1] იხ. კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951 წ., გვ. 132.

ბაზე და გაბატონებული კლასის მორალურ დამდაბლებაზე. ამავე დროს, არჩილი ადიდებს და შარავანდედით მოსავს სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს. კერძოდ, შთამომავლობას უანდერძებს მიბაძონ გ. სააკაძის პატრიოტულ საქმეს. სააკაძემ სამშობლოს ბედნიერებას საყვარელი შვილიც კი შესწირა.

გ. სააკაძის პატრიოტულ ფიგურას ქება მიუძღვნა აგრეთვე იოსებ თბილელმა, რომელმაც არჩილის „მართლის თქმის" პრინციპის მიხედვით შექმნა პოემა „დიდმოურავიანი"; ის როგორც მხატვრული ნაწარმოები შესანიშნავი ნიმუშია XVII ს-ის ქართული პოეზიისა.

აქ ძნელია ძველი ქართული ლიტერატურის ყველა იმ ნაწარმოების ჩამოთვლაც კი, რომელშიაც დადებითი გმირია ასახული.

სინამდვილესთან კავშირი და ოპტიმისტური შეხედულება მომავალზე ქართულ ლიტერატურაში არ ქრება თვით რომანტიზმის მწერლობაში, ან ადრინდელ რომანტიკოსებთანაც. მათთან ხშირად გაისმის იმედის ჰანგი, პოეტი-შემოქმედი არ ჰკარგავს ადამიანობას, კაცურ-კაცობას. როგორი მწარეც არ იყო ვახტანგ VI-სათვის ეს წუთისოფელი, სადაც დაჰკარგა — „ყოვლი კეთილი", „სახლი, კარი და ბანიდა", მშობლები, დები, ძმები, მაინც „კაცმა უნდა სახელის ხე საჩრდილობლად სამე დარგოს" — ასე სწამს პოეტს. აწმყოთი გულმოკლულ ალ. ჭავჭავაძეს არ გაჰქრობია მომავლის რწმენა: „ვაჰ თუ ვესწრა ვერ, თვარაღა ჟამნი, გულთ მაამნი კვლავცა იქმნებისო", — თქვა პოეტმა.

ნ. ბარათაშვილის მჩქეფარე რომანტიკა კი მომავლისაკენ იყო მიმართული. ბარათაშვილის პოეზიის ლირიკული გმირი ეძიებს გზას, და მის აღტაცებულ ქროლვას „ბედის სამძღვარის" დასაძლევად, აწმყოს მარწუხების დასალეწად, ეძლევა დადებითის მნიშვნელობა. საინტერესოა, როგორ ესმის დადებითის, პროგრესულის არსი თვით ბარათაშვილს. პოეტმა იცის, რომ ლირიკული გმირის ლტოლვა ვერ იქნება დაკმაყოფილებული, ვერ მიაღწევს მიზანს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით როდია უშედეგო, უმიზნო.

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება
და გზა უვალი ჩენგან თელილი, შერანო ჩემო, მაინც დარჩება
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს".

ამგვარად, დადებითის კონკრეტულ-ისტორიული შინაარსის გაგების შესანიშნავი მაგალითი მოგვცა თვით პოეტმა და ამით თითქო მანვე განუსაზღვრა თავის პოეზიას ადგილი და როლი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში.

6. ბარათაშვილის რეალისტურ პოემაში „ბედი ქართლისა" ასახულია ერეკლე მეორის, ლეონიძის და სოფიოს დადებითი სახეები.

* *

ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის, რომელიც ლიტერატურული სკოლის, აყვავებასთან ერთად ახალი კუთხით დგება დადებითი გმირის პრობლემა. ისტორიულ-ჰეროიკული თემა არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. პირიქით, უფრო ვითარდება საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ ის მაინც აღარ არის ერთადერთი წყარო დადებითი გმირის შექმნისათვის.

კრიტიკული რეალიზმი ეს იყო ახალი, განსხვავებული ესთეტიკური მსოფლმხედველობა და მეთოდი, რომელიც აღარ კმაყოფილდება რეალური სინამდვილიდან ანარეკლი იდეების მხატვრული გამოსახვითა და ცხოვრებასთან შეხების გამო ემოციების აღბეჭდვით, ან სინამდვილის ცალკეული სურათებით. იგი ცდილობს ღრმად ჩაწვდეს ცხოვრებას, ამოიცნოს მისი მამოძრავებელი ძალები და ასახოს ის თავის ტიპიურ გამოვლინებაში.

XIX საუკუნის 50 — 60-იანი წლებისათვის, რომელთაც საერთოდ თვლიან კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურულ მიმართულებად ჩამოყალიბების დასაწყისად, საქართველოს სინამდვილეში ორი ძირითადი პრობლემა იდგა: ეროვნული და სოციალური. მწერლობას არც ერთი დაუტოვებია უყურადღებოდ, არც მეორე.

სამოციანელების მეთაურმა და მებაირახტრემ ილია ჭავჭავაძემ, რუსეთიდან დაბრუნებისთანავე, დაადგა თუ არა ფეხი ქართულ მიწას, კითხვა დაუსვა თავისთავს, რით გამოადგებოდა ის თავის დაბეჩავებულ ქვეყანას, რომლის უბედურების მიზეზი არა მარტო მისი კოლონიური მდგომარეობა იყო, არამედ მძიმე სოციალური უღელიც ხალხთა მასების ქედზე.

სოციალური საკითხი ამ პერიოდის საქართველოსათვის, ისე როგორც რუსეთისათვის, გამოიხატებოდა გლეხობის საკითხით, რადგან რუსეთი და საქართველო ამ წლებისათვის წარმოადგენდნენ აგრარულ ქვეყნებს.

როგორც რუსეთის ისე საქართველოს პროგრესული მოაზროვნეები ხედავდნენ, რომ 1861 წლის საგლეხო რეფორმამ არაფერი არ მისცა გლეხობას და ისინი ფაქტიურად ბატონისაგან დამოკიდებულნი რჩებოდნენ. საქართველოში ამ ყბადაღებული რეფორმის ძალაში შესვლაც წლობით გაჭიანურდა.

სამოციანელებმა გაილაშქრეს ძველი, დახავსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ. კრიტიკული რეალიზმის მხატვრული პროდუქცია იძლეოდა სინამდვილის დაუნდობელ კრიტიკას, მომაკვდინებელ სატირულ ფორმებში გვიხატავდა თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს და ბიუროკრატიული სახელმწიფოებრივი აპარატის გახრწნილ მოხელეებს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კრიტიკული რეალიზმის პათოსს მარტოდენ ცხოვრების დრომოჭმული ფორმების უარყოფა შეადგენდა და ის ვერაფერს ხედავდა სინამდვილეში მხარდასაჭერს და საიმედოს.

მოთხოვნა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე უყენებს ხელოვნებას, ეს არის სინამდვილის გამოხატვა მთელი სიცრცელით. ხელოვნება „დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა, არცერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორის...“ [1]

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, 1953 წ., გვ. 69.

„ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“ [1].

ილიას იდეალი იყო „ადამიანი, რომელსაც ძილ'მიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა“. როცა ახალგაზრდა მწერალი მოღვაწეობისათვის ემზადებოდა, უკვე გზაზე რუსეთიდან საქართველოსაკენ ფიქრობდა ასეთ ადამიანზე და კითხვით მიმართავდა სამშობლოს: „ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“ [2]. ილია მიზნად უსახავს თავისთავს: „...ის თვითეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველ კაცში არ ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემი ქვეყნის გაციებული გულის გასათბობად“ [3].

ილია ცდილობს იპოვოს იდეალი თვით ცხოვრებაში. ეს საერთო ნიშანია მისი ლიტერატურული მიმართულებისათვის. კრიტიკული რეალიზმი მჭიდროდ უკავშირდება რა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ცდილობს იპოვოს ხელოვნების იდეალი თვით ცხოვრებაში. სულ სხვა საქმეა, რა ზომით ახერხებს ამის განხორციელებას, რა საშუალებებს აძლევს მას ამისათვის სინამდვილე.

იდეალის მხატვრული განხორციელება ამ პერიოდის ხელოვნებას ხშირად არაპირდაპირი გზით უხდება, — უარყოფითი, მახინჯი სახეების გამოხატვის გზით. იძლევა რა ამ მახინჯის უარყოფით ესთეტიკურ შეფასებას, აყენებს მშვენიერის კონცეფციას, ასე ხდება მაგალითად „კაცია ადამიანში“. მაგრამ „გლახის ნაამბობში“, „კაკო ყაჩაღში“ და სხვა ნაწარმოებებში ილია იმ ტიპიური მახინჯის, არამშვენიერის, უარყოფითის საპირისპიროდ, როგორიცაა ბატონი, დათიკო და სხვ. სინამდვილიდან იღებს გაბრიელის, კაკოსა და ზაქროს ტიპიურ ხასიათებს და გვიხატავს მათ უარყოფითთან ბრძოლაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ შეიძლება განვიხილოთ ეს გმირები, როგორც იდეალური ადამიანები, მაგრამ იდეალური

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, 1953 წ., გვ. 69.

[2] ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., „მგზავრის წერილები“, გვ. 257.

[3] იქვე, გვ. 250.

გმირისა და დადებითი გმირის ცნება ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. 60-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის მწერლობა, რომელიც დემოკრატიული იდეებით იყო გამსჭვალული, ამ გმირებში ხედავდა ადამიანურის ყველაზე უკეთეს გამოვლინებას თავისი ეპოქისათვის, ხალხის საუკეთესო თვისებებს: გულწრფელობას, გამბედაობას, ვაჟკაცობას, შრომისადმი სიყვარულს, მისწრაფებას მეგობრობა-ძმობისაკენ, გამტანიანობას; ნათელ ჭკუას და შეურყვნელ, ფაქიზ გრძნობებს. ამ ადამიანების გახდომას სრულყოფილ ადამიანებად, რომლებსაც არ ატყვია ბატონყმობის უღელის ნაკვალევი, ხელს უშლიდა არსებული ეროვნულ-სოციალური ჩაგვრა, გაბატონებული საზოგადოებრივი წყობა, რომლის წინააღმდეგ გამოდის კრიტიკული რეალიზმი და რომლის წინააღმდეგ, თუნდაც სტიქიურად, გამოდიან სწორედ ეს გმირები: გაბრიელი, ზაქრო, კაკო, შემდეგ სიმონა და სხვ... ე. ი. განსაზღვრულ ისტორიულ ეტაპზე, თუ ისინი მთლიანად ვერ უტოლდებიან ხელოვნების იდეალს, რამდენადმე მაინც პასუხობენ მას. საზოგადოების განვითარებაში ასრულებენ გარკვეულ დადებით როლს. თუ მათ ბრძოლას მაშინვე არ მოაქვს შედეგი, ამ პერსონაჟების დადებითობა ცხადდება საბოლოო ანგარიშით.

შემდგომში, 80-იანი წლებისათვის ილიას მხატვრულ ნაწარმოებებში და პუბლიცისტურ წერილებში აღარ ჩანს გლეხობისა და თავად-აზნაურობის დაპირისპირების ის სიმკვეთრე, რაც მის ადრინდელ მხატვრულ თხზულებებში. მაგრამ გლეხობაზე, როგორც საზოგადოების საღ, სიცოცხლისუნარიან ნაწილზე, ილიას აზრი არც ამ პერიოდისათვის შეუცვლია. საინტერესოა მისი მიდგომა გლეხისადმი. „მე გლეხს ბალღსავით კი არ შევხარი, — ანგელოზია მეთქი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ...“ [1]

არჩილის ეს სიტყვები ილიას აზრს გამოხატავს. მწერლის აზრით, გლეხები არ არიან იდეალურნი, მაგრამ მათშია ძალა, რომელსაც უნდა დაეყრდნოს საზოგადოების მომავალი.

არჩილი სასტიკად ამხილებს თავის კლასს — „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი, ჩვენ დაბლა-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, 1937 წ., გვ. 465.

ნდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესა არის და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც სიმღერა ვერ დაგვირქმევია". და შემდეგ: „იმათი ცოცხალი ნახევარი ავად თუ კარგად მაინც საქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს არის იმათი კარგი და ამითი გვჯობიან" [1].

როგორი აზრიც არ უნდა იყოს გატარებული არჩილისა და ეესოს დიალოგში საერთოდ, და რაც უნდა იყოს ამ ნაწარმოების იდეა, ერთი ცხადია, ილია XIX საუკუნის 60 — 70-იანი წლების ქართული საზოგადოების „საქმიან", ე. ი. „ცოცხალ" ელემენტად, მიუხედავად მისი მდგომარეობის სიდუხჭირისა, მიიჩნევს გლეხობას, „დაბალი" ხალხის მასებს.

კიდევ ერთი ღირსება ილიას რეალისტური კალმისა იმაშია. რომ გმირებს არ ხატავს ის სტატიურად, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ხასიათებით, შეგნებით. გაბრიელმა თავიდან არ იცოდა, რომ „ბატონყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება", მაგრამ მოვლენათა მსვლელობამ დაარწმუნა ბატონისა და ყმის ინტერესების შეურიგებლობაში. საქმე ერთეულ ბატონებში კი არ არის, არამედ მთლიანად კლასის დრომოჭმულობაში. მებატონე არც ცუდი აკმაყოფილებს გლეხის ელემენტარულ მოთხოვნილებას და არც კარგი, „ბატონიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს".

ილიას მხატვრულ თხზულებებში მებრძოლი გმირები სტიქიურად მოქმედებენ. გლეხობის დარაზმული ბრძოლის სურათი მოგვცა შემდეგდროინდელმა ქართულმა ლიტერატურამ.

მაგრამ რა სიმაღლემდეც არ უნდა ავიდეს გლეხთა რევოლუციური მოძრაობა, მაინც გლეხობა არ წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც ჩაგრულებს, საერთოდ, და კერძოდ თავისთავს დამოუკიდებლად დაიხსნის მონობისაგან. 60-იანი წლების საქართველოში კი არ მოსჩანდა ის კლასი, რომლის მოკავშირე

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, 1937 წ., გვ. 466 (ხაზი ჩემია—შ ჩ.).

გლეხობა უნდა გამხდარიყო. ამრიგად, არ ჩანდა ის რეალური ძალა, რომელსაც ჩაგრული კაცობრიობა ახალ გზაზე უნდა გამოეყვანა — ამ ატმოსფეროში მეტად სუსტ ძალად მოსჩანდა გლეხთა სტიქიური გამოსვლები. და რა ძალაც არ უნდა დაენახა მასში რუსი პროგრესული მოაზროვნეების იდეებზე აღზრდილ „თერგდალეულების“ თაობას, მაინც არასაკმარისად მიაჩნდათ იმ დიდი ამოცანების განსახორციელებლად, რაც მათ დაისახეს, კერძოდ, გაეთავისუფლებინათ საქართველო ნაციონალური და სოციალური მონობისაგან. ამიტომ იყო, რომ კრიტიკული რეალისტები, კერძოდ, ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტ. ფურცელაძე და სხვები გვიხატავდნენ რა ერის სინიდისსა და ძალას გლეხთა მასების წარმომადგენლებში, მაინც კიდევ გაფაციცებით ეძიებდნენ სხვა გმირებს, დაფით და ნაღარით „უყივოდნენ“, ეძახდნენ მათ. ისინი ხშირად მიიხედავდნენ ხოლმე წარსულისაკენაც, გვიხატავდნენ განვლილი ცხოვრების სურათებს, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს, დიდ პატრიოტებს. კრიტიკულმა რეალიზმმა შექმნა ამგვარი მხატვრული სახეების მთელი გალერეა: ერეკლე მეორე; ბაში-აჩუკი. შალვა და ელიზბარ ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ნათელა და ცოტნე დადიანი; დიმიტრი თავდადებული; დიდი მოურავი; თამარ ღაზნელი და სხვა მრავალი. XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისათვის ეს მხატვრული სახეები მწერლებს სჭირდებათ არა იმისათვის, რომ გააიდეალონ წარსული ცხოვრება, არამედ ისინი „მოკრძალებით იწვევენ დახმარებისათვის წარსულის სულებს, გადმოიღებენ მათ სახელებს, საბრძოლო ლოზუნგებს, ტანსაცმელს, რათა ძველ საპატიო სამოსელში და ამ ნასესხებ ენაზე მსოფლიო ისტორიის ახალი სცენა დადგან“ [1]. ამ შემოქმედთა თხზულებებში „...მკვდართა აღდგომა იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ახალი ბრძოლები განდიდებულიყო და არა პაროდია ეყოთ ძველი ბრძოლებისათვის...“ [2]. მათი მიზანი იყო ჩაესახლებინათ უტეხი სული თანამედროვეებში,

---

[1] კ. მარქსი, 18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა; წიგნში: კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950 წ., გვ. 267, ქართული გამოცემა.

[2] იქვე, გვ. 262

აღეფრთოვანებინათ ისინი გმირობისათვის, ანდა როგორც ანტონ ფურცელაძე წერს: „უკეთუ ხალხს ვუჩვენებთ პოეზიაში ან ისტორიაში ვისმე მხნე პირთა, ქვეყნისა და თავისი ხალხის სიმართლისათვის მომქმედთ და თავგანწირულთ, იმისათვის კი არა, რომ წარსული გავუხადოთ ხალხს სანატრელად, მხოლოდ იმისათვის, რომ ამ პირების მაგალითი აღვიძებდეს ხალხში მხნეობას და აძლევდეს ძალას, რომ გასწიოს ბრძოლა „წარსულზედ უკეთესი მომავლის დასამყარებლად“.

თავისი დიდი მიზნების განსახორციელებლად ილია მიმართავს როგორც წარსულს, ისე აწმყოს და მომავალსაც. მან შექმნა ნაწარმოები ქართველ დედაზე და ზედ წააწერა: „მომავლის სურათი...“ ილია პირდაპირ აცხადებს:

„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

ასეთი იყო ის დიდი ამოცანა, რომელიც სამოციანელებმა დაისახეს. ამავე გზას მიჰყვებოდა XIX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტი ვაჟა-ფშაველა. მისი პოემების გმირები აღვიძებდა ხალხში პატრიოტიზმის გრძნობას, რომელსაც მხურვალედ ატარებდნენ თვით ეს გმირები.

სამშობლოსათვის თავდადებულ პატრიოტ-მებრძოლთა ხასიათები გამოაქანდაკა ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონში“ სანათას, კვირიას, ლელას, ლუხუმის, ზეზვას სახეებში. აღსანიშნავია აგრეთვე გოგოთურის ძლიერი ხასიათი. გოგოთური ცნობს ისეთ ბრძოლას, რომელიც სამშობლოს დასაცავადაა წარმოებული. ასეთ ბრძოლებში მას „რვა ხმალი გაუცვეთია, მეცხრე თეთრტარა ხანჯარი“. თუ მის სამშობლოს არავინ დასხმია თავს, ისე გოგოთური ხმალს ხელს არ გაიკრავს, სხვაზე თავდასხმისათვის ის არ ამხედრდება. უდიდესია ამ გოლიათის ზემოქმედების ძალა, ის სიკეთის ხორცშესხმაა, სამუდამო დაღი დაასვა მასთან ერთხელ შეხვედრამ ქურდ, აბრაგ აფშინას სულს. ასეთივე დანიშნულება აქვს ამ მხატვრულ სახეს პოეტის თანამედროვე ცხოვრებისათვის.

დადებითი გმირების მთელი გალერეა შექმნა საუკეთესო ქართველმა რომანისტმა ალ. ყაზბეგმა.

მართალია ყაზბეგის რომანების გმირები იდუპებიან და ვერ აღწევენ თავიანთ მიზანს, მაგრამ წარუშლელ კვალს სტოვებენ მკითხველის მეხსიერებაში. მათ ვერ კლავს ფიზიკური დაღუპვა, რჩებიან როგორც მიზნისაკენ განუწყვეტელი სწრაფვის, მამაცობის, ერთგულების, პატრიოტიზმის ამამაღლებელი გრძნობის სიმბოლონი. ყაზბეგმა XIX საუკუნის ქართული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთაგან ყველაზე უკეთ ასახა ეპოქის წინააღმდეგობანი. მეფის რუსეთის მოხელეებისა და ადგილობრივი თავად-აზნაურ-ბობოლების ერთობლივი მოქმედება — სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ურთიერთკავშირი არავის ისე ნათლად არ დაუნახავს, ყოველ შემთხვევაში, არ აუსახავს, როგორც ყაზბეგს, ბრძოლა ამ ორმაგი ჩაგვრის წინააღმდეგ ისეთი გატაცებით არ შეუქმია, როგორც ყაზბეგს. ამიტომაცაა, რომ მისი ელგუჯა, იაგო, კობა, ბეჟია და სხვები წარმოგვიდგებიან როგორც სახალხო გმირები, რომლებიც შეუპოვრად იბრძოდნენ ადგილობრივი მჩაგვრელებისა და მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

* *

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები არა მარტო ასახავდნენ დადებით გმირს, არამედ მათ გარკვეული შეხედულებებიც ქონდათ ამ საკითხზე.

ილია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრინციპულად იცავდა იმ აზრს, რომ უარყოფითთან ერთად დადებითიც უნდა აისახოს, რომ „ლექსა და ლაფთან“ ერთად ცხოვრების ძირში მარგალიტსაც იპოვის ხელოვანი და არც ერთის გამოხატვამ არ უნდა შეაშინოს ის და არც მეორისა. თუ ამას დავუკავშირებთ ილია ჭავჭავაძის ესთეტიკის შემდგომ დებულებას, რომლის მიხედვით მწერალს ლიტერატურა და ხელოვნება, ისე როგორც მეცნიერება, „ცხოვრების გამაუმჯობესებელ ღონისძიებად“ მიაჩნია, მაშინ ნათელი გახდება, რომ ილია ცხოვრების გაუმჯობესებას, მასზე ზემოქმედებას ცდილობდა არა მარტო უარყოფითის უარყოფით და კრიტიკით, არამედ დადებითის ძალითაც, როგორც მაგალითისა.

აკაკი წერეთლის ლირიკაში დიდი ადგილი უჭირავს პატიოსანი შრომის პოეტურ შექებას — გლეხის შრომა მიჩნეული იყო პოეტის მიერ როგორც ერთ-ერთი საფუძველი საზოგადოებრივი სიკეთისა. ისე როგორც ილიას, აკაკი წერეთლის შემოქმედება ხასიათდება სამშობლოსა და ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის ძიებით. როგორც ილიასათვის, ისე აკაკისათვის ესთეტიკურ პრობლემას დადებითი გმირისა უყენებდა ეროვნულ-სოციალური პრობლემა. მათი ლიტერატურული გმირი ეთანხმებოდა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეალებს, რომელთაც ატარებდნენ XIX ს-ის ეს ორი დიდი მწერალი. მაგრამ ისინი ყოველთვის ცდილობდნენ მხატვრული სახის წყაროდ ცხოვრება გამოეყენებინათ. არ მოსწყვეტოდნენ მას და ილუზიების სფეროში არ მოხვედრილიყვნენ.

აკაკის აზრით ცხოვრების სარკეში — ლიტერატურაში „ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანამედროვეობა **მისი სისწორ-სიმართლით**“ [1]. ხალხისათვის ლიტერატურა საჭიროა, „რომ შიგ ჩაიხედოს და თავისი სახე მისი **ღირსებით და ნაკლოვანებებით** დაინახოს“ [2]. მწერალი ვალდებულია „ახადოს პირბადე **ავ-კარგს**“ (ლექსი „კალამი“), **„კარგი აქოს, ავი დაგმოს“** („პასუხი“).

ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში დადებითის გამოხატვის ტენდენცია კიდევ უფრო მძაფრდება. ალ. ყაზბეგი მიზნად ისახავს იდეალური გმირების დახატვას. იგი ქმნის „ტენდენციოზურ“ თხზულებებს, რომელთა დადებითი გმირი მაგალითის მიმცემი, აღმაფრთოვანებელი უნდა იყოს. ერთგან ის წერს: „ამ მოთხრობაში („მოძღვარი“ — შ. ჩ.) **ვხატავ იდეალურ მოძღვარს**, რომელიც წირვა-ლოცვის დროს მლოცველს ხელში კი არ შეჰყურებს და უმაღლესის მოვალეობის აღსრულების დროს დახლზე არ ფიქრობს. **ჩემი მოძღვარი ხალხის და ქვეყნისათვის თავგანწირულია**, ის აღზრდილია — უმაღლეს კანონთა... გავლენის ქვეშ და ეს სწავლა იმდენად ტენდენციოზური არის.

---

[1] გ. ერისთავი, თხზ., (მეორე გამოცემა), თბილისი, 1884 წ., წინასიტყვაობა, გვ. 8 (ხაზი ჩემია — შ. ჩ).

[2] „მცირე რამ შენიშვნები“, „დროება“, 1878 წ., № 107 (ხაზი ჩემი—შ. ჩ.).

რომ თვით ჩემი მოძღვარი თუ არ **იდეალურს, ტენდენციურ ქმნილებად, სხვაგვარად** ვერ გამოიხატებოდა".

აქ არ შევალთ იმის განსჯაში, თუ რამდენად რეალისტური და ტიპიურია მოძღვრის სახე. ეს კერძო საკითხია. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა სხვა მხარე. მოძღვრის სახე, ისე როგორც დაგვიხატა ყაზბეგმა უეჭველად დადებითია. მწერალი ამას აკეთებს „ტენდენციოზურად", ე. ი. წინასწარ განზრახვით თავის ესთეტიკურ იდეალებთან შეთანხმებით. აქ იმდენად მოძღვრის სახე კი არ გვაინტერესებს, რამდენადაც ის, რომ ამ შუქზე ნათელი ხდება: სხვა დადებითი გმირებიც, რომელთა დადებითობა ეჭვს არ იწვევს, იქმნებოდნენ ასევე ესთეტიკურ იდეალებთან თანხმობაში.

ვაჟა-ფშაველა იზიარებს ილიას აზრს ხელოვნებაზე, როგორც ცხოვრების გამაუმჯობესებელ საშუალებაზე. მისი აზრით „საზოგადოებაზე ნაყოფიერი ზემოქმედება აქვს პოეტისაგან შექმნილს ტიპებს; პოეტური მწერლობაც მაშინ არის ღონიერი, როცა მარტო ფრაზებით კი არაა სავსე, არამედ ვპოვებთ მასში ან დაქვეითებულს კაცს პოეტისაგან დახატულს, ან დიდ-სულოვანს ადამიანს... სურათი უფრო ცხოვლად გვიდგება თვალწინ, ცხოვლად როგორც მაგალითი, **კეთილის თვისებისაა, კეთილს აღძრავს ჩვენს გულში და (ცუდისა) ზიზღსა და სიძულვილს.** პოეტის ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ტიპების ხატვა, — ისეთის ტიპებისა, რომელნიც უვარგისნია (отрицательные типы) და მეორე, რომელნიც საჭირონია ცხოვრების გასაუკეთესებლად (положительные типы). ამიტომ დიდი ცოდვა და ნაკლია მწერლებისა და პოეტებისა, თუ... ვერა ჰხატავენ ახალგაზრდობის მისაბაძავს, ახალგაზრდობის აღმზრდელს ტიპებს, თვითონ მწერლობაც ამისთანა შემთხვევაში სუსტი და უმარილოა" [1].

უარყოფითთან ერთად დადებითის ასახვის აუცილებლობა აღიარებულია ნ. ნიკოლაძის ესთეტიკურ შეხედულებებში. ნიკო „ნიკოლაძე მწერლობისაგან მოითხოვს არა მარტო მსჯავ-

---

[1] ციტატი მოგვყავს ჟურნალ „ჩვენ თაობაში" გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით. (№ 8, 1940 წ.. გვ. 47).

რის დადებას ცხოვრებაზე, არამედ უკეთესი ნათელი იდეალის დახატვასაც“ [1].

* *

გასული საუკუნის 90-იანი-900-იანი წლების ლიტერატურაში დადებითი გმირის პრობლემის გადაწყვეტაში გვაქვს გარკვეული წინსვლა, განვითარება. ამის მიზეზი უპირველესად მდგომარეობს საზოგადოების განვითარების ახალ საფეხურში, საზოგადოების ცხოვრების ძალთა შეჯახების ახალ მდგომარეობაში.

ამ წლებისათვის როგორც რუსეთში ისე საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სამრეწველო კაპიტალიზმი. საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოდის ახალი კლასი — მუშათა კლასი, 900-იანი წლებიდან იწყება მძლავრი რევოლუციური აღმავლობა, რომელიც აღინიშნა არა სტიქიური გამოსვლებით, არამედ ორგანიზებულობით და დარაზმულობით, ატარებდა სოციალისტურ იდეალს.

სოციალისტურ იდეალს ატარებს, აგრეთვე, ამ წლების მხატვრული ლიტერატურა, რომელიც წარმოიშვა რევოლუციური მოძრაობის უშუალო ზეგავლენით. ხელოვნების მიზნად დასახული იქნა მუშათა კლასის, ჩაგრული მასების სამსახური — ეს პრინციპები თავის თეორიულ აღიარებას აღწევს ალ. წულუკიძის ლიტერატურულ წერილებში, რომელთა ამოსავალ საფუძველს წარმოადგენდა მხატვრული ნაწარმოების შეფარდება სოციალურ სინამდვილესთან. აღიარებულ იქნა ლიტერატურის კლასობრიობის პრინციპი. იქმნება რევოლუციური სტილის ნაწარმოებები.

პოეზიაში შემოდის ახალი გმირი — მუშა, რომელიც წარმოადგენს რევოლუციური მოძრაობის ცენტრალურ ფიგურას, თუმცა ქართული პროზის ძირითად ობიექტად მაინც სოფლის ცხოვრება რჩება. სოფელში გამწვავებულ კლასთა ბრძოლას ჰქონდა ადგილი. კაპიტალიზმის საერთო განვითარებამ გამოიწვია გლეხობის დიფერენციაცია, წარმოიშვა სოფლის ბურჟუაზია. გლეხთა უღარიბესი მასები განიცდიდნენ სასტიკ ექსპლოა-

[1] გ. აბზიანიძე, ქართველი კლასიკოსები, 1950 წ., გვ. 248.

ტაციას, არაადამიანურ ჩაგვრას. ეს სურათები პრინციპული სიმკვეთრით ასახა თავის შემოქმედებაში ე. ნინოშვილმა.

ე. ნინოშვილის კალმის საგანს შეადგენს უუფლებო გლეხთა მასების მძიმე ბედი, მაგრამ ნინოშვილმა ასახა არა მარტო უიშვილები და მუნჯაძეები, არამედ მისი ეპოქის გლეხთა ყველა ტიპი.

ნინოშვილმა დახატა ისეთი გლეხები, რომლებიც არა მარტო ფიქრში და ოცნებაში ეწინააღმდეგებიან გაბატონებულ საზოგადოებრივ წყობილებას, არამედ იარაღს იღებენ ხელში და, თუმცა სტიქიურად, იბრძვიან უსამართლობის, ადამიანის დაბეჩავების წინააღმდეგ.

მაგრამ ასეთი დადებითი გმირები ადრეც გვხვდება ლიტერატურაში, ე. ნინოშვილის დამსახურება კი იმაშია, რომ ის ამჩნევს და ასახავს გლეხთა შეკავშირების ტენდენციებს. ივანე („პალიასტომის ტბა") გარკვევით ამბობს: „ეჰეი ბიჭო! სად არის პირი და ერთობა — ყაზახმა რომ ერთპირობა იცოდეს და ერთმანეთის მხარის მიცემა, მაშინ..." მაგრამ ერთობის ამ ტენდენციას ჯერ არ მიუღია საყოველთაო, მკვეთრად გამოხატული ხასიათი..ეს კარგად ესმის ნინოშვილსაც და რომ მკითხველს უჩვენოს გლეხთა გაერთიანებული გამოსვლის მაგალითი, ის მიმართავს არც ისე შორეულ ისტორიას — ასახავს გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებას. მწერალმა ისტორიული ამბავი მჭიდროდ დაუკავშირა მის თანამედროვეობას, რომანში „ჯანყი გურიაში" დასვა და გადაწყვიტა მრავალი საკითხი, რომელიც აღელვებდა რევოლუციურ-დემოკრატიულ მოაზროვნეებს. ე. ნინოშვილს რომანის მთავარ გმირად გამოჰყავს ხალხი აქტიურობის გამოვლინებაში, ამაღელვებელი ბრძოლის სურათებში. ამით მან ყველა ქართველ მწერალზე უკეთ გადაწყვიტა ისტორიული რომანის პრობლემა. გაერთიანებული გლეხთა მასების შემტევი აქტიურობა იყო მწერლის იდეალი, რომელიც მან განახორციელა ფართო ისტორიულ ტილოზე. თხზულების ცენტრში დგას სოციალური კონფლიქტი, კლასთა ბრძოლა. მწერალი გვიხატავს ხალხის წარმომადგენლების მტკიცე ხასიათებს ბესიას, როსტომა მეჯიხურის, პეტრია მჭედელის, ათარმიზას და სხვ. სახეებში.

საყურადღებო მოვლენაა გიორგის სახე თხზულებაში. როგორც სამართლიანად აღინიშნა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, გიორგის ტიპის ინტელიგენტი არ შეიძლება ყოფილიყო მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლების გურიაში. გიორგი 80-იანი წლების რევოლუციონერი-დემოკრატი არის მწერლის მიერ ისტორიულ რომანში გადასახლებული. გიორგის შეხედულებებში ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ ბრძოლას, აღიარებულია სოციალური ბრძოლის ინტერნაციონალური მნიშვნელობა, აუცილებლობადაა მიჩნეული საქართველოს გლეხობის დაკავშირება რუსეთის გლეხობასთან. გიორგის აზრით „...ჩვენი გლეხობა უნდა იყოს შემყურე რუსეთისა და უნდა მოელოდეს იმავე ბედს, რასაც რუსეთის გლეხკაცობა... მიხედავს რუსეთის მაგალითს და იომებს თავისუფლების მოსაპოვებლად“.

ასე ფართოვდება და ღრმავდება დადებითი გმირის პრობლემა ე. ნინოშვილის შემოქმედებაში. მაგრამ ნინოშვილმა ვერ გვიჩვენა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა, მას არ შეუქმნია თხზულება მუშათა კლასის ცხოვრებიდან. ეს უნდა აიხსნას, ერთი მხრით, იმით, რომ მწერალი არ შესწრებია მუშათა რევოლუციური მოძრაობის მზარდ აღმავლობას, როცა ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციურმა გამოსვლებმა ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა რუსეთის მუშათა მოძრაობაში. მეორეს მხრივ, მწერლის მსოფლმხედველობა, როგორც ცნობილია, ვითარდებოდა ნაროდნიკობიდან მარქსიზმამდე, ამასთან მის სიცოცხლეში „მესამე დასი“ „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციებზე იდგა. ამას, ჩვენის აზრით, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მის თხზულებათა თემატიკაზე. დაბოლოს მწერალი აფართოვებს თავისი შემოქმედების თემატიკის რკალს, ამაზე ლაპარაკობს მისი „მუშათა თავშესაფარი“. რომელიც, სამწუხაროდ, მწერალმა ვერ დაასრულა.

მუშის სახის შემოყვანა ქართულ ლიტერატურაში ი. ევდოშვილს ხვდა წილად. თუმცა ადრე ი. ჭავჭავაძე შეეხო მუშის ცხოვრებას, მაგრამ ის „ბატონის მათრახს გამოქცეული“ გლეხი იყო და არ იყო მუშათა კლასის წარმომადგენელი, ასევე გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძე“.

ი. ევდოშვილი რევოლუციის ეპოქის პოეტია, მის პოეზიას ასულდგმულებს მუშათა რევოლუციური მოძრაობა. ის, როგორც ჰუმანისტი თავიდანვე აგვიწერდა მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობას, დაბეჩავებული მშრომელების ცხოვრებას. მაგრამ მუშათა კლასში პოეტი ხედავდა ძალას, რომელიც გარდაქმნიდა აწმყოს და მომავლის ფართო გზაზე გამოიყვანდა კაცობრიობას. 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის ხანაში დაწერილ პოემაში „მუზა და მუშა" პოეტი გვიხატავს მებრძოლი მუშის სახეს. მუშა მძიმე მდგომარეობაშია, განიცდის ჩაგვრას, მაგრამ ის აღსავსეა გამარჯვების რწმენით, არა მარტო თვით იბრძვის, არამედ იყენებს ყველა საშუალებას გაბატონებული, შავი ძალების წინააღმდეგ. მუშა თავისი რევოლუციური ბრძოლის მონაწილედ გახდის პოეზიასაც.

ამ პოემაში ევდოშვილმა ახლებურად გადაწყვიტა პოეზიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დამოკიდებულების საკითხი. პოეზიას არ უნდა ჰქონდეს რაღაც სხვა, მუშათა ცხოვრებისაგან დაშორებული მიზანი — პოეზია მუშათა საქმის სამსახურში უნდა ჩადგეს.

ირ. ევდოშვილი რევოლუციის პოეტი იყო, იმ რევოლუციისა, რომლის მამოძრავებელ, ცენტრალურ ფიგურას მუშათა კლასი წარმოადგენდა. ევდოშვილის მიერ დახატული მუშა-რევოლუციონერი, გამარჯვების რწმენით აღსავსე მუშაა. ევდოშვილის შემოქმედება, განსაკუთრებით რევოლუციის აღმავლობის წლებისა, ატარებს მკვეთრად გამოხატულ სოციალისტურ იდეალს, რითაც მჭიდროდ უკავშირდება ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, პირდაპირ იდეურ კავშირშია საბჭოთა ლიტერატურასთან.

* *

ეს პროგრესული იდეალი, დადებითის ძიება ქართულ ლიტერატურაში არ ყოფილა ერთხაზოვანი, ერთიანი ნაკადი, პირიქით, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია ეტაპები გამძაფრებული იდეოლოგიური ბრძოლისა, როგორც მის ადრეულ ხანაში, ისე XIX საუკუნეში, როცა ძველის გამომ-

ხატველი ლიტერატურული ჯგუფები ულმობელ ბრძოლას აწარმოებდნენ ყოველივე ახლის გამოვლინების წინააღმდეგ. ასე იყო 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგაც. ამ პერიოდს, რომელსაც გორკი უწოდებდა რუსეთის ინტელიგენციის ისტორიაში ყველაზე უნიჭო და სამარცხვინო პერიოდს, ახასიათებდა ლიტერატურაში დეკადენტური მიმართულებების გაბატონება, უიმედობისა და უსასოობის გამეფება, ფილოსოფიაში ზეიმი სუბიექტური იდეალიზმისა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ობიექტური სამყაროს რეალურობას, მიდიოდა სოლიპსიზმამდე და სანქციას აძლევდა მისტიციზმს, ყოველგვარი ბნელი ძალების ამოტივტივებას. წარმოადგენდა დეკადენტური ლიტერატურული მიმართულებების სიმბოლიზმისა და იმპრესიონიზმის საფუძველს.

ანალოგიური მდგომარეობა გვქონდა ქართულ ლიტერატურაშიაც. მაგრამ მართებული არ იქნებოდა, რომ ეს ხანა წარმოგვედგინა დაცემისა და ავადმყოფური მოვლენების განუყოფელი ბატონობის ხანად. სუბიექტური იდეალიზმი და მისგან გამომდინარე მისტიციზმი იყო რეაქციული ძალების იდეოლოგია. ხოლო ამ პერიოდში დროებით გაიმარჯვეს რა რეაქციულმა ძალებმა, მათ ვერ შესძლეს პროგრესულის, მოწინავის იდეური დამარცხება და დათრგუნვა. ბოლშევიკების ლენინური პარტია განაგრძობდა ბრძოლას ახალი შეტევებისათვის, წარმართავდა ყოველივე სიცოცხლისუნარიანს და ამჭიდროებდა, უვლიდა მას. კომუნისტური პარტიისა და პირადად ვ. ლენინის მზრუნველობის საგანი იყო დიდი პროლეტარული მწერალი მ. გორკი. თვით გორკის ამ პერიოდის ლიტერატურული მოღვაწეობა ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის მებრძოლ სულისკვეთებას მხატვრულ ლიტერატურაშიაც ჰყავდა თავისი გამომხატველი ამ ხანაში.

ქართულ ლიტერატურაშიც არ გამქრალა მებრძოლი ტენდენცია.

და მიუხედავად ამისა, დეკადენტობა დიდი უბედურება იყო ქართული ლიტერატურის ისტორიაში. დეკადენტური მიმართულებების იდეურმა გაკოტრებამ, სრულიად კანონზომიერად, თავი იჩინა მხატვრული ფორმის საკითხებშიც. ცხოვრების

პრობლემების, სოციალური კითხვების უგულებელყოფამ გა-ძოიწვია ფართო ეპიური ჟანრების, განსაკუთრებით რომანის, უგულებელყოფა. დეკადენტების ლიტერატურული „მოღვა-წეობის“ შედეგებმა გავლენა მოახდინეს ქართული პროზის შემდგომ განვითარებაზე უფრო გვიანდელ პერიოდშიაც.

ამ ატმოსფეროში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა ლ. ქიაჩელის რომანის — „ტარიელ გოლუას“ გამოქვეყნება. ეს თხზულება იყო რევოლუციის ახალი აღმავლობის გამოძახილი. ის მოგვვევლინა, როგორც ადამიანის ძალებისადმი რწმენის უძლიერესი ეპოპეა. ტარიელ გოლუას მხატვრული სახე ჰიმნია ადამიანში რწმენისა და იდეურად ეხმაურება დიდი ჰუმანის-ტის მ. გორკის აღტაცებულ ამოძახილს: „ადამიანი, როგორ დი-დებულად გაისმის ეს სიტყვა, ადამიანი!“ რომანი „ტარიელ გოლუა“ ის „მიჯნაა, რომელიც მეოცე საუკუნის პროზას თვი-სობრივად ანსხვავებს მეცხრამეტე საუკუნის პროზისაგან“ (დ. ბენაშვილი). თხზულება ატარებს სოციალისტური რეალიზ-მის ნიშნებს, მის პირველ ჩანასახებს, ამიტომ ცოტა უფრო ვრცლად შევჩერდეთ მასზე.

„ტარიელ გოლუა“ უპირველესად წარმოადგენს მწერლის დიდ გამარჯვებას თავისივე სუსტ მხარეებზე, მიუხედავად იმი-სა, რომ ამით არ დამთავრებულა ბრძოლა მწერლის იდეურ სამყაროში.

„ტარიელ გოლუა“ დიდი ღირსების რეალისტური ნაწარ-მოებია. მწერლის იდეურ გადახალისებაზე უკვე ამ თხზულების თემა მიგვითითებს. მწერალი თავს ანებებს განყენებულ, „ფი-ლოსოფიურ“ საკითხებს და ირჩევს 1905 წლის რევოლუციის ეპოქას. მართალია, თემა როდი განსაზღვრავს ნაწარმოების იდეურ საფუძველს, მაგრამ მიგვითითებს მწერლის ინტერესე-ბის რკალზე, მთავარი კი აქ პრობლემების რეალისტური გადა-წყვეტაა. ლ. ქიაჩელი სინამდვილის ღრმად ცოდნის საფუძველ-ზე ქმნის რევოლუციური სოფლის ტიპიურ სურათებს და, რაც მთავარია, ის ამ ნაწარმოებში მოგვევლინა, როგორც ხასიათე-ბის შექმნის შესანიშნავი ოსტატი.

ლ. ქიაჩელის რომანი 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის ხანას ეხება, როცა ქალაქის მხარდამხარ გამოსვლას იწყებდა

სოფელიც. გლეხთა მღელვარება გადაიზარდა მემამულეთა წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებაში. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გლეხები ხელთ იგდებდნენ მემამულეთა მიწებს დ. მოითხოვდნენ მიწების ხალხისათვის გადაცემას. მეფის მთავრობის მიერ მიღებული მკაცრი ზომები, რაც გამოიხატებოდა ჯანყებულების წინააღმდეგ ჯარების გაგზავნით, რომლებიც გლეხებს ხვრეტდნენ, მოთავეებს აპატიმრებდნენ და აწამებდნენ, მიზანს ვერ აღწევდა. გლეხები ბრძოლას არ წყვეტდნენ.

ლ. ქიაჩელმა სწორად შენიშნა რევოლუციური გამოსვლების სახალხო ხასიათი, ერთობის იდეის გაძლიერება, და, რაც მთავარია, მჩაგვრელების წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის ფართო ფენების ბრძოლის დიდებული პერსპექტივა. „სოფელი № — ახმაურდა და არაჩვეულებრივი მითქმა-მოთქმა გაისმა ყოველ კუთხეში. დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს, ყველას პირზე ეკერა ახლა ერთობის სახელი, რომელსაც აქამდე ძვირად თუ ვინმე ახსენებდა“ [1]. მებუხრე ლევან გოლუას მიერ ქალაქიდან შემოტანილმა ერთობის იდეამ ნაყოფი გამოიღო. განაწამები და ჩაგრული გლეხობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გულში იკლავდა დარდს და ვარამს არაადამიანური ჩაგვრისა და ყვლეფის გამო, ახლა მთლად შეიძრა, „დიდი ხნის დაფარულმა გრძნობებმა თავი იჩინეს. საიდგანღაც გაჩენილმა საერთო აღტაცების მდინარემ შხუილით ჩაიქროლა და დიდ და პატარა თავისი ძალის შეგნებამ შეათამამა, გაამედიდურა...“, „საერთო ნება, საერთო სურვილი... უკვე იხატებოდა ხალხის ქცევაში, ლაპარაკში, ხმაში... ინტიმურად აკავშირებდა სოფელს და აერთიანებდა ხალხის გულისთქმას“.

გლეხთა გამოსვლებს აღარ ახასიათებდა სტიქიურობა, არამედ ყოველი საკითხის გადაწყვეტისას „თავკაცები ბჭობენ“, ასწონ-დასწონიან მდგომარეობას და იღებენ მოქმედების შესაბამის, სწორ გეზს: გაერთიანებულ გლეხებს ველარ აშინებს ვერც ადგილობრივი მემამულეები და ვერც მაზრის სამხედრო

---

[1] „ტარიელ გოლუას“ განხილვისას გამოყენებულია ლ. ქიაჩელის თხზულებათა ოთხტომეულის II ტომში დაბეჭდილი ტექსტი.

ხელისუფლება. წინათ, როცა უფროსის ან ბოქაულის ჩამოსვლის ამბავი გავრცელდებოდა, შიში მოიცავდა ყველას და „მცხოვრებნი ურთიერთ უნდობლობის გამო“ უფრო გაურბოდნენ ერთმანეთს, ვიდრე თავს ერთად იყრიდნენ — ახლა კი წინააღმდეგ, „შეკრებით ბაასობდნენ“ და თავიანთ ფიქრებს და აზრებს „თამამად ამჟღავნებდნენ“.

სოფელი ყრილობაზე იკრიბება და ერთობას აკანონებს, ერთი პირით მოქმედებს ყოველ საჭირო შემთხვევაში, განაგებს სოფლის საქმეს. მამასახლისი გენეიშვილი ვერ ბედავს მაზრის უფროსის განკარგულების შესრულებას ლევან და ტარიელ გოლუების დაპატიმრების შესახებ. სოფელი ერთიანი ძალით უმკლავდება თვით მაზრის უფროსს და მის რაზმს. სოფელს მეთაურობენ ტარიელ, ლევან გოლუები, ბეჟანა, ტაგუ და სხვ. მაგრამ რომანის ცენტრში დგას ტარიელ გოლუას, რევოლუციური გლეხობის წარმომადგენლის, სახე.

მწერალი რომანის პირველი გვერდიდანვე განაწყობს მკითხველს ტარიელისადმი სიმპათიის გრძნობით.

სოფლის განაპირას, ერთ პატარა მაღლობზე ახალაშენებული ოდის აივანზე იდგა 65 წლის გლეხი, ტარიელ გოლუა, და მშვიდი სახით ათვალიერებდა იელის ღობეშემორტყმულ კოხტა ეზოს... „სვანური ქუდი შვენოდა ტარიელს: იგი ისეთ ჩრდილს ფენდა მის სრულ მთვარისფერ სახეს, რომ თავმოყვარეობა და შეგნებით საზღვარმიჩენილი სიამაყე — ტარიელის ბუნებრივი თვისებანი — შეუდარებელი მოხაზულობით იხატებოდნენ მის ყოველთვის პირდაპირსა და თამამ გამოხედვაში. ტარიელი ჩქარი ნაბიჯით დაეშვა კიბეზე, ოცი წლის ყმაწვილივით მსუბუქად მიდიოდა, წელში ლარივით გამართულიყო და საგანგებოდ სხმული განიერი ბეჭები სწორად და მჩატედ მიჰქონდა. ყამა ერტყა წელზე, გრძელი და ფართო ხანჯალი...“

ეს გლეხი არ არის დაბეჩავებული ადამიანი. მას ვაჟკაცობაც აქვს და ადამიანის სიამაყეც „შეგნებით საზღვარმიჩენილი“.

ტარიელის ყოველი ნაბიჯი, სიტყვა, დამოკიდებულება ადამიანთან, ბუნებასთან ამჟღავნებს მის სულიერ სიმდიდრეს, სიფაქიზეს. ტარიელის ახალი თვალსაზრისი ცხოვრებაზე მჟღა-

ვნდება რომანის თავშივე. „ჰე, შენი ღმერთი მოიძველებს თოლიგე! ახლა ახალ ღმერთზეა ლაპარაკი, დედაკაცო. ამბობენ იგი უფრო თავაზიანი და მოწყალე არისო“, მიმართავს ტარიელი მეუღლე ბარბალეს.

ტარიელის შეხედულება ერთობაზე მკვეთრად იხატება შვილთან საუბარში. ის ეკითხება ლევანს:

„— ერთობის დამწყებად გსახავენ მეზობლები... მართალია?

— სირცხვილი იყო კიდევ სიჩუმე... ჩვენღა ვსდუმდით.

— სწორეა! ყველგან ახალი სიტყვა ისმის... ახალი საქმე კეთდება, — და ტარიელი მომღიმარი სახით წინ დაუდგა ლევანს. — მე რატომ არაფერი მითხარი, თუ ასეთი განზრახვა გქონდა? ჩემი აზრი ხომ იცოდი?

ლევანი გაწითლდა.

— მაგრამ გულში სხვა რამე გედო! — თითქოს წახუმრებით განაგრძო ტარიელმა. — სხვას ფიქრობდი და აი, შეშინდი, ტარიელი დამიშლისო, ამიტომაც დამიმალე ხომ?—დაუმატა უკვე სახე შეკრულმა: — ეს სწორად მოგიაზრებია! ქალის წაყვანაზე ნებას არ დაგრთავდი!“

ტარიელი წინდახედული და გამოცდილია, მისთვის დამახასიათებელია აზრის სინათლე და მიზნის სიცხადე, მომენტის უტყუარი შეფასების ალღო. „შეცდი სწორედ, რომ ერთობა ჩვენს სოფელში ასეთი სახით შემოიტანე“, უსაყვედურებს ის შვილს. ტარიელს ამავე დროს ახასიათებს მოვლენის სწორი, უცდომელი განსაზღვრა, ის ერთადერთ სწორ კვალიფიკაციას აძლევს ლევანის საქციელს, იცის რა შვილის გულწრფელი ხასიათი, ერთობის საქმისადმი ერთგულება: „...მე არ ვამბობ დამნაშავე ხარ მეთქი... არა! შემცდარი ხარ: ვერ გიანგარიშებია კარგად... დამნაშავე არა, შემცდარი ხარ“.

ტარიელს შეთვისებული აქვს ცხოვრების სიბრძნე. „... სოფელი, ლევან, გაცილებით რთულია, ვინემ შენ გაქვს წარმოდგენილი“ — უხსნის ის შვილს. „ხალხი იტყვის და მართალსაც იტყვის, დროთი ისარგებლა, ჩვენი ძალა მოიხმარა და პირადი საქმე მოაწყოო... საზოგადო საქმე უანგაროდ და წმინდად უნდა კეთდებოდეს. კერძო ინტერესი — სიყვარულიც რომ იყოს, —

შიგ არ უნდა გარიო!.. განა ამას რომ ვამბობ, შეხი დაჩაგვრა კი არ მინდა, პირიქით, სოფელი დაგაფასებს და მსხვერპლს ათასად აგინაზღაურებს... ამაში დარწმუნებული ვარ". ტარიელს ბედნიერების თავისებური, სწორი გაგება აქვს: „საჭიროა პირადი ბედნიერება საზოგადო თანაგრძნობაზე იყოს დამყარებული, თორემ ბედნიერება --- ბედნიერება არ იქნება".

ასეთი ჯანსაღი შეხედულებებით შემოდის ტარიელი რომანში. მაგრამ ის არ არის ხასიათი, რომელიც თავიდანვე მოცემულია იდეალის სახით და აღარ ვითარდება. პირიქით, აჯანყების მსვლელობაში, ხალხთან ურთიერთობაში ის თანდათანობით იზრდება და ნაწარმოების ფინალში წარმოსდგება ჩვენს წინაშე, როგორც გრანდიოზული, დაუვიწყარი ფიგურა.

ტარიელის ძლიერების საფუძველი ხალხთან ურღვევი კავშირია. ტარიელმა იცის, რომ, თუ პირნათლად, ერთგულად ემსახურები ხალხს, შეგიძლია უყოყმანოდ დაეყრდნო მას. ტარიელს სწამს, რომ „სოფელი პირსწორია, გამტანი და ვაუკაცი"...

ტარიელი საინტერესო და მიმზიდველი ადამიანია. მაგრამ მისი პიროვნება კიდევ უფრო იზრდება მას შემდეგ. რაც „ერთობის იდეით" გამოხატული სოციალისტური იდეალი დაეუფლა მას. ტარიელი სოფლის მეთაური ხდება და თითქო იკრებს ხალხის ძალას.

ტარიელი დარწმუნებულია ხალხის ძალაში; უყვარს ხალხი და ამიტომ უყოყმანოდ მიდის მასთან. როცა ბროლიას ხეობაში შეიკრიბა სოფელი, ტარიელი თავის გამოსვლაში „ხალხის ფიქრებს გამოსთქვამდა, რაც იქ მყოფთ გულში ედვათ, იმასღა ამბობდა. ამიტომ მის ლაპარაკში მთელი კრებული იღებდა მონაწილეობას: ვინ მოსწრებულ სიტყვას შესთავაზებდა, ვინ მთელ აზრსაც კი მიაწვდიდა ტარიელს..." ასე იყო ტარიელი შესისხლხორცებული სოფელთან. ასე ხორციელდება რომანში რევოლუციონერი გლეხის ტიპი, როგორც ხალხის გამომხატველი. ტარიელს ასე კარგად ესმის ხალხის გულისპასუხი, ამიტომაა, რომ მას ამავე ყრილობაზე „ათასის თავად", ანუ ხალხის წარმომადგენლად ირჩევენ, ამიტომაა, რომ ტარიელს ძალუძს ხელმძღვანელობა მასისადმი. იგი ამჩნევს როდის რა მიმართულება აქვს სოფლის ფიქრსა და რევოლუციურ აღტყი-

ნებას. „აი, ლევან, რა უცბათ მომწიფდა ყანა... მომკელი თუ ვარგა, დრო არ უნდა გაუშვას“ — ეუბნება ის შვილს ბროლიას ბეობაში შეკრების წინ.

ტარიელი დინჯი და გონიერი ხელმძღვანელია. მის რევოლუციურ აღტყინებას არ აკლია დაკვირვება, სიდარბაისლე, ტაქტიკური მოქნილობა. ის იღებს რა ახალს, აღჭურვილია კრიტიკული ალღოთი. „ძმებო და ამხანაგებო!“ — მიმართა ყრილობაზე მან ხალხს — „ჩვენი კრება შემდგარია. მოვუსმინოთ ჩვენი სოფლის ახალთაობას, თუ რას გვეტყვის. დასაჯერებელი დავუჯეროთ და მისაღები აზრები მივიღოთ მათგან!“

ტარიელი მოკლებული არ არის არც რევოლუციურ სიფხიზლეს. „ — ვისაც როგორ უნდა ისე იფიქროს, მე მაინც არ მომწონს ის კაცი და სულაც არ მიხარია, რომ ასე დაგვიახლოვდა“ — ამბობს ის გადალენდიას მიმართ. მაგრამ ტარიელისათვის უცხოა პანიკა, ის დინჯად ითვალისწინებს ყოველივეს და არიდებს პანიკისაგან სხვებსაც. როცა გარდაცვალებული მუნჯი ბაჩუას დის ყანაში მუშაობდნენ ერთობის წევრნი, მათ ლევანი ატყობინებს, რომ ახლადდანიშნული მაზრის უფროსი ორასი ჯარისკაცით სოფელზე გამოლაშქრებას აპირებს. ეს ცნობა ერთგვარ დაბნეულობას იწვევს იქ მყოფთ შორის. ტარიელი მშვიდი და აუმღვრეველია. მან იცის, რომ აჯანყებას და მმართველობის მშრომელთა ხელში გადასვლას მრავალი მტერი ჰყავს და ასე ადვილად როდი შეიძლება მათი მოცილება. „ — ნუ ავჩქარდებით“, — მიმართავს ის ხალხს, — „ეს პირველი კი არ არის და... არც უკანასკნელი! მაშ, კრებაა დანიშნული? კარგი ღა პატიოსანი, ყველანი მოვალთ!“

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ტარიელის, როგორც მხატვრული სახის კიდევ ერთი მხარე, რომელსაც ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. ეს არის მისი დამოკიდებულება შრომისადმი. ტარიელი უპირველესად მშრომელი ადამიანია. შრომაში ის უმაღლეს ბედნიერებას ჰპოვებს.

„... ტარიელ გოლუა ეზოს გადაღმა მდებარე ყანას ხრავდა... ხარებს წინ გიო უძღოდა და თავისი წკრიალა ხმით „ოხონურს“ ამბობდა. ფართო ჭილოფის ქუდი ეხურა თავზე და შიშველი

ფეხები მუხლებამდის ჰქონდა წაკაპიწებული. ტარიელს კი საყვარელი სვანური ქუდი ახლობელ ხეზე ჩამოეკიდა და მის ნაცვლად ახალი, გვიმრისა და ბალახისაგან დაწნული ფრინველის ბუდის მსგავსი ქუდი დაეხურა მზის წინააღმდეგ. გრძელი სახრით ხელში კვალდაკვალ მისდევდა იგი სახნისს და ხან ერთ ხარს გასძახოდა, ხან მეორეს. ისეთი ხალისით წარმოებდა მუშაობა, რომ როგორც ტარიელსა და გიოს, ისე ხარებსაც კი თვალებიდან შრომის ეშხი ცოცხალ სხივებად სცვივოდათ. კაციან-პირუტყვიანათ ისე შეეწყოთ გიოს მუსიკალური „ოხონურისათვის" ტანის მოძრაობა, კუნთების დაჭიმვა-გაშლა, რომ გეგონებოდათ ეს დევისებური ძალოვანი ერთი სულდგმული მუშაობს და არა ოთხიო".

ასე მიმზიდველად გვიხატავს მწერალი მშრომელ ტარიელს და საერთოდ შრომის პროცესს.

შრომის შექება ახალი არ იყო ქართული ლიტერატურისათვის. ამისი მაგალითების მოტანა ძველი ქართული ლიტერატურიდანაც შეიძლება. ხოლო XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ დახატა მადლიანი შრომის ფერადოვანი სურათები. ამასთან მისთვის ნათელი იყო დიდი სოციალური პრობლემა, რომელიც ისტორიის დღის წესრიგში იდგა:

„შრომისა ახსნა
ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის
ამ საუკუნის".

გაბატონებული საზოგადოებრივი ფორმაციის ძალებსა და შრომას შორის კონფლიქტზე ყურადღებას კიდევ უფრო ამახვილებს ე. ნინოშვილი. ამავე ხაზს ავითარებს ლ. ქიაჩელიც.

თითქმის ყველა შეტაკება მშრომელებსა და მეფის მთავრობის მოხელეებს შორის სიუჟეტურად ისეა განლაგებული „ტარიელ გოლუაში", რომ წყვეტს შრომის პროცესს. ასე პირდაპირი, ცოცხალი დაპირისპირება კიდევ უფრო ამძაფრებს მწერლის იდეას.

ტარიელი და გიო რომ ზემოთ აღწერილ შრომაში იყვნენ გართულნი, ამ დროს გამოჩნდა მამასახლისი ჯარისკაცებით.

— „ჩვენსა მოდიან ბიძი თუ იცი? დააკვირდი ერთი“ — ჰკითხა ტარიელმა გიოს.

— კი. ჩვენსა მოდიან.

— ჰმ... მოყვარე ამისთანა დროს არ გვესტუმრებოდა“. ტარიელს მიატოვებინეს მუშაობა და დააპატიმრეს.

ამბავი მუნჯი ბაჩუას უბედურებისა, რომელიც ჯარისკაცის ხმლის დარტყმის შედეგი იყო, ტარიელმა ყანაში მუშაობის დროს გაიგო და კვლავ იძულებული იყო მიეტოვებინა მუშაობა.

დარიას ყანაში მუშაობისას მიიღეს ცნობა, რომ მაზრის უფროსი ორასი ჯარისკაცით აპირებს გამოლაშქრებას სოფელზე. ერთ გლეხს მწუხარებით აღმოხდა მშრომელთა საერთო გულისტკივილი.

„აჰაჰა!.. აი ჩვენი ბედი!.. როდის იყო, რომ ცხოვრება გვაცალეს!“

აქაც იძულებული არიან შეწყვიტონ მუშაობა.

აქედან ბუნებრივია დასკვნა: უნდა აიხსნას შრომა, უნდა გახდეს ის თავისუფალი, „დასცალდეს ცხოვრება“ მშრომელ ხალხს!

მაგრამ ვინ გაათავისუფლებს შრომას, მშრომელ ადამიანს?

ლ. ქიაჩელის ნოვატორობა სწორედ იმაშია, რომ „შრომის ამხსნელად“ გამოჰყავს თვით მშრომელთა მასა რეალური რევოლუციური სინამდვილიდან.

აჯანყება, რევოლუციური გამოსვლა როგორც ამ მასისათვის, ისე ტარიელისათვის არ არის თვითმიზანი. ტარიელის იდეალი არის რევოლუციის გზით შრომის განთავისუფლება და ისეთი საზოგადოების დამყარება, რომელშიაც თვით მშრომელები განაგებენ თავიანთ ბედს. ერთობის იდეის სიახლე უპირველესად შრომასთან დამოკიდებულებაში ჩნდება. ტარიელი კვირა დღეს მუშაობას არ ერიდება, ახლა „ახალ ღმერთზეა ლაპარაკი“.

ასეთია ტარიელის, როგორც ტიპის ერთი დამახასიათებელი თვისება — შრომისადმი დამოკიდებულება.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს ტარიელ გოლუას, როგორც რევოლუციონერის ნაკლოვანებანი.

ტარიელ გოლუა და სოფელ №-ის გლეხობის რევოლუციური გამოსვლების სხვა მეთაურები ვერ ახერხებენ საფუძვლიანი კავშირის გაბმას მეზობელი სოფლების და მაზრების აჯანყებულ გლეხობასთან, რაც მთავარია, ქალაქის მუშებთან. რომანში არის მოხსენებული, რომ ტარიელი სხვა სოფლებშიც მიდიოდა ერთობის საქმის ფარგლების გასაფართოებლად, მაგრამ ამას არ გამოუღია ის შედეგი, რომ თუნდაც ერთი მაზრის გლეხობას შეძლებოდა ერთიანი, ორგანიზებული ბრძოლა მოწინააღმდეგესთან. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ტიპის ეს ნაკლოვანებანი არ გამომდინარეობენ მწერლის კალმიდან, არამედ მისი საფუძველი ასახულ სინამდვილეში იყო. 1905 წლის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას ახასიათებდა დაქსაქსულობა. საბურველი ფორმით ვერ იყო განხორციელებული კავშირი როგორც აჯანყებულ სოფლებს შორის, ისე მუშათა კლასთან. ეს იმას ამტკიცებს, რომ გლეხთა მოძრაობა უძლურია სრული გამარჯვების მოპოვებისათვის, თუ ის მჭიდროდ არაა დაკავშირებული მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობასთან.

ლ. ქიაჩელი, ჩვენის აზრით, აქაც არ ღალატობს რეალიზმს და მოვლენებსა და ტიპებს გვიხატავს ისე, როგორც ისინი იყვნენ სინამდვილეში. მწერალმა გვიჩვენა ისიც, რომ დროებითი მარცხი ვერ ტეხდა აჯანყებული გლეხობის რევოლუციურ სულს და რწმენას გამარჯვებისადმი.

სოფელ №-ში ისევ გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა. სატუსაღოდან განთავისუფლებულ ტარიელს ჩვენ ისევ გლეხობის მეთაურად ვხედავთ. რომანის გვირგვინს წარმოადგენს მისი ოპტიმისტური ფინალი.

სოფლის გლეხობას აგიტატორი მოუწოდებდა ჩაწერილიყო იმ რაზმში, რომელიც იმ დღეებში იმერეთისაკენ უნდა წასულიყო და შავი რეაქციის ძალებს შებრძოლებოდა. მოწოდებას პირველი ტარიელ გოლუა გამოეხმაურა.

— „მე მოვდივარ“! — გაისმა თამამი ხმა და ხალხიდან წინ წარსდგა ის. მრავალ ბრძოლებში ნაცად ხელმძღვანელს, რომელიც ვერ გასტეხა ვერავითარმა წამებამ, ვერც ერთადერთი საყვარელი შვილის დაღუპვამ, მიჰყვა მთელი სოფელი.

„ყველანი შენთან ვართ! მოვდივართ!... ტარიელი მამა

ჩვენი და წინამძღოლი! — აღფრთოვანებით ამბობდა ახალგაზრდობა და საყვარელ ადამიანს გარს ეხვეოდა.

ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროს ქარიშხლით ტოტებშემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვებმაგარი და ტანძლიერი ძველი მუხა დგას ხოლმე ახალ ავარდნილ მწვანე ნორჩს ტყეში“.

* *

ასეთია მოკლედ მოხაზული სურათი დადებითი გმირის ასახვის ტრადიციისა ქართულ ლიტერატურაში. ასეთი მდიდარი ბემკვიდრეობა მიიღო, ამ მხრითაც, ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ.

თავი მეორე

დადებითი გმირი ქართულ საბჭოთა რომანში

მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის უდიდესმა სოციალ-პოლიტიკურმა ძვრებმა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებაში განსაზღვრა სრულიად ახალი ტიპის ლიტერატურის — საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენება და გაფურჩქვნა.

1921 წლის 25 თებერვლიდან ახალი ერა იწყება მრავალსაუკუნოვანი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით აღფრთოვანებულმა საქართველოს პროლეტარიატმა, ქართველ გლეხებთან კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობითა და წითელი არმიის დახმარებით დაამხო მენშევიკების ბატონობა, ხელში აიღო ძალაუფლება. ამ დღიდან ბოლო მოეღო ქართველი ხალხის სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას.

ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილება — კაპიტალიზმი და შექმნა პირობები ახალი, სოციალისტური საზოგადოების წარმატებით შენებისათვის.

ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ არნახული მამაცობითა და გმირობით დაიცვა მშრომელთა მონაპოვარი, გაანადგურა როგორც უცხოური, ისე შინაური კონტრრევოლუციონერები და გადავიდა მშვიდობიან მშენებლობაზე. ყველა ამ გამარჯვებათა ორგანიზატორი კომუნისტური პარტია მიზნად ისახავდა კაპიტალისტური ელემენტების აღმოფხვრას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მძლავრი სოციალისტური სახალხო

ძეურნეობის შექმნას. შედარებით მცირე პერიოდში დამთავრდა აღდგენითი სამუშაოები. გაიმართა ახალი გრანდიოზული მშენებლობანი მთელ საბჭოთა ქვეყანაში. ხალხთა ძმურ ოჯახში შემოქმედებით შრომას ეწევა ქართველი ხალხიც. საქართველოში გაჩაღდა ახალი ფაბრიკა-ქარხნების, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დაიწყო მოძველებულ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია. აღმოცენდა ინდუსტრიის ახალი დარგები. ქვეყნის ეკონომიკაში დაისახა სერიოზული ძვრები. თანდათანობით ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

ქვეყნის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ძირეული ძვრების კვალდაკვალ ხორციელდებოდა კულტურული რევოლუცია. დღის წესრიგში დადგა ხალხთა ფართო მასების მიერ ეროვნული და მსოფლიო კულტურის მონაპოვარის ათვისება, კულტურის მიღწევების სახალხო საკუთრებად გადაქცევა. გაბატონებული კლასების მიერ კულტურას ძალად მოწყვეტილი ადამიანები ისწრაფვოდნენ ცოდნისაკენ, ეწაფებოდნენ კულტურის მიღწევებს.

მეორეს მხრით, პარტიის წინაშე იდგა უფრო რთული ამოცანა. საჭირო იყო თვით კულტურის ყველა სფეროს ძირეული შეცვლა, გადახალისება და განახლება. საჭირო იყო, რომ სულიერი კულტურის ყველა დარგი გამოყენებულიყო როგორც იარაღი სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლაში, ხალხთა მასების აღზრდისათვის კომუნისტური იდეების სულისკვეთებით.

ეპოქის დიადი იდეების სამსახურში უნდა ჩამდგარიყო ლიტერატურაც.

წლების მანძილზე ჩამოყალიბდა და გაიფურჩქნა ქართული საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც ვითარდება სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე და წარმოადგენს დიდი საბჭოთა ლიტერატურის განუყოფელ ნაწილს.

1934 წელს საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე მ. გორკი ამბობდა: „...საბჭოთა ლიტერატურა არ არის მხოლოდ რუსული ენის ლიტერატურა, ეს — საერთო საკავშირო ლიტერატურაა, რადგან ლიტერატურა მოძმე რესპუბლიკე-

ბისა, განსხვავდება რა ჩვენგან მხოლოდ ენით. ცხოვრობს და მუშაობს იმავე, კაპიტალიზმის მიერ დაქუცმაცებული მშრომელთა ქვეყნის გამაერთიანებელი იდეების სინათლეზე და კეთილისმყოფელი გავლენის ქვეშ“ [1].

ქართული საბჭოთა ლიტერატურა მთელი ძალებით ემსახურება კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს, ზრდის საბჭოთა ადამიანებს პარტიისადმი ერთგულების სულისკვეთებით, თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა ხალხის წინსვლაში.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მსოფლიო-ისტორიული მიღწევები ჩვენს ქვეყანაში, უმაგალითო შრომითი გმირობა, საბჭოთა ქვეყნის დაცვისათვის მზადყოფნა, საბჭოთა ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო შეადგენს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ძირითად საგანს.

მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მთელი მწერლობა როდი იყო დარაზმული საერთო-სახალხო ამოცანების ირგვლივ.

*

ამ პერიოდში არა გვაქვს ფართო ეპიური ჟანრები, პოემა, მოთხრობა, რომანი, რომლებთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ხასიათის პრობლემა, კერძოდ, დადებითი გმირის ასახვის პრობლემა.

რომანის, როგორც ჟანრის აღორძინება დაკავშირებული იყო მწერლობის იდეურ-თემატურ განახლებასთან, გამოხატავდა რეალიზმის პრინციპების გამარჯვებას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მწერლობის ფრონტზე გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა. ბრძოლა ლიტერატურის სფეროში, როგორც ეს სკპ(ბ)ც. კ-ის 1925 წლის რეზოლუციაშია აღნიშნული, წარმოადგენდა ანარეკლს კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც ახასიათებდა ჩვენს სინამდვილეს — საზოგადოებრივ ცხოვრებას.

მტრული ლიტერატურული დაჯგუფებების წისქვილს წყალს.

---

[1] მ. გორკი, ლიტერატურის შესახებ. მოსკოვი, 1953 წ. გვ. 713.

უსხამდნენ ინტელიგენციის დაბნეული, გზაკვალდაკარგული ნაწილის წარმომადგენელნი ლიტერატურაში. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას ხელს უშლიდნენ აგრეთვე ყალბი „ნოვატორები“, რომლებსაც „ახალი“, „უწინაპრო“ კულტურის შემქმნელად მოჰქონდათ თავი.

ამ პერიოდში გამრავლდა სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებანი. განაგრძობდა არსებობას „ცისფერყანწელების“ სიმბოლისტური ჯგუფი, რომელიც საქართველოში პირველი მსოფლიო ომის წლებში ჩამოყალიბდა. 1922 — 23 წ. წ. გაფორმდა „აკადემიური ჯგუფი“. უფრო გვიან, 1928 წელს საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ფონზე ქართულ ლიტერატურაში წარმოიშვა ანტიპროლეტარული გაერთიანება „არიფიონი“.

არსებითად საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისადმი საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა ქართველი ფუტურისტ-ლეფელების ჯგუფი — „მემარცხენეობაც“, რომელიც რუსული ლეფის გავლენით ჩამოყალიბდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები სუბიექტურად სოლიდარობას უცხადებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და სწორედ მათ მოჰქონდათ თავი რევოლუციური და კომუნისტური კულტურის „საფუძვლის ჩამყრელებად“.

„აკადემიური ჯგუფი“, „ცისფერყანწელები“ და ფუტურისტები თავიანთი თემებით, მოტივებით, იდეებით არსებითად ქადაგებდნენ თეორიას: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. მათი იდეურ-მხატვრული საჭურველი რევოლუციამდელი დეკადენტური მიმართულებების არსენალიდან იყო ნასესხები.

ქართული სიმბოლისტური და ფუტურისტული სკოლები წარმოადგენდნენ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის დეკადენტური ლიტერატურული მიმართულებების გავლენით შექმნილ ლიტერატურულ გაერთიანებებს.

სიმბოლიზმი დაღმავალი ბურჟუაზიის ესთეტიკური მსოფლმხედველობის გამომხატველია. ბურჟუაზია უძლურია შეცვალოს სინამდვილე და იწყებს მის უარყოფას, ლოთობის, სიმახინჯის, სიკვდილის აპოლოგიას. ბურჟუაზიის კლასობრივი უიმედობა, უკიდურესი პესიმიზმი ცხადდება საერთოდ კაცობ-

რიობის დაცემად, უკავშირდება მსოფლიოს დაღუპვის ქადაგებას. დეკადენტები „ამტკიცებენ“, რომ ერთადერთი ჭეშმარიტება არის სიკვდილი.

სიმბოლიზმის ფილოსოფიური დასაყრდენი სუბიექტური იდეალიზმია, რომელიც უარყოფს სამყაროს, როგორც ობიექტურ რეალობას და მას სუბიექტის შეგრძნებათა კომპლექსად აცხადებს. ამით „საბუთდება“ გამოთიშვა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან და ინდივიდუალისტურ განცდებში ჩაკეტვა, რაც დეკადენტურ მიმართულებებს ახასიათებს. ბუნებრივია საზოგადოებრივი თემების უარყოფა და უინტერესობა მათდამი. სიმბოლისტებმა უარჰყვეს რეალისტური სკოლის შემოქმედებითი მეთოდი. ფრანგი სიმბოლისტები ვერლენი, მალარმე, რემბო უსაყვედურებდნენ რეალისტებს, რომ ისინი ასახავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, მიმართავდნენ სინამდვილეს და წერდნენ მის შესახებ ჩვეულებრივი ენით. სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი გახდა სიმბოლური სიტყვების შეკოწიწება, ფერების, ასოების სიმბოლისტური ჟონგლიორობა.

ქართველი სიმბოლისტები იზიარებდნენ საზღვარგარეთული სიმბოლიზმის პოზიციებს. ისინი თავიანთ მანიფესტში, რომელიც ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა, წერდნენ: „უარვყოფთ წარსულს... ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები... ჩვენ ვცხოვრობთ სიმთვრალეში...“ „მანიფესტში“ მოცემული იყო ლოთობის, სიმახინჯის, სიკვდილის აპოლოგია.

ლიტერატურული მიმართულების იდეურმა გაკოტრებამ გამოიწვია ასახვის მეთოდისა და გამოსახვითი საშუალებების გადასინჯვა. ეს ცვლილებები მივიდა ზოგიერთი ჟანრის მთლიანად უარყოფამდე პოეზიასა და პროზაში.

პროზის დეკადანსი აღინიშნა ფართო ტილოების უგულებელყოფით, და ეს „ბუნებრივიც“ იყო. დიდი, ვრცელი, სიუჟეტიანი ნაწარმოები არ იყო საჭირო ინდივიდუალისტური ბუნების გამოსავლინებლად. საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფამ, როგორც ასეთის, და შემდეგ მისმა უარყოფამ, როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის ობიექტისა, გამოიწვია პრო-

ხის დაკნინება, ვრცელი მოთხრობისა და რომანის გამოდევნა ლიტერატურიდან.

სიმბოლისტები უარყოფდნენ წარსულს, რის შესახებაც აშკარად აცხადებდნენ თავიანთ მანიფესტებში და თეორიულ წერილებში. ისინი მტრულად ეკიდებოდნენ ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, ნიღილისტურ დამოკიდებულებას იჩენდნენ ყოველივე იმ საუკეთესოსადმი, რომელმაც მტრულ ლიტერატურულ იდეალებთან ბრძოლაში გაიმარჯვა და, ღრმა ხალხურობის წყალობით, უზრუნველჰყო თავისი არსებობა. დეკადენტები „ამტკიცებდნენ“, თითქო ქართული ნაციონალური ფსიქიკისათვის უჩვეულო ყოფილიყოს ფართო ეპიური ჟანრები. ისინი უგულებელყოფდნენ იაკობ ცურტაველის და გიორგი მერჩულის თხზულებებს, „ვისრამიანს“ და „ამირანდარეჯანიანს“, მათ არ სურდათ დაენახათ, რომ სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის, ვასილ ბარნოვის და სხვათა სახით ქართულ ლიტერატურას ჰყავდა ვრცელი ეპიური ტილოების მრავალი ბრწყინვალე ოსტატი.

ქართველი სიმბოლისტები, მსგავსად ფრანგებისა და რუსებისა, პოეზიის ჭეშმარიტ სახედ თვლიდნენ „წმიდა“ ლირიკას, ყველა სხვა დანარჩენს კი უწოდებდნენ „ლიტერატურას“ და საჭიროდ მიიჩნევდნენ მის განადგურებას. ხოლო ლირიკა მათი იყო ანტირეალისტური, თავისთავში ჩაკეტილი, ინდივიდუალისტური განცდების გამოხატვის საშუალება. მათ ლირიკის ნიშნები შეაქვთ მოთხრობაში, რომანში, დრამაში. სიმბოლისტურ ნაწარმოებში დარღვეულია შინაარსის ერთიანობა, არ არის გამართული სიუჟეტური კავშირი, ის წარმოადგენს ცალკეული სცენების, ნაწყვეტების კრებულს. ასეთ ნაწარმოებში არ არის მოქმედების ლოგიკური განვითარება, რომელიც ხასიათთა ურთიერთობიდან და დაპირისპირებიდან გამოსდინარეობს. პერსონაჟები არ ხვდებიან ერთმანეთს, თვითეული ატარებს განმარტოვებულ, თავისთავში ჩაკეტილ ცხოვრებას, თვითეულს თავისი განსაკუთრებული „სამყარო“ აქვს. სიმბოლისტური თხზულება გაურბის თხრობას და ვერ გვიხატავს ტიპიურ ხასი-

ათებს. „ცისფერყანწელები“ 1921 წლის თებერვლის შემდეგაც ეწეოდნენ თავისი ესთეტიკური იდეალების პროპაგანდას.

სიმბოლისტურ-იმპრესიონისტული ლიტერატურული იდეალების პროპაგანდამ და მხატვრული პროდუქციის გამოქვეყნებამ დიდად შეუშალეს ხელი ქართული საბჭოთა პროზის განვითარებას და კერძოდ ქართული საბჭოთა რომანის შექმნას.

„ცისფერყანწელები“ შეგნებულად უარყოფდნენ რეალიზმს, როგორც მხატვრული შემოქმედებისა და შემეცნების მეთოდს. მათი აზრით, „ყოველივე ის რაც ხელოვნება არის, სინამდვილის გარეშე დგას და სინამდვილეს არ ემორჩილება“[1]; ხელოვნებას, ლიტერატურას აღიარებდნენ როგორც თვითმიზანს: „დღეს პოეზია იწვის თავის საკირეში და არაფერს არ სესხულობს ცხოვრებიდან...“ [2] ასეთად გვიხატავდნენ ქართული ლიტერატურის მთელ ისტორიას: „ქართული ხელოვნება მხოლოდ მაშინ ყოფილა გამარჯვებული წარსულში, როცა მას ჰქონია საშუალება თავის საკუთარ მიზნების სამსახურის...“ [3]

საკუთარ თავში ჩაკეტვა, ანტისაზოგადოებრივი მიმართულება აძლევდა სიმბოლიზმს რეაქციულ ხასიათს, როგორც თეორიაში, ისე მის მხატვრულ პრაქტიკაში. ყოველივე ამას სიმბოლიზმი სიმახინჯის კულტამდე მიჰყავდა. **მათთვის მახინჯი და ავადმყოფი პიროვნება ხდება დადებითი გმირი.** ხდება საოცარი სახეცვლილება: ხელოვნების დროშა-მშვენიერება ფაქტიურად იცვლება სიმახინჯის იდეით და კანონდება სიმახინჯის ავადმყოფური აღქმა, როგორც მშვენიერისა: „**სიმახინჯე ქმნის ახალ სილამაზეს...** — აცხადებენ ისინი — ლირიკა მასში ნახულობს თავის იდეალს“ [4], „სიმახინჯე გადაიქცევა ახალი პოეზიის მთავარ თემად“ [5] — ამბობენ ისინი.

---

[1] ვ. გაფრინდაშვილი, „თეატრი — ტიტანიკი“, ჟურ. „ხელოვნება“, 1921 წ., № 3.

[2] ვ. გაფრინდაშვილი, „სახელების მაგია“, ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“, 1921 წ., № 6.

[3] „დეკლარაცია ცისფერი ყანწების“ გაზ. „ბარიკადი“, 1922 წ., № 4.

[4] ვ. გაფრინდაშვილი „სახელების მაგია“, ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“, №5, (ხაზი ჩემია — შ. ჩ.).

[5] ს. ცირეკიძე, „პარალელები“ ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“, 1921 წ., № 5.

სიმბოლისტურ თხზულებათა თემატიკის გათვალისწინებისათვის საგულისხმოა ეს აღიარებანი.

შეზღუდული და განსაზღვრული იყო იმპრესიონისტების თემატიკაც. ცხოვრების მიერ დაშინებული იმპრესიონისტები დამფრთხალნი შესცქერიან გარემოს და გამოცანად გადაქცევიათ — ნამდვილია თუ არა ის. ასეთი „ფილოსოფიური“ თემატიკა დამახასიათებელი იყო ქართველი იმპრესიონისტებისათვისაც.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმპრესიონისტების მხატვრული პროდუქციის განხილვას, ოღონდ იმის გასათვალისწინებლად თუ რამდენად უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა იმპრესიონიზმს ქართული პროზის განვითარებაში, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს.

იმპრესიონიზმმა კარგა ხნით მოიქცია თავისი ბურუსის გარემოში ქართული პროზის ისეთი ბრწყინვალე ოსტატი, როგორიც ლ. ქიაჩელია. მიუხედავად იმისა, რომ ქიაჩელმა რევოლუციამდელ პერიოდში შექმნა მაღალმხატვრული რეალისტური რომანი — „ტარიელ გოლუა“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული პროზის განვითარებისათვის, მან თავი ვერ დააღწია იმპრესიონიზმს. უკვე საბჭოთა პერიოდში გამოაქვეყნა იმპრესიონისტული ნოველები, რომელთა ფილოსოფიური არსი ობიექტური სამყაროს უარყოფა იყო და მიდიოდა სუბიექტური იდეალიზმის უკიდურეს გამოვლენამდე— სოლიპსიზმამდე („მე და ჩემი ორი მე“), ხოლო ზოგიერთ მათგანს საფუძვლად ედო სამყაროს დუალისტური შემეცნება („ისკანდერი“).

ასეთი „ფილოსოფიური“ თემებისაკენ სწრაფვა იწვევდა სინამდვილისაგან მოწყვეტას, საზოგადოებრივი მოვლენების უარყოფას, სუბიექტურ ექსპერიმენტს, ხოლო ესენი თავის მხრივ პროზის დაწვრილმანებას, ცხოვრების „ნაგლეჯების“, „წმიდა“ შთაბეჭდილების გამოხატვას.

ზემოხსენებული სუბიექტური თემატიკა არ მოითხოვს ფართო მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც ასახავდა მოვლენებს, ტიპიურ ხასიათებს, არამედ საკმარისი აღმოჩნდა მინიატურები და ესკიზები, ნოველები. მაგალითად, ნოველაში

„შეურაცხყოფილი“ ქიაჩელი ეხება პრობლემას: არსებობს სამყარო, როგორც ობიექტური რეალობა, ჩვენგან დამოუკიდებლად, თუ ის ჩვენი წარმოდგენის ნაყოფია, შეგრძნებათა ჯამი. ლ. ქიაჩელმა ეს პრობლემა იმპრესიონისტულად გადაწყვიტა. ნოველის პერსონაჟმა უბრალო მოვლენათა წყება სრულიად სხვა სიტუაციად წარმოიდგინა, ხოლო შემდეგ გამოირკვა, რომ სინამდვილედ მიღებული მდგომარეობა ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა. აქედან ნოველის გმირი და მასთან ერთად ავტორიც სკეპტიკურად ასკვნის: „ვაი, თუ ეს ცხოვრებაც და ჩვენც თავად მოჩვენება ვართ“. ეს რაც შეეხება პრობლემის იდეურ გადაწყვეტას. ახლა საინტერესოა მეორე მხარე, რა მხატვრული ხერხები დასჭირდა მწერალს მოცემული ნოველის შესათხზველად, ანდა როგორ მხატვრულ ფორმაში გამოვლინდა იდეა, რა მოითხოვა მან ხორცშესხმისათვის.

ქიაჩელს ამისათვის არ დასჭირვებია ტიპების გალერეა, ერთადერთი მოქმედი პირია ილიკო და, თუ შეიძლება ისიც მოქმედ პირად მივიღოთ, ნიავი, რომელიც ფარდას არხევს მეზობელ ოთახში. ილიკოს პორტრეტსაც კი არ ხატავს მწერალი, არ გვეუბნება როგორია ის — ეს არ სჭირდება ნოველის იდეას, მისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მწერალი არ გვიხატავს გმირის კონკრეტულ სახეს, ილიკო აბსტრაქტული სახეა და არ შეიძლება ჰქონდეს ტიპიურობის პრეტენზია. ამგვარად ვღებულობთ იმპრესიონისტულ ნოველას [1].

თუ ლეო ქიაჩელზე, მწერალზე, რომელმაც თავის დროზე შექმნა „ტარიელ გოლუა“, ასეთი გავლენა შეინარჩუნა იმპრესიონიზმმა და დაღი დაასვა მის შემოქმედებას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიც, ადვილი წარმოსადგენია თუ

---

[1] პერსონაჟის მცირე რაოდენობა, სიძუნწე მოვლენათა მსვლელობის გადმოცემაში და ზომის სიმცირე დამახასიათებელია საერთოდ ნოველისათვის, როგორც ჟანრისათვის, მაგრამ არ შეიძლება იმპრესიონისტული ნოველის გაიგივება რეალისტურთან, რომელიც მკვეთრად განსხვავდება პირველისაგან: თემით, პრობლემის გადაწყვეტით, და იძლევა ტიპიურ ხასიათებს ან ხასიათს. რეალისტური ნოველა, ცხადია, არ არის დაბრკოლება სხვა რეალისტური ჟანრების განვითარების გზაზე.

რა გავლენა ექნებოდა დეკადენტურ მიმართულებებს მთელ ლიტერატურულ პროცესზე.

ამას იმიტომ აღვნიშნავთ ხაზგასმით, რომ უფრო გარკვევით წარმოვიდგინოთ ის სიძნელენი, რაც რომანის ჟანრის აღორძინებას ხვდებოდა.

მიუხედავად რეალისტური ტენდენციების აქტიური წინააღმდეგობისა (ნ. ლორთქიფანიძის რეალისტური თხზულებები, შ. დადიანის პიესები, დაბოლოს ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“), შეიძლება ითქვას, რომ რეაქციის პერიოდიდან მოკიდებული წლების მანძილზე უპირატესობა ჰქონდა სიმბოლისტურ-იმპრესიონისტულ პროზას.

ასეთი იყო საერთო სურათი პროზის განვითარებისა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში.

ასეთ პირობებში დაიწყო ბრძოლა ქართული საბჭოთა ლიტერატურისათვის: ქართული საბჭოთა ლექსისათვის, პოემისათვის, მოთხრობისათვის, რომანისათვის, რადგან საბჭოთა მწერლობის იდეური მიმართულება სულ სხვა გზაზე აყენებდა ლიტერატურას. მოუწოდებდა მას თანამედროვეობის უდიდესი თემებისაკენ, მოუწოდებდა მას ჩამდგარიყო მშრომელთა ეპოქის, სოციალისტური ეპოქის სამსახურში.

ამ წლებში პროლეტარული მწერლობის ასოციაცია იცავდა რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ტრადიციებს, ამკვიდრებდა რეალიზმს ლიტერატურაში და გამოდიოდა ანტისაბჭოთა ლიტერატურული დაჯგუფებების წინააღმდეგ, როგორც დეკლარაციებითა და თეორიული წერილებით, ისე მხატვრული პროდუქციით.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებიდანვე აქტიურად ეხმაურება სახალხო ამოცანებს გ. ტაბიძე. თავის ჟურნალში იგი მოუწოდებდა სინამდვილის თემებისა და პრობლემებისაკენ. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ გ. ტაბიძის შეხედულებები და პოეზია ამ პირველი ათეული წლის მანძილზე თანაბრად მაღალ იდეურ სიმაღლეზე იდგნენ.

პროლეტარული ჯგუფის ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი ხდება მის შემდეგ, რაც მას უერთდება

ახალგაზრდობის, კომკავშირელების ჯგუფი (ა. მაშაშვილი, კ. კალაძე და სხვ.).

მაგრამ ქართული საბჭოთა ლიტერატურის შექმნის ამოცანა დიდი იყო და ძნელი. ის აღემატებოდა ხსენებული ასოციაციის ძალას. ამასთან, როგორც შემდგომში გამოჩნდა, ასოციაცია როდი იყო თავისუფალი შეცდომებისაგან, სწორედ მასში იჩინა თავი პროლეტკულტისა და რაპელების ჯგუფმა. ამიტომ იყო, რომ პარტია ხელს უწყობდა და ეხმარებოდა რა პროლეტარულ მწერლობას, არავის უფლებას არ აძლევდა თავი ჰეგემონად და მბრძანებლად წარმოედგინა, რათა არ დაეფრთხოთ ის ლიტერატურული ძალები, რომელთაც დიდი გამოცდილება ჰქონდათ ოსტატობის მხრივ და შეიძლებოდა მათი გადმოყვანა საბჭოთა მწერლობის პოზიციებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებები როგორც პოლიტიკურ, ისე სახალხო მეურნეობის ფრონტებზე, არყევდა ანტისაბჭოთა ლიტერატურული ჯგუფების პოზიციას და იწყებოდა ამ ჯგუფების რღვევა. მწერლები ცილდებოდნენ თავიანთ ჯგუფებს და უახლოვდებოდნენ საბჭოთა მწერლობის პოზიციებს. ასე შეიქმნა ე. წ. „თანამგზავრობა“, რომელმაც მცირე როლი როდი შეასრულა საბჭოთა ლიტერატურის ფორმირებაში.

ყველაზე რთული იყო ამ დროისათვის ფორმის საკითხი. რომელიც საერთოდ ხელოვნების ურთულეს პრობლემას წარმოადგენს ყოველთვის, მაგრამ აღნიშნული პერიოდისათვის განსაკუთრებული სირთულით წარმოდგებოდა პროლეტარული მწერლობის წინაშე. „თუ პროლეტარიატს უკვე ახლა, — აღნიშნულია რკპ(ბ) ც. კ-ის 1925 წლის რეზოლუციაში, — ხელთა აქვს რომელიც გინდათ ლიტერატურული ნაწარმოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის შეუმცდარი კრიტერიუმი, მას ჯერ კიდევ არა აქვს ასეთი განსაზღვრული პასუხები მხატვრული ფორმის ყველა საკითხის შესახებ“.

მაგრამ პარტიისა და მთავრობის ზრუნვა მწერლობაზე ნაყოფს იღებდა. ჟურნალ „დროშისა“ და, განსაკუთრებით, „მნათობის“ ირგვლივ შემოიკრიბნენ საუკეთესო ლიტერატურული ძალები. დაიწყო მრავალი ჟანრის აღორძინება. მწერლობის

იდეურმა განახლებამ მოითხოვა ახალი თემატიკა, მწერლობა ხელს ჰკიდებს ეპოსს, ფართო ეპიურ ჟანრებს. კერძოდ, აღორძინებას იწყებს ქართული რომანი, რომელსაც შემოჰყავს ახალი სახეები, გმირები, ტიპიური ხასიათები, რომლებიც ობიექტური გარემოს რეალისტურ ანარეკლს — მხატვრულ სურათს წარმოადგენს, თანდათანობით გამოკვეთილად ისახება დადებითი გმირის ასახვის პრობლემა. შემდგომში ის იკავებს ქართული საბჭოთა რომანის ცენტრალურ ადგილს. ეს იყო რეალიზმის პრინციპების გამარჯვება, ხელოვნების ცხოვრებასთან კავშირის აუცილებლობის თეორიის გამარჯვება...

1925 წელს დ. შენგელაიამ ჟურნ. „მნათობში“ გამოაქვეყნა რომანი „სანავარდო“. ეს თხზულება სიმბოლისტური ხერხებითაა დაწერილი, მასში აშკარად ჩანს სამყაროს ათვისებისა და ასახვის დეკადენტური მანერა და მსოფლმხედველობა, რომანი სავსეა სიმბოლისტური სურათებით და პერსონაჟებით. და მაინც არ შეიძლება ამ რომანის მნიშვნელობის უგულებელყოფა ქართული საბჭოთა რომანის შექმნის გზაზე. რაც მთავარია, აქ თვით საკითხის დაყენება მეტყველებს რეალიზმისაკენ მობრუნებაზე, ფართო საზოგადოებრივი საკითხებით დაინტერესებაზე. თავადაზნაურობის დეგრადაციის მიზეზებს მწერალი ვერ გვიჩვენებს რეალისტური ხერხებით, მას ხსნის ბიოლოგიურად, „სისხლის გაფუჭების“ ნიადაგზე, მაგრამ რეალისტურია თავადაზნაურობის, როგორც რეაქციული, გადაგვარებული საზოგადოებრივი ძალის ასახვა.

შემდგომ თანდათან მეღავნდება იდეური სიმახვილე რომანების თემის შერჩევაში. ლ. ქიაჩელი „სისხლში“ თითქოსდა აგრძელებს თხრობას 1905 წლის რევოლუციონერებზე.

ეს რომანი აგრძელებს „ტარიელ გოლუას“ რეალისტურ ტრადიციებს. მას არავითარი საერთო აღარა აქვს იმპრესიონიზმთან, არ ატარებს იმპრესიონისტული პროზის არავითარ კვალს. თხზულებაში ბევრია ბრწყინვალე რეალისტური სურათი, უხვადაა გამოყენებული აღწერითი, თხრობითი ელემენტი, რომანის უთუო ღირსებაა რევოლუციონერი ანდრო ქარივაძის სახე. მწერალი გვიჩვენებს როგორ აწამებს გლეხის ბიჭს ცხოვრება და როგორ ამხედრებს მას თვით ამ ცხოვრების წი-

ნააღმდეგ, როგორ მიდის ის რევოლუციონერობამდე. ქიაჩელი ნათელი მხატვრული საშუალებებით, ურღვევი მხატვრული ლოღიკით ხატავს ამ გზას. კარგადაა დახატული ციხის უფროსი, რეაქციონერი აბლანდია. მწერალი ახერხებს გამოიწვიოს მკითხველში სიძულვილი ამ მტარვალისადმი, მეფის მთავრობის დამქაშისადმი.

მიუხედავად ამისა, „სისხლი" არაა დაზღვეული მნიშვნელოვანი იდეური შეცდომებისაგან. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქიაჩელმა ამ რომანში სწორად ვერ გადაწყვიტა დადებითი გმირის პრობლემა (საქმეს ვერ შველის ანდრო ქარიკაძის — რევოლუციონერის — კარგად დახატული სახე). მწერალმა ვერ მიაგნო რევოლუციის მთავარ ძალას, უფრო სწორად, ვერ დაგვიხატა ის რევოლუციის მამოძრავებელ ძალად. საქმე იმაში კი არ არის, რომ რომანის ცენტრში მენშევიკი დადიშიანი დგას და ბოლშევიკ ნიკოს გაცილებით ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი თხზულებაში, ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ქიაჩელისავე ერთ ნაწარმოებს, სადაც დადებითი გმირი არ არის წინა პლანზე წამოწეული, მაგრამ ის დახატულია, როგორც ეპოქის მთავარი ძალა, — ახალი ადამიანი. საქმე იმაშია, რომ ნიკო არ არის ტიპიური ბოლშევიკი.

არ არის მართებული მწერლის პოზიცია დადიშიანისადმი. რომანში დადიშიანის როგორც ტიპის ესთეტიკური შეფასება არ არის უარყოფითი, ანდა ვერ არის საკმაო სიცხადით გამომჟღავნებული.

მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, ამ თხზულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული რომანის აღორძინებისათვის. არსებითად ეს იყო მოწოდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის თემატიკისაკენ და ამკვიდრებდა რეალისტურ სტილს.

1928 წელს ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნდა ნ. ლორთქიფანიძის რომანი „ბილიკებიდან ლიანდაგზე". ნაწარმოების თემაა 1905 წლის რევოლუციისა და შემდგომი პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ რომანში დახატულია ტიპიური სურათები და სახეები, სწორადაა ასახული ეპოქის სოციალურ ძალთა განლაგება. თხზულების მთავარი გმირია ბოლშევიკი-რევოლუციონერი გაიოზ ლაბარდავა, თბილისის ორთქლმავ-

ლების სახელოსნოს მუშა. ის სოფლად მოხვდება და აჩაღებს რევოლუციურ მუშაობას, რაზმავს გლეხებს ჩარჩ-ვაჭრებისა და პოლიციის მოხელეების წინააღმდეგ. გაიოზის გვერდით არიან ფარნაოზი, პარმენი, ოდონაია და სხვები. შემდეგ გაიოზი ქალაქში აგრძელებს თავის მოღვაწეობას. აქ მას მხარს უმაგრებენ მის მიერ აღზრდილი რევოლუციონერები შაქრო და პარმენი. რომანში კარგადაა ნაჩვენები ძველისა და ახლის ბრძოლა, რეაქციულისა და რევოლუციურის შეჯახება. დადებითი გმირი გვევლინება ამ შეჯახების ატმოსფეროში, როგორც მისი შედეგი და მიზეზი. ეს რომანი მრავალმხრივაა საყურადღებო, უპირველეს, როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. ნ. ლორთქიფანიძეს მისი თემატიკის გამო კრიტიკოსმა შ. რადიანმა „დანგრეული ბუდეების“ მწერალი უწოდა. ამ რომანით მწერალი გამოეთიშა ძველ თემატიკას და თავადებისა და აზნაურების ნაცვლად გლეხები და მუშები დაგვიხატა, და არა უბრალოდ მუშები და გლეხები, არამედ რევოლუციონერები, თავისუფლებისათვის უშიშარი მებრძოლნი.

ეს არ ყოფილა უბრალო ფაქტი, ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში. საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებმა პოლიტიკურ და სამეურნეო ფრონტებზე, ახალი ქვეყნის მშენებლობაში გავლენა იქონია მწერალზე. ამ ზეგავლენამ თავი იჩინა არა მარტო თემის შერჩევაში და მწერლის იდეურ თვალსაზრისში, არამედ ნაწარმოების სტილში, წერის მანერაში, მხატვრულ ხერხებში.

ნ. ლორთქიფანიძე ცნობილია, როგორც ქართული სიტყვის უზადო ოსტატი, დახვეწილი სტილის მწერალი, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მწერალი რეაქციის წლებში დეკადენტურ მიმართულებებს ემხრობოდა და იმპრესიონისტულ ნოველებსა და ეტიუდებს აქვეყნებდა. „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ სრულიად თავისუფალია იმპრესიონისტული მსოფლშეგრძნებისაგან, რეალისტური მეთოდით დაწერილი რომანია.

ამ სამი რომანის მაგალითზედაც ჩანს თუ როგორ თავისუფლდებოდა ქართული რომანი დეკადენტური სკოლების გავლენისაგან და როგორ მკვიდრდებოდა რეალისტური სტილი,

ასახვის რეალისტური მეთოდი, როგორ შემოდიოდა ქართულ საბჭოთა რომანში დადებითი გმირი და კანონიერად იჭერდა თავის ადგილს.

ამ პერიოდში ისტორიულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებებიდან ნ. ლორთქიფანიძის რომანის გვერდით უნდა დავასახელოთ დ. სულიაშვილის „ჩიკორი“ და „ნაღვერდალი“, ს. კლდიაშვილის „ფერფლი“, ბ. ჩხეიძის „დღეები“.

ცალკე უნდა გამოიყოს რ. გვეტაძის „თეო“. ეს რომანი ორი ეპოქის მიჯნას ასახავს, ერთის დასასრულს და მეორის დასაწყისს, თხზულების მთავარი გმირია მირზა — წარსულში მოჯამაგირე, შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი აქტიური მუშაკი. რ. გვეტაძემ ამ რომანით საბოლოოდ დასძლია „ცისფერყანწელების“ იდეურ-მხატვრული პოზიციები და საბჭოთა მწერლობის რიგებში ჩადგა. რომანი რეალისტური სტილითაა დაწერილი, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის განვითარებას ხელოვნურობის იერი დაკრავს და გამოგონილის შთაბეჭდილებას სტოვებს. ამასთან რ. გვეტაძემ სცადა მირზას, როგორც საბჭოთა ადამიანის დადებითი სახის დახატვა, თუმცა მირზას საქმიანობას, მოღვაწეობას, შრომას, რასაც უნდა გამოეკვეთა ჩვენს წინაშე მხატვრული სახე, მწერალი მხოლოდ სიტყვიერად გვიხასიათებს, არ გვიხატავს სურათებს, არ გვიჩვენებს მოქმედების მსვლელობაში.

მიუხედავად ერთგვარი სქემატურობისა, მირზას სახე ქართულ პროზაში ერთ-ერთი პირველი ცდა იყო საბჭოთა ადამიანის მხატვრული განსხეულებისა.

ასეთივე პლანის ნაწარმოებია ამავე ავტორის „ჭიაკოკონა“, რომელიც „თეოს“ შემდეგ გამოაქვეყნა მწერალმა.

ორივე რომანის ბოლო ნაწილებში რ. გვეტაძე უკვე საბჭოთა ყოფას ეხება. მაგრამ უნდა დავეთანხმოთ მწერალს, როცა ამბობს: „...ჭიაკოკონაში“ ვერაა პოლიტიკური მოვლენები სათანადოდ გაშუქებული, არც თუ ახალი ქუთაისი და სოფლად მომხდარი ძვრები დამიხატავს მკვეთრი ფერებითო...“ იგივე შეიძლებოდა გაგვემეორებინა „თეოს“ შესახებაც.

„ახალი ქალაქების“ და „სოფლად მომხდარი ძვრების“ მკვეთრი ფერებით დახატვა უკვე ახალი საფეხური შეიქნა

ქართული საბჭოთა ლიტერატურისათვის საერთოდ და კერძოდ რომანისათვის.

თანამედროვეობის თემა, მწვავე საზოგადოებრივი პრობლემები პირველად მთელი სიგრძე-სიგანით პ. ჩხიკვაძემ დააყენა თავის რომანში „სართულები". ამ რომანს მხარდამხარ მოჰყვა ბ. ჩხეიძის, კ. ლორთქიფანიძის, ე. ზედგენიძის და სხვათა თხზულებები.

ხოლო უფრო გვიან, როცა ჩვენი ქვეყნის მოწინავე ლიტერატურული ძალები საკ კპ(ბ) 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებით გაერთიანებული იქნენ საბჭოთა მწერლების კავშირად და საბოლოოდ განსაზღვრული იქნა საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი, თანამედროვეობის თემატიკა საბჭოთა ლიტერატურის და კერძოდ ქართული საბჭოთა რომანის საფუძველი გახდა.

* *

პარტიის ყოველდღიურმა მზრუნველობამ და იდეურმა ხელმძღვანელობამ კულტურული და კერძოდ ლიტერატურული ძალებისადმი, ქვეყნის გიგანტურმა აღმშენებლობამ ზეგავლენა მოახდინა მწერლობაზე, არამარტო იმ ახალგაზრდულ ლიტერატურულ ძალებზე, რომლებიც ახლა გამოდიოდნენ სამწერლო ასპარეზზე, არამედ „ძველი" მწერლების ცნობიერებაზეც. აღავსო მათი სული ახალგაზრდული ენერგიითა და ენთუზიაზმით, ისინიც ისწრაფვოდნენ მონაწილეობა მიეღოთ ამ ეპოქალურ მშენებლობაში მხატვრული სიტყვით.

მწერლობის წინაშე დგებოდა უდიდესი ამოცანები. მწერლობას თავისი სპეციფიკური საშუალებებით აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო იმ საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებსაც ახლა ეპოქა აყენებდა საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის წინაშე.

ახალ თემებს საბჭოთა ლიტერატურას აძლევდა თანამედროვე სინამდვილე, საბჭოთა ხალხის ტიტანური ბრძოლა ახალი საზოგადოების ასაშენებლად.

ახალი თემატიკა იწვევდა რეალიზმისაკენ მკვეთრ მობრუ-

ნებას, გამოსახვის საშუალებების გადასინჯვას, უკუაგდებდა დეკადენტური სკოლების მხატვრული ასახვის ხერხებს.

ახალი თემატიკა ვერ ეტეოდა მცირე ფორმის თხზულებებში, მოითხოვდა ფართო ეპიურ ნაწარმოებებს, რომლებიც ღირსეულად ასახავდნენ ახალი ეპოქის გაქანებას და მასშტაბებს. ახალი თემატიკა ვერ ითავსებდა ინდივიდუალისტური განცდების ასახვას, მოითხოვდა სიუჟეტის აგების, კომპოზიციის გამართვის რეალისტურ ხერხებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივი მოვლენების გაშუქებას ფართო ჰორიზონტით, საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვას ფართო პლანით.

ქართული საბჭოთა რომანის თემატიკა ძირითადად განსაზღვრა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ამოცანებმა ამა თუ იმ ეტაპზე. ამ რომანების საგანია მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები ჩვენს ქვეყანაში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი და ომის შემდეგდროინდელი ცხოვრება.

ეს რომანები გაჟღენთილია ხალხის სამსახურის სულისკვეთებით, თავისი ყურადღების ცენტრში აქცევს ხალხის ცხოვრებას, საზოგადოების განვითარებას, მის მოვლენებს. ცალკეული გმირები თავის ასახვას პოულობენ საზოგადოებასთან ერთად, როგორც მისი განუყრელი ნაწილი, ესთეტიკური შეფასება მისი ხდება იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაშია საზოგადოებასთან, რამდენად ხელს უწყობს მის წინსვლას.

ამ თვალსაზრისით ხდება დადებითი გმირის შეფასებაც. როგორი იყო მისი პოზიცია ძველისა და ახლის ბრძოლაში, რა სამსახური გაუწია მან ხალხს სოციალისტური მშენებლობის ამა თუ იმ საფეხურზე, რა გააკეთა კომუნიზმის დიადი იდეების ზეიმისათვის.

* *

საბჭოთა ხალხების ლიტერატურა ურთიერთზეგავლენით და დახმარებით მიდის წინ. ამ ლიტერატურაში დიდ და მძლავრ ძალად გვევლინება რუსული საბჭოთა ლიტერატურა,

რომლის იდეურ-მხატვრული გავლენა მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურაზე კეთილისმყოფელია. ასეთივე გავლენა მოახდინა რუსულმა საბჭოთა ლიტერატურამ ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაზე. რუსულ ლიტერატურაში ყველაზე ადრე აისახა თანამედროვე ცხოვრება, საბჭოთა ხალხის გმირული ცხოვრება, ჩვენი ეპოქის დადებითი გმირი.

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის მ. გორკის შემოქმედებაში ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში აისახა უპირველესი დადებითი გმირი, სოციალისტური ძალების დასაყრდენი, მუშა — პარტიის წევრის პავლე ვლასოვის სახე. გორკისავე შემოქმედებამ მოგვცა ნილის, პელაგეა ნილოვნას, რიბინის, დოსეკინის და სხვ. მხატვრული სახეები.

ფურმანოვის, სერაფიმოვიჩის, ფადეევის, გლადკოვის, შოლოხოვის და სხვ. ნაწარმოებებში გამოჩნდნენ დადებითი გმირების ისეთი სახეები, როგორიცაა, ჩაპაევი, კლიჩკოვი, კოჟუხი, ლევინსონი, ჩუმალოვი, დავიდოვი, და სხვ. გმირთა ბრწყინვალე სახეები დაგვიხატეს რუსმა საბჭოთა მწერლებმა რომანებში დიდ სამამულო ომზე და ომისშემდგომ მშენებლობაზე: შევცოვა, გრომოვა, კოშევოი, მერესიევი, ბატმანოვი, ზალკინდი, ბერიძე, ვოროპაევი და სხვა მრავალი.

სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოების მაღალმხატვრულობას განაპირობებს მოვლენებისა და ხასიათების ასახვის ტიპიურობა. უნდა აისახოს ცხოვრების სიმართლე, ცხოვრება მისი რევოლუციური განვითარების მთელი სირთულით. დადებითი და უარყოფითი ტიპების ასახვა მჭიდრო კავშირშია სინამდვილის მოვლენების და ხასიათების მთლიანობაში ასახვასთან. მხოლოდ ამ თვალსაზრისით შეგვიძლია განვიხილოთ გიგაურის, ხაზარაძის, მექი ვაშაკიძის, ციცინო ფარვანიძის, ქიშვარდი ქილიფთარის, გერა ბიგვას, ბათუ ქარდუას, კირილე გორაკოვის, მატახერიას, შუბითიძის და სხვათა მხატვრული სახეები.

პირველი მშენებლები

პირველი საბჭოთა მწერალი, რომელიც სამოქალაქო ომის შემდეგდროინდელ რეკონსტრუქციასა და მშენებლობას შეეხო იყო ფ. გლადკოვი. მისი რომანი „ცემენტი“ პირველი დიდი ნაწარმოები იყო, რომელშიაც მწერალი გვიხატავდა ახალ მოვლენებს ქვეყნის ცხოვრებაში, მან პირველმა ასახა მშენებელი კომუნისტი, დაგვიხატა გლებ ჩუმალოვის მაღალმხატვრული სახე.

პ. ჩხიკვაძის რომანი „სართულები“ შედარებით გვიანდელ ხანას ეხება, როცა ძირითადად დამთავრებული იყო აღდგენითი პერიოდი და ჩვენი ქვეყანა გადავიდა ახალ მშენებლობაზე. საბჭოთა საქართველოში შენდება: ზაჰესი, რიონჰესი, აწჰესი, და მრავალი სხვა ჰიდროელექტროსადგური; სპილენძის სატკეცი ქარხნები, გუმბრინის, ბარიტის, ცემენტის ქარხნები; ზესტაფონის ფერომარგანეცი, ტყიბული, ტყვარჩელი, ალავერდი, შირაქის, გურიის ნავთი, ნავთსახდელი ქარხანა ბათუმში, საქსოვი ფაბრიკები თბილისში, ქუთაისში, თელავში, ოზურგეთში, ხონში და სხვ. გამრავლდა ძაფსახვევი ფაბრიკები, აბრეშუმსართავი, ნარმისა და თეთრეულის, მაუდკამვოლის ფაბრიკა. ასე მიდიოდა საქართველო „ლიმონათ-კვასის ქარხნებიდან ფერო-გიგანტებისაკენ, ხონის შალისა და ქამის პერანგიდან საბჭოთა კოვერკოტისაკენ...“, საბჭოთა მაუდისაკენ.

რომანის მთავარი ობიექტი, რომელიც განსაზღვრავს თხზულების მოქმედების არეს და მკითხველის ყურადღების ცენტრში დგას, ეს არის დიდუბის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მშენებლობა.

„იქ, სადაც წინად მუხრან-ბატონები ნადირს ესროდნენ დაოთხებული ცხენებიდან, უზარმაზარი ფაბრიკა შენდება.

დიდუბის სადგურის მახლობლად, მტკვრის პირად დაცემულ ჭალებში შრომის ქარტეხილს ნიავი აუქოთებია... იქ სადაც საუკუნეების მანძილზე ბაია და რძია-რძია ბიბინებდა მტკვრის ნაპირებიდან მოპარებულ სიოს მოძრაობაზე, უწესრიგოდ ჰყრია გაუკუთხავი ქვის ლოდები, აგურები, კირი, ხრეში და ხის მასალა.

მუხლებამდე დაკარწახებულ მიწის მთხრელებს დედამიწა გაუპიათ და ხვითქმორეულ კალატოზებს გაფაციცებით საძირკველი ამოჰყავთ.

— მოიტა ხრეში...

— წყალი დაასხი... — ისმის საძირკვლე თხრილებში.

კუნთებდაბიზინებული მუშები უხმოდ ასრულებენ ოსტატების განკარგულებას“ [1].

მშენებლობა დაკავშირებული იყო მთელ რიგ სიძნელეებთან. საქმე მარტო იმაში როდი იყო, რომ გაშლილი ფრონტით მშენებლობის გაჩაღება საჭიროებდა დიდ თანხებს და სხვა საშუალებათა გამონახვას, რომ წინ გვეღობებოდა ტექნიკური სიძნელენი. ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას ამ დროისათვის ის წარმოადგენდა, რომ საბჭოთა ქვეყანას არ ჰყავდა საკმაო რაოდენობით საბჭოთა სპეციალისტები — მშენებელთა კადრები. პარტიას და მთავრობას მშენებლობაზე უნდა გამოეყენებინა ბურჟუაზიული „სპეცები“. როგორც ლენინი ამბობდა, ჩვენ გვიხდებოდა „კომუნიზმის მშენებლობა მონობის, ბატონყმობის, კაპიტალიზმის გამო საუკუნეებითა და ათას წლობით გაფუჭებული მასობრივი ადამიანური მასალისაგან“. ნაწილი ამ სპეციალისტებისაგან პატიოსნად ემსახურებოდნენ აღმშენებლობის საქმეს. მაგრამ ბევრმა მათგანმა ვერ დაალწია თავი მეშჩანურ მორალს, ზოგი კი აშკარად მტრულ პოზიციებზე იდგა და უცხოეთის კაპიტალთანაც კი იყო დაკავშირებული.

პ. ჩხიკვაძემ რეალისტურად ასახა ეს მოვლენები. რომანში

---

[1] „სართულების“ განხილვისას ტექსტს ვიმოწმებთ პ. ჩხიკვაძის 1938 წელს გამოქვეყნებული „თხზულებების“ მიხედვით.

სწორადაა გათვალისწინებული ძალთა განლაგება და ბრძოლა მათ შორის, ბრძოლა დადებითსა და უარყოფითს შორის.

გიგაურს, როგორც მშენებლობის ტრესტის დირექტორს, მუშაობა უხდებოდა ისეთ „სპეციალისტებთან“, როგორიც არიან ინჟინერი დამპროექტებელი ვაინბერგი, ინჟინერი მელიქოვი, ტრესტის დირექტორის მოადგილე პოღოსოვი და სხვ.

ეს ის „ადამიანებია“, რომლებზედაც უფრო გვიან, 1933 წელს ლაპარაკობდა გორკი თავის სტატიაში სოციალისტური რეალიზმის შესახებ: „არსებობენ კიდევ დამსხვრეული მეშჩანობის მრავალრიცხოვანი ნარჩენები, ისინი ცოტა თუ ბევრად მოხერხებულად ემსგავსებიან „სოციალურ ცხოველებს“, გაძვრებიან ხოლმე კომუნისტებს შორისაც კი, იცავენ თავიანთ „მეს“ ეშმაკობის, პირმოთნეობის, სიცრუის მთელი ძალით, მრავალსაუკუნოვანი წარსულისაგან მათ მიერ მემკვიდრეობით მიღებული ძალით, ისინი შეგნებულად თუ შეუგნებლად ეწევიან საბოტაჟს, ზარმაცობენ, გაიძვერობენ, მათი წრიდან გამოდიან წუნის მკეთებლები, მავნებლები, ჯაშუშები და გამყიდველები“ [1].

ვაინბერგი, მელიქოვი, პოღოსოვი, ბარბაქაძე ყოველი საშუალებით ცდილობენ ხელი შეუშალონ სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებას, შეაფერხონ, კერძოდ, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მშენებლობა, და შემდეგ დაღუპონ ის, ფაქტიურად გამოუსადეგარი გახადონ.

მაგრამ მათი საქმე განწირულია. უდღეურია მათი არსებობა და ამას თითონაც აღიარებენ: „ჩვენი პარტია აღარ არსებობს საქართველოში. — ამბობს ერთი მათგანი. — თითო ოროლა ნამსხვრევი სათვალავში მისაღები არ არის... ჩვენი პარტია უკვე გახრწნილი ლეშია ქართველი ხალხის თვალში და ჩვენ ხომ ვიცით, როგორი ცხვირაწევით ჩაუვლიან ყოველგვარ ლეშს, ყველგან და ყოველთვის... ეს ასეა... და თუ ჩვენ კიდევ ვარსებობთ, ვარსებობთ მხოლოდ საზღვარგარეთ გახიზნული ემიგრაციის საოცნებო პარკუჭანებში... ჩვენი პარტია მკვდარია ხალხისათვის..“

---

[1] მ. გორკი, ლიტერატურის შესახებ, მოსკოვი, 1953 წ., გვ. 712.

თუმცა ამ „პარტიას“ აღარა აქვს საარსებო იდეა და „მათი ყოველი ცდა მარცხით თავდება“, მაგრამ მათ მაინც ჯერ კიდევ შეუძლიათ ჩაიდინონ ყოველგვარი სისაძაგლე და საშიშროებას წარმოადგენენ სოციალისტური მშენებლობისათვის, მით უფრო, რომ მათ უკავშირდებიან ის ბურჟუაზიული „სპეციალისტები“, მტრული ელემენტები, რომლებიც ჯერჯერობით ჩვენს მშენებლობაზე მუშაობენ.

ისინი ხანდახან აშკარა აგიტაციას ეწევიან. ბარბაქაძე იმისათვის, რომ გული გაუტეხოს მუშებს, დემაგოგიურად აცხადებს: „კერძო ფირმიზა რომ მიგვეცა აი საქმე, ცხადია, აქამდე აშენებული იქნებოდა და არც ამდენი დაგვიჯდებოდა“. სხვა ადგილას იგი ამბობს: „... ვის არ აქვს ნაკლი მუშაობაში?! ჩვენ ჩომ ამერიკელები არა ვართ, უნაკლოდ და ხელშეუშლელად რომ ვაშენოთ ფაბრიკები“...

მაგრამ ბარბაქაძეს სიტყვას აწყვეტინებს მუშა, რომელსაც სჯერა, რომ „ამერიკა არაა აღთქმის ქვეყანა“, „ჩვენი სოციალისტური სამშობლო მუშათა და გლეხთა სახელმწიფოა, რომელიც აშენებს სოციალიზმს და ამ მშენებლობაში საჭიროა უდიდესი სიფხიზლე და დარაზმულობის გამოჩენა“. პ. ჩხიკვაძის რომანის „სართულების“ პათოსს შეადგენს სწორედ სოციალისტური მშენებლობა და მტრებთან ბრძოლა. რომანი საბჭოთა ადამიანებში აღაგზნებს შემოქმედებით ენერგიას და ამავე დროს ამახვილებს პოლიტიკურ სიფხიზლეს. ამ რომანის წარმოშობა განაპირობა ამ მომენტებმა, სოციალისტური მშენებლობის ამ პრაქტიკულმა მოთხოვნილებებმა და საჭიროებებმა.

მწერალი არ ერიდება სინამდვილის, მწვავე კლასობრივი ბრძოლის მთელი სიღრმითა და სინათლით ჩვენებას, ის არ „ასწორებს“ და არ ალამაზებს სინამდვილეს, გვიხატავს ბრძოლის იმ მკაცრ სურათს, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა იმ პერიოდში. იდეის უფრო მკვეთრად გამოსახატავად, შეიძლება ითქვას, კიდეც ამკვეთრებს და ამუქებს ფერებს. ისე როგორც ეს ხშირად სამოქალაქო ომის პერიოდში ხდებოდა ხოლმე, აქ მოწინააღმდეგეთა ბანაკებში არიან ძმები. გრიგოლ გიგაურის პირისპირ დგას ლევანი — გრიგოლის

ძმა, რომელიც მავნებელთა ბანაკს მეთაურობს. ამგვარ დაპირისპირებათა წყალობით, ბრძოლის მკვეთრი სურათებით და კონფლიქტების სიცხოველით მწერალი აღწევს მოქმედების მძაფრ დინამიურ განვითარებას, გვიხატავს დაპირისპირებულთა ბრძოლის ამაღელვებელ სურათებს.

ამგვარ გარემოში გვეხატება ჩვენ გრიგოლ გიგაური, როგორც დადებითი გმირი. გ. გიგაურმა როგორც ორგანიზატორმა უნდა შესძლოს მშენებლობის წარმართვა, სამეურნეო სიძნელეების დაძლევა, მეორეს მხრით, გიგაურმა უნდა იბრძოლოს საბჭოთა ქვეყნის მტრებისაგან მშენებლობის განთავისუფლებისათვის. გიგაურის მხარეზეა მშენებლობის მუშათა მასები — მთელი ხალხი, გიგაურთანაა „საქმშენის“ პარტუჯრედის მდივანი ამაიაკ მურადოვი (რომლის სახე, სამწუხაროდ, მკრთალადაა დახატული რომანში), მასთანაა მთავრობის ორგანოები. ყველაზე კოლორიტული ფიგურა რომანში გ. გიგაურია. ის ახორციელებს ცხოვრებაში პარტიისა და მთავრობის ხაზს, პასუხობს ხალხის მასების მისწრაფებას და გვევლინება როგორც ძლიერი ტიპიური ხასიათი.

გრიგოლს ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვს. სამოქალაქო ომის დროს ის რუსეთში ერთ-ერთი ფრონტის სარდალი ყოფილა, ბაქოში — არმიის პოლიტიკური კომისარი, შემდეგ შინსახკომში უმუშავია, „ასე რომ დირექტორი აღარ ხუმრობს თავისი წარსულით“. ამ ძუნწი ცნობებიდანაც შეგვიძლია განვსაზღვროთ გრიგოლის ცხოვრების წარსული. „საქმშენის“ ტრესტის დირექტორად ის გვევლინება უკვე ცხოვრების მდიდარი გამოცდილებით, როგორც გამოწრთობილი, ჩამოყალიბებული საბჭოთა ადამიანი, პარტიის წევრი, რომლის პიროვნება განუყრელადაა დაკავშირებული მუშურ-გლეხურ სახელმწიფოსთან. მისი პიროვნება გამსჭვალულია საბჭოთა ხალხის მისწრაფებებით. საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ საფეხურზე გიგაურის ეს სწრაფვა მეღავნდება კონკრეტული ამოცანის განხორციელებაში: მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ღებულობს მშენებლობა, რადგან კარგად ესმის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, ესმის სოციალისტური მშენებლობის არსი და მისი მნიშვნე-

ლობა ქვეყნისათვის. „ქარხნები — ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ-დღე... გიგანტი ფაბრიკა-ქარხნები და ფართო სოციალისტური ძინდორი, აი სადღეისო აქტუალური თემა და ყველასათვის საზრუნავი საგანი... დღეს ხომ ყოველგვარი პირობები იქმნება იმისათვის, რომ ქვეყანა შედგეს ინდუსტრიალურ რელსებზე“ — აღტაცებით ფიქრობს ის. თუ პატრიოტიზმი ნიშნავს ამოიცნო ქვეყნის შემდგომი განვითარების ჭეშმარიტი გზა და ყოველმხრივ ხელი შეუწყო მის წინსვლას, მაშინ ვიგაურის პატრიოტიზმი ფართო და ღრმაა.

გიგაური ცდილობს მთელი მისი ენერგია და გამოცდილება მოცემული კონკრეტული ამოცანის განხორციელებაში ჩააქსოვოს, რადგან დარწმუნებულია, რომ ეს იმ დიდი საერთო საქმის ნაწილია, რომელსაც სოციალიზმის მშენებლობა ეწოდება. „შენ ფანატიკოსი ხარ, გრიშა!“ — სწერს ერთ ბარათში გიგაურს ლუარა და ამ შემთხვევაში მაინც უნდა დავეთანხმოთ ამ ქალს — გრიგოლ გიგაური მართლაც სოციალიზმის მშენებლობის კეთილშობილი ფანატიკოსია. იგი იდეის კაცია, მისი ცხოვრება ყოველთვის სისხლსავსეა და შინაარსიანი.

გიგაურის პიროვნება განსაკუთრებულ ძალას იძენს, როდესაც ის ხალხის მასებთან ურთიერთობაში გვევლინება. ის მჭიდრო კავშირს ამყარებს ფაბრიკის მშენებლობის კომუჯრედთან, კერძოდ კომუჯრედის მდივანთან, უფროს მუშა სულაკაურთან და საერთოდ ყველა მუშასთან.

მან იცის, როგორ და რაზე ესაუბროს მუშებს, შეუძლია ჩაწვდეს მათ სურვილებს და მისწრაფებებს, და სწორედ ამიტომ იმსახურებს მუშების ნდობას. პირველი შეხვედრისას, ერთი შეხედვით მუშებმა მასში ვერაფერი განსაკუთრებული ვერ აღმოაჩინეს, პირიქით, ის ცივი და უხასიათო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ დაიწყო თავისი სიტყვა გიგაურმა, შეეხო იმ საკითხებს, რომლებიც მუშათა გულებს აღელვებდა. და „გიგაური თანდათან გაიზარდა მუშების თვალში. ის თითქო რამდენიმე მეტრით ამაღლდა ტრიბუნის ზევით და დარბაზის ყურადღებას დაეპატრონა. დარბაზის სულიერი განწყობილების მესაპე გახდა“.

გიგაური არის ორგანიზატორი, რომელიც ხედავს დაბრკო-

ლებებს, ხელშეშლას, მავნებლობას, მაგრამ კი არ აშინებს ეს. არამედ აღაგზნებს მასში ბრძოლის სურვილს, აორკეცებს მის ენერგიას; ის არის მშენებელი, რომელიც დარწმუნებულია ხალხის ძალებში, თავის საკუთარ ძალებში და სჯერა, რომ თუ შესძლებ ხალხის მასების აქტივობის გამოწვევას, ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაჩერებს მათ წინსვლას, ოღონდ საჭიროა დარაზმული, ერთიანი ბრძოლა. ასეთია გიგაურის როგორც ორგანიზატორის თვისებათა ერთი მხარე.

„სართულების" ერთ-ერთი მთავარი თემა მშენებლობაა:

— სართულები, სართულები! სადაც საფუძველი ეყრება საბჭოთა ინდუსტრიას, სადაც საფუძველი ეყრება საბჭოთა ადამიანის ბედნიერებას. ამ სართულების მშენებლობა კი მოითხოვს დაძაბულ შრომას, შრომის ნაყოფიერების უმაგალითო ზრდას. ვ. ლენინი მიუთითებდა, რომ სოციალისტური საზოგადოება კაპიტალისტურს სწორედ იმით დაამარცხებს, რომ შეჰქმნის გაცილებით უფრო მაღალ შრომისნაყოფიერებასო.

მშენებლობის პირველ წლებში საბჭოთა ადამიანები სწავლობდნენ ტექნიკას, მასთან მოპყრობას, მუშაობის მეთოდებს, ხერხებს და ამიტომაც კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრძოლას შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება. ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას ხელს უწყობს გიგაურის კავშირი ფაბრიკის კომუჯრედთან.

გიგაური თითონაც შრომისმოყვარეა. მარტო ის, რომ ადამიანი დაჯილდოებული იყოს კარგი ორგანიზატორული თვისებებით, ნათელი გონებით და ჭკუით, როდია საკმარისი კარგი ორგანიზატორის ჩამოყალიბებისათვის. საჭიროა ამ თვისებებმა გამოვლენა ჰპოვონ დაძაბულ საქმიანობაში, რევოლუციურ პრაქტიკაში. გიგაური დაუღალავი ენერგიის მუშაკია. ის დღედაღამ მშენებლობაზეა, ან დატვირთულია მშენებლობის საქმეებით. დროც შეუმჩნეველად გადის და გრიგოლს თითქო ავიწყდება შვებულებაში დასასვენებლად წასვლა. მაგრამ ეს გრიგოლის ამოჩემება კი არ არის, ანდა ძალდატანებული გულმოდგინეობა — არა, გრიგოლს სულით და გულით სურს დას-

ვენება, მაგრამ მისი „მოადგილე სრულიად ახალი კაცია, გამოუცდელი, საქმის სიღრმეში ჯერ ჩაუხედავი. დაწინაურებული მუშაა, მაგრამ მას ხომ სათანადო ხელმძღვანელობა სჭირდება, სანამ საქმეს გაეცნობა და გამოცდილებას მიიღებს მუშაობაში, ტექნიკური ნაწილის უფროსიც ახალი და... ჯერ კიდევ უცნობი ინჟინერია... საჭიროა მისი შესწავლა... მეთვალყურეობა... ვინ იცის რა კაცია...“ ეს ობიექტური პირობები მოითხოვენ უარი თქვას გიგაურმა პიროვნულზე და ისიც ამას უყოყმანოდ ასრულებს, დარწმუნებული იმაში, რომ ასეთ დროს ფაბრიკის მშენებლობის მიტოვება არ შეიძლება.

და როცა ფაბრიკის საზეიმო გახსნაზე გრიგოლი მუშების, პარტიისა და მთავრობის სახელით აცხადებს „ჩვენ ვზეიმობთ მორიგ გამარჯვებას!“ — მკითხველი სრულიად დარწმუნებულია, რომ ამის სრული უფლება აქვს გიგაურს, როგორც მშენებლობის ორგანიზატორს, ერთ-ერთ მშრომელს. ასე დაგვიხატა პ. ჩხიკვაძემ თავის რომანში გ. გიგაურის მნიშვნელოვანი ფიგურა.

გიგაურს ახასიათებს ნაკლოვანებებიც.

მას „აჩქარებულად საკითხის გადაჭრა არ სჩვევია, მაგრამ თუ გადასჭრა... მორჩა და გათავდა... განაჩენი უკვე საბოლოოა და მისი აზრით, დაუღეველი. ძნელად მიდის გიგაური რაიმე დათმობაზე... ერთხელ გადაწყვეტილი კითხვის ხელმეორედ საკამათოდ გადაქცევა „დაღეჭილი კევის ხელახალ ცოხნად მიაჩნია...“

მაგრამ გიგაურის „გადაწყვეტილი“ კითხვა ყოველთვის როდია მართებულად გადაწყვეტილი. მას, მაგალითად, არა აქვს სწორი შეხედულება ოჯახზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა „სართულებისა“ საბჭოთა ოჯახის პრობლემაა. მწერალს სურს გვიჩვენოს გიგაური საბჭოთა ოჯახისათვის ბრძოლაშიც. მაგრამ გიგაურს მეტად პრიმიტიული, გამარტივებული წარმოდგენა აქვს ოჯახზე.

„— ლუარა! მაკვირვებს შენი უცნაური მსჯელობა — ეუბნება ის ცოლს. — მაკვირვებს შენი ახირებული საქციელი... რას ითხოვ ჩემგან, ადამიანო? მე ხომ ურიგო ქმარი არა ვარ შენთვის? დღე-ღამეს შრომაში ვატარებ... შრომის ფასი უკა-

ნასკნელ გროშამდე, შინ მომაქვს... ვერც ჩემი ხასიათის უხეშობაში შეიტანს ვინმე ეჭვს... სხვა რაღა გინდა, ადამიანო?!"

ლუარა მეშჩანია და გრიგოლისათვის ძნელია ამ ქალის ხასიათს შეურიგდეს, მაგრამ ქალი მართალი გვეჩვენება მაშინ, როცა გრიგოლს მიმართავს: „არ მინდა შენი ფული... მე ქმარი მინდა, ქმარი... **ქმარი მეგობარი, ქმარი — მამაკაცი...**

გრიგოლს გაეცინა. თითონაც გაუკვირდა, რომ ცოლქმრობის საკითხზე უხდებოდა დღეს ასეთი ცხარე საუბარი". ისე გამოდის, თითქოს ცოლქმრობის საკითხი ცხარე და სერიოზული საუბრის ღირსიც არ იყოს.

თავიდან გრიგოლმა იცოდა, რომ მრეწველის ქალი—ლუარა მეშჩანი იყო, მაგრამ მას როცა ირთავდა ცოლად, ფიქრობდა მის გამოსწორებას, როგორც ამას თვითონვე აცხადებს, თუმცა რომანის მიხედვით ამისათვის არაფერს არ აკეთებს.

გიგაურმა ვერ შესძლო ოჯახში საერთო განწყობილების შექმნა. მეშჩანობის წინააღმდეგ ბრძოლაში გართული, ის ხანდახან ოჯახის უარყოფამდეც კი მიდის.

გიგაურის ხასიათის ყველაზე დიდი ნაკლი მაინც ისაა, რომ მასში ზოგჯერ წარსულის კულტურისადმი ნიღილისტური დამოკიდებულება მეღავნდება. სხვათაშორის აქაც ერთგვარი მიზეზი კვლავ მეშჩანობასთან პოლემიკური სიცხარე უნდა იყოს. გიგაური მიჰყვება თბილისის ქუჩებს და ეძებს „პროლეტარულ კოსტუმს:

„მე კი მივყვები ჩემს ბილიკებს და ვიძახი: მომეცით საბჭოთა კოსტუმი, მომეცით პროლეტარული თარგის ტანსაცმელი... ძვირფასი, კოხტად შეკერილი, მაგრამ პროლეტარული სტილის ტანსაცმელი... მომეცით... მომეცით".

ეს უბრალო ასირება როდია, ან გიგაურის შეხედულებათაგან ცალკე მდგარი მოსაზრება. აქ თავს იჩენს პრიმიტიული შეხედულება კლასებზე, საზოგადოებაზე.

ასეა რომანის მიხედვით. მაგრამ ახლა საკითხავია, საიდან მივიღეთ გიგაურის ხასიათის ამგვარი ნიუანსი, სინამდვილიდან, თუ აქ მწერალმა თავისი სუბიექტური შეხედულებანი მოახვია თავს გმირს?

ი. ბ. სტალინი ერთგან ამბობს: „ჩვენში ერთ დროს იყვნენ

„მარქსისტები“, რომლებიც ამტკიცებდნენ, ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დარჩენილი რკინიგზები ბურჟუაზიული რკინიგზებია და ჩვენ, მარქსისტებს, არ შეგვფერის ვისარგებლოთ ამ რკინიგზებით, ისინი უნდა ავუაროთ და ახალი, „პროლეტარული“ რკინიგზები გავიყვანოთო. ამისათვის მათ „ტროგლოდიტები“ დაარქვეს“...

გიგაურის ზემოხსენებული შეხედულებების საფუძველი სინამდვილეშია. უნდა ითქვას, რომ თვითონ მწერალიც გიგაურის თვალსაზრისზე დგას, თანაუგრძნობს მას. აქ თავს იჩენს „პროლეტკულტის“ შეხედულებების გავლენა მწერალზე. იმის ნაცვლად, რომ გიგაურის როგორც ტიპის ამ ნაკლოვანი მხარეებისათვის უარყოფითი ესთეტიკური შეფასება მიეცა, მწერალმა იგი დაგვიხატა როგორც იდეალური გმირი. ნამდვილად კი გიგაურს სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს.

როგორც მხატვრული სახე, გრიგოლ გიგაური ხორციელდება უმთავრესად მოქმედებაში, მწერალი გვიხატავს მის ყოფაქცევას და ნაკლებად მოგვითხრობს მისი თვისებების შესახებ.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ გიგაური უპირისპირდება პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მტრებს და როგორც დადებითი გმირი გვეხატება ამ დაპირისპირებით, მშრომელთა მტრებთან ბრძოლაში, დაბრკოლებათა გადალახვაში. ეს უმთავრესი მხატვრული ხერხია, რომლისაკენაც სინამდვილის რეალისტური ასახვის გზას მიჰყავს მწერალი და აძლევს მას დადებითი გმირის გამოხატვის საშუალებას. ამ გზით გიგაურის მხატვრული სახე მჭიდროდ შედის სიუჟეტის განვითარებაში და არა თუ ხდება მისი გამოუკლებელი კომპონენტი, არამედ თვით ახდენს გავლენას სიუჟეტის განვითარებაზე. მართალია, პირველ სიგნალებს მავნებლობის წინააღმდეგ მუშები იძლევიან, მაგრამ შემდგომში მათ სრულ გამოვლინებაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება გიგაურსაც. ის ერევა საქმეში და პარტუჯრედთან ერთად ცვლის საქმის ვითარებას. ამ მოქმედების საფუძველზე ხდება გარდატეხა პერსონაჟების განლაგებაში, გადახალისდება რომანის სიუჟეტური ხაზები, იცვლება ამბების ვითარება. გიგაურს მნიშვნელოვანი წვლილი შე-

აქვს მთავარი პრობლემის გადაწყვეტაში — ფაბრიკის აშენებაში. ამგვარად გიგაურის ხასიათი გვევლინება, როგორც რომანის მხატვრული საშუალებების ერთ-ერთი მთავარი ერთეული.

„სართულების“ ავტორი ძალიან ძუნწობს პორტრეტების ხატვაში. მთელ რომანში სულ რამდენიმე პორტრეტია მოცემული, გიგაურის გარეგნობას ის მხოლოდ ერთხელ გვიხატავს: „კრების წინაშე დადგა გრიგოლ გიგაური. საშუალო ტანის კაცი. ჯმუხი, ოდნავ მშრალი გამომეტყველებისა. ის დღეს სუფთად პირმოპარსულია, როგორც ყოველთვის. შავი გრუზა თმა ბატკნის კულულებად დაკრუნჩხულა განიერ შუბლის ზევით. არწივისებური ჭროღა თვალები დინჯად მოძრაობენ ისლის ღერებივით დასხეპილ წამწამებში. ერთის შეხედვით, ცივი და უხასიათო კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს გიგაური, მაგრამ...“ ეს „მაგრამ“, სხვათაშორის, ბევრ რამეზე ლაპარაკობს, როგორც ციტატიდან ჩანს, მწერალი არ გვიხატავს გიგაურის წარმტაც სურათს, ამ კაცში იგრძნობა ძალა, ნებისყოფა, თუმცა როგორც ავტორი გვეუბნება, ერთი შეხედვით, ცივი და უხასიათო კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს ის, მაგრამ... ამაში როდია საქმე. პორტრეტი „სართულების“ ავტორის აზრით, არ არის გადამწყვეტი ხასიათის გამოსამჟღავნებლად. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პორტრეტსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტიპის შექმნაში. პორტრეტს სხვადასხვა მწერალი სხვადასხვანაირად იყენებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში პ. ჩხიკვაძე პორტრეტით არ ქმნის განსაკუთრებულ სიმპათიას გმირის მიმართ, მაგრამ არ წარმოშობს არც ანტიპათიას, გვაძლევს მის რამდენიმე დამახასიათებელ შტრიხს, რომელიც კარგად ამახსოვრდება მკითხველს. მაგრამ მწერალი პორტრეტს არ აკისრებს სახის შიდაბუნების გამოხატვას, ამას ის უფრო მოქმედებას, გმირის ქცევას ანდობს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ლევანის პორტრეტი: ამ კაცს კარგი გარეგნობა აქვს. ამას ადასტურებს კიდევ ერთი გარემოება. ის ერთი შეხედვითი შთაბეჭდილება ცივი, უხასიათო და მშრალი კაცისა ქრება ამბების განვითარებაში და ვრწმუნდებით გრიგოლ გიგაურის ხასიათის საწინააღმდეგო თვისებებში. თავისი სიტყვით, რომელიც პორტრეტს მოსდევს, გიგაურმა შესძლო აუდი-

ტორიის დაპყრობა და გზა გაიკვლია მუშების გულებისაკენ, მათ შორის მყარდება უკვე გულთბილი საქმიანი დამოკიდებულება.

სახის ამგვარი ხატვა წინასწარაა გათვალისწინებული მწერლის მიერ, განხორციელებულია წინასწარ აღებული პრინციპით. შეიძლებოდა მწერალს იმგვარად დაეხატა გიგაურის პორტრეტი, რომ იმთავითვე მკითხველს არა ცივი და უხასიათო კაცი წარმოსახვოდა, მაგრამ ეს უკვე სხვა სახე, სხვა ტიპი იქნებოდა. მაშასადამე გიგაურის პორტრეტის მიხედვით მიღებული შთაბეჭდილების ერთგვარი წინააღმდეგობა გიგაურის შინაგან თვისებებთან, ეს ამ ტიპის ინდივიდუალური თვისებაა, მაგრამ აუცილებელი ამ ხასიათისათვის. ასეთია მწერლის აზრი.

ერთგვარი სინათლე ამ საკითხში შეაქვს დიალოგს ტრესტის საქმეთა მმართველსა და მთავარ ბუხჰალტერს შორის: „როგორი სამხედრო წესით უყვარს მუშაობა ამ ჩვენს დირექტორს?.. ერთ ზედმეტ სიტყვას არ გაიმეტებს. მთელი დღე მიმოწერებსა და მშენებლობათა პროექტებს ჩაკირკიტებს.

— რა საჭიროა ბევრი ლათაიები?! — მოუწონა გიგაურს მთავარმა ბუხჰალტერმა...“ ბუხჰალტერის სიტყვებს, ჩვენ გვგონია, ეთანხმება ავტორის აზრიც. მწერლის თვალსაზრისით მუშაკის ასეთი ტიპი, რომელიც ნაკლებს ლაპარაკობს, მაგრამ საქმით ბევრს აკეთებს, უკეთესია.

მწერალი ბუხჰალტერს შემდეგს ათქმევინებს:

„ — გრიგოლი პუნქტუალური მომუშავეა... ჭკვიანი და შორს გამჭვრეტი. საყვედურსა და სამდურავს ვერ იტყვი გიგაურის მიმართ“.

პრინციპულად ამის წინააღმდეგი არ არის ამბერკი:

„ — მაგას ვინ ამბობს, ჩემო ევგენი?! მე ვთქვი: მშრალი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს მეთქი. ისე გიგაური რომ შრომისმოყვარეა, ამასთანავე უაღრესად კულტურული ადამიანია, გულკეთილი და მართლმსაჯული, მე ამაში ეჭვი არ შემაქვს...“

ეს დიალოგი, თხზულების მთლიანი ანალიზის საფუძველზე, შეიძლებოდა მიგვეღო, როგორც ავტორის ჩანაფიქრის გამჟღავნება გიგაურის ხასიათის შესახებ.

გიგაურს მწერალი ხატავს, როგორც ფართო ინტერესების

პიროვნებას. ის როდია შეზღუდული ფაბრიკა-ქარხნებით და საერთოდ მშენებლობით, გიგაურისათვის ასევე საინტერესოა კულტურის სფერო: ლიტერატურა, კინო, თეატრი და სხვ. გიგაურს აინტერესებს საბჭოთა ადამიანის ტანისამოსის საკითხიც. ამიტომ მისი ჩვენების არე შეზღუდული არ არის, მას ვხედავთ როგორც ფაბრიკაში, ტრესტის სამმართველოში, ისე თეატრში, ქუჩაში და სხვ. მაგრამ მწერალი გიგაურს გვიხატავს არა მხოლოდ, როგორც საზოგადო მოღვაწეს, არამედ წარმოგვიდგენს მას ყოფით სურათებშიც.

იმ ნაკლოვანებათა მიუხედავად, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, გიგაურის მხატვრული სახე უთუოდ მიღწევა იყო თავის დროის პროზისათვის. ის ჩვენი ეპოქის ადამიანის პირველი, საკმაოდ სრულყოფილი სახეა, რომელიც ქართულ საბჭოთა რომანში მოგვევლინა.

„სართულების“ დიდ ღირსებას წარმოადგენს ის. რომ ამ რომანში ასახულია მუშათა ცხოვრება, ნაჩვენებია პირველი მშენებლები. სამწუხაროდ ეს ტრადიცია შემდგომში ვერ გააგრძელა ქართულმა საბჭოთა რომანმა და დღეისთვისაც პ. ჩხიკვაძის მიერ დახატული მუშათა სახეები, მათ მხატვრულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, უკეთესნი არიან ქართულ საბჭოთა პროზაში.

ამ რომანში მუშები დგანან ნაწარმოების ცენტრში, როგორც საზოგადოების წამყვანი ძალა. მუშები პირველნი ამჩნევენ გარღვევებს ფაბრიკის მშენებლობაში. მაგრამ ისინი ისე კი არ იქცევიან, როგორც მაყურებელნი, არამედ საქმეს უდგებიან სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. რადგან შეგნებული აქვთ თავიანთი მდგომარეობა. ფაბრიკის მშენებლობას უცქერიან, როგორც თავიანთ საკუთარ, ღვიძლ საქმეს. მათ გულს ხვდება ის, „რომ საწარმოო თათბირის დადგენილებები არც ერთი არ სრულდება და მამასისხლად შეძენილი მანქანები მზესა და წვიმაში ოხრდება. ხის მასალა იკარგება. ხშირად შეშადაც იხარჯება. ხრეშის დაშზადება კერძო მოიჯარადრის ხელშია და არტელის მუშები უსაქმოდ სხედან“. ყველაფერ ამას ისინი ყურადღებას აქცევენ ჯერ კიდევ მანამ. „სანამ ცენტრიდან მოვიდოდეს ვინმე“. მუშები სისხლხორცეულ საქმედ

თვლიან კოლექტივებთან კავშირს, მათ აწუხებთ, კოლექტივის აგურების ნაცვლად ჩარჩის აგურქარხნიდან რომ ყიდულობს ბარბაქაძე აგურებს, მათ აწუხებთ ეჭვი, რომ მანქანათდადგმულობის საძირკველი გაბზარული უნდა იყოს. ტ. ნონიაშვილი და გ. სულაკაური გააფთრებით უტევენ სამნეო ნაწილის უფროსს, გაიძვერა ბარბაქაძეს. „— ხმასაც ამოვიღებთ და ყველა ჯურის არამზადებს ანგარიშს გავუსწორებთ. ვის შერჩენია სახალხო ქონების განიავება, რომ ინჟინერ მელიქოვს შეარჩინოს ჩვენმა ხელისუფლებამ...“ აცხადებენ ისინი, როგორც უფლებამოსილი მეპატრონენი სახალხო ქონებისა.

როცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში თბილისის მაუდის საქსოვი ფაბრიკის საკითხი იდგა დღის წესრიგში, გაზეთ „კომუნისტში“ მუშების მიერ მოთავსებული წერილი დაედო თათბირს საფუძვლად. მუშები ამხელდნენ ფაბრიკის მშენებლობის ადმინისტრაციას „უთავბოლობაში, უყაირათობაში, საქმის ხელოვნურად არევ-დარევაში, თვითკრიტიკის ჩახშობაში, გამფლანგველობაშიაც. აღნიშნავდნენ მავნებლობის საშიშროებას. მშენებლობის ხელოვნურად დაყოვნებას. მუშა-გამომგონებელთა დევნასა და ათვალწუნებას, ასახელებდნენ გამომგონებელთა მშენებლობიდან განდევნის მაგალითებსაც“.

კომუჯრედის მდივნის, მუშა — გიორგი სულაკაურის კრიტიკა პრინციპულია და ძნელი გასაბათილებელი. ის მთელი მგზნებარებით უტევს სახალხო ქონების გამნიავებლებს, სახალხო საქმის მტრებს. მუშები დიდად ენდობიან მას, ეს ნდობა კი საქმით იყო მოპოვებული. სულაკაურიც გრძნობს, რომ მას ზურგს უმაგრებს მუშათა აქტივი და ამიტომ ის ყოველთვის მტკიცეა და დარწმუნებული გამარჯვებაში.

კომუჯრედი, სულაკაურის ხელმძღვანელობით, სული და გულია მუშათა საქმიანობისა. მუშები მთელი სიგრძე-სიგანით ითვალისწინებენ მტრების მოქმედებას. ის ფაქტი, რომ ბარბაქაძე, მელიქოვის მითითებით, აგურს უფრო ძვირად ყიდულობს გასპაროვის აგურქარხნიდან, ბევრნაირად საზარალოა მშრომელთა საქმისათვის. ჯერ ერთი. მშენებლობაზე მეტი ფული იხარჯება, მერე არტელის აგურები გაუსაღებელი რჩება და ეს კი აფერხებს კოლექტივების განვითარებას. მუ-

შებს მშვენივრად ესმით, რომ მათ მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ კოლექტივებთან, ყოველივე იმასთან, რაც სოციალისტურის გამოხატულებას წარმოადგენს, მათი შრომითი კავშირის გარეშე გაძნელდება და შეუძლებელი გახდება სოციალიზმის აშენება. ამიტომაა, რომ ისინი იბრძვიან, რათა სწორედ არტელის აგურები შეიძინონ მშენებლობისათვის, არტელის გამწევი ძალა იქნას გამოყენებული მშენებლობაზე.

მუშები იბრძვიან თვითკრიტიკის ჩახშობის წინააღმდეგ, რადგან მათ შეგნებული აქვთ, რომ ეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მათი მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა და დიდი სარგებლობა მოაქვს მშრომელთა საქმისათვის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

გ. სულაკაურს გვერდში უდგას ტატე ნონიკაშვილი · და სხვა მუშები.

ნონიკაშვილში განვითარებულია პოლიტიკური სიფხიზლე. ის თავიდანვე ამჩნევს ადმინისტრაციაში შეპარული მავნებლების მტრულ მოქმედებას და ამხელს კიდეც მათ. დაბოლოს, ზალიკო ბაკურიძის დივერსიული გეგმა, მართალია, საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებზე გადმოსულმა აბესალომ ლომჯარმა გააუვნებლა, მაგრამ ბაკურიძე, მიუხედავად მისი ძლიერ შენიღბული მოქმედებისა, უკვე შემჩნეული ჰყავდა ტატე ნონიკაშვილს.

კომუჯრედის მდივნის გ. სულაკაურის თაოსნობით ყურადღება ექცევა გამომგონებლობის განვითარებას, იბრძვიან გამომგონებლების დევნის წინააღმდეგ და აღწევენ ფაბრიკიდან განდევნილი გამომგონებლების წარმოებაში დაბრუნებას. ფართოდ იშლება მუშათა შორის სოციალისტური შეჯიბრება, ზრუნავენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის.

და სწორედ მუშების გამარჯვება იყო უპირველეს, რომ „ფაბრიკაში დაასრულეს სააღმშენებლო მუშაობა. ტრიალი მინდორი დაიფარა მუშათა სახლებით. მტკვრის განაპირას დაირაზმა სიმაღლესა და სიდიდეში შეჯიბრებული შენობების სართულები. სართულები: მუშური მოსახლეობისა!

სართულები: წარმოება-მრეწველობისა!“

მუშების მთელი მოღვაწეობა და, კერძოდ, გ. სულაკაურისა და ტ. ნონიკაშვილის სახეები მხატვრულად მტკიცედაა დაკავშირებული თხზულების სიუჟეტურ ხაზთან, უფრო სწორად, წარმოადგენს სიუჟეტის საყრდენს, ამოსავალ წერტილს.

მიუხედავად მათი მთავარი როლისა თხზულებაში, მუშების მხატვრული სახეები არ არის სრულყოფილად დახატული, ისინი სქემატურად არიან ნაჩვენები. მწერალი ცდილობს გვიჩვენოს მუშათა კლასის ადგილი და როლი წარმოებაში, სოციალიზმის მშენებლობაში, მაგრამ სრულიად უგულებელყოფს მუშის პირად ცხოვრებას — ეს მხარე სრულიად დაივიწყა მწერალმა. მუშას ჩვენ ვერ ვხედავთ წარმოების გარეთ, ოჯახში, მუშებს ვერ ვხედავთ ვერც სხვაგან სადმე: ვერც კინოში, თეატრში, ქუჩაში და ა. შ. მათ მხოლოდ ფაბრიკის ტერიტორიაზე ვეცნობით.

ამასთან არასდროს არ დატოვა მწერალმა მუშა თავისთავთან, არ გაგვაცნო მისი სულიერი სამყარო უფრო ღრმად. კარგია, როცა მწერალი მოქმედების, გმირის ყოფაქცევის ჩვენების საშუალებით გვიხატავს სახეს, გამოჰკვეთს ხასიათებს. მაგრამ მარტო ამ საშუალებით როდი ხერხდება გმირის სრულყოფილი ხატვა. რომანს აქვს საშუალება ვრცლად მოხაზოს გმირის სულის მოძრაობა, გაგვაცნოს ის მიზეზ-შედეგობრივად, მკვეთრად ასახოს კონკრეტული გადაწყვეტილების შინაგანი მოტივაცია, თხრობის, დიალოგის საშუალებით. თუ დრამამაც უნდა გვიჩვენოს ყოველივე ეს, ის იყენებს ისეთ ძლიერ გამომსახველობით საშუალებას, როგორიცაა სპექტაკლი, სადაც დრამატურგის ჩანაფიქრს, ე. წ. ქვეტექსტებს გმირის სულის მოძრაობის შესახებ ახორციელებს მსახიობი, რომელიც სიტყვიერი მასალის გარდა სხვა მდიდარ გამოსახვით საშუალებებს ფლობს. (მიმიკა; ხმის ინტონაცია, ტემბრი; პლასტიკური საშუალებანი).

რომანისტმა ყველაფერი ეს თავის კალამს უნდა მიანდოს და გმირი წარმოგვიდგინოს, როგორც ცოცხალი სახე. სამწუხაროდ, პ. ჩხიკვაძე შრომის პროცესსაც კი გაკვრით გვიჩვენებს. არ იყენებს ხატვის პლასტიკურ საშუალებებს მუშების

ასახვისას. საკმარისია ითქვას, რომ მთელი რომანის მანძილზე მწერალს არ მოუცია არც სულაკაურისა და არც ნონიკაშვილის მკრთალი პორტრეტიც კი. ხოლო მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენ ემოციურია და ხელს უწყობს სახის აღქმას მარჯვედ მოხაზული პორტრეტული შტრიხები გმირისა. ეს საერთო ნაკლია თხზულებისა, მასში საერთოდ ნაკლებადაა გამოყენებული პორტრეტი.

ყველა ეს ნაკლოვანებები, ჩვენის აზრით, გამომდინარეობენ ერთი უკიდურესობიდან. რა უკიდურესობაა ეს?

ზემოთ ჩვენ ვლაპარაკობდით დეკადენტურ მიმართულებებზე, რომელთაც მწერლობა მიჰყავდათ უკიდურესი ინდივიდუალიზმით გატაცებისაკენ და საზოგადოებრივი მოვლენების, როგორც მხატვრული ნაწარმოების თემის უარყოფისაკენ. აღვნიშნეთ ისიც, რომ იდეურ გაჯანსაღებასთან დაკავშირებით მწერლობა მობრუნდა საზოგადოებრივი ცხოვრების თემატიკისაკენ. ამ გარდატეხას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც იდეური, ისე მხატვრული თვალსაზრისით, ახასიათებდა მკვეთრად გამოხატული დადებითი მხარეები, კერძოდ, აღდგენილი იქნა ძარღვიანი სიუჟეტური ხაზი რომანისათვის მკვეთრად გამოკვეთილი საზოგადოებრივი კონფლიქტის ბაზაზე. თხზულებების თვისება გახდა მოვლენათა განვითარების ცხოველი დინამიურობა და სხვ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ „მხატვრული პოლემიკის“ აზარტში მწერლობის ახალმა თაობამ უთუოდ დაუშვა შეცდომა და უკიდურესობამდე მივიდა. დააყენა რა საზოგადოებრივი მოვლენები თხზულების ცენტრში, პირველ ხანებში ნაკლები ყურადღება მიაქცია პიროვნებას. შემოქმედი ისწრაფვის გადმოგვცეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები და თითქოს მას „აღარ სცალია“ ჩაწვდეს პიროვნების სულის სიღრმეს, დაგვიხატოს მკვეთრად გამოხატული ცოცხალი მხატვრული სახე და პერსონაჟებს იძლევა მათ „საერთო შტრიხებში“, ხშირად კმაყოფილდება მხოლოდ კლასობრივი ნიშნების მოხაზვით.

ეს ნაკლოვანებანი ცოტა თუ ბევრად დამახასიათებელია 20-იანი წლების მეორე ნახევრისა და ნაწილობრივ 30-იანი

წლების დასაწყისის ქართული პროზისათვის საერთოდ. „სართულების“ ავტორიც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, მაინცდამაინც არ ზრუნავს ცალკეული პერსონაჟის ხატვაზე. ის უფრო დაინტერესებულია მოვლენათა განვითარებით, ახალი, საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამბებით.

შემდგომში ქართულმა რომანმა ეს ნაკლოვანებანი თანდათანობით გამოასწორა და როგორც ძველი თაობის მწერალთა თხზულებებში, ისე ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებებში თანდათან კუთვნილი ადგილი დაიჭირა პერსონაჟმა და მოგვევლინა, როგორც მხატვრული სახე, ყველა ადამიანური თვისებებით, მეტნაკლებად მკვეთრად და მთელი სრულყოფილობით დახატული.

თუმცა მთლიანად, ჩვენის აზრით, ჯერაც არ გათავისუფლებულა ჩვენი მწერლობა ამ საკმაოდ დიდი ნაკლოვანებისაგან.

ორიოდე სიტყვა გ. სულაკაურის, ტ. ნონიკაშვილის და სხვა მუშების ენის შესახებ.

პერსონაჟის ენას, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს გმირის დახასიათებისათვის. ენობრივ მასალაში და სიტყვების წყობაში მეღავნდება გმირის განათლება-განვითარების დონე. ენა რამდენადმე მიგვინიშნებს ხასიათის, ფსიქიკის წყობაზე, ერთგვარად გვაცნობს გმირის ეთიკას და სხვა მრავალ ფუნქციას ასრულებს.

არ შეიძლება გავიზიაროთ ის მოსაზრება, რომლის მიხედვით ყველა პერსონაჟი წმიდა ლიტერატურული ენით უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ შეუძლებელია პერსონაჟის ენის ნატურალიზაცია. ეს მოუხერხებელია წმინდა ენობრივი თვალსაზრისით და, რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, თუ მეტი არა, მიუღებელია ესთეტიკური მოტივით. მაგალითად, ტატე ნონიკაშვილი თავისი მოქმედებით, ფიქრებით, აზრებით ფრიად დადებით გამოძახილს პოვებს მკითხველში, მაგრამ ამას ხშირად არ უთავსდება ტატეს სიტყვიერი მასალის ფორმა, გამოთქმები: „ხალხო! ასეთი თავის აგდება გაგონილა? უჯრედი ადგენს, ფაბრიკის აქტივი იწონებს და ი უფროსია, თუ რა ჩე-

ში ფეხებია, წინააღმდეგ მიდის...“ აგრეთვე: „მა რა ჩემი ფეხები გაასუქებს, ჰა?“ „... თუ კი რომა, სილასა და ხრეშსა მოზიდავდნენ სახელმწიფომ რომ ფასი დააწესა, ამ ჩვენს ზავხოზასა სხვა რაღა თავისი ყველაისი უნდოდა, ჰა!“

მუშა გარაყანიძე, კრების თავმჯდომარე, ასე მიმართავს დამსწრეებს: „სიტყვა ეძლევა ჩვენი საალმშენებლო ტრესტის დირექტორს, ამხ. გიგაურს, რომელიცა რომა მოხსენებას გააკეთებს ფაბრიკის გარშემო ფარგალშია“.

მაგალითების მოყვანა კვლავ შეიძლებოდა.

ჩვენ გვგონია, ეს არ არის პერსონაჟის ენის ინდივიდუალიზაცია, არამედ ნატურალისტური გადმოღებაა.

ეს ნაკლოვანებები, როგორი დიდიც არ უნდა იყოს ისინი ვერ დაჩრდილავენ პ. ჩხიკვაძის რომანის „სართულების“ მნიშვნელობას.

ეს იყო პირველი ქართული საბჭოთა რომანი, რომელიც თანამედროვეობას შეეხო, თავისი ყურადღების ცენტრში საზოგადოებრივი პრობლემები მოაქცია და გვიჩვენა პირველი მშენებელი ადამიანების მხატვრული სახეები.

* *

„ — ე, ბიჭო, ერთი სარმა!

— კისრული.

— მიდი, ნუ გეშინია! — გაიძახიან ჭიდაობით გაფიცხებული ბიჭები. ზოლებიან ახალუხში გამოწკეპილი მედოლე საჭიდაოს უკრავს. ხან შეანელებს სისხლის ამფორიაქებელ ბაგაბუგს, ხან კიდევ დოლს ერთბაშად შეატრიალებს და ზედ ისე სეტყვასავით დააყრის თითებს, რომ მოჭიდავეებს ცეცხლი ეკიდებათ“ [1].

ბრძოლის, მოპირდაპირე მხარეთა მკაცრი შეხლა-შემოხლის, მძაფრი საზოგადოებრივი კონფლიქტების პათოსი გასდევს კ. ლორთქიფანიძის რომანს, „კოლხეთის ცისკარს“, თავიდან ბოლომდე. ჭიდაობას მწერალი იყენებს, როგორც სიუჟე-

[1] კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. „კ ო ლ ხ ე თ ი ს ც ი ს კ ა რ ი“. ეს რომანი რამდენჯერმე გადაამუშავა ავტორმა. განხილვისას ჩვენ ყოველთვის მხედველობაში გვაქვს უკანასკნელი, 1952 წლის გამოცემა. შ. ჩ.

ტურ ხერხს, რომელიც იწყებს და ამთავრებს რომანს, ოღონდ პირველ შემთხვევაში მხოლოდ გვიშლის მომავალი ბრძოლის პერსპექტივას, ბოლოს კი ამთავრებს ამ ბრძოლას მექი ვაშაკიძის სრული გამარჯვებით.

პირველად აქ მინდორზე, სამცაცხვის ძირში დაეჭიდნენ ერთმანეთს მექი და „ყოჩაღი ბიჭი“ ხაჟომია. მაგრამ აქ როდი მთავრდება მათი ჭიდილი, იგი წარმოადგენს არა მარტო სიუჟეტურ საშუალებას, არამედ გვიხსნის რომანის იდეურ არსს.

ასე შემოდის მექი რომანში. და შემდეგ მთელი მისი სიცოცხლე ჭიდილია ძველ სამყაროსთან, ჯერ თავის დასახსნელად, მერე ახლის მშენებლობისათვის, ახლის დამკვიდრებისათვის.

კომპოზიციურად რომანი აგებულია მექის ცხოვრების საკვანძო პუნქტებზე. ამაში მარტო თხზულების ნაწილთა ჩამოთვლაც კი დაგვარწმუნებდა, მათი ეპიგრაფებით: **„დაკეტილ კართან.** სხვათა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო“; **„პირველი აღმართი.** კაცი კაცით ცხოვრობს“; **„მეორედ დაბადება.** გეყოს, მოვიდა დრო ანგარიშის! მოდი, გავსწორდეთ ნუ მემალები“; **„მორევი.** სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ სისხლი დაღვარაო“. ყველა ეს ნაწილი ასახავს გარდატეხის ეტაპებს მექის ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, „კოლხეთის ცისკარი“ არ წარმოადგენს მექის, როგორც ინდივიდუალური ხასიათის, თუნდაც ტიპიურის, ცხოვრების ისტორიას. მექის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპები ყოველთვის უკავშირდება უდიდეს საზოგადოებრივ მოვლენებს. მექის ბედი გამოუთიშავადაა გადაკვანძული მებრძოლი ძალების განლაგებასთან, მათ ჭიდილთან, მათ ბრძოლებთან. ამ გზით მექის ცხოვრებასთან ერთად ჩვენ გვესახება მთელი საზოგადოების მხატვრული ისტორია.

საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მექის პრობლემა — უღარიბესი გლეხის პრობლემა — ეპოქის უდიდეს კითხვად გადააქცია. კომუნისტური პარტიისა და მუშურ-გლეხური საბჭოთა სახელმწიფოს საზრუნავს მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესები წარმოადგენენ. კოლექტიური მეურნეობა „კოლხეთის ცის-

კარი“ ყველაზე მეტად მექის სჭირდება, „კოლხეთის ცისკარი“ უპირველესად მექის ცხოვრების ცისკარია.

პარტიამ და მთავრობამ მიზნად დაისახეს ისეთი საზოგადოების აშენება, სადაც მშრომელს შეეძლებოდა ულუკმაპურო ყოფისაგან თავის დაღწევა, თავისუფალი ცხოვრება, მაგრამ „წვრილი მეურნეობით გაჭირვებიდან ვერ ამოხვალ“ (ლენინი).

ასეთი მეურნეობა ვერ დააკმაყოფილებდა საბჭოთა ქვეყნის მოთხოვნებს, თვით გლეხობის მოთხოვნებს. ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან იყო წვრილ და დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობიდან გადასვლა მსხვილ და გაერთიანებულ მეურნეობაზე მიწის საზოგადოებრივი დამუშავების საფუძველზე, მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე გადასვლა ახალი, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

საქართველოში ერთ-ერთი პირველი კოლმეურნეობის ჩამოყალიბება კომუნისტი ტარასი ხაზარაძის ხელმძღვანელობით იწყება ადრეულ პერიოდში. ზემოციხეში 1926 წელს შეკრეს პირობა სასოფლო-სამეურნეო არტელის დაარსების შესახებ, მაგრამ კოლმეურნეობის ჩამოყალიბებას ხვდებოდა სერიოზული წინააღმდეგობანი.

გლეხობა საუკუნეების განმავლობაში შეუსისხლხორცდა კერძო საკუთრებას და ამ კერძომესაკუთრული ბუნების გარდაქმნა წლების საქმე იყო. თავდაპირველად ისინი, ღარიბი გლეხებიც კი, უნდობლად ეკიდებოდნენ არტელს, ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა ერთად მუშაობა, არ სჯეროდათ ერთი მეორის, ათასჯერ ასწონდასწონიდნენ საქმეს და ერთხელ გადაწყვეტილსა და გაგნებულს კვლავ საკამათოდ და სადავოდ ხდიდნენ. რომ აღარაფერი ვთქვათ საშუალო გლეხზე — ასლან მარგველაძეზე — ღარიბი გლეხი გიორგი ჯიშკარიანიც კი დიდი ყოყმანის შემდეგ შედის არტელში. მხოლოდ თერთმეტი კომლით იწყებს არსებობას ზემოციხის არტელი „კოლხეთის ცისკარი“. ირგვლივ წვრილი მეურნეობის ზღვაა და ჩარჩებისა და კულაკების მტრული წრე.

კულაკი საგანელიძე, ვარდანიძეები, ჩარჩი ერემო პირტახია და სხვები კოლმეურნეობაში ხედავენ თავიანთ მტერს და

აშკარად იბრძვიან მის წინააღმდეგ. მათი ბრძოლის ხერხები ცვალებადია და მრავალმხრივი, მაგრამ მიზანი ერთი — კოლმეურნეობის განადგურება, რადაც არ უნდა დაუჯდეთ. „ისინი, კულაკები და სოფლის წურბელები კაპიტალისტებზე და მემამულეებზე ნაკლებ საშიში მტრები როდი არიან. და თუ კულაკი ხელუხლებელი დარჩება, თუ სოფლის წურბელებზე ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ, მაშინ გარდაუვლად ისევ დაბრუნდებიან მეფე და კაპიტალისტი“ [1] — წერდა ლენინი.

კომუნისტი ტარასი ხაზარაძე და არტელის სხვა წევრები აწარმოებენ თანმიმდევრულ ბრძოლას კლასობრივი მტრების წინააღმდეგ, ისინი იბრძვიან აგრეთვე კერძომესაკუთრული ჩვეულების წინააღმდეგ გლეხობაში და არათუ ახერხებენ კოლმეურნეობის შენარჩუნებას, არამედ ყოველმხრივ ავითარებენ და აფართოებენ დაწყებულ საქმეს. არტელს ეხმარება პარტია და მთავრობა, ქალაქის მშრომელები. ქუთაისის მუშებმა სოფელ ზემოციხეს ელექტრონის სინათლე გამოუყვანეს, „კატის წვერადან წყაროს წყალი გამოიყვანეს“, დაბოლოს მანქანით ეწვია სოფელს მუშათა მთელი ჯგუფი, რომელიც დახმარებას გაუწევს არტელს სასოფლო-სამეურნეო იარაღების მომზადებაში თესვის კამპანიისათვის.

კოლმეურნე გლეხობის სიხარული დაკავშირებულია არტელთან. არტელმა მოუტანა ბედნიერება მექი ვაშაკიძეს.

მართლაცდა ვინ იყო არტელში შესვლამდე მექი?

მექი ვაშაკიძე ქვემო იმერეთში ცნობილი მედუქნის ერემო პირტახიას მოჯამაგირე, ბეჩავი, მოკრძალებული და უნირო ბიჭი იყო. მონურმა ცხოვრებამ თავისი დაღი დაასვა ამ ყმაწვილის გარეგნობას, მიხვრა-მოხვრას, სიარულს და ღიმილსაც კი. „მის ღიმილში იმდენი უთქმელი მორჩილება გამოკრთოდა, იმდენი უთქმელი დარდი, — კაცი ვერ დაიჯერებდა, თუ ეს ჭაბუკი მხოლოდ თხუთმეტი წლისა იყო“.

მექის პირში შეჰყურებენ, ლუკმას უზომავენ, მას კი დღედაღამ თავაუღებელი შრომის საფასურად შარვალ-ხალათის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 28, გვ. 199, მე-4 გამოცემა.

ჩაცმაც არ შეუძლია. ძონძებში გახვეულს გაბედული მოძრაობისაც კი ეშინია, რომ დაქექილი შარვალი არ გაეხეს და „სარცხვინელი არ გამოუჩნდეს“. ყოველივე ამან გამოაცალა სიცოცხლე მექი ვაშაკიძეს, მოუქნელი, მოუხეშავი გახადა იგი გარეგნულად და საწყალი და ბეჩავი სულით. მისი სულიერი სამყარო მონის განწყობილებას შეიცავს. მას პროტესტის განცხადებაც ვერ მოუხერხებია. „დასცინებდნენ, აწყენინებდნენ, ხმას არ ამოიღებდა. წყენას გულში ვერ გამოისკვნიდა“. აბეზარ ტოლებს თვალებში საწყლად შესცინოდა. სამაგიეროს გადახდის ნაცვლად, ადგებოდა და ვის ფაცერს უწნავდა, ვის ბადეს ათხოვებდა, ვის რა სამსახურს გაუწევდა, „იქნებ სიკეთეს ქვეყნის გული მოელბო: მაგრამ ნათქვამია დაგორებულ ქვას გამარჯობა ვერ შეაჩერებსო“.

მექის ჯაბნიდა ყველა, ერემო პირტახიადან მოკიდებული ხაკომიამდე და სოფლის პატარა ბიჭებამდე. ხოლო ბარნაბა საგანელიძემ ყველაფერ „სიკეთესთან“ ერთად ისეთი სახელი შეარქვა, რომ სოფელში ყოფნა მოუწამლა საწყალ ბიჭს. ხრიკუნა! ამ სახელით ბავშვებს აშინებდნენ დედები, ეს იყო ყველაზე დაწყევლილი მისამართი, საითაც მხოლოდ დამამცირებელი სიტყვა და ხუმრობა მიდიოდა. „ეს მეტი სახელი მექისათვის ცოცხალი საფლავი იყო, რომელსაც დიდ პატარა ფეხით თელავდა“. ყველაზე მეტად მაინც თალიკო საგანელიძემ გაამწარა ჭაბუკი. ერთადერთ სიხათლის სხივს მექის ცხოვრებაში სიყვარული წარმოადგენდა — თალიკოსადმი სიყვარული. ბარნაბა საგანელიძის ნაშიერი კი ისე უყურებდა მექის, როგორც მოსამსახურეს, რომელსაც შეუძლია ბურთი მოურბენინოს, საქანელაზე აქანავოს მკლავების დაწყვეტამდე, ხოლო მას, თალიკოს უფლება აქვს უბრძანოს, დასცინოს ბიჭს, რადგან არ ფიქრობს, ისიც თუ კაციშვილებში ურევია. ხოლო, თუ მექიმ გაბედა გოგოსთან თამაში, თალიკო მაშინვე ლანძღავს და აძევებს „გამოთაყვანებულ“ ბიჭს, რომელიც ვერ ხვდება, რომ არ უნდა ეთამაშოს ბარნაბას ქალიშვილს, „რა მისი ტოლია“. მექის უცქერიან, როგორც მონას და როგორ შეიძლება იგი შეიყვარონ. ეს ერთადერთი „ნათელი“ სხივიც მოწამლული აღმოჩნდა მექის ცხოვრებაში.

ასეთია მექი რომანის პირველ თავებში.
შეიძლება თუ არა ვუწოდოთ ასეთ გმირს დადებითი?

რა თქმა უნდა არა. მიუხედავად სოციალური დაპირისპირებისა, მიუხედავად იმისა, რომ ის დგას მჩაგვრელი კლასების პირისპირ. ის ჯერ კიდევ არ არის დადებითი გმირი. მექი ვაშაკიძეს ჯერ კიდევ არა აქვს აქტიური ბრძოლის საჭიროების შეგნება და არც ამისი უნარი გააჩნია. მაგრამ ის არ არის უარყოფითი გმირი, პირიქით წარმოადგენს ეპოქის ერთ-ერთ მთავარ ძალას. ეს ძალა ჩანს რომანის პირველსავე სცენებში. ჭიდაობის სურათი სიმბოლურად ასახავს ჩაგრულებისა და მჩაგვრელთა ბრძოლის მიმდინარეობას. მექიმ არც კი იცის როგორ დაიწყოს ჭიდაობა, მაგრამ ძალა მის მხარეზეა, ამას მაშინვე იგრძნობს ხაჟომია, როგორც კი მას ხელს წაავლებს მოჯამაგირე, ხოლო მეორე შეხვედრისას ისე მაგრად მოწურავს „ყოჩაღ ბიჭს“, რომ მის ფერდებს ტკაცუნი გააქვთ. მექის შეუძლია ასწიოს სამფუთიანი რკინა, რომლის „გამოთრევაზე მჭედელმა წელი მოიტეხა“. მაგრამ „ღონე ვირსაც ქე აქვსო“ — ეუბნება მას ღვარძლიანი ხაჟომია, რომელიც იმარჯვებს უსინდისო ხერხით. „ყოჩაღი ბიჭების“, მევახშეების, კულაკების, ჩარჩების მორალი ასეთია, ისინი იყენებენ ყოველგვარ მზაკვრულ და საზიზღარ საშუალებას ღარიბების დასამარცხებლად და დასაშინებლად. ამ მძარცველების წინააღმდეგ საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა, ბრძოლა პრინციპული, საქმის ცოდნით, მთელი გატაცებით და რწმენით გამარჯვებისადმი, თავის ძალებში დარწმუნებით.

მაგრამ მექი ჯერჯერობით თვითონ არ გათავისუფლებულა ძველი ცხოვრების უდიდესი მანკისაგან. მასში ჯერ კიდევ ძლიერია კერძომესაკუთრული გრძნობა, ჩვევები. უფრო მეტიც, თავისი ყოფიდან ერთადერთ გამოსავალს კერძო საკუთრების შეძენაში ხედავს. ის ოცნებობს იმ დროზე, როცა მასაც მოუხდება დავა ღობის გამო, მტკაველი მიწის გულისათვის, ისე, როგორც გიორგი ჯიშკარიანსა და ასლან მარგველაძეს. მექი სიხარულით ფიქრობს იმ წამზე, როცა მის ღობეზე შესკუპული მამალი შეჰყივლებს სოფელს. მექიმ არ იცის, რომ ამ გზით შეუძლებელია გაჭირვებას თავი დააღწიოს, სიღატა-

კისაგან თავი დაიხსნას. ჭაბუკი ამაში ცხოვრების მიმდინარეობამ დაარწმუნა. ხუთმანეთიანმა მოჯამაგირემ ორი წლის განმავლობაში უღელი მოზვრის შესასყიდი თანხაც კი ვერ დააგროვა, ბრაზისაგან დამხრჩვალმა „ზღაპრულად“ აუხდინა სურვილი ლოთ დახუნდარას და ღვინოში გადაყარა ორი წლის ნაწვავ-ნადაგი. ისევ ისე დარჩა მშიერ-ტიტველი და არაფრის მქონე. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ გზით ვერაფერს მიაღწევდა ცხოვრებაში.

რომანში რეალისტურადაა დახატული, თუ ცხოვრებამ თავისი რკინისებური ლოღიკით როგორ გარდაქმნა მექის ხასიათი და როგორ გამოიყვანა ის მჩაგვრელების — კულაკებისა და ჩარჩების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ამბოხებულ ძალას ხელმძღვანელობს და წარმართავს კომუნისტური პარტია და მექი ადამიანური ცხოვრების მოპოვების ერთადერთ სწორ გზას ადგება.

ამბების განვითარებასთან ერთად იცვლება მექის ბუნებაც, საზოგადოებრივი მოვლენების განვითარება მექისაგან დაშორებით კი არ მიდის და გვერდს კი არ უვლის მოჯამაგირეს, არამედ მას ეხება უპირველესად. ასეთია ეპოქის მიმართულება, რომელიც ავითარებს გმირის ხასიათს. შემდგომში მექი, თავის მხრივ, ეხმარება ცხოვრების წინსვლას, თავის კუთვნილ ადგილს იჭერს ძველისა და ახლის ბრძოლაში, მთელი თავისი მრისხანე ძალით დგება ახლის მხარეზე და ხდება უპირველესი ძალა კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ახლის შენების მიმდინარეობაში.

მექის ხასიათის განვითარება ხდება ცხოვრების რევოლუციურ პრაქტიკაში. ეს სოციალისტური რეალიზმის მწერლობის თვისებაა.

მართალია, კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები უარჰყოფდნენ გაბატონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და დგებოდნენ ახლის ძიების თვალსაზრისზე, მართალია, ისინი ასახავდნენ დადებით გმირს, მაგრამ კრიტიკული რეალიზმის მწერლობა ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდა ბრძოლის პერსპექტივებში, ჯერ კიდევ არ იყო მათთვის ნათელი მომავლის გზა. საზოგადოებისა და მისი მოვლენების ნამდვილი მეც-

ნიერული ათვისება არ იყო მათთვის მისაწვდომი. ამიტომ, ცხადია, მათთვის ძნელი იყო დაენახათ გმირის ხასიათის რევოლუციური განვითარება. თუ კრიტიკული რეალიზმი ასე თუ ისე ხანდახან მიგვითითებდა დადებითი გმირის ხასიათის განვითარების ტენდენციებზე, ეს ნაწილობრივ შეეძლო მას, არც ისე ხშირ მოვლენას წარმოადგენდა და ხდებოდა სტიქიურად, იყო „ადგილობრივი" ხასიათისა, მომავლის ხილვა მის მიერ მიახლოებითი შეიძლებოდა ყოფილიყო.

სოციალისტური რეალიზმისათვის კი ცხოვრების მოვლენების, ტიპიური ხასიათების ხილვა რევოლუციურ განვითარებაში მთავარი დამახასიათებელი თვისებაა. „კოლხეთის ცისკარი" ერთ-ერთი პირველი თხზულებაა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, სადაც მკაფიოდ გამოიხატა სოციალისტური რეალიზმის ეს ძირითადი ნიშანი.

ამ ნაწარმოებში ყველა პერსონაჟი, უარყოფითი ტიპებიც, ამ თვალსაზრისითაა ასახული. თუ უარყოფითი ხასიათები — ბარნაბა საგანელიძე, ერემო პირტახია და ხაქომია დეგრადაციის გზით „ვითარდებიან", უკანასკნელი გაბრძოლების წინ მხეცური გააფთრებით მოქმედებენ და თანდათანობით კარგავენ ყოველგვარ ადამიანურ მორალს, სამაგიეროდ მექი თავს იხსნის მონური ყოფის დამაბეჩავებელი ჩვევებიდან, იძენს თავისუფალი საბჭოთა ადამიანის თვისებებს და ჩვენი ეპოქის დადებითი გმირი ხდება.

სრულიად მართებულად ამბობდა მ. გორკი: „ჩვენ ვცხოვრობთ ძველი ყოფაცხოვრების ძირფესვიანი მსხვრევის ეპოქაში, ადამიანში საკუთარი ღირსების გრძნობის გაღვიძების ეპოქაში, მის მიერ საკუთარი თავის, როგორც ქვეყნის ნამდვილად შემცველი ძალის შეცნობის ეპოქაში" [1].

დაჩაგრული ჭაბუკის ცხოვრებაში თანდათან შემზადდა ის „პირველი აღმართი", რომელმაც იგი საკოლმეურნეო ცხოვრების ფერხულში ჩააყენა. თავიდანვე ჩაგუბებული გულისწყრომა სოფლის ბობოლების წინააღმდეგ კიდევ უფრო გააძლიერა იმაში დარწმუნებამ, რომ ჩარჩთან შრომით მას არ შეუძლია

[1] მ. გორკი, ლიტერატურის შესახებ, მოსკოვი, 1953, გვ. 712.

შექმნას დამოუკიდებელი ცხოვრება. მექის უნდა ეძებნა სხვა გამოსავალი, და ეს მომენტი მას სხვა მიმართულებით გაახედვინებს. მექი თანდათანობით აზრს იცვლის ადამიანებზე და მოვლენებზე, სოფლის ძალთა განლაგებაზე. „კოლექტივში მოჯამაგირეებს იღებენო... იქნებ მეც მიმიღონ“, — ფიქრობს ჭაბუკი სასოფლო კრებაზე. ყურადღებით უსმენს ტარასი ხაზარაძის სიტყვებს. „მართალია, მართალი! რა კარგად ლაპარაკობს!“ გული აუდუღდა მექის. „მარტო-კაცი უძლურიაო! ო, როგორ მწარედ გამოსცადა ეს უძლურება ერემოს მოჯამაგირემ“. და ახლა უფრო მწვავედ განიცადა მექიმ ბობოლების შეთქმულების საშინელება. შეთქმულების წინააღმდეგ გალაშქრებამ დაარჭარა მექის „მეორედ დაბადება“, მისი „კოლხეთის ცისკარში“ ჩარიცხვა და კომკავშირში მიღება.

ასე იწყება მექის ახალი ცხოვრება. თუმცა ძველი ცხოვრების კოშმარი ჯერ კიდევ აწუხებს მას. ერთხელ „სასაცილო ამბავი დაემართა მექის, გაიღვიძა თუ არა, ელდა ეცა: დუქანში რიეერაეის მკრთალი სინათლე შემოდიოდა.

„დავიღუპე, ერემომ მძინარეს მომისწრო!“ — გაიფიქრა, და სწრაფად წამოიწია, რომ დახლიდან ჩამომხტარიყო.

ვერ ჩამოხტა. მოქნეული ფეხი იატაკს დაჰკრა და ქუსლი იტკინა, თვალი მოიფშვნიტა. იგი იატაკზე იწვა... უზომოდ გაუკვირდა: განა წუხელ როგორც ყოველთვის, ეს ძველი ნაბადი დახლზე არ დაიგო!?

იქაურობას თვალი მოავლო. ყველაფერი ეუცხოვა. ვინ შემოჰყარა დუქანში ამდენი გრძელი სკამი, ან ეს დიდი ფანჯრები აქ საიდან გაჩნდნენ!

ერთბაშად გული შეუფრიალდა: ეს ხომ სოფლის კლუბია და არა დუქანი... უკვე მესამე ღამეს ათევს მექი ამ კლუბში და ჯერაც ვერ შეეთვისა აქაურობას, ყოველ ცისმარე დილას ისევ ის ნაცნობი ტკივილი აღვიძებს... თვალის გახელა ეზარება. ასე ჰგონია, სასთუმალთან ისევ ერემო დასდგომია კლიტე-გასაღების ჩხარუნითა და უშვერი გინებით“.

დაწყევლილი, კაცობის გამთახსიერებელი ძველი ქვეყნის ჩვევები მექის ყოფასაც შერჩა. „შუადღისას, როცა მუშები სადილად დასხდნენ, მექიმ ჩუმად, ამხანაგების შეუმჩნევლად

ჭადი და ყველი მოიტეხა, გვერდზე მიბრუნდა და ჭამა დაიწყო... ერემოს ოჯახში „საწყალი ბიჭი ადამიანურ ჭამას გადაეჩვია და საკუთარი ლუკმის ქურდი გახდა. საჭმელს მხოლოდ მაშინ გაუწვდიდა ხელს, როცა მისკენ არავინ იხედებოდა“. ბეჩავი კაცის ჩვევებს ყოველ ნაბიჯზე ამეღავნებდა მექი, მაგრამ კოლექტივის ზრუნვამ მასზე, კომკავშირლების ამხანაგურმა ხელის გაწოდებამ, ბაჭუა ვარდოსანიძის ყურადღებამ, ტარასი ხაზარაძის მამაშვილურმა დამოკიდებულებამ თანდათანობით გააღვივა ვაშაკიძეში ადამიანური ღირსების გრძნობა და კოლექტივისადმი ერთგულება. მაგრამ თუ კოლექტივი ესოდენ ზრუნავს მასზე, მაშასადამე ისიც ვალდებულია თავდადებული იყოს საერთო საქმისათვის და ჭაბუკიც ცდილობს დაუმტკიცოს კოლექტივს უსაზღვრო სიყვარული.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მექიზე კომკავშირში მიღებამ. როცა საგანელიძის ქალიშვილის განცხადება, კომკავშირში მისი მიღების შესახებ, უარყვეს და „ნასწავლი თალიკო არ იკადრეს“, მექიმ იფიქრა, ალბათ მე სულაც არ მიმიღებენო. მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო ამბავი. თალიკოს თუ ცივი უარი უთხრეს, მექის ხმაურითა და სიხარულით შეეგებნენ, „— ვიცნობთ, ვიცნობთ, ჩვენი კაციაო!“ — პირველად სწორედ იმ ვარდენმა იყვირა, რომლისაც მექის ეშინოდა, ბევრი შეკითხვების მიცემა უყვარსო.

მექი მიხვდა, რომ თალიკოს „რაღაცაში“ აჯობა. ამ შემთხვევამ ჭაბუკს თავისი კაცური ღირსება პირველად აგრძნობინა, „დღეს თითქოს მეორედ დაიბადა“. ამის შეგნებამ აღაფრთოვანა ჭაბუკი და გაუორკეცა მას ენერგია. იგი გატაცებით ჩაება შრომის ფერხულში.

ჭაბუკი მედგრად ებრძვის გაუჩეხავ ეწერს, რომლის ხარჯზედაც უნდა გაფართოვდეს „კოლხეთის ცისკრის“ სათესი ფართობი. მექი დღედაღამ შრომობს, დაუღალავად საქმიანობს. მაგრამ ეს სამუშაო ძალიან ძნელი იყო. მექი „ერთხელ ისე გასავათდა, წერაქვი ხელიდან გაუშვა“ და მაშინ იყო პირველად ჩატოვა მიწაში ერთი ბებერი ჯაგის ძირი. თავი მიაკლა და ვერ ამოიღო. მერე თანდათანობით სხვებიც დატოვა მექიმ, უფრო ძნელ ამოსაღებად ეჩვენებოდა ისინი. მაგრამ ბოლოს გულის-

ტკივილით მოაგონდა, რომ გაზაფხულზე ეს ჩატოვებული ძირკვები და ფესვები ისეთ ნაყარს ამოუშვებდნენ, რომ ეწერი ხელმეორედ გასაკაფავი იქნებოდა. „რას იტყვის ტარასი! ყასიდად უმუშავნიაო!“ — ამ ფიქრმა შეაშფოთა მექი, მაშინვე მოძებნა ის ფესვი, პირველად რომ ჩასტოვა მიწაში.

— უ, შენი გამჩენი! — ჯავრიანად დაჰკრა წალკატი. ჩატოვებული ძირების ამოყრას მთელი მეორე დღე მოუნდა. ერთი პატარა ძირკვიც აღარსად გაუშვა, ისე პირწმინდად ამოკლერტა ეწერი“.

„ბატონის ხელში ხომ არა´ვარ, თვალის მოსატყუებლად ვიმუშავო!“ — გაიფიქრა მან, როცა უკანასკნელი ძირიც ამოაგდო და წარბებზე ჩამოწურული ოფლი მოიწმინდა.

ფეხზე ძლივს იდგა. შინ წასვლა დაეზარა და ღამის გასათევად ფარდულში დარჩა. ფარაჯის წახურვა ვერ მოასწრო, — მყისვე მოიტაცა იმ ბედნიერმა ძილმა, კაცი რომ დიდ დოვლათს შინ მიიტანს და ტკბილად დაიძინებს“.

ასე ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და საკუთარი შრომით მიღებულ სიამოვნებას იმის შეგნება, რომ სხვისთვის არ მუშაობს, მებატონეს არ მიაქვს მისი ნაამაგარი. ნამდვილად ამას გულისხმობდა ვ. ი. ლენინი, როცა ამბობდა, რომ სოციალიზმი შექმნის კაპიტალიზმზე გაცილებით მაღალ შრომის ნაყოფიერებასო.

მექი შემოდის ცხოვრებაში, მისი ნაბიჯი თანდათან მტკიცდება, უნდილი, მოუქნელი მოჯამაგირე თანდათან იჩარხება, თანდათან ფართოვდება მისი ინტერესების წრე. ზემოციხე უკვე ველარ აკმაყოფილებს მის გონებას, აზროვნებას.

„ — მასწავლე, თუ ძმა ხარ, მასწავლე! ერთი მეც გავიგო ამ ქვეყნის ამბავი...“ — მიმართავს ის ბაჭუა ვარდოსანიძეს. წერა-კითხვის შესწავლაშიაც გამოამჟღავნა მექიმ თავისი მტკიცე ხასიათი. ამ დღიდან დაწყებული ბაჭუასა და მექის კარავში, რომელიც ეწერში იდგა, ხშირად გათენებამდე ბოლავდა ჭრაქი. მთელი დღის მძიმე შრომის შემდეგ ბაჭუა ქართულ ანბანს ასწავლიდა მექის. პირველად მეტად ძნელი ეჩვენა ჭაბუკს ანბანის სწავლა, მაგრამ ნიჭიერმა, მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდამ რამდენიმე დღეში შეისწავლა ქართული წერა-კითხვა. მერე

ხარბად დაეწაფა წიგნების კითხვას, ღამეში ოთხი-ხუთი საათი ძლივს ეძინა, „მხოლოდ მისებრ მაგარ ჭაბუკს თუ შეეძლო ამდენი ჯაფისა და უძილობის ატანა“. მაგრამ მექის უდიდესი სტიმული ამოძრავებს, ქვეყნის შეცნობის სურვილი. ის უკვე გრძნობს, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხდება.

არტელი „კოლხეთის ცისკარი“ თანდათან ძლიერდება. პარტია და მთავრობა ზრუნავენ მასზე. კოლექტივის შესაძლებლობა თანდათან მატულობს, იზრდება მისი მოქმედების არე, მასშტაბი. ეს აძლიერებს მისი თვითეული წევრის რწმენას გამარჯვებისადმი, აათკეცებს მათს ენერგიას და შრომითს ენთუზიაზმს. იმერეთის პირველ კოლექტივს „კოლხეთის ცისკარს“ მთავრობამ ტრაქტორი გამოუგზავნა. კოლმეურნეობისათვის ხელსაყრელია ჰყავდეს თავისი ტრაქტორისტი. კურსებზე მექი ვაშაკიძეს აგზავნიან.

მწერალი დიდი ექსპრესიით აგვიწერს მექის გამომგზავრებას ქუთაისიდან, როცა ვაშაკიძეს პირველი ტრაქტორი მოჰყავს თავისი სოფლისაკენ. ეს სურათი მრავლისმეტყველია.

„კარგად გათენებული იყო, როდესაც მექიმ ქუთაისის რკინიგზის სატვირთო სადგურიდან ახალთახალი ტრაქტორი გამოიყვანა და პირდაპირ ზემოციხის გზას გაუყენა.

საჭეს რომ მიუჯდა, კინაღამ სიმღერა წამოიწყო, მაგრამ ქუჩაში ხალხი იყო, დიდი და პატარა ტრაქტორს მისჩერებოდა და მექიმ თავი შეიმაგრა.

ცდილობდა დინჯი, ცოტა მოწყენილი სახეც ჰქონოდა, ვითომდა მთელი ჩემი სიცოცხლე ამ ტრაქტორზე გამიტარებიაო. მაგრამ ორპირის ქუჩა რომ გათავდა, და ტრაქტორი მაღლაკის ველზე გავიდა, მექიმ გულში დაგუბებულ სიხარულს გზა მისცა.

— ხრიკუნიავ! — შესძახა მან და თავი ისე გაიქნია, თითქოს ვიღაცას დაემუქრაო: — ეს შენა ხარ, შე საწყალო მოჯამაგირევ, პირველი ტრაქტორი რომ მოგყავს შენს სოფელში?!

და მაშინ ამოსკდა გულიდან რაღაც უცნაური, ყვირილის მსგავსი სიმღერა.

ეს სიმღერა არ ჰგავდა არც ერთ სიმღერას, იმერეთში რომ ოდესმე თქმულა...“

დიახ, ასეთი სიმღერა მანამდე არ თქმულა, არც იმერეთში და არც არსად ქვეყანაზე! ეს მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, მუშებისა და გლეხების სახელმწიფოში იყო შესაძლებელი, რომ საუკუნეებით დაჩაგრული მშრომელი ახლა თავისი ბედიღბლის მმართველი გამხდარა და საკუთარი ცხოვრების მშენებელი.

მექის სიმღერა ძველი ქვეყნის მარწუხებისაგან თავდახსნის, კაცური კაცობის მიღწევის, თავისუფლების ენით გამოუთქმელი ჰიმნია. იგი ძლიერია, იგი უძლეველია!

ამის შემდეგ ბარნაბა საგანელიძის გოგოს თალიკოს თუ გაუკვირდება, მექი რომ „ყველაფერს პატრონობს", ისე იქცევა თითქოს მთელი სოფელი მისი იყოს, „სოფლის ბატონ-პატრონობას იჩემებს"; თალიკო საგანელიძეს თუ მოუკლავს გულს, რომ „ეს გრძნობა რაღაც ფარულ ზვიადობას ანიჭებდა მექის", რომ ჭაბუკს „შეუპოვარი სიარული" აქვს და „ურჩის გამოხედვა", რომ „მისი კილო შეუვალია, რადგან ასე მხოლოდ ისინი ლაპარაკობენ, ვის სიტყვასაც დაჯერება მართებს". მექის „ქუდიც კი ისეთ ყაიდაზე ახურავს", რომ არ მოსწონს ბობოლათა ნაშიერს. აი ასეთი კაცი შეიქნა მექი ვაშაკიძე, სოფლის ბატონ-პატრონი და თავის თავში დარწმუნებული, შეგნებული მშენებელი.

მექის ინტერესების არე თანდათან ფართოვდება. „კოლხეთის ცისკარი" აღარ კმაყოფილდება მარტოდენ სიმინდის კულტურით. მექი ნაეკლარის სუბტროპიკულ სადგურში სწავლობს კვლავ, ამჟამად ციტრუსების მყნობას, აღზრდასა და მოვლას. სწავლობს დიდი გულმოდგინებით და შრომისმოყვარეობით.

დიდი გულისყურით და მონდომებით ჰკიდებს ხელს მექი სანერგეში მუშაობას ნაეკლარის კურსების დამთავრების შემდეგ. იგი საგულდაგულოდ უკლის ყოველ ნერგს, ყოველ ნამყენს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს კოლმეურნეობას. შრომის ნაყოფი ხომ საერთოა, მექის პირად ინტერესს შეადგენს უკვე „კოლხეთის ცისკრის" ყოველი საქმე. როგორც ყოველი პირველად წამოწყებული საქმე, სანერგეც რთული მოსავლელია. მექი დიდ მონდომებას იჩენს და ენერგიულად, ნებისყოფის სიმტკიცით მიჰყვება საქმეს. ჭაბუკი ყურს უგდებს ყოველი ფოთლის ცახცახს, ყოველი ნერგის

ზრდას, ყოველ ნამყენ კვირტს. „იობის მოთმინება უნდა ჰქონოდა კაციშვილს, რომ ცხრაჯერ გამტყუნებული ნერგი მეათედ დაემყნა, დაემყნა იმ ვარაუდით, რომ შეიძლება ახლაც არაფერი გამოსვლოდა“. მაგრამ საქმის სიძნელე ვერ ტეხდა ჭაბუკს, მექის შეგნებული ჰქონდა თავისი შრომის მნიშვნელობა, არა მარტო ის, რომ დოვლათს ქმნიდა კოლმეურნეობისათვის, აქ კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხი იდგა. საქმე ეხებოდა გლეხობის კოლმეურნეობაში მოზიდვის ამოცანას. გლეხები თავიდანვე როდი მიდიოდნენ კოლექტივში უყოყმანოდ. პირიქით, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, უნდობლად უყურებდნენ მას. საჭირო იყო საქმით დარწმუნება. მექი ხშირად ესაუბრებოდა ასლან მარგველაძეს და კოლექტივში შესვლაზედაც ჩამოუგდებდა სიტყვას: „ — ერთი ხელი ხმას არ გაიღებს, ასლან, ორი ხელი კი ქვეყანას გააყრუებს! შემოდი, შე კაცო, რაღას უცდი!“ მაგრამ ასლანი ყოყმანობს, მას, „საქმემრავალს“ მარტო აგიტაციით ვერ დაარწმუნებ, იგი სწორედ საქმით უნდა გადმოიბირო, საქმით დაუმტკიცო კოლექტიური შრომის უპირატესობა. ამიტომ იყო, რომ სიძნელეები, რომელსაც მექი სანერგეში მუშაობისას ხვდებოდა, კიდევ უფრო უორკეცებდა ენერგიას, „რას არ იგონებდა, საიდან არ უვლიდა, რომ ჰირველი ნერგი დაემორჩილებინა და ურწმუნო გლეხების გული მოეგო“. ასე გააზრებულ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევა მექი. იგი უკვე იმდენად განვითარდა როგორც პიროვნება, რომ მოწინავეთა რიგებში დგება და აქტიურ მონაწილეობას იღებს კოლმეურნეობის მშენებლობაში, არა მარტო თავისი შრომით, არამედ უკვე როგორც ორგანიზატორი. ასეთია კოლექტივის, ხალხის ძალა, რომელიც ქმნის ახალი დროის გმირს მექი ვაშაკიძეს. მექი თავის მხრივ გულისყურით და მორიდებით, ვალდებულების შეგნებით ეკიდება თავის აღმზრდელ მშრომელ ხალხს და საკუთარი წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი საქმის წინსვლაში.

მექი ხალხთან კავშირში ამარცხებს კლასობრივ მტრებს, მათ დამქაშ „ყოჩაღ ბიჭს“ და ძველი ცხოვრების საშინელებათაგან სრულიად თავისუფალი ახალი ცხოვრების სარბიელზეა გამოსული.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მექი მკვეთრად დახატული სახეა და ერთ-ერთი კარგად დამუშავებული ხასიათი. კონსტანტინე ლორთქიფანიძე ღრმად იხედება ადამიანის სულში, კარგად იცნობს ცხოვრებას და დიდი ტაქტით ხატავს მექის სახეს, ავითარებს ამ გმირის ხასიათს. სიუჟეტის განვითარებას განაპირობებს მოვლენებისა და ხასიათების ურთიერთ მიმართება, ხასიათების ურთიერთდამოკიდებულება. ხასიათი ყალიბდება სხვა ხასიათებთან და მოვლენებთან მჭიდრო კონტაქტში. ნაწარმოების იდეა, სახეები და კომპოზიცია, როგორც ეს შეეცადეთ გვეჩვენებინა მექის მაგალითზე, განაპირობებენ ერთმანეთს. მექი ტიპიური ხასიათია და კანონზომიერია სოციალისტური საზოგადოებისათვის, ოღონდ უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ხარვეზიც ამ ხასიათის განვითარებაში.

შემოქმედებითი პროცესი რთული და მრავალმხრივი პროცესია. სინამდვილის ცხოველი შთაბეჭდილებანი, მათი სწორი მსოფლმხედველობრივი გააზრება, უამრავი დეტალის, მოვლენის, ხასიათის, დიდი და პატარა გმირების განაწილება, მათთვის კუთვნილი ადგილის მიჩნევა, სიუჟეტის განვითარების ვარიაციების გათვალისწინება, როდი თავსდება მარტო მწერლის ტალანტის ფარგლების შიგნით. ამას რომ ცხოვრების შესანიშნავი, ღრმა ცოდნა მივუმატოთ, მაინც კიდევ ვერ მივიღებდით კარგი მხატვრული თხზულების შექმნისათვის საჭირო პირობებს. ხალას ტალანტთან და ცხოვრების ღრმა ცოდნასთან ერთად მწერალს სჭირდება გულმოდგინე შემოქმედებითი შრომა. შემთხვევითი როდია, რომ „კოლხეთის ცისკარი“ წლების მანძილზე იხვეწებოდა მწერლის მიერ და სრულყოფილი ხდებოდა.

ავტორი, ალბათ, ყოველთვის იპოვის თხზულებაში დეტალს, ხასიათის ნიუანსს, სურათის რომელიმე მხარეს, რომლის სხვაგვარად, უკეთ მოცემა შეიძლებოდა.

ამ რთულ პროცესში — შემოქმედებით პროცესში მწერლისათვის ამოსავალია სინამდვილე. მაგრამ თხზვა მაინც სუბიექტური პროცესია, რადგან მხატვრულ ნაწარმოებში ობიექტური სინამდვილე გვეხატება სუბიექტში მისი ასახვის შემდეგ და მის დარად. აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწერლის მსოფლმხედველობას, როგორც უკვე ვთქვით, იგი იძლევა გასაღებს

სინამდვილის სწორი ასახვისათვის. მაგრამ შემოქმედებით პროცესს ახასიათებს კიდევ სხვა, მსოფლმხედველობისაგან დამოუკიდებელი ნიუანსები. მწერალი სინამდვილეს ითვისებს ძირითადად ცოცხალი შთაბეჭდილებებით, და ეს შთაბეჭდილებები ყოველთვის როდია თანაბარი ძალის, ან თანაბარ კვალს როდი სტოვებენ, როდი იწვევენ მწერლის სიმპათიებს ან ანტიპათიებს ერთგვაროვანი სიძლიერით. მკვლევარი აუცილებლად უნდა ღებულობდეს მხედველობაში აგრეთვე შემოქმედებითი პროცესის ფსიქოლოგიურ მხარეს, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, გავლენას ახდენს თხზულების იდეოლოგიურ-მხატვრულ მხარეზე.

ისეთ დიდ წიგნს, რომელსაც, ილიას სიტყვებით, ცხოვრება ჰქვია, შემოქმედი არ ითვისებს როგორც უბრალო მაყურებელი, ისტორიის გულცივი მემატიანე (თუმცა უნდა ითქვას, ძნელი აღმოსაჩენი იქნებოდა, ალბათ, მემატიანეც კი გულცივი), არამედ ის ცოცხალი ადამიანია, თავისი დროის მოქალაქე. მწერალი ყოველთვის ხედავს იმ გმირებს, რომლებიც მის თხზულებაში უნდა დაიხატოს, მას ყოველთვის ჰყავს თავისი საყვარელი გმირი, რომელიც განსაკუთრებით იზიდავს, აღელვებს მისი ბედი — ასეთებად „კოლხეთის ცისკარში“ შეიძლება რამდენიმე გმირი მივიჩნიოთ, უპირველესი მათ შორის მექი ვაშაკიძეა.

მწერლის გულთბილი, ნაზი დამოკიდებულება მექისადმი მეღავნდება თხზულების პირველი გვერდებიდანვე. რაღაც სიბრალულნარევი, ტკბილ-მწარე სიყვარულით უყვარს მწერალს მექი და ამავე გრძნობას იწვევს მკითხველში. იგი დიდი სიფრთხილით, გულისხმიერებით უკვირდება მექის სულის ყოველ მოძრაობას და ისე ხატავს მას. მწერალი იბრძვის მექისთან ერთად, აწუხებს მისი დარდი, გულს უკლავს მისი მძიმე მდგომარეობა და სურს გამოვიდეს იგი ამ მდგომარეობიდან, გახდეს ჩვენი ეპოქის გმირი. მწერლის ეს სუბიექტური სურვილი მისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს და სინამდვილის განვითარების ტენდენციებს ემთხვევა. მაგრამ მექით გატაცებული მწერალი ხანდახან ივიწყებს სხვა პერსონაჟების როლსა და მნიშვნელობას და მექის გმირული ბუნების გამოვლინებას

ზოგჯერ სხვისი დაჩრდილვის ხარჯზე აღწევს. ეს არ ხდება ხშირად, მაგრამ მაინც საკმაოდ აქვს ასეთ მოვლენებს ადგილი თხზულებაში.

ერთ-ერთი საპასუხისმგებლო სასოფლო კრების ჩატარებისას კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ზემოციხის პარტიული ხელმძღვანელი ტარასი ხაზარაძე სერიოზულ შეცდომებს უშვებს. რა თქმა უნდა, კომუნისტი ხელმძღვანელიც ადამიანია და ნაკლი მასაც შეიძლება ახასიათებდეს, შეუმცდარი არც ის იყოს, ოღონდ ეს მხატვრულად დამაჯერებელი უნდა იყოს და მოცემულ სიტუაციაში ფსიქოლოგიურად გამართლებული. მაგრამ ის, რომ ტარასიმ კრება ვერ მოამზადა, საუბარი არ ჩაატარა წინასწარ ღარიბ გლეხებთან, რომ ტარასი კრებაზე იბნევა და „გამოშიგნულ" სიტყვებს ამბობს, მხატვრულადაც დაუსაბუთებელია და ფსიქოლოგიურადაც გაუმართლებელი. ეს მწერალს დასჭირდა იმისათვის, რომ შეექმნა გამოუვალი მდგომარეობა და ამ მდგომარეობიდან მექის ეხსნა „კოლხეთის ცისკარი". მთელ ამ კრებაზე მიმდინარე ბრძოლას დასკვნას უკეთებს ბარნაბა საგანელიძე: „მექიმ ჩაუდგა სული კოლექტივის ხალხს, თორემ სატურიას ჭალაში მათი ლანდიც ვერ გაიჭაჭანებდა. მაჯობა. სამაგიერო გადამიხადაო".

ერთ მომენტში მწერალი მთელ კოლექტივსაც კი უპირისპირებს მექის: „მექი წუხდა, რომ კომკავშირის უჯრედი და ტარასი ასე ზრუნავდნენ მასზე. იგი არ იყო შეჩვეული ამგვარ მოპყრობას და აღარ იცოდა, ამდენი სიკეთე როგორ გადაეხადა მათთვის. ნატრობდა ერთი ისეთი შემთხვევა გამოსჩენოდა, მათი პატივისცემიდან ერთბაშად ამოსულიყო.

ნატვრაც მალე შეუსრულდა. ტარასიმ ფართოდ გაშალა ხელი და ჭიორას ეწრებში რამდენიმე ქცევა ჯაგნარის გაკაფვა და ამოძირკვა გადასწყვიტა. ბოლო დროს „კოლხეთის ცისკარს" შვიდი უმიწაწყლო გლეხი შემოემატა და მიწა აღარ ყოფნიდათ.

რა რიგ გაუხარდა მექის, როცა კოლექტივის წევრებმა ტარასის წინადადება უარჰყვეს.

ჯაგნარში მუშაობას მე ვკისრულობო, გაუბედავად წამოიძახა მან.

მექის მოულოდნელი სიტყვა არც უშვერიძეს მოეწონა, არც გიგუცი უკლებას... დანარჩენებმაც ცერად გადახედეს...

მხოლოდ ბაჭუა ვარდოსანიძემ დაუჭირა მხარი განაპირებულ მექის და მეორე დღესვე იმ ტურების საბუდარს ორი კომკავშირელის გამგელებული ნაჯახი და წალკატი ეძგერა". მაგრამ მექის გამოჩენის სურვილით გატაცებულმა მწერალმა ბაჭუაც არ შეიწყნარა. ბაჭუამ მხოლოდ საღამომდე გაუძლო მძიმე შრომას. „არა, ჩემო ძმაო, მე ამ ეწერს ვერ შევეწირები! ხვალიდან აქ ჩემი ლანდი აღარ იქნება! — წაიბურდღუნა ბაჭუამ და გზას გაუდგა.

მეორე დილას მექი მარტო ჩავიდა ეწერში. ჩემი ერთგულება ახლა უფრო გამოჩნდებაო, ფიქრობდა იგი და გულში კიდეც უხაროდა, რომ მარტო დარჩა".

საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში მართლაც როდი იყო თავდადებული შრომა მთელი კოლექტივის ან მნიშვნელოვანი ჯგუფის დამახასიათებელი. დამკვრელური და სტახანოვური შრომა ფართო კოლექტივის თვისება ხდება შემდგომი პერიოდისათვის და ეს პროცესი აისახა კიდეც შემდგომი პერიოდის საბჭოთა რომანებში. პირველ საფეხურზე კი დამკვრელურ შრომას ერთეული ადამიანები ეწეოდნენ. ასევეა ეს მომენტი ასახული მ. შოლოხოვის „გატეხილ ყამირშიც", სადაც დამკვრელური შრომის წამომწყები კონდრატე მაიდანნიკოვია. ოღონდ მაიდანნიკოვს როდი უხარია, გრემიაჩი ლოგელები ჯერჯერობით მხარს რომ არ უჭერენ მას.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კ. ლორთქიფანიძეს შეუძლია ღრმად ჩაიხედოს ადამიანის სულში და შეამჩნიოს მისი მოძრაობის მცირედი მიმოხრაც კი, მაგრამ ეს როდი გამოსდის მას ყოველთვის თანაბრად. მაგალითად, ჩვენ არ მიგვაჩნია მექის ხასიათისათვის კანონზომიერად ის ეპიზოდები, როცა მექი ცდილობს თალიკოს ყურადღება მიიქციოს და უკან დასდევს ქალს (ცეკვა, ჭალაში შეხვედრა და სხვ.). საფიქრებელია, რომ მექის ამის უფლებას არ მისცემდა თავისი მორიდებულობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ყოველთვის აშკარად გრძნობდა ქალის დაცინვას.

ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომელიც ქართულ სალი-

ტერატურო კრიტიკაში გამოითქვა და რომლის მიხედვით „კოლხეთის ცისკარის“ სამიჯნურო კოლიზიას სიძველის სუნი უდის და სამიჯნურო სამკუთხედი პერსონაჟებს შორის ცნობილი შაბლონის მიხედვით არის განაწილებული. პირიქით, სიყვარულის გრძნობის იმ ასპექტში ხილვა, როგორც ეს „კოლხეთის ცისკარში“ გვხვდება, სოციალურ სიმკვეთრეს აძლევს მას. აქ თემატიკურად იმავე საკითხს აყენებს კ. ლორთქიფანიძე, რასაც ი. ჭავჭავაძე თავის „ოთარაანთ ქვრივში“. ძირითადად ორივე თხზულებაში ერთნაირად წყდება ეს პრობლემა — „უმცროს-უფროსობაში სიყვარულის ხიდი არ გაიდება“. ოღონდ ორივე ნაწარმოებში თავს იჩენს თავიანთი ეპოქის დამახასიათებელი კონკრეტული რეალიები. თუმცა კესო ვერ მიუხვდა გიორგის გულისთქმას და ვერ შეიყვარა ის, მაგრამ მიუხედავად მთელი უფსკრულისა მათ შორის, სიძულვილამდე არ მისულა მისი დამოკიდებულება გიორგისადმი. „კოლხეთის ცისკარში“ კი კლასობრივი ბრძოლის გამძაფრების პერიოდისათვის თალიკოს არათუ არ შეუძლია შეიყვაროს მექი, არამედ ამ ჭაბუკში თავის მოსისხლე მტერს ხედავს და უაღრეს სიძულვილს აღწევს მისი გრძნობა.

ოღონდ, ჩვენის აზრით, გაუმართლებელია ის, რომ თითქო კოლმეურნეობაში მექის წარმატებით მუშაობის სტიმულს თალიკო აძლევდა. „თალიკომ უნდა გაიგოს, რომ მე არც ისე ხელწამოსაკრავი ვარ, როგორც მას ჰგონია!“ — ფიქრობდა იგი, დღე და ღამეს შრომაში ასწორებდა, რომ სახელი გაეთქვა და ქედმაღალი ქალი მოეტეხა“. და შემდეგ: „სანერგეს თავს აკლავდა, წიგნებთან ათენებდა, კოხტადაც იცვამდა, — და თითქოს ყველაფერს იმიტომ აკეთებდა, რომ... თალიკოს მოსწონებოდა...“

ეს არ არის სწორი. მექის შრომის პათოსი ჩაქსოვილი უნდა იყოს იმ დიდ გრძნობაში, რომელსაც ეწოდება თავისუფლების გრძნობა. მექის ეს თავისუფლება ხალხმა — კოლექტივმა, პარტიამ მიანიჭა, მათ დაიხსნეს მონური ყოფისაგან. ბუნებრივია, მექის აღმაფრთოვანებელი შრომაში სრულიად სხვა ძალებია, ვიდრე უმადური თალიკოს უიღბლო სიყვარული.

ყოველივე ეს რეალისტურადაა ასახული რომანში, და ახ-

ლა გიკვირთ რათ დასჭირდა მწერალს ხელმეორედ მექის შრომის ენთუზიაზმის სტიმულად თალიკოსადმი მისი სიყვარული დაესახა. და ბოლოს, მოხდა ცვლილებები და გარდატეხა მექის ხასიათში, შეიძინა მან ყველა ადამიანური თვისება, მასთან ადამიანური სიამაყის გრძნობა, თავისუფლების გრძნობა, რომლებიც ვერ მოითმენენ ვინმეს მიერ დაცინვას, აბუჩად აგდებას. მექი ხომ უკვე კომკავშირში მიღებისას მიხვდა, რომ მან „რაღაცაში. აჯობა თალიკოს". საფიქრებელი იყო, რომ ამ ხაზს განავითარებდა მწერალი და ფინალში თალიკოსთან დაცილებისათვის მექის როდი დასჭირდებოდა ქალის მუხანათობის ერთბაშად გამოვლინება, არამედ ლოგიკურად მივიდოდა დაშორებამდე. სამწუხაროდ, მექის გულში არ ღვივდება თანდათანობით ეს უპირატესობის გრძნობა. მწერლის სიტყვით, თითქო იმიტომ, რომ მექის არ ჰქონდა საშუალება თალიკოსა და მისი სიყვარულის ამბავს ჩაფიქრებოდა, რადგან „დღე ცისმარე მოუცლელი" იყო. მაგრამ მწერალმა იცის, რომ შეყვარებული ჭაბუკი დღედაღამ ფიქრობს თავის სატრფოზე და იძულებულია იქვე დასძინოს: „მექი დღედაღამ ფიქრობდა თალიკოზე". ასე რომ ჭაბუკის მოუცლელობის საბუთი აქ არ გამოადგა მწერალს.

და ძაინც, როგორი მნიშვნელოვანიც. არ უნდა იყოს ეს ნაკლოვანებები, მექი ვაშაკიძე დადებითი გმირის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრული სახეა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

„კოლხეთის ცისკარი" მრავალი კუთხით აშუქებს ერთ ძირითად იდეას: საბჭოთა ეპოქაში, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში ხორციელდება ადამიანის ყველაზე სანუკვარი ოცნებები, ადამიანი ხდება უდიდესი შემოქმედი ძალა. ჩვენ ეს უკვე ვნახეთ მექის მაგალითზე. ამავე ხაზით აშუქებს მწერალი აგრონომ ლ. გეგელიას ცხოვრებას.

ქართულ საზოგადოებას მუდამ ჰყავდა შესანიშნავი მოწინავე ადამიანები, რომლებიც თავიანთ სასიცოცხლო იდეალებს ქართველი ხალხის სამსახურს უკავშირებდნენ. ერთი ამათგანი იყო აგრონომი ლ. გეგელიაც. ის, როგორც განათლებული კაცი, ითვალისწინებდა იმ უდიდეს შესაძლებლობას,

რომელიც მის სამშობლოს გააჩნდა და თვლიდა, რომ უფლება არ ჰქონდა არ გამოდგომოდა თავის ქვეყანას. იგი მიზნად ისახავდა მაღალხარისხოვანი სუბტროპიკული კულტურების დანერგვას საქართველოში და, რაც მთავარია, ამოძრავებდა იდეა, რომ ყველა სიკეთე, რომლის მოტანა შეეძლო მადლიან ქართულ მიწას, ხალხს გამოდგომოდა. „ჩვენში არა მარტო სიმინდის, მრავალი ძვირფასი სუბტროპიკული მცენარის გაშენება შეიძლება. იმერელი გლეხი კი მხოლოდ სიმინდსა სთესავს ამ ოქრო მიწაზე. ჩვენებურ ეწერში სიმინდი ცოტა მოდის, არც ხეხილი და ვენახი გვარობს რიგიანად და... ბევრი ღარიბი იმერელი ლაქიად გარბის რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში... მაშინ როცა ამ დალოცვილი მიწის გამო... საიდან სად მოსულან უცხოელები“ — ეუბნება გეგელია მამამისს.

მაგრამ ყველა კეთილშობილი მისწრაფების განხორციელებისაკენ გზა გადაკეტილი იყო ძველ დროს. ლ. გეგელიას მიზნების ხორცშესხმა შეუძლებელი აღმოჩნდა და თავისი სანუკვარი ოცნებები მისივე დაცინვის საბაბი გახდა, ქვეყნისათვის თავდადებულმა პატრიოტმა „ჩაი რამას“ ყბადაღებული სახელი „დაიმსახურა“. ლ. გეგელია გულისტკივილით უყურებს უცხოელების მიერ თავისი ქვეყნის ძარცვას და უარს ამბობს მათთან სამსახურზე, „ყველაფერი ფულით არ აიწონებაო“.

აგრონომის ოცნებები თანდათან ჩაიფერფლა და თვითონაც როგორც ადამიანი გამოიფიტა საბრძოლო მიზნის უქონლობის გამო. ყველაფრისადმი უინტერესო გახდა და ერთფეროვან, მოსაწყენ ცხოვრებას ეწეოდა, „მხოლოდ ერთს ნატრობდა: რაც შეიძლება უშფოთველად მოსულიყო სამარის კარამდე...“

მაგრამ აი საბჭოთა საქართველოში გაჩაღდა აღმშენებლობა. ქვეყნის პირველი მშენებლები უდიდესი ენთუზიაზმით შეებნენ საქმეს. აშენდა ზაჰესი, აწჰესი, გურიაში ოზურგეთამდე გაიყვანეს რკინიგზა, აშენდა მრავალი საქსოვი და სართავი ფაბრიკები, მაუდის ფაბრიკები თბილისში და ქუთაისში, საგრენაჟო ფაბრიკა ხონში, „ქუთაისის მახლობლად სოფელ ნაეკლარში სუბტროპიკული და ძვირფასი მცენარეების საცდელი სად-

გური მოეწყო". ამ ცნობამ ააღელვა ლადო — „კომუნისტები აგრონომის ოცნებას ანხორციელებდნენ!"

გეგელია მთელი არსებით ებმება ახალ საქმეში. ადრინდელი ოცნების ფრთების შესხმამ შეცვალა თვით მოხუცი. იგი, უსიცოცხლო, უღიმღამო არსება, გახადა სიცოცხლის მოყვარულ, „ვერცხლისწყალივით მოუსვენარ" ბერიკაცად. როცა საარსებო იდეა იპოვა ადამიანმა, როცა თავისი თავი ზედმეტ ბარგად აღარ მიაჩნია, არამედ საზოგადოებისათვის, სამშობლოსათვის გამოსადეგ პიროვნებად, მისი ცხოვრება ხდება შინაარსიანი, სისხლსავსე. თანდათან ცოცხლდება ლადოში ის შრომისმოყვარეობა, რომელიც თავიდანვე, როგორც ადამიანში მოცემული იყო მასში, მაგრამ კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულმა საზოგადოებრივმა წყობილებამ ჩაკლა ახალგაზრდა აგრონომის საარსებო მიზნებთან ერთად.

ახლა ტარასიმ ვერც კი იცნო იგი.

ლადოს „ჩაცვივნული, სანთლისფერი ლოყები ისევ ავსებოდა. გატკეცილ პირისკანზე ნაოჭები წაშლოდა და მხოლოდ მკრთალი ხაზები-ღა ჩასდევდნენ ვარდისფრად გაღვივებულ სახეს. ეს კიდევ არაფერი. ტარასი მოხუცის თვალებმა განაცვიფრეს. შიგ ისეთი ეშმაკუნები ესხდნენ, თითქოს ეს დროული კაცი აგერ-აგერ მოგეპარება და რაიმე ოინს გიზამსო".

კონსტანტინე ლორთქიფანიძე პორტრეტის საშუალებითაც აღწევს იმ უდიდესი ცვლილების გადმოცემას, რომელიც ადამიანში მოხდა.

საერთოდ კ. ლორთქიფანიძე მოხდენილად იყენებს პორტრეტს, როგორც მოქმედ გმირთა ჩვენების ერთ-ერთ მხატვრულ ხერხს, თავისი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესხმის რელიეფურ საშუალებას. მექი ვაშაკიძის მოჯამაგირეობისდროინდელი პორტრეტის შედარება შემდგომ მექისთან დიდ განსხვავებას იძლევა, არა მარტო იმიტომ, რომ მექი მომწიფდა ფიზიკურად, არამედ უფრო ჭაბუკის სულიერი ზრდის გამო.

ასევე სულიერმა გადახალისებამ გამოიწვია აგრონომ გეგელიას გარეგნობის შეცვლაც.

„— გზაზე რომ შემხვედროდი, ვეღარ გიცნობდი, — უთხრა ტარასიმ.

„მეც ვეღარ ვცნობ, ტარასი, ჩემ თავს! ჩემი წირვა გამოსულ მეგონა, მაგრამ, ხედავ, ბედმა არ გამწირა!“

„ბედმა თუ ჩვენმა პარტიამ?“ — გაუცინა ტარასიმ.

— თქვენმა პარტიამ, ჩემო ტარასი! ჩვენმა პარტიამ... ცოტა გაუბედავად დაუმატა მოხუცმა და სტუმარს გულმართლად გაუღიმა“.

ლადო გეგელიამ არ იცის პარტიის პროგრამა და წესდება, არც კომუნისტური პარტიის თეორიულ საგანძურს იცნობს. მაგრამ ის მისი პარტიაცაა, რადგან უდიდეს აღმშენებლობას ეწევა, აყვავებს ქვეყანას, „ხრიოკები ბაღებად აქცია“, ქმნის საბჭოთა ადამიანების ბედნიერ მომავალს. ლადო უპარტიო კომუნისტია.

ასე უკავშირდება ჩვენს სინამდვილეში უბრალო ადამიანებისა და ჩვენი პარტიის მიზნები და ამოცანები ერთმანეთს, ასე მიჰყავს ჩვენს პარტიას საბჭოთა ადამიანები ბედნიერებისაკენ, ასე გარდაქმნის ის ადამიანებს საზოგადოების სასარგებლო წევრებად, ჩააყენებს მათ საზოგადოების სასარგებლო შრომაში და აქცევს შემოქმედ ძალად.

მოხუცი აგრონომი ლადო გეგელია ჩვენი ეპოქის დადებითი გმირი გახდა.

„კოლხეთის ცისკარი“ მჭიდროდაა დასახლებული პერსონაჟებით. როგორც დადებითი გმირები, აქედან უნდა აღინიშნოს ბაჭუა ვარდოსანიძე, კირილე მიქაძე, გიორგი ჯიშკარიანი, უშვერიძე, ასლან მარგველაძე და სხვ.

ყველა ეს გმირი თავიანთ ისტორიულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, საბოლოო ანგარიშით, უდიდეს დადებით საქმეს ემსახურებიან და ხდებიან პარტიის პოლიტიკის დასაყრდენ ძალად სოფელში.

ბაჭუა ვარდოსანიძე, ზემოციხის კომკავშირლების მეთაური, ტარასი ხაზარაძის ერთგული თანაშემწეა კოლმეურნეობის მშენებლობის და სხვა ყოველგვარ სასოფლო საქმეში. კირილე მიქაძე, გიორგი ჯიშკარიანი, ბეჟან უშვერიძე პირველი კოლექტიველები არიან, რომლებზეც დაყრდნობითაც ტარასი ხაზარაძე საფუძველს უყრის დიდ საქმეს.

დადებითი გმირის პრობლემა და „გვადი ბიგვა“

დადებითი გმირის ასახვა აუცილებელი არ არის ყველა ნაწარმოებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ის მთლიანად საბჭოთა ლიტერატურის მთავარი გმირია.

სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოები უნდა შეფასდეს იმისდა მიხედვით თუ რით ეხმარება ის ჩვენი საზოგადოების წინსვლას, რა საზოგადოებრივ დანიშნულებას ასრულებს. როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, ამ მიზანს ის აღწევს როგორც დადებითი მაგალითის ძალით, ისე უარყოფითის უარყოფით, უარყოფითი ესთეტიკური შეფასების ძალით.

ცნობილია ლენინის აზრი იმის შესახებ, რომ მხატვრული ლიტერატურა ყველაზე ნაკლებად ემორჩილება მექანიკურ ნიველირებას, შტამპებს. სხვადასხვა ხელოვანი სხვადასხვა კუთხით ხედავს სინამდვილეს. აქ ლაპარაკი არ არის, რა თქმა უნდა, მსოფლმხედველობის სხვადასხვაობაზე, არამედ, ვიმეორებთ, მხატვრული ტალანტის ინდივიდუალობაზე. ერთი ხელოვანი ერთი მოვლენითა და ტიპების გარკვეული რიგით ინტერესდება, მეორე — მეორეთი. ჰეშმარიტ ხელოვანს გადმოცემის თავისებური, განუმეორებელი მანერა აქვს, თუნდაც ეს სხვაობა ნიუანსობრივი იყოს. და ბოლოს, შეუძლებელია ცხოვრების ყველა მოვლენა, ყველა ტიპი ასახოს ხელოვანმა ერთ ნაწარმოებში.

ობიექტური სინამდვილის ფაქტები, ადამიანები და გარემოებანი, მწერალზე ახდენენ შთაბეჭდილებებს, გავლენა აქვთ მის შინაგან ცხოვრებაზე. ჩვეულებრივ, მწერლის საგანგებო ინტერესს აღძრავს ხოლმე ცხოვრების რომელიმე მხარე, რო-

ბელიც მაპზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენს და წარმოიშვება მასში გარკვეული იდეა. ერთი სიტყვით, იდეის ჩამოყალიბება წინ უსწრებს მხატვრულ ნაწარმოებზე მუშაობის დაწყებას. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს მწერალი თავისი აზრებისა და იდეების საყვირად აქცევდეს გმირებს (ამას მარქსი ნაწარმოების შილერიზებას უწოდებდა). იდეა ნაწარმოებში გამოიხატება როგორც გმირების გარკვეული ურთიერთობა. ოღონდ ასასვა რთული და მრავალხვეულიანი პროცესია, იგი „სპირალურად მიემართება" (ლენინი). ობიექტური სინამდვილის ადამიანები და გარემოებანი მწერალზე ახდენენ შთაბეჭდილებებს, გავლენა აქვთ მწერლის შინაგან ცხოვრებაზე და წარმოშობენ გარკვეულ იდეებს. აქედან უნდა გავიგოთ, რომ ეს იდეები მწერლის სუბიექტური იდეები კი არ არიან, არამედ ობიექტური გარემოსაგან მომდინარენი, სუბიექტის აზროვნებაში არეკლილნი. „... წარმოსახვა ქმნის იმას, რასაც მას უკარნახებს სინამდვილე, მასში კი (წარმოსახვაში) თამაშობს არა უნიადაგო, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი ფანტაზია, არამედ... სრულიად რეალური მიზეზები"... [1] რამდენადაც ეს ანარეკლი იქნება სინამდვილის ადეკვატური, რაც მსოფლმხედველობის ჭეშმარიტებაზეა დამოკიდებული, მით უფრო ჭეშმარიტი და სრულფასოვანი იქნება მწერლის მიერ დასახული ნაწარმოების იდეა, თუ მას მწერლის მხატვრული ტალანტი შესატყვის მხატვრულ ფორმას მოუძებნის. ჩამოყალიბდება რა ეს იდეა, შემდეგ მას ერთგვარი წესრიგი შეაქვს იმავე ტიპებისა და ფაქტების ასახვაში, რომლებმაც არსებითად წარმოშვეს ეს იდეა ხელოვანში. ხელოვანი განალაგებს მათ იმნაირად, რომ კიდევ უფრო მკვეთრად გამოიხატოს სინამდვილის მიერ მასში წარმოქმნილი აზრი. ამიტომ ზოგ ფაქტს, ასე ვთქვათ, „შეალამაზებს", შეცვლის, ზოგ პერსონაჟს ნიუანსობრივად განსხვავებულ სახეს მისცემს. ამ გზით უნდა მიიტანოს მან იდეა მკითხველთან. ხელოვანს აქვს მიზანი გამოთქვას სინამდვილეზე თავისი აზრი, მკითხველში გამოიწვიოს გარკვეული გრძნობა, სიმპათია თუ ანტიპათია ასახული ობიექ-

[1] მ. გორკი, ლიტერატურის შესახებ, 1953 წ., გვ. 700.

ტისადმი, განაცდევინოს მკითხველს თუნდაც მცირე ნაწილი იმისა, რაც თვით განიცადა. ზოგიერთები ამბობენ, თითქოს ხელოვანის მიზანი, როცა ის ნაწარმოების თხზვას იწყებს, კარგი ნაწარმოების შექმნა არისო და სხვა არაფერი. ასეთი დებულება გვაბრუნებს ფორმულისკენ: „ხელოვნება ხელოვნებისათვის". კაცს, რომელიც ქოხს აშენებს, გულისყური იქითკენ აქვს მიმართული, რომ სახლი კარგი ააშენოს, მაგრამ ვის მოუვა აზრად, რომ სახლს ისე, შენების გულისათვის აშენებდეს ადამიანი. კაცი, რომელმაც სახლი ააშენა, ფიქრობს შიგ იცხოვროს, ან სხვაგვარად გამოიყენოს. ჭეშმარიტი ხელოვანი როცა რაიმეს ქმნის, ნამდვილად განიცდის მას. მწერალს აღელვებს სინამდვილე და უნდა თავისი სიტყვა თქვას. ხოლო თუ ხელოვანი თავის ნახელავს ისე უყურებს, როგორც დამოუკიდებელ, თვითმიზნურ ქმნილებას, ასეთ თხზულებას აკლია სული, რადგან მოკლებულია მოქალაქეობრივ მოტივებს, დაკარგული აქვს ყოველივე საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ესთეტიკური კი, — არ არის საზოგადოებრივის გარეშე.

ყოვლად მიუღებელია აზრი იმის შესახებ თითქო ხელოვანი ცოცხალ შთაბეჭდილებებს, გარემოებებს, ტიპებს აღბეჭდავდეს იდეური გააზრების გარეშე.

ადამიანი არაფერს არ აკეთებს წინასწარი გააზრების გარეშე, და სწორედ ეს მიაჩნია მარქსს ადამიანის ერთ-ერთ მთავარ განმასხვავებელ თვისებად სხვა ცოცხალ არსებათაგან. მარქსს მოჰყავს ფუტკრის მაგალითი. ფუტკარი დიდი ოსტატობით აკეთებს თავის ფიჭას, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის ინსტინქტურად ასრულებს ამ სამუშაოს, წინასწარ გაუაზრებლად. ადამიანი კი წინასწარ გაიაზრებს ყოველივე იმას, რაც უნდა შექმნას. სხვაგვარად, მარქსის აზრით, წარმოუდგენელი იქნებოდა ადამიანის დამქანცველი შემოქმედებითი შრომა, რომელიც ხელოვნების უდიდეს ნაწარმოებებს ქმნის.

რა თქმა უნდა, სრულიად არ არის სავალდებულო ჩანაფიქრისა და განხორციელებული შედეგის ადეკვატური დამთხვევა. ვინც შემოქმედებით პროცესს იცნობს, იცის, რომ ხელოვანის შრომის პროცესში მრავალ „შესწორებას" განიცდის ადრევე ჩამოყალიბებული იდეა.

ერთი სიტყვით, სანამ მწერალი ხელში კალამს აიღებდეს, მანამდე მთელი რიგი პროცესებისა თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს ხელოვანში. ცოცხალი ფაქტების ზეგავლენა იწვევს მწერლის აღტაცებას, სიხარულს, სიძულვილს, ზიზღს და სხვა... გონება გაიაზრებს ობიექტური სინამდვილის ფაქტებს, ადამიანების ტიპებს ისტორიულ ვითარებაში. და სხვა მრავალი კალმის მიერ აუწერელი პროცესი უნდა გაიაროს მწერლის გრძნობამ და გონებამ, სანამ წერას შეუდგებოდეს შემოქმედი.

საქმე ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს მწერალი თავისი სუბიექტური მისწრაფებების მიხედვით ასახავდეს ცხოვრებას. როცა მწერალზე ზემოქმედებს გარემო, ხელოვანში აღიძვრის სურვილი გამოხატოს იგი. შემდეგ მოქმედებს ის ცხოვრებისგანვე დაბადებული სურვილის მიხედვით. მაგრამ გარდა იმისა, რომ შემდეგ თავს იჩენს ხელოვანის ინდივიდუალური თავისებურებანი, ცხოვრების ყოველმხრივ ასახვა შეუძლებელია ერთ ნაწარმოებში. მწერალი შეგნებულად წამოსწევს წინ იმ მოვლენას, ტიპებს, რომლებიც მას ყველაზე მეტად აინტერესებს ამ შემთხვევაში. რა თქმა უნდა, მათ კი არ აცალკევებს სხვა მოვლენებისაგან, ტიპებისაგან, მაგრამ მიზნად ისახავს ყველაზე მკაფიოდ და ნათლად ეს ტიპი, ეს მოვლენა დაგვიხატოს.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ცნობილი ქართველი მწერლის ლ. ქიაჩელის რომანი „გვადი ბიგვა". რა არის რომანის ძირითადი პრობლემა?

ლ. ქიაჩელი მხატვრული პროზის ცნობილი ოსტატია, მისი შემოქმედებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ნაწარმოებში მკვრივი, ჩამოსხმული სიუჟეტი, რომელშიაც მკაფიოდ ვლინდება ნაწარმოების იდეა. მწერალი თხზულების ფოკუსში აქცევს მთავარ პრობლემას და თითქოს პროჟექტორით ანათებს მას. „გვადი ბიგვა" ერთ ძირითად სიუჟეტურ ხაზზეა აგებული და სხვა ყველაფერი იმდენადაა ასახული, რამდენადაც უკეთ გააშუქებდა ამ ძირითად პრობლემას. ეს არის ძველი ჩვეულებებით, დრომოჭმული მსოფლშეგრძნებით აღჭურვილი ადამიანის გარდაქმნა ჩვენი რევოლუციური სინამდვილის მიერ. ეს

პრობლემა განსაზღვრავს კონფლიქტებს, სიუჟეტს და თხზულების ყველა მხატვრულ საშუალებას. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის სახეთა როლის განაწილება, ტიპების ურთიერთმიმართება. რადგან აქ პირდაპირ არ ისმის დადებითი გმირის პრობლემა, არამედ უარყოფითზე ჩვენი საზოგადოების გარდამქმნელი ზემოქმედებაა მწერლის ყურადღების ცენტრში, რომანის ცენტრში, წინა პლანზე გვადი ბიგვა გვეევლინება.

მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის, როგორ გვეხატება ასეთ ნაწარმოებში დადებითი გმირი, რა ასპექტში გვეევლინება ახალი ადამიანი?

გვადი ბიგვა ცოცხალი ადამიანია, და იგი მარტო არ ცხოვრობს ქვეყნად, იგი საზოგადოების წევრია. მისი ცხოვრება მოუშორებლადაა დაკავშირებული საზოგადოებასთან, საზოგადოებრივ მოვლენებთან, საზოგადოების სხვა წევრებთან, სხვა ხასიათებთან, რომელთა ზემოქმედების შედეგადაც ხდება მისი ხასიათის ძირფესვიანი გარდატეხა. ამის გამო, მარტო გვადის გარდაქმნის პროცესს რომ დავაკვირდეთ, უკვე შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ იმ საზოგადოებაზე, რომელშიაც მას უხდება ცხოვრება.

ლ. ქიაჩელს არ უყვარს ზედმეტი სურათების ხატვა და სცენაზე ზედმეტი პერსონაჟების გამოყვანა, რომლებიც ნაწარმოების იდეას არ ემსახურებიან. არც არის საჭირო! ნაწარმოებში დადებითი უნდა გამოჩნდეს მხოლოდ ნაწარმოების იდეასთან დაკავშირებით. დადებითი უნდა გვიჩვენოს გვადის გარდაქმნის პროცესმა. „გვადი ბიგვაში“ დადებითია ყველა ის, რაც ხელს უწყობს გვადისა და მისთანების გარდაქმნას.

გვადის გარდაქმნა არ მოხდებოდა სოციალისტური საზოგადოების გარეშე. იგი სოციალისტური საზოგადოების შენების პროცესში გარდაიქმნა. „გვადი ბიგვას“ მთავარი დადებითი გმირი ხალხია.

გვადის გარდაქმნა არ არის რამდენიმე დღის საქმე, იგი მზადდებოდა წლების მანძილზე, საზოგადოების თანმიმდევრული ზემოქმედების საფუძველზე, ხოლო ის ზემოქმედებანი, რომელსაც თხზულების მიხედვით განიცდის გვადი ბიგვა და რომელმაც გარდატეხა მოახდინა მის ხასიათში, ძლიერი, მაგ-

რამ უკანასკნელი ბიძგია მისი გარდაქმნის გზაზე. და მაინც „ამ უკანასკნელ ბიძგებს“ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ გვადის ხასიათის განვითარებისათვის.

გვადი ბიგვა არ არის გაუსწორებელი კაცი. იგი ძველ საზოგადოებაში „საუკუნეებით გაფუჭებული ადამიანური მასალაა“ (ლენინი), რომელიც უნდა გადაახალისოს სოციალისტურმა საზოგადოებამ და ჩააბას კომუნიზმის მშენებლობაში.

გვადი ბიგვაში თავიდანვე მოცემულია ადამიანური მორალის დადებითი საწყისები, რომელსაც ებრძვის ამავე ხასიათში გაბატონებული გაიძვერული, ყალთაბანდური თვისებები, რომლებიც ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში აღმოცენდა და „განვითარდა“ და „მემკვიდრეობით“ აქვს მიღებული გვადი ბიგვას. ამ თვისებების წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, საჭიროა გვადი ბიგვაში ადამიანის გაღვიძება. აქეთკენაა მიმართული გერა ბიგვას ყველა ცდა. გერას სწამს ადამიანის სიკეთე და დარწმუნებულია მის სრულ გამარჯვებაში. იგი ცდილობს სრულფასოვან ადამიანად გარდაქმნას გვადი.

„შარშან გერამ გვადი მწყემსადაც არ დანიშნა, დაიწუნა. უფეხო პახვალას ენდო და ის დააწინაურა“. გერა ალბათ ფიქრობდა, რომ ეს იმოქმედებდა გვადიზე: დაინახავს, რომ მას არ ენდობიან, ცუდ კაცად თვლიან და იქნებ მოინდომოს მუყაითი შრომით ამ უნდობლობის გაქარწყლება და საზოგადოებაში ავტორიტეტის მოპოვება. მაგრამ გერას ეს განაფიქრი არ გამართლდა: გვადი მაინცდამაინც დიდად არ შეუწუხებია ამ ამბავს და ძველი გზიდან არ გადაუხვევია. ახლა გერამ შეცვალა მასზე ზემოქმედების ხერხი. მიუხედავად იმისა, რომ გვადი გაურბის კოლმეურნეობაში შრომას და გაიძვერობს, მაინც შეიტანეს იმათ სიაში, ვისაც ოდა უნდა აუშენონ. ამან გავლენა იქონია, რა თქმა უნდა, გვადიზე. მაგრამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა მისმა არჩევამ სოცშეჯიბრის შედეგების შემმოწმებელ კომისიაში, მოხდა გვადისათვის დაუჯერებელი ამბავი.

სანარიელებთან შეხვედრის სცენა, სადაც გვადი ბიგვა გერამ კომისიის შემადგენლობაში დაასახელა, ყველაზე ძლიერი ადგილია რომანში. ქიაჩელი დიდი ტაქტითა და ფსიქოლოგიუ-

რი სიღრმით გადმოგვცემს გვადი ბიგვას სულიერ მღელვარებას. გვადი პირდაპირ შესძრა მომხდარმა ამბავმა. ამ დღიდან დაიბადა ახალი გვადი ბიგვა — მასში მთელი ძალით გაცოცხლდა ადამიანური სიამაყე, გვადი ბიგვაში კაცურმა კაცმა გაიღვიძა. მხოლოდ ერთს ვერ მიმხვდარიყო გვადი: „გერას რამ ჩააგონა აზრად ამდენ ხალხში, ისეთ დიდ კრებაზე გვადის დასახელება? დაიჯეროს ვითომ გვადიმ, რომ გერამ არ იცოდა მისი ამბავი და მდგომარეობა?

— გვადი ბიგვა!

თითქოს ქვემეხმა დაიგრიალაო, ისე გამოიძახა. ასე ხმამაღლა სხვა არავინ დაუსახელებია. კილოც ისეთი ჰქონდა თითქო ბრძანაო:

გიხაროდეთ, რომ გვადის ვირჩევთო“.

„ჰოდა, შეცდა ვითომ გერა, რომ გვადი ასე აამაღლა?!“ სრულიადაც არა! გერა ბიგვა სრულიად არ შემცდარა, მისი ნაბიჯი მოზომილი და გამიზნული იყო. სწორედ აქ გამომჟღავნდა მისი, როგორც ხელმძღვანელის და ორგანიზატორის სიბრძნე. ამ ამბავმა მართლაც ძლიერ იმოქმედა გვადიზე, და მასში კაცი — ადამიანი აამოძრავა მთელი თავისი ღირსებით. გვადის პირველი ფიქრი სხდომის შემდეგ მის ჩაცმულობას შეეხო. რამ გამოიწვია ეს? „დღეის ამას იქით გვადის უკვე აღარ შეეფერებოდა ის, რაც ტანს ეცვა. რაკი ისეთი დიდი საქმის მეთვალყურედ აირჩიეს, როგორიც არის ორი კოლმეურნეობის სახლთმშენებლობა, უდიდესი პატივი დასდეს და ნდობით აღჭურვეს, გვადიმ ეს უნდა შეიფეროს კიდევაც და თავი არ შეირცხვინოს“.

შინისაკენ მიმავალ გვადის ეჭვიც კი უქრება იმისა, რომ იგი დაუმსახურებლად აირჩიეს. პირიქით, ის თანდათან რწმუნდება, რომ ღირსეული ადამიანია, „ამაზე შორსაც მიდიოდა გვადი, მისი წარმოდგენით მთელ ქვეყანაზე ისეთი სანდო, საიმედო და პატიოსანი კაცი, როგორც გვადი იყო, მეორე არ მოინახებოდა“.

„შორს გვადისაგან ეჭვის ნატამალიც კი!“

„ასე გადაჭრილად მსჯელობდა თავის კარმიდამოს მიახლოებული გვადი და თვითონაც ვერ შეეშჩნია, თუ როდის,

და როგორ მომხდარიყო მის შემეცნებაში ასეთი ყირამალა გადასვლა ძველიდან ახალში“.

ამის შემდეგ, როცა გვადი ბიგვამ ყამით ფორია განგმირა, ეს ლოგიკური მოქმედება იყო. გვადი ამ მომენტისათვის უკვე ახალი კაცი იყო.

ახალი კაცი!

სწორედ ეს იყო გერა ბიგვას მიზანი: გვადისაგან ახალი ადამიანი მიეღო. და თუ ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდა, — ეს გერა ბიგვას უდიდესი გამარჯვებაა საბჭოთა საზოგადოებასთან ერთად.

ასევე ტაქტითა და უნარიანად მოქმედებენ გიორგი და გერა გოჩა სალანდიას მიმართ.

ამრიგად, „გვადი ბიგვაში“ დადებითი გმირის პრობლემა წყდება არაპირდაპირი გზით, გვადი ბიგვას გარდაქმნის პროცესზე დაკვირვება ავლენს იმ დადებით საზოგადოებრივ ძალებს, რომლებიც ეპოქის მამოძრავებელი ბერკეტებია.

შრომის გმირები

ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილებისათვის სრული გამარჯვებით დამთავრდა, საგანელიძეები, პირტახიები, ხაჟომიები, ფორიები და სხვები დამარცხდნენ. თუმცა კერძომესაკუთრული ჩვევები იმ პერიოდისთვისაც, რომელსაც ალ. ჭეიშვილის რომანი „ლელო“ აგვისახავს, ჯერ კიდევ ავლენენ თავს ზოგიერთი კოლმეურნის შეგნებაში და შემდგომშიაც მოუხდება ბრძოლა საბჭოთა საზოგადოებას ამ ჩვევების წინააღმდეგ, მაგრამ ინდივიდუალური მეურნეობა კი უკვე აღარ წარმოადგენს იმ ძალას, რომელსაც შეიძლება სერიოზულად გაეჯიბროს კოლექტიური მეურნეობა.

„ლელო“ ფართო პრობლემური ნაწარმოებია, მასში მრავალი საყურადღებო საკითხია წამოჭრილი. რომანის სიუჟეტში ჩართულია და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიპიტო ქილიფთარის ინდივიდუალისტურ, კერძომესაკუთრულ გამოსვლებს, მის ბრძოლას კოლმეურნეობის წინააღმდეგ. მაგრამ არ იქნება მართებული სიპიტოსა და „შრომის“ კოლმეურნეობის ბრძოლა რომ მიგვეჩნია თხზულების მთავარ სიუჟეტურ ხაზად და მასში მოგვეძებნა ნაწარმოების ძირითადი არსი. ამ პერიოდისათვის, რომელსაც „ლელო“ აგვისახავს, ბრიგადირი დანიელასი არ იყოს, „კოლმეურნეებისა და ინდივიდების ლელო დიდი ხანია გატანილია, — ...ეგ საკითხავი აღარაა ვინ ვის!“.

„ლელოს“ ძირითადი პრობლემა უფრო ღრმაა. მსოფლიო ისტორიული გარდატეხა იყო სოფლად კოლექტივიზაციის გამარჯვება, კლასობრივი მტრის განადგურება, ამ პროცესებმა დაასრულეს დიდი ოქტომბრის საქმე. მშრომელი გლეხი ამიე-

რიდან საბოლოოდ გათავისუფლდა. მაგრამ ადამიანური, კარგი და საამური ცხოვრების შექმნისათვის საჭიროა პოლიტიკურ თავისუფლებას მატერიალური საფუძველიც ახლდეს. შეძლებული ცხოვრების მოპოვებისათვის საჭირო იყო შრომის ნაყოფიერების გაზრდა. შრომის ნაყოფიერების ამაღლება, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მორიგი ამოცანა იყო პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე.

„შრომის ნაყოფიერება, — წერს ლენინი, — ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობის გამარჯვებისათვის. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება არნახული ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხებულ იქნას და საბოლოოდ იქნება დამარცხებული იმით, რომ სოციალიზმი შექმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას“ [1].

ამ უდიდესი ამოცანის განხორციელება დაკავშირებული იყო სოციალისტურ შეჯიბრებასთან, სტახანოვურ მოძრაობასთან. ჩვენს ქვეყანას ელვის სისწრაფით მოედო სტახანოვური მოძრაობა, რომელიც შემზადებული იყო ხალხთა მასებს შორის, ეს იყო მოძრაობა ქვემოდან, ყოველგვარი ადმინისტრირების გარეშე, ეს იყო მშრომელთა შემოქმედებითი აღმავლობა, ხალხის აქტივობის ახალი დიდი ტალღა.

საბჭოთა ლიტერატურას, თუ სურდა მას ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე ყოფილიყო, თავისი ყურადღების ცენტრში უნდა მოექცია ის პრობლემები, რომლებიც ეპოქამ დააყენა საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე.

1934 წლის 22 აგვისტოს საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე გორკი ამბობდა:

„ჩვენი წიგნების მთავარ გმირად ჩვენ უნდა ავირჩიოთ შრომა, ესე იგი ადამიანი, ორგანიზებული შრომის პროცესით, რომელიც ჩვენთან აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკის მთე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29, გვ. 499.

ლი ძლიერებით, — ადამიანი, რომელიც თავის მხრივ ორგანიზებულს ხდის შრომას, ხდის მას უფრო ადვილს, პროდუქტიულს, აჰყავს ის ხელოვნების ხარისხში. ჩვენ უნდა ვისწავლოთ შრომის როგორც შემოქმედების გაგება“ [1].

„ლელო“ მიზნად ისახავს აგვისახოს ახალი დამოკიდებულება შრომისადმი, დაგვიხატოს ახალი გმირები — შრომის გმირები, გვიჩვენოს კოლექტიური შრომის მშვენიერება და ძლიერება, თავისუფალი შრომის ენთუზიაზმის ძალა, კოლექტიური შრომის მატერიალური დოვლათიანობა, მისი გამაკეთილშობილებელი როლი.

თხზულების პათოსი, მისი დინამიკა შეჯიბრებაში მდგომარეობს, სოციალისტური შეჯიბრების კეთილშობილ ჭიდილში.

სოციალისტური შეჯიბრება არ იცნობს კაპიტალისტური საზოგადოებისათვის ჩვეულ კონკურენციას, პიროვნული ინტერესებისათვის ყოველივესა და ყველაფრის შეწირვას. სოციალისტური შეჯიბრება უარყოფს ბურჟუაზიული ურთიერთობის მგლურ კანონებს. იგი მიზნად ისახავს საერთო საზოგადოებრივ აღმავლობას, შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, ერთი მეორის დახმარების, ხელისშეწყობის, გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. ასეთია ჰუმანური საფუძვლები სოციალისტური შეჯიბრებისა, რომლის პათოსითაც გამსჭვალულია ალ. ჭეიშვილის მთელი რომანი. „ლელო“, რომანის სახელწოდება, რომელიც ქართული ეროვნული თამაშობიდან წარმოდგება, სიმბოლურად მიგვითითებს რომანის ძირითად იდეურ შინაარსზე. თხზულებაში ლელო-შეჯიბრი წამყვან სიუჟეტურ ხაზადაა გამოყენებული. ეს შეჯიბრი მწვავე კონფლიქტებითაც ხასიათდება. მთავარი კონფლიქტი, რომლითაც იწყება რომანი და რომლის განვითარებამაც უნდა შეკრას სიუჟეტურად ნაწარმოები, არის კონფლიქტი მშრომელსა და უქნარას შორის, — ქიშვარდისა და ბონდოს შორის. ამ გზით მწერალი ხატავს შემოქმედებითი შრომის, შრომისადმი ახალი დამოკიდებულების დამკვიდრების პროცესს და გვიჩვენებს მის

---

[1] მ. გორკი, ლიტერატურის შესახებ, მოსკოვი, 1953, გვ. 710.

შედეგებს ნაწარმოების გმირებისათვის — სოფლის მცხოვრებთათვის.

ბონდოს უქნარობა არ არის მისი თანდაყოლილი თვისება. იგი სოციალურად განვითარებული ჩვეულა სიპიტო ქილიფთარის ვაჟისა. თუმცა სიპიტო უქნარა კაცი არ არის, მაგრამ უკეთესმართი გზით მოპოვებულმა ქონებამ და აზნაურ ზვიადაძის ნაშიერმა პუპულამ გააფუჭეს ბონდო როგორც ადამიანი. იგი პარაზიტივით აღიზარდა მზამზარეულზე და შრომის სიყვარული უცხო იყო მისთვის. ბავშვობიდანვე შეეჩვია უქნარობას, ბატონკაცურ ქცევებს და საზოგადოებისათვის გამოუსადეგარ პიროვნებად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ სიპიტო ქილიფთარი გაწიწმატებით ებრძვის კოლმეურნეობას, ხოლო ბონდო კი ინდიფერენტულია ამ ბრძოლაში, თითქოს არც კერძო საკუთრებისაღმი იჩენს ინტერესს, იგი მაინც მეტ წინააღმდეგობას წარმოშობს კოლექტიური შრომის, კოლექტიური მეურნეობის განვითარების გზაზე. საქმე იმაშია, რომ სიპიტოს თითქმის აღარავინ უჭერს მხარს, ხედავენ, რომ მისი საქმე წაგებულია, ხოლო ბონდოს ჯერ კიდევ თანაუგრძნობენ და მას შეუძლია ზოგჯერ გადაიბიროს სხვა ახალგაზრდებიც.

ბონდოს უპირისპირდება სოფლის მოწინავე ახალგაზრდობა, მათ შორის ქიშვარდი. „ვერ მოგართვით... ვინ დაგითმობს, ყმაწვილო, უმაღლეს სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობას. ეს რამოდენა ძალაა, როგორ შეგვეშველება მუშაობაში. ბონდოს კიდევ რა გეგმები დაუწყვია. უნდა პელოს, მარგალიტას და ციცინოს აურიოს გზა-კვალი. თვითონ ვერ დაუდვია მუშაობაზე გული, გასართობებს ეძებს, სხვებიც უნდა საქმეს მოაცდინოს. ციცინომ ქალაქში მოსწავლე ახალგაზრდობას უნდა ასწავლოს ჩაის კრეფის ტექნიკა. ის ხომ საუკეთესო სტახანოველია, ოქროს ხელი აქვს. არა, ბონდოს არ გავატანიებთ თავისას, — მტკიცედ დაასკვნა ქიშვარდიმ, — არ დავანებებთ, რომ გზა აურიოს ან ციცინოს ან სხვა ვინმეს“ [1].

ქიშვარდი ვერ დაუთმობს ბონდოს, ვერ დაანებებს თავად

[1] ალ. ჭეიშვილი, „ლელო“, 1951 წ. ციტატებს დავიმოწმებთ ამ გამოცემიდან.

უქნარას, სხვებიც მოსწყვიტოს კოლექტიურ, შემოქმედებით შრომას. საკოლმეურნეო საქმე მისი ღვიძლი საქმეა, საერთო საქმე მისი პირადი საქმეცაა. ასეთია „ლელოს“ ძირითადი კონფლიქტის ხასიათი. მაგრამ მწერალი პირდაპირ და გაადვილებულად არ ჰკიდებს ხელს ამ კონფლიქტის გადაწყვეტას. ალ. ჭეიშვილი აძლიერებს ამ კონფლიქტს ორიგინალური და თავისებურად გააზრებული სასიყვარულო მოტივით. გმირების სასიყვარულო თავგადასავალი რომანს კი არ გასდევს როგორც ცალკე სიუჟეტური ხაზი, არამედ მოუცილებლადაა გადაწნული ძირითადი კონფლიქტის სიუჟეტურ განვითარებასთან. ბონდოსა და ქიშვარდის დაპირისპირებას ამახვილებს ციცინო ფარვანიძე.

ა. ჭეიშვილი დიდი ტაქტითა და ზომიერებით ხატავს ციცინოს სიყვარულის ისტორიას. იგი ამ გრძნობას საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებს უკავშირებს და საზოგადოებრივი თვალსაზრისით უყურებს. ასე წარმოიშვა ახალი პრობლემა რომანში — საბჭოთა ქალის ადგილის შესახებ საზოგადოებაში, საზოგადოებრივ შრომაში.

ქართველი ქალის სახე ქართულ ლიტერატურაში მრავალჯერ ელვარედ გამობრწყინდა. აქ ალბათ, ჩამოთვლასაც კი ვერ მოვახერხებთ, შუშანიკიდან მოკიდებული რამდენი ნათელი სახე შეიქმნა ჩვენს მშობლიურ მწერლობაში. მარტო პოეზიის გენიის შოთა რუსთაველის მხატვრული ქმნილება საკმარისი იქნებოდა ქართველი ქალის უკვდავსაყოფად. დიდმა პოეტმა თეიმურაზ პირველმა დიდების ძეგლი აუგო თავის დედას, სამშობლოსათვის წამებულ ქეთევანს, დიდ პატრიოტს. სოფიოს კეთილშობილი გულის ძგერამ ლირიული ამოძახილი მოსტაცა ნიკოლოზ ბარათაშვილს: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნოო“, ხოლო დიდმა ილიამ ოთარაანთ ქვრივის მონუმენტურ სახეში ქართული ეროვნული ხასიათი გამოაქანდაკა.

ყველა ამ „ნეტარი დედებისათვის“ ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს პატრიოტიზმი, საზოგადოებრივი მოვლენებისადმი უდიდესი ყურადღება, საზოგადოებრივი აქტივობა, ინდივიდუალისტური შეზღუდულობისაგან თავისუფლება.

საინტერესო იყო რა ადგილს დაიჭერდა ეს კეთილშობილი ქალი საბჭოთა საზოგადოებაში, მასების უაღრესი აქტივობის ეპოქაში, მსოფლიო-ისტორიული გარდატეხის ეპოქაში.

თავიდანვე ქართულმა საბჭოთა მწერლობამ ვერ შემოიყვანა საბჭოთა ქალი მხატვრულ ლიტერატურაში, ვერ შექმნა პირველი მშენებელი ქალის მხატვრული სახე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კერძო მოვლენა არ ყოფილა. 1931 წლის ნოემბერში გორკი შენიშნავდა: „ჩვენი ახალგაზრდა პოეზია ცუდად ამჩნევს ქალის სულიერ ზრდას, მისი შინაგანი თავისუფლების ზრდას. ახალი ქალი არსებობს რა სინამდვილეში, პოეზიაში არ არის, პოეზიას კი შეეძლო ძლიერ დახმარებოდა ახალგაზრდებს შორის ქალის ახალი შეფასების აღზრდას, მის მიმართ ახალი და უფრო ღირსეული დამოკიდებულების აღზრდას“ [1]. პოეზიის ეს ნაკლოვანება ახასიათებდა მხატვრულ პროზასაც.

გორკის საყვედური შეიძლებოდა მთელ ლიტერატურაზე გაგვევრცელებინა. პელაგია ნილოვნას შესანიშნავი მხატვრული სახის შექმნის ტრადიცია კარგა ხანს ვერ განაგრძო საბჭოთა ლიტერატურამ, თუ არ ჩავთვლით დრამატურგიის რამდენიმე წარმატებითს ცდას.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ახალი ადამიანის — ქართველი საბჭოთა ქალის დახატვა პირველად რ. გვეტაძემ სცადა თავის „ლაშაურ საღამოებში“. ზეინაბი გაივლის გაჭირვებისა და დამცირების წლებს, საბოლოოდ საბჭოთა ქვეყნის აქტიური მშენებელი ხდება. ის ინჟინერია, ისწრაფვის ახალ აღმშენებლობაზე. ოღონდ ეს აღმშენებლობის პროცესი, ზეინაბის მონაწილეობა მასში, სადაც უნდა გამოჩენილიყო ახალი ადამიანის თვისებები მთელი თავისი ძალით და შესაძლებლობით, არ დაგვიხატა მწერალმა, არ მოაქცია თავისი თხზულების სიუჟეტში. ამიტომ გამოვიდა ზეინაბის მხატვრული სახე სუსტი მონახაზი და ვერ ცოცხლდება ჩვენს წინაშე მთელი თავისი ძლიერებითა და მშვენიერებით. მაგრამ ამ სახის შემოყვანა ქართულ ლიტერატურაში უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

---

[1] Გ. გორკი, ლიტერატურის შესახებ, მოსკოვი, 1953 წ., გვ. 528 — 529.

„გვადი ბიგვაში“ ლეო ქიაჩელმა დახატა მარიამისა და ნაიას ხორცშესხმული, ცოცხალი სახეები.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ „გვადი ბიგვა“ ერთ მთავარ სიუჟეტურ ხაზზეა აგებული და სხვა ყველაფერი იმდენადაა დახატული, რამდენადაც უკეთ გააშუქებდა ამ ძირითად პრობლემას. მიუხედავად ამისა, ლ. ქიაჩელმა მაინც შეძლო მარიამი და ნაია ეჩვენებინა ცხოვრების შუაგულში, მათ შემოქმედებითს შრომაში, ახალი თვისებების, ახალი გრძნობების განვითარების მსვლელობაში. ამიტომ ისინი კი არ რჩებიან მონახაზებად, არამედ ხორცს ისხამენ და ცოცხლდებიან მკითხველის წინაშე.

ორივე ეს ქალი აქტიური შებრძოლია ახლის დამკვიდრებისათვის, ახლისა, რომელიც მძაფრ წინააღმდეგობას აწყდება ცხოვრებაში. მაგრამ მარიამისთანა და ნაიასთანა ენერგიული და გამარჯვების რწმენით აღჭურვილი გმირები სძლევენ ძველის ჯებირებს და მოაქვთ სიახლე, ბედნიერება, სიხარული.

ქალის „ახალი შეფასების“ პრობლემას, მისდამი „ახალი და ღირსეული დამოკიდებულების“ პრობლემას მთელი სიგრძესიგანით აყენებს „ლელო“.

ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში ქალი მნიშვნელოვანი ძალა ხდება. ის მამაკაცის მხარდამხარ აშენებს ახალ ქვეყანას. ქალის შრომა ისევე დაფასებულია, როგორც მამაკაცის. ქალი არა მხოლოდ უფლებრივად ხდება მამაკაცის თანასწორი, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც უტოლდება მას.

ეს ახალი დამოკიდებულება ქალისადმი, კერძოდ, ქალის შრომისადმი, ახალი ქვეყნის შენების პროცესში ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. საბჭოთა ქალი თვით იხვეჭდა და განამტკიცებდა ამ „ახალი შეფასების“, „ახალი დამოკიდებულების“ უფლებას, მამაკაცთან თანასწორობის უფლებას.

ძველი, ჩამორჩენილი შეხედულებანი ქალზე ჯერ კიდევ ცოცხლობენ ზოგიერთების შეგნებაში. „რა ქალის საქმეა ბარი და თოხი, — ეუბნება ბონდო ციცინოს, — დედაჩემზე ამბობენ, ზვიადაძის ქალს კუდი ყავარზე აქვს გადებულიო, კოლექტივში არ კადრულობს მუშაობასო, მარა მაგაში არ ვამტყუნებ სწორედ“.

-ბონდოს არ ესმის, რომ ქალიც მამაკაცის ტოლფასოვანი ადამიანია: „... ვაჟკაცს რა თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს, ქალი სამუშაოდ რომ გაუშვას ბრიგადაში. თუ ვაჟკაცი ხარ, კიდევაც უნდა შეგეძლოს ქალის რჩენა“, დასძენს იგი.

ეს უქნარა, რომელიც თვითონ პარაზიტულად ცხოვრობს, თვითონაც სძაგს შრომა, ცდილობს სხვებიც გზას ააცდინოს. „... რა სახალისოა ამ თაკარა სიცხეში ჩაის კრეფა? არ მესმის, რას ეჯიბრებით შენ და ჟონა ერთმანეთს? — ეუბნება იგი ციცინოს: — მე შენ გეტყვი დიდი ინჟინერი გამოხვალ! ჟონა კიდევ ჰო, ისეთი მოდრანცულია, მამალი ყაზახივითაა, შენ კი სულ არ გავხარ მუშა ქალს, ხომ გახსოვს გუშინ რომ გითხრეს, კინოსთვის გამოდგებიო. დაგაუშნოვებს ამდენი მუშაობა. ხედავ თითები როგორ გათენგილი გაქვს ჩაის კრეფით?“ ქალი ბონდოს ვაჟკაცის საკუთრებად მიაჩნია, ფუფუნების საგნად თვლის მას და არა მეგობრად, ამხანაგად, თანატოლად.

მიუხედავად იმისა, რომ ციცინო რომანის დასაწყისში ჯერ კიდევ მოზარდი ქალიშვილია და არ არის ჩამოყალიბებული, მკვეთრად გამოხატული დამოუკიდებელი ადამიანური ხასიათი, უკვე თავიდანვე ჩანს მასში გარკვეული დადებითი თვისებები, მას უკვე გარკვეული შეხედულებები აქვს იდეალზე, საზოგადოებაზე, შრომაზე.

ციცინო როდია კეთილი ცხოვრების წინააღმდეგი, მაგრამ იგი ეპოქის შვილია და იცის როგორი გზით შეიძლება ბედნიერების მოპოვება. ერთადერთი ჭეშმარიტი გზა კეთილი ცხოვრებისაკენ პატიოსანი შრომაა. და ციცინო კანონიერად ამაყობს იმით, რომ აქტიური მშრომელია. „შენ რომ ამბობ, მაგნაირად ახლანდელ დროში ამაზონკას კი არა, ჩითის კაბას ვერ შეიკერავ“ — გაცხარებით ეკამათება ციცინო ბონდოს.— „... ამბობ, კაცს უნდა შეეძლოს ქალის რჩენაო, აბა, მითხარი, რატომ უნდა იყოს ქალი ქმრის ხელის შემყურე, მთლად მისი მოიმედე? რატომ უნდა წამომძახოს კაცმა, მე გაცმევ, გახურავ, გარჩენო? ისიც ორთვალა და ორფეხა არაა ჩემსავით? ახლა რომ ჩააბრეშუმ-ჩაკოვერკოტებულია ქალები, ეს სულ ჩაიში მუშაობითაა. თუ იმუშავებ ამაზონკაც გექნება, პალტოც და ბოტიც. თუ დასაპურდი და დაჯექი ნაცარში, მუდამ ჩამო-

წეწილი იქნები — რა ჯობია შენი ხელით ნაშოვნს და შენაძენს!“.

ასეთი შეხედულებით გვევლინება ციცინო თავიდანვე. მაგრამ როგორც დადებითი ხასიათი, ის ჩამოყალიბების პროცესშია, რაც რომანის მთელ სიგრძეზე ხორციელდება.

ციცინო პირველივე პორტრეტით გვამახსოვრდება:

იგი „კაი სახიერი...,“ „მაღალი ტანწერწეტა იყო, მხრებში ოდნავ განიერი, ლურჯი კოპლებიანი კაბა მჭიდროდ ეკვროდა ნატიფ თეძოებს“. შემდეგ თანდათან აფართოებს მწერალი გმირის დახასიათებას: ციცინო „... მეტად ლამაზი იყო. სადაფივით კრიალა სახის ფერი თითქოს თვალებს ეჯიბრებოდა სიცინცხალეში, ღაწვებს თითქოს წითელი ყანაოზის ბერეტის ვარდისფერი ჩრდილი ადგა. მაგრამ მთავარი მაინც ღიმილი იყო. ეს დაუდეგარი ღიმილი ჭირვეულად ბაგეზე ჩაისახებოდა და უცებ სარკეში ანასხლეტი შუქივით თვალებზე გადაფრინდებოდა. ვერ გაიგებდით რა ფერისა იყო თვალები — მუქი ლურჯი, თუ შავი. ეს მზის შუქივით ჩამდგარი ღიმილი თვალის უპეებს ავსებდა და თვალის ფერის ჭვრეტას არ განებებდათ — ღიმილი მთელ სახეს ცვლიდა. მიჯრით მიწყობილი კბილები თეთრად უქათქათებდა“. ამ სიცოცხლით სავსე ქალიშვილისათვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის, ადამიანური ცდომილებისაგანაც არაა ის დაზღვეული. ციცინო ჩვენი საზოგადოების რიგითი ადამიანია, რომელსაც არაფერი განსაკუთრებული არ განასხვავებს კოლექტივისაგან.

ციცინოს ახასიათებს ცოცხალი ინტერესი ყოველივე ახლისადმი, რაც თავს იჩენს სოციალისტურ საზოგადოებაში, სოციალისტურ შრომაში. ის სწავლობს თინა გუბელიძისაგან ჩაის კრეფის ახალ მეთოდს. როცა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით ძაბული გაბედავას ნოვატორული შრომის მეთოდების დასანერგად გაიშალა მუშაობა, ციცინო გაიტაცა ამ ამბავმა. სურს მიბაძოს ამ მოწინავე ქალს, გაეჯიბროს, მაგრამ მას არ ჰყოფნის გაბედულება, ჯერჯერობით საკმაოდ ვერ აფასებს თავის ძალებს, მას მხარდაჭერა ესაჭიროება. და თავის კოლექტივში მან ჰპოვა ასეთი მხარდაჭერა. კომკავშირლებმა გააჩაღეს კამპანია ახლის ასათვისებლად. ქიშვარდი კის-

რულობს ახალ ვალდებულებებს და აგულიანებს ციცინოსაკ-
როცა ჟონამ ასორმოცი კილო ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა
იკისრა, ქიშვარდი ციცინოსაკენ გადაიხარა და უთხრა:

„— გამოდი შენც სარეკორდო კრეფაში, ნუ გეშინია...

— ასორმოცზე მეტი? — თქვა შემკრთალმა ციცინომ და
თვალები ვაჟს მიაშტერა, — შენ გგონია შევძლებ? ქიშვარდი
ისე ღელავდა, თითქო ციცინოს ჩაბმა ამ შეჯიბრში მისთვის
სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წარმოადგენდა. შეფრფვინვით
შეჰყურებდა თვალებში და უმეორებდა: გაბედე, გაბედეო. —
გაბედავამ თუ მოკრიფა, იმას მანქანა ხომ არა აქვს ხელში...
გადი ორასზე, ჩაის მოგიყვან ისეთს, რომ შავ ზღვასავით გადა-
შრიალდეს“.

ამავე კრებაზე ქიშვარდი იღებს ვალდებულებას მაღალ
შრომის ნაყოფიერებას მიაღწიოს. მან იკისრა მოუმზადოს ცი-
ცინოს ნაკვეთი სარეკორდო კრეფისათვის. ქიშვარდი ამას
თვლის თვითეული კომკავშირელის საბრძოლო ამოცანად.
მისმა მოწოდებამ ცხოველი გამოხატულება ჰპოვა ახალგაზრ-
დებში.

ქიშვარდი მეორე დღესვე ჰკიდებს საქმეს ხელს. მან იცის,
მკრეფავმა რომ რეკორდი დაამყაროს, მოსაკრეფიც უნდა ჰქონ-
დეს. თავის თავს რომ ცდის მკრეფავი, პირობები უნდა შეუქმ-
ნა. სოციალისტური შრომა გულისხმობს ურთიერთ დახმარე-
ბას, საერთო საქმისადმი გულწრფელ დამოკიდებულებას, კო-
ლექტივიზმის, ერთიანობის სულისკვეთებას, ადამიანების ურ-
ღვეე მეგობრობას.

შრომითი მეგობრობა ამტკიცებს და აძლიერებს ციცინო-
სა და ქიშვარდის სიყვარულს. მათი სიყვარული კი არ ეყრდ-
ნობა რაიმე ეფექტებს ან ილუზიას, არამედ დამყარებულია
ხანგრძლივ, დაბეჯითებით ურთიერთ შეცნობაზე, განმტკიცე-
ბულია ერთად შრომით, ერთი სურვილებით, ერთი მიზნებით.
თვით სიყვარული ხელს უწყობს ამ საერთო მიზნების განხორ-
ციელებას, ჰმატებს ენერგიას და უნარს როგორც ჭაბუკს, ისე
ქალიშვილს.

ბავშვობიდანვე ჩანერგილი გრძნობა ვაჟკაცდება ქიშვარ-

დისთან ერთად და რაც იზრდება ქიშვარდის ძალები, მეტია სიყვარულის კეთილისმყოფელი გავლენა ამ ძალებისა და უნარის გამოვლინებაში. საზოგადო, საერთო საქმე ქიშვარდის აღაფრთოვანებს ციცინოს სიყვარულის გარეშეც, მაგრამ თუ ციცინო მასთანაა, მისი შრომა გაცილებით უფრო შედეგიანია, მისი სული გაცილებით მეტი გზნებით ისხამს ფრთებს. ციცინო ქიშვარდის ფაქიზი მოპყრობის გამო კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას იგრძნობს იმ საქმისადმი, რომელსაც ქიშვარდი ემსახურება, თვით ციცინო ემსახურება.

ციცინო ერთხანს მოხიბლა თავისებურად ენამახვილმა და გარეგნულად მოხდენილმა ბონდომ, მაგრამ როგორც კი ოდნავ დაუახლოვდა მას ქალი, მაშინვე ნათელი გახდა ვაჟის სულიერი სიცარიელე და მხოლოდ რაღაც სიბრალულნარევი გრძნობა აჩერებდა ციცინოს მასთან ყოველგვარი ურთიერთობის სრული გაწყვეტისაგან. სულ სხვა იყო ქიშვარდი. მის საზოგადოებრივ საქმიანობაში სრული შესაძლებლობით გამოჩნდა მისი სულის სიმდიდრე, რამაც თანდათან მიიზიდა ქალი და დაუშორებლად დაიკავშირა.

ამ მეგობრობაში გამოიზარდა რეკორდსმენი ციცინო. მისი წარმატება იმაზედაც იყო დამოკიდებული, რომ ქიშვარდის თავისი სიტყვა გაენაღდებინა. სარეკორდო კრეფის წინა დღით ციცინო ათვალიერებს პლანტაციას, იგი სიხარულით ადევნებს თვალს ქიშვარდის თავდადებული შრომის შედეგს:

„მთელი სინაზე ქიშვარდისადმი, რომელსაც ის თავისთავსაც კი უფარავდა, ამ წუთს გულს შემოადგა. განა მარტო მისთვის ცდილობდა ამდენს ქიშვარდი? არა, საერთო საქმისათვის და ციცინოც არ დარჩება ვალში, ძალღონეს არ დაზოგავს, რომ ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს“.

ასე ააბლოებს სოციალისტური შრომა ადამიანებს ერთმანეთთან, ამტკიცებს მეგობრობას. ციცინოსა და ქიშვარდის სიყვარული განმტკიცებულია პატიოსანი, თავდადებული, კოლექტიური შრომის საფუძველით. მათ შრომას, მათ ბრძოლას ანათებს ბედნიერი, ამაღლებული სიყვარული.

ციცინოსა და სამღვთოელების შრომითი აღფრთოვანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სოცშეჯიბრია.

ვ. ი. ლენინი ამბობდა: „სოციალიზმი არა თუ არ აქრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყვანილი იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოააშკარაონ ნიჭი, რომელიც ხალხში ულევია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჰქელავდა და ახშობდა“ [1].

სოციალისტურ შეჯიბრებაში მთლიანად გამოვლინდა ციცინოს ენერგია და უნარი, შემოქმედებითი შრომის ნიჭი. შრომის როგორც შემოქმედების განცდა ახალი საბჭოთა ადამიანის თვისებაა. ჩვენი ქვეყნისათვის წავიდა ის დრო, როცა ადამიანს შრომა მძიმე ტვირთად მიაჩნდა. ციცინოს უდიდეს სიხარულს ანიჭებს საკუთარი შრომა, იგი დიდხანს და გატაცებით აწარმოებს ცდებს, რათა გამოიმუშავოს შრომის ახალი მეთოდი. ჯერ კიდევ ჩუვაში მეგობრების სტუმრობის დროს ციცინო ისე კრეფდა, რომ ჩუვაში ქალიშვილი ზინა აღტაცებაში მოდიოდა და მკრეფავის ოსტატობას პიანისტის ხელოვნებას ადარებდა.

სოციალისტური შრომა გარდაქმნის ადამიანის სულიერ სამყაროს. ციცინოს მორალურ სახეს მის საქმიანობაში ვხედავთ. შრომაში ვლინდება ადამიანის ვინაობა, მისი მიზნები, სწრაფვა. რა თქმა უნდა, ციცინო შრომობს იმისთვის, რომ თავისი არსებობა უზრუნველჰყოს, მაგრამ მარტო ეს სურვილი არ ამოძრავებს მას. უდიდეს სიხარულს იწვევს მასში შრომის შედეგების საერთო სახელმწიფოებრივი დანიშნულების შეგნება, რომ ყოველი ცალკეული ადამიანის თავდადებული შრომა საბჭოთა ქვეყანაში ქმნის საერთო მატერიალურ საფუძველს თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ამიტომაა, რომ თინა გუბელიძე დიდი სიყვარულით და სოლიდარობის გრძნობით ამყარებს ურთიერთობას ციცინოსთან, ასწავლის და უზიარებს მას თავის გამოცდილებას. ხოლო

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 24, გვ. 471 — 472.

ციცინო ისე კი არ უყურებს გუბელიძის წარმატებას, როგორც საკუთარ დამცირებას, არამედ, პირიქით, ის დაუმეგობრდება ამ მოწინავე ქალს, გაიცნობს მისი შრომის ახალ მეთოდს და შემდეგ კი, როცა თვით მიაღწევს უკეთეს შედეგს, დაუზარებლად უზიარებს სხვებს თავის გამოცდილებას. ხოლო რიცა ეთერი კირვალიძემ კიდევ უფრო დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი მისცა თავის შრომას, ციცინოც იზიარებს ამ გამოცდილებას და დგება რგოლის სათავეში. ეს საბჭოთა ადამიანის ერთ-ერთი უპირველესი თვისებაა: ისწავლოს ყოველთვის, მთელი ცხოვრების მანძილზე და თავისი მიღწევა არ დაიშუროს სოციალისტური საზოგადოების სხვა წევრებისათვის, ასწავლოს სხვებს. **იმის მიღწევა, რომ გმირი შეიგრძნობდეს საყოველთაოს, როგორც თავის ღვიძლ საქმეს, უკვე დადებითი ხასიათის მაღალი ხარისხის მიღწევას ნიშნავს — მაშინ მჟღავნდება ამ გმირში საბჭოთა პატრიოტიზმი. თუ ამას უერთდება ჭეშმარიტი ცოდნა იმისა, რა უნდა გააკეთოს ხალხისათვის, საზოგადოებისათვის და როგორ უნდა გააკეთოს, ამასთან გმირს აქვს მტკიცე ნებისყოფა, შესწევს უნარი განახორციელოს ეს ჭეშმარიტი მიზანი, უკვე ვლებულობთ დადებითი გმირის სრულ სურათს.**

რომანის დასაწყისში ციცინოს, მართალია, ესმოდა შრომის მნიშვნელობა, მაგრამ პატრიოტული სოციალისტური შრომის შემოქმედი ნებისყოფა ამ ქალიშვილში შემდეგ, საზოგადოებასთან ურთიერთობაში გამოიბრძმედა.

ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობაში გამოიბრძმედა ქიშვარდი ქილიფთარის ხასიათიც.

ქიშვარდი არ არის დაჯილდოებული მაინცდამაინც წარმტაცი გარეგნობით, მაგრამ მისი სახის ნაკვთებში და ფიგურაში ჩანს მტკიცე ხასიათი და ძალა. იგი „... ბეჭებგანიერი, ძვალმსხვილი და ძარღვიანი იყო. წინწამოყრილი თმა, კეხიანი ცხვირი და ოდნავ გაკუთხული ნიკაპი მოგრძო სახეს ენერგიულ გამომეტყველებას აძლევდა". თუმცა „ქცევაში კი ერთობ მორცხვი იყო". მის ნახელავს ყოველთვის პატიოსანი შრომის ბეჭედი აჩნდა, მაგრამ ქიშვარდი ყოველგვარი ხმაურისა და ყოყოჩობის გარეშე აკეთებდა თავის საქმეს, პირიქით, ის ყო-

ველთვის ფიქრობდა, რომ უკეთ შეიძლებოდა გაეკეთებინა. ასეთი დაუკმაყოფილებლობის, წინსვლის, უკეთესისაკენ მისწრაფების ძვირფასი გრძნობა დამახასიათებელია ჩვენი ეპოქის ახალი ადამიანისათვის და მისი სრულყოფის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ახლისაკენ მისწრაფება, წინსვლის დაუძლეველი სურვილი ახალ ადამიანში იწვევს პრინციპულ, მძაფრ წინააღმდეგობას ყოველივე ძველისადმი, ჩამორჩენილისადმი. ეს პრინციპული ბრძოლა აგრეთვე აუცილებელია ადამიანის სრულყოფისათვის ჩვენ საზოგადოებაში. ერთგვარი მოკრძალება, რომელიც ქიშვარდის „ბავშვობიდანვე თან დაჰყვა", ხელს ვერ უშლის მას იყოს პრინციპული, შეურიგებელი ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც მისი ჰეშმარიტი რწმენით, ხელს უშლის საზოგადოების წინსვლას. არ არის საკმარისი მარტო აქტიური, თავდადებული შრომა საზოგადოებისათვის, საჭიროა ამასთან კომუნისტური პრინციპულობით იბრძოდე დაბრკოლებათა გადასალახავად.

ბონდო ქილიფთარს ქიშვარდი ქილიფთარი უპირისპირდება, უპირველესად, როგორც სამღვთოს კოლმეურნეობის ხელისშემშლელს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. ციცინოსათვის ბრძოლა, აგრეთვე, არ უნდა გავიგოთ, როგორც მარტოოდენ საყვარელი არსებისათვის ბრძოლა. მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ ციცინოს ქიშვარდი ყოველთვის საზოგადოებასთან ერთად გაიაზრებს, როგორც საზოგადოების წევრს. ბონდო ქილიფთარს ის „ვერ დაანებებს" არათუ ციცინოს აურიოს გზა-კვალი, არამედ ვერც პელოს, მარგალიტას, კლეოპატრას და ქალაქის უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობას, რომლებიც სოფელში ჩამოდიან საზაფხულო არდადეგებზე.

რამდენადაც შეურიგებელია ქიშვარდი მის იდეურ მოპირისპირესთან, ამდენადვე მტკიცეა მისი მეგობრობა სამღვთოს მოწინავე ახალგაზრდებთან. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ციცინოს წარმატებებში საკმაო წილი მიუძღოდა ქიშვარდისაც. ასევე გულისხმიერია ის სხვა ამხანაგებისადმი, „მეზობელს გაჭირვებაში არ დააგდებს"; სილოვანას მძიმე ავადმყოფობისას პირველმა ქიშვარდმ მიაშურა. სამაგიეროდ მას

კომკავშირის უჯრედი და მისი ხელმძღვანელი სილოვანა ბურ-ძგლაც არ აკლებენ მზრუნველობას. „კაკუტია ქიშვარდის“ ენ-დო კომკავშირის ორგანიზაცია. მას დააკისრა საჰაერო განგა-შის მომზადება და ეს ნდობა უნდა გაემართლებია. ქიშვარდი როგორც ყოველი პატიოსანი ადამიანი, პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება დავალებას და არ იშურებს ენერგიას საჰა-ერო განგაშის მომზადებისა და ჩატარებისათვის. ის ხელმძღვა-ნელობდა სამუშაოებს ამ დღეს თავდაცვის ჰექტარზეც. მან თავი გამოიჩინა როგორც ინიციატივიანმა ორგანიზატორმა და გამჭრიახმა ხელმძღვანელმა. ასე ზრდის კომკავშირის ორგანი-ზაცია სოფლის ახალგაზრდობას, ხოლო ქიშვარდი დიდი ინტე-რესითა და სიყვარულით ეწაფება კომკავშირის მითითებულ საქმეს. იმ დღის „შაბათობამ თითქოს შეჰმატა ის, რაც მას აკლდა, თავისი თავის, საკუთარი ძალის რწმენა“.

ერთი წლის წინათ დაწერილი განცხადება კომკავშირში მისი მიღების შესახებ ყურადღებით გადაიკითხა, სუფთა ქა-ღალდი მონახა და ახალი განცხადების წერას შეუდგა. „დასა-წყისი იგივე დატოვა, მხოლოდ დაუმატა: „... ჩემში აღმოვფხ-რა ყოველგვარი სილაჩრე, რომელიც არ შეჰფერის კომკავში-რელს და ვიბრძოლო იმ ამოცანების შესასრულებლად, რომ-ლისთვისაც იბრძვის კომუნისტური პარტია“. იმ დღეს ქიშვარ-დი კომკავშირის რიგებში მიიღეს.

კომკავშირის რიგებში აღზრდილი ჭაბუკის ინიციატივია-ნობამ თავი იჩინა ამ ახალგაზრდის შემდგომ საქმიანობაში. ის საუკეთესო კომსორგი გახდა მესამე ბრიგადისა. პირადად ქიშ-ვარდი დიდ ენერგიას, გამრჯელობას და შრომისმოყვარეობას იჩენს. ერთი შეხედვით ქიშვარდის საქმიანობა უბრალოა და მას დიდი პრეტენზიები არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ამ ჭა-ბუკის შრომის უდიდესი მნიშვნელობა მაშინვე ნათელი გახ-დება როგორც კი მოვიგონებთ ლენინის სიტყვებს: „კომუნიზ-მი იწყება იქ, სადაც ჩნდება **უბრალო მუშების** თავგანწირუ-ლი, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, **თვითეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის** და სხვა პროდუქტების დაცვაზე, რომელიც ხვდება არა მომუ-შავეებს პირადად და არა მათ „მახლობლებს“, არამედ „შორე-

ულებს“, ე. ი. საერთოდ მთელ საზოგადოებას, ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანს, გაერთიანებულთ ჯერ ერთ სოციალისტურ სახელმწიფოდ, შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად“ [1].

ეს შეგნება ამოძრავებს ქიშვარდის მთელი სოფლის საზოგადოებასთან ერთად. სეფე ასე გამოთქვამს თავის აზრს: „კიდევ უფრო უნდა დავუტრიალდეთ ამ ჩვენ პლანტაციებს, სახელმწიფო უცდის მაგ ჩაის, მუშათა კლასმა უნდა დალიოს, წითელმა არმიამ“. ქიშვარდისთანა ბეჯითი ადამიანები მილიონობითაა საბჭოთა ქვეყანაში, ასეთი ადამიანების თავდადებული შრომა ქმნის კომუნიზმის წინა პირობებს. ამის შეგნება კიდევ უფრო მაღალ ნაყოფიერს ხდის მის შრომას. ამასთან ქიშვარდის არ აკლია ფართო თვალსაზრისი; როცა ის შესცქერის მის მიერ მომზადებულ პლანტაციას, გონების თვალით წარმოიდგენს მთელი კოლმეურნეობის ჩაის ფართობებს, რომლებიც ისევე შავ ზღვასავით იშრიალებენ, როგორც „სემაფორის ჩაი“. „ — თურმე რამდენი შესძლებია კარგ მოვლას, — ამბობდა ქიშვარდი. — აბა იფიქრე, ყველგან ასე რომ გადაბიბინდეს ჩაი, რამდენად წინ წავა ჩვენი კოლმეურნეობა“. ამ ფიქრებს იმთავითვე დასკვნები გაუკეთა ქიშვარდიმ და - იგი ისე, როგორც ციცინო, სხვებსაც უზიარებს თავის მიღწევებს. „არც თვითონ ისვენებდა და არც სხვებს ასვენებდა. როგორც კი რაიმე ახალს გაიგებდა, იმ წუთში სილოვანთან მირბოდა, რომელიც ჟონასთვის ნაკვეთს ამზადებდა დობიროში, თავის მიღწევებს აცნობდა მეგობარს, ლევანის ნაკვეთზე ჩარბენასაც არ იზარებდა, სოფლის დასალიერს რომ იყო გადაკარგული. ეს ნაკვეთი ასინეთისთვის მზადდებოდა. ლევანა პირდაღებული მისჩერებოდა, მოთეთრო წამწამებს აფახულებდა და ცდილობდა დაეხსომებია უცხო აგრონომიული ტერმინები, რომლებსაც სეტყვასავით აყრიდა ქიშვარდი“.

ეს აგრონომიული ტერმინები ქიშვარდიმ იქიდან იცის, რომ იგი ეტანება ცოდნას, გონებრივ შრომას. თავიდანვე გულში ჰქონდა ჩანერგილი ქიშვარდის, რომ „... ახლა, როცა მთელი

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, გვ. 499, მე-4 გამოც.

ჩვენი ცხოვრება წინ მიდის, არ შეიძლება უკან ჩამორჩენა, საჭიროა ცოდნა და ცოდნა...“

მხოლოდ თავისუფალი შემოქმედებითი შრომის პირობებში შეიძლებოდა აღმოცენებულიყო სწრაფვა ცოდნის დაუფლებისაკენ. სტახანოვური მოძრაობა, როგორც ცნობილია, წარმოიშვა მოძველებული ტექნიკური ნორმების მსხვრევისათვის ბრძოლაში. ხოლო რეკორდების დამყარება, ახალი ნორმების შემუშავება შესაძლებელი იყო ოსტატობის ამაღლებით და ცოდნის დაუფლებით. თუ განუხრელად ამაღლდება მშრომელთა ცოდნა და მათი საქმიანობა დაუკავშირდება არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ გონებრივ შრომასაც, გაქრება მათ შორის არსებითი განსხვავება. ეს მოგვცემდა შრომის ნაყოფიერების ისეთ ზრდას, რაც მიუღწეველია სხვა ქვეყნებისათვის. კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ ადგილს იჭერს მშრომელთა მასების კულტურული დონის ამაღლება.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში დიადი ძალაა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, იგი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ერთ საფუძველთაგანს წარმოადგენს. საბჭოთა ქვეყნის 60-ზე მეტი ერი და ეროვნებანი ცხოვრობენ საერთო იდეალებით, მათ შორის მჭიდრო კავშირს ამყარებს კომუნიზმის მშენებლობისათვის ერთიანი ბრძოლა. ისინი მხარდამხარ იბრძვიან კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განხორციელებისათვის.

ხალხთა ნამდვილი დიდი მეგობრობა შესაძლებელი გახდა სოციალისტურ იდეალთან დაკავშირებით, მონობისა და ჩაგვრის უღლის გადაგდებასთან დაკავშირებით. თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ერები წინ მიდიან მტკიცე ნაბიჯით და მათი წინსვლა უძლეველია, არავითარ ძალას არ შეუძლია მისი შეჩერება, ამ მეგობრობის დარღვევა. კომუნისტური პარტია დგას საბჭოთა ხალხების მეგობრობის სადარაჯოზე და უვლის მას, ზრუნავს მასზე.

საბჭოთა მწერლობა თავის ერთ-ერთ უპირველეს მიზნად ისახავს ბრძოლას ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის. თავის მრავალრიცხოვან თხზულებებში ასახავს სსრ კავშირის

ხალხთა დაახლოებას და დამეგობრებას, ურთიერთ უანგარო დახმარებას, საბჭოთა ხალხებს უნერგავს ურთიერთპატივისცემის გრძნობას, საბჭოთა ქვეყნის როგორც ერთიანი სამშობლოს გრძნობას, ფართო და ღრმა, დიდი პატრიოტიზმის გრძნობას. ჩუვაში კოლმეურნეების ჩამოსვლა სამღვთოში ზეიმად გადაიქცა. „სტუმრების ჩამოსვლა ვოლგის სანაპიროდან, რაღაც დიდ მოვლენად გადაიქცა მთელი კოლმეურნეობის ცხოვრებაში... ღრმა კვალი გაავლო ამ შეხვედრამ ქიშვარდის შეგნებაში. მას სადღაც წაეკითხა მეოცნებე ადამიანებზე, რომლებიც ლამობდნენ მზის ენერგიის გამოყენებას, მეცნიერებზე, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ ზღვის ტალღების მიმოქცევის ძალა. მაგრამ რამდენ ენერგიას ბადებს ხალხთა შეკავშირება, მათი მეგობრობა...“ და ეს შეკავშირება, მეგობრობის ძალა, შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ჩვენში, ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი წყობილების დროს, ფიქრობდა ქიშვარდი“.

კოლმეურნეობა „ლენინის გზით“ სოცშეჯიბრში გამოიწვიეს სამღვთოელებმა. ამ შეჯიბრმა კიდევ უფრო გაზარდა ქიშვარდის პასუხისმგებლობა თავისი საქმისადმი, და პასუხისმგებლობა მთლიანად კოლმეურნეობისათვის — სწორედ ვოლგელების სტუმრობისას გადაწყვიტა ქიშვარდიმ ძირფესვიანად გასცნობოდა საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის შედეგებს და გამოეყენებინა ის პლანტაციის მომზადებაში. ქიშვარდის არსებაში მტკიცედ გაიდგა ფეხი ხალხთა მეგობრობის გრძნობამ. გულში ჩარჩა მას ჩუვაში პიონერების წამოწყება — „თექვსმეტი რესპუბლიკის“ ბაღის გაშენება. გონების თვალით სულ იმ ბაღს ჰვრეტდა. ცდილობდა წარმოედგინა მისი მდებარეობა, მრავალფეროვნება. მაგრამ განუწყვეტლივ იზრდებოდა ქიშვარდის აზროვნებაში ვოლგისპირეთში დაწყებული ბაღი, დაუსრულებლივ ფართოვდებოდა და ხდებოდა თვალუწვდენელ აყვავებულ წალკოტად, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა ქვია. ქიშვარდი ოდას აშენებდა, მან გადასწყვიტა თექვსმეტი წაბლის სვეტი გაუკეთოს მას. ეს ჩვეულებრივი გურული ოდა იქნება, მაგრამ ქიშვარდის სულში ხალხთა მეგობრობის სიმბოლოდ დამკვიდრდება. ქიშვარდი ღრმად განიცდის საერთო იდეებს, საერთო მიმართულებას ამ მოძმე ერებისა და იცის,

რომ მათი საქმეც საერთოა. ამიტომ უფრო თავგამოდებით შრომობს ის, ამიტომ უფრო ნაყოფიერია მისი შრომა.

ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ქიშვარდისთანა გმირების ის არის, რომ ისინი არ გაჰყვირიან თავისთავზე. მაგრამ მათი საქმე გამოაჩენს მათ. ქიშვარდი სარაიონო თათბირზე სამაგალითო მშრომელად გამოაცხადეს. მისი სახელი ცნობილი ხდება. მისი თავდადებული პატიოსანი შრომის მაღალი შეფასება უდიდეს გავლენას ახდენს ქიშვარდიზე, ის იგრძნობს დიდ ადამიანურ სიამაყეს, აღივსება საკუთარი ღირსების შეგნებით, ამაღლდება საკუთარ თვალში, კიდევ უფრო უმტკიცდება რწმენა საკუთარ ძალებში.

საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი ამბობდა: „როცა მოვუთხრობთ ფაქტებზე, რომლებიც გვიჩვენებენ ქარხნის მუშების ინტელექტუალურ ზრდას და საუკუნეობრივი მესაკუთრის კოლექტივისტ-კოლმეურნედ გარდაქმნას, ჩვენ, ლიტერატორები, სწორედ რომ მოვუთხრობთ, ძლიერ ცუდად გამოვხატავთ ამ გარდაქმნების ემოციურ პროცესს“ [1].

გორკის ამ შენიშვნის შემდეგ მრავალი ნაწარმოები შეემატა როგორც რუსული, ისე სხვა მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურას სოციალისტური შრომის თემაზე. ერთ-ერთი პირველი ადგილი მათ შორის ა. ჰეიშვილის „ლელოს“ ეკუთვნის. ამ თხზულებაში მნიშვნელოვანწილადაა დაძლეული გორკის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებანი. ჰეიშვილის რომანში, ჩვენის აზრით, დიდი ექსპრესიითაა გადმოცემული შემოქმედებითი შრომის სიხარული, ადამიანების გარდაქმნის „ემოციური პროცესი“. ქიშვარდი და ციცინო ხორცშესხმული ცოცხალი სახეები არიან.

თუ ნაწარმოების დასაწყისში ციცინო გვევლინება მოზარდ ადამიანად, რომლის ნაბიჯი ჯერ კიდევ არ არის გამართული, აზრები ჩამოყალიბებული, ნებისყოფა მტკიცე, რომანის ფინალში იგი, თანდათანობითი განვითარების შედეგად, სერიოზული ცვლილებებით გვევლინება: „თითქო ყველაფერი წინან-

---

[1] მ. გორკი, ლიტერატურის შესახებ, მოსკოვი, 1953 წ., გვ. 711.

დებური იყო: ეუეუნა თვალები, აშოლტილი ტანი, გრუზა ნაწნავები და მაინც ეს არ იყო წინანდელი ციცინო. მისი ლურჯი თვალები მტკიცედ, თავდაჯერებით გამოიყურებოდნენ და თითქოს სიარულიც რაღაცნაირი მტკიცე ჰქონდა". ციცინო ახლა მტკიცედაა დარწმუნებული: „თუ საზოგადოებრივ საქმეზე გული შეგტკივა, ყველაფერს მოერევი". საზოგადოებრივი საქმისადმი გულშემატკივრობამ გადააქცია „კაკუტია" ქიშვარდი შრომის გმირად და სახელმოხვეჭილ ადამიანად.

სამშობლოს დამცველი გმირები

სამშობლოს სიყვარული, მისთვის უანგარო თავდადება, მისი კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა ადამიანის განუყრელი თვისებაა. ჩვენი ადამიანის ეს მაღალი თვისებები განსაკუთრებული სიმკვეთრით დიდი სამამულო ომის პერიოდში გამოვლინდა. და ეს ბუნებრივიც იყო. ამოცანის სიდიადე განსაზღვრავს მისი განხორციელებისათვის გაწეული ღვაწლის სიდიადეს. დიდი იყო და დიდია ჩვენი საბჭოთა მოქალაქეების თავდადება მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში. მაგრამ 1941—45 წლებში სულ სხვა ამოცანა იდგა საბჭოთა ხალხის წინაშე. ამ წლებში ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. სამშობლოს დაემუქრა მრისხანე საშიშროება, პროგრესული კაცობრიობის მტრები, გერმანელი ფაშისტები განსაკუთრებულ გაბოროტებას და სიძულვილს იჩენდნენ სოციალისტური სახელმწიფოს მიმართ. ამ პერიოდში საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი უდიდესი სიღრმით და ძალით გამოვლინდა, ყოველი პატიოსანი ადამიანის გული და გონება განიმსჭვალა სამშობლოს დაცვის კეთილშობილი იდეით, რასაც წირავდნენ ყველაფერს და ყველაზე ძვირფასს ადამიანისათვის — თვით სიცოცხლეს. ვის არ ახსოვს გასტელოს, მატროსოვის, კოსმოდემიანსკაიას, პირტახიას, შალამბერიძის, კრასნოდონელი კომკავშირლების და სხვა უთვალავ გმირთა საარაკო თავგანწირვა სამშობლოსათვის. იგი, ეს უჭკნობი გმირობის ლამპარი ჩვენი ხალხების შეგნებაში და მეხსიერებაში ნათლად არის აღბეჭ-

დილი და მარად იგიზგიზებს მისი გაუქრობელი ალი თაობიდან თაობამდე.

ეს იყო არა მარტო ორი არმიის ომი, იგი ამასთან ერთად მთელი საბჭოთა ხალხის ომი იყო. ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანი არ განისაზღვრებოდა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაციით, მის მიზანს შეადგენდა ისიც, რომ დახმარებოდა ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმინავდნენ.

საბჭოთა ხალხებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცე, ურყევი მეგობრობის გამოვლინებით, უმაგალითო გმირობის გამოვლინებით შესძლეს განეხორციელებინათ ეს დიადი ამოცანა, უდიდესი პატრიოტულ-ინტერნაციონალისტური საქმე.

საბჭოთა მწერლები დიდი მოქალაქეობრივი შეგნებით, სიტყვითა და საქმით მონაწილეობდნენ ამ დიდ პატრიოტულ საქმეში. ქართულ საბჭოთა ლიტერატურაშიაც დიდი ადგილი დაიჭირა ომის თემამ, პატრიოტულმა თემამ. მრავალი ნაწარმოები გამოქვეყნდა უშუალოდ სამამულო ომის წლებში. არც ომის შემდეგ მიუტოვებიათ ეს დიდი და საპატიო თემა ქართველ მწერლებს. სწორედ ომისშემდგომ წლებში გამოქვეყნდა ფართო ტილოები, რომანები. ამ ნაწარმოებებში ქართველმა მწერლებმა ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს და რამდენიმე მხატვრული სახე შექმნეს სამშობლოს დამცველი გმირებისა.

*

ლ. ქიაჩელის რომანი „მთის კაცი“ ასახავს დიდი სამამულო ომის ერთ ეპიზოდს, კერძოდ, ბრძოლას მთის ერთი პატარა სოფლისათვის. „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სოფლის არსებობა ჩვენს დროში, უკანასკნელ მეორე მსოფლიო ომამდე, იშვიათად თუ ვინმემ იცოდა, მისი სახელი იშვიათად თუ ვისმე გაეგონა ბზიფის ხეობის გარეთ“. მაგრამ სოუ არ იყო დაშორებული საბჭოთა ქვეყნის საერთო ცხოვრებას. პატარა სოუს ადამიანებიც გამსჭვალული იყვნენ საბჭოთა ადა-

მიანების საერთო იდეით, თავისებურად, მაგრამ ძლიერად უყვარდათ ჩვენი საბჭოთა სამშობლო. სოუელების ბრძოლის მნიშვნელობა კიდევ იმით განისაზღვრებოდა, რომ ამ სოფელს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგიერთ კრიტიკოსს რომანის „მთავარ ამბად" მაინც მთისკაცისა და მისი ერთადერთი შვილის ურთიერთობა მოეჩვენა [1].

არ ვიცით რას ნიშნავს ეს „მთავარი ამბავი", რა მნიშვნელობით არის ნახმარი, აღნიშნავს ის სიუჟეტურ ხერხებს, იდეას ნაწარმოებისა თუ სხვა რამეს. ოღონდ უნდა ვთქვათ, რომ მამისა და შვილის სიყვარული არ არის ამ რომანის „მთავარი ამბავი", რა მნიშვნელობითაც არ უნდა გავიაზროთ ის.

მთისკაცის სიყვარული ჯოტოსადმი, ადამიანური სიყვარულია შვილისადმი. მაგრამ სამამულო ომის პერიოდში მამას შვილი უყვარდაო, ეს რომ ეთქვა ლეო ქიაჩელს, წარმოიდგინეთ დიდი ვერაფერი სიბრძნე იქნებოდა. შვილი მამას ყოველთვის უყვარს. ხოლო რომანმა, მხატვრულმა თხზულებამ ყოველთვის იმ გარემოების ატმოსფეროში უნდა შეგვიყვანოს. რომელ პერიოდსაც ასახავს, ყველა დასმულ საკითხს ეპოქალური გადაწყვეტა და შეფერადება უნდა მოუნახოს. მაშ, რა დამოკიდებულებაში შეიძლება იყოს შვილის სიყვარული სამამულო ომის პერიოდთან? უპირველესად კვლავ ის უნდა დავასახელოთ, რომ მამას ებადება შიში შვილის სიკვდილ-სიცოცხლის გამო, რაც ამძაფრებს სიყვარულის გრძნობას. მაგრამ თუ აქ შევჩერდებით კვლავ მთლიანად ვერ გავიგებთ ჯოტოსადმი მთისკაცის სიყვარულის არსს. **მთისკაცი შვილის თაობაში ხედავს სამშობლოს ნამდვილ დამცველებს, ქვეყნის მომავალს.** შეგნებით „მთისკაცს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ახალმა დრომ ახალი თაობა გამოიყვანა საზოგადო ასპარეზზე გარდასულის, ძველის მაგიერ. ეს იყო ჯოტოს და მისი ტოლების თაობა. ვის უნდა დაეცვა ქვეყანა მტრებისაგან, თუ არა მათ თავად?" ამიტომ არის, რომ ბათუს სიყვარული შვილისადმი შერწყმულია **უდიდეს ადამიანური სიამაყის**

---

[1] იხილეთ ა. ქუთათელი, „მთის კაცი", „ლიტერატურა და ხელოვნება", 13 თებერვალი, 1949 წელი; ა. ბელიკი, „კარგი განზრახვა და ღარიბი შესრულება", ჟურნ. „ოქტიაბრი", 1949 წ., № 10.

გრძნობასთან, იმის გამო, რომ ჯოტო სამშობლოს დამცველთა უპირველეს რიგებში დგას და სახელმოხვეჭილი მებრძოლია. ამგვარად, მამაშვილური სიყვარული კიდევ უფრო ძლიერდება სამამულო ომის დროს, ამ გაძლიერების საფუძველი მთისკაცის ღრმა პატრიოტიზმია — ეს რომანის ამოსავალი იდეური წერტილია და ჩვენ გვგონია, მამაშვილური სიყვარულის პრობლემის „მთისკაცის" მთავარ პრობლემად გამოცხადება შეცდომა იქნებოდა. „მთისკაცის" მთავარი პრობლემა საბჭოთა ადამიანის პატრიოტიზმია, რომანი ადიდებს საბჭოთა გმირ ადამიანებს, „რომლებმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში ვაჟკაცური სიკვდილი ჰპოვეს და სამშობლოს სახელი დიდებით შემოსეს".

„მთისკაცში" პატრიოტიზმი ღრმავდება მისი დაკავშირებით ეროვნულ ტრადიციებთან, რომელიც როგორც ბუნებრივი ნაკადი, ერწყმის საბჭოთა პატრიოტიზმს. ამგვარად ფორმდება რომანში ხალხის უკვდავების იდეა.

ლ. ქიაჩელი მიზნად ისახავს დაგვიხატოს მთისკაცის გმირობა და ვაჟკაცობა, რაშიაც განხორციელებულია ქართველი ხალხის მებრძოლი, გმირული ტრადიციები, რომლებიც ჯოტოს და, მისი სახით, მის თაობას გადაეცემა მემკვიდრეობით.

რომანში ნაჩვენებია თაობათა კავშირი, ის წარმოადგენდა სამშობლოს დამცველი თაობის ძლიერების ერთ-ერთ წყაროს. ცხადია, ომის ძირითადი სიმძიმე ჯოტოს თაობამ გადაიტანა, მაგრამ გარკვეულ როლს ასრულებდა მთისკაცის თაობა, არა მარტო ფაქტიური მონაწილეობით სამამულო ომში, არამედ როგორც ჩვენი ხალხის სახელოვანი ტრადიციების ცოცხალი განსახიერება, რაც აღაფრთოვანებდა და აგულოვანებდა ჯოტოს თაობას. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ რომანის პირვანდელი სახელი „ჯოტოს მამა" შემთხვევითი არ ყოფილა, იგი ზედმიწევნით სწორად გამოხატავს თხზულების ძირითად არსს. ჩვენ არ ვიცით შემდგომში რა მოსაზრებით შეცვალა ავტორმა ეს სათაური. ლ. ქიაჩელი „მთის კაცში" გვიხატავს ჯოტოს მამას — მის მნიშვნელობას და მონაწილეობას დიდ სამამულო ომში, გვიცოცხლებს მის პატრიოტულ სულს, გვიჩვენებს მას როგორც მოსიყვარულე მამას, მეგობარს, ამხანაგს, შესა-

ნიშნავ მონადირეს, მეჯოგეს, ცხენოსანს. ჯოტოსადმი სიყვარული მთელი ჩვენი მომავლისადმი, ჩვენი ქვეყნის ახალი, ძლიერი თაობისადმი სიყვარულს გამოხატავს. ნაწარმოების ამ იდეას მწერალი გვამცნობს ბატას სიტყვებით. ისინი მიმართულნი არიან მთისკაცისადმი: „ხალხის სიყვარულს ჩვენც, საბჭოთა ახალგაზრდებიც ვიზიარებთ, იმიტომ, რომ ხალხთან ერთად ჩვენც შემჩნეული გვაქვს თქვენს პიროვნებაში ისეთი თვისებები, რომლებიც გვიზიდავენ და გვხიბლავენ... ის თვისებები, რომლებისათვის ხალხთან ერთად ჩვენც გვიყვარხართ, გამომდინარეობენ იმ ქართული, რაინდული სულისკვეთებიდან, რომელიც თქვენ გახასიათებთ. ეს რაინდული ან, უბრალოდ რომ კთქვათ, კეთილშობილური სულისკვეთება ჩვენს ხალხს ძველთაგანვე ახასიათებდა. გმირობა, მეგობრობა, მოძმისათვის თავდადება — აი, მთავარი საფუძვლები ამ რაინდობისა, ამ საფუძველზეა აგებული მთელი ჩვენი ისტორიის შენობა. მათზეა დამყარებული დიდი პოეტური სუნთქვა ჩვენი უკვდავი რუსთაველის, რაც ჩვენი ხალხის გულისა და სულის სიღრმეებიდან არის მის პოემაში გადატანილი. თ ქ ვ ე ნ ი ს ა ხ ი თ დ ღ ე ს ა ქ უ ბ რ ა ლ ო ს ტ უ მ ა რ ი კ ი ა რ გ ვ ე წ ვ ი ა. თქვენ გამოხატავთ იმ დიდებულ ტრადიციებს, რომლებიც ქართველ ხალხს არსებობისათვის ბრძოლაში ისევე შველოდნენ, როგორც ტყვია და ბასრი მახვილი. ეს ტრადიციები საომარ საჭურველთან ერთად, როგორც გამარჯვების საწინდარი, თან მიგვაქვს ბრძოლის ველზე, რომელიც მოგველის... და ჩვენ კიდევაც გავიმარჯვებთ, მთისკაცო. ეს იქნება ჩვენი სამშობლოს გამარჯვება, გამარჯვება ჩვენი მარად ქედმოუხრელი ხალხისა, რომლის გმირულ ისტორიას, სახელითა და დიდებით მოსილს, დღეს აქ თქვენი საყვარელი სახე გვიცხოველებს“.

ეს მხოლოდ ბატას აზრი როდია, მისი უკანასკნელი სიტყვები შეკრებილი ახალგაზრდების „ერთსულოვანმა ტაშმა და ვაშას ძახილმა დაჰფარეს“, ეს ახალგაზრდობის საერთო აზრია.

ასეთია მწერლის მიზანი და მთისკაცის მხატვრული სახის მნიშვნელობა. ასეთი მხატვრული სახის შექმნა არცთუ ისე ადვილი საქმეა და ლეო ქიაჩელისთანა ხელოვანს თუ შეეძლო შეებედა მისთვის.

მწერალი რომანის დასაწყისშივე გვაძლევს მთისკაცის დახასიათებას და პორტრეტს. მთისკაცად მოწოდებული ეს ბათუ ქარდუა ნამწყესარი იყო და ნამეჯოგარი, ბევრგან ნამყოფი, ბევრის მნახველი. მას სწორუპოვარი მონადირის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ვაჟკაცობაში და ცხენოსნობაშიაც ბადალი არა ჰყავდა მთაში, თუმცა სამოცი წელი უსრულდებოდა. იგი თავისუფლად ლაპარაკობდა ყველა იმ ხალხის ენაზე, რომელთა შორის ყოფნა უხდებოდა. წარმოშობითაც მთიულს, ზედმიწევნით ჰქონდა მთაში ესოდენ პატივდებული ზრდილობისა, ვაჟკაცობისა და სხვა კეთილ ჩვევათა წესები, რომლებსაც შინ თუ გარეთ, ყოველთვის მტკიცედ იცავდა. იგი შუახანს იყო ვადაცილებული, როცა ხალხმა მთისკაცის საპატიო სახელი შეარქვა მისი პიროვნებისადმი განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად. აქავჭარა იყო მისი მოწიფულობის პირველი დამრწევი აკვანი. „აქ მას სწორი არ ჰყოლია არც ღონეში, არც სიმარჯვეში, ვაჟკაცისა და უშიშარი მებრძოლის სახელიც აქ მოიხვეჭა. სიყრმიდანვე ნადირობით გატაცებულს, ვინ დასთვლის რამდენი ირემი, ჯიხვი და არჩვი მოუკლავს, ან შურთხი და იშვიათი მთის კაკაბი დაუხოცნია. „ნადირთა გაუვალ ბილიკზე ანაზდად შემოყრილ დათვს რამდენჯერ ხელდახელ შებმია ისე, რომ განზრახ იარაღი არ უხმარია: მხეცთან ჭიდილში მხარმკლავის ძალა და გულის სიმაგრე გამოუცდია, ტანის სიმარდე გაუსინჯავს და თვალის სისწრე შეუმოწმებია. როცა მოუკლავს, მხარზე გადაუდვია ვეება ლეში, კლდეებსა და წავარნებში უტარებია, როგორც ნაფოტი და ბანაკში ასე მოუტანია“.

მთისკაცის სახელწოდებას ბათუ ქარდუა თავისი იშვიათი გარეგნობითაც იმსახურებდა: „იგი მაღალი, წარმოსადეგი კაცი იყო. ურყევი სიდინჯითა და ამაყი სიმშვიდით ამეტყველებულ, მოგრძო, მზისა და ქარისაგან ალანძულ კრინისფერ პირისახეს ოდნავ მოყვითალო ფართო თვალები და ზომიერად მოზნექილი მაღალი ცხვირი უმშვენებდნენ. ქვედა ყბაზე მრგვალად მიხუჭუჭებოდა შავი და მოკლე წვერი, აქა-იქ თეთრგარეული. თავზე ახალგაზრდობაშივე გათეთრებული, თოვლივით სპეტაკი თმა დაქათქათებდა, კრაველის ბოხოხივით გრუზა,

შინ თუ გარეთ ზამთარ-ზაფხულ ქუდის მაგივრობის გამწევი“.

სახის ამგვარ ხატვას დადებითი მხარეცა აქვს და უარყოფითიც. უარყოფითი ის არის, რომ თუ ეს თვისებები მთელი სიძლიერით ვერ გაგვიცხადა ხელოვანმა გმირის მოქმედებაში, ეს დახასიათება და პორტრეტი ცალკე დარჩება და გმირის ცოცხალი სახე, რომელსაც მკითხველი გმირის მოქმედებით აღიქვამს, ცალკე. ასეთი მაღალი თვისებებით შემკული გმირის განსახიერება კი ადვილი როდია. დადებითი კი ის არის, რომ ამ გზით მწერალი მაშინვე პატივისცემის გრძნობით მსჭვალავს მკითხველს გმირისადმი და, რაც მთავარია, შესაძლებელს ხდის რომანის სიუჟეტის გარკვეულ ზღვრამდე შეკუმშვას, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს სახის ერთიანი და მთლიანი აღქმისათვის. ჩვენ აქ მხედველობაში ისა გვაქვს, რომ საჭირო არ ხდება გმირის ცხოვრების ყველა დეტალის ჩვენება. მწერალი გვიხატავს გმირის ცხოვრების ერთ მონაკვეთს ისე, რომ მწერლის მიერ მისი წარსულის შესახებ ნათქვამი სრულიად სარწმუნო ეჩვენება მკითხველს და არ სცილდება გმირის მოქმედებითა და ქცევით მიღებული სახის შთაბეჭდილებას. მკითხველს სჯერა, რომ რაც არ გვიჩვენა მწერალმა, არამედ ორიოდე სიტყვით გვითხრა, ნამდვილად ახასიათებს გმირს, რომელმაც მკითხველში თავისი მოქმედებით ძლიერი ემოციები გამოიწვია.

ლ. ქიაჩელი მთისკაცის ყოველ ნაბიჯს, ყოველ მოძრაობას ისე გვიხატავს, რომ შევიცნოთ ამ გმირის დიდი და ღირსეული ბუნება. მთისკაცის შეუდარებელი ვაჟკაცობა განსაკუთრებით სოუსათვის ბრძოლის დღეებში იჩენს თავს. ვამბობთ განსაკუთრებით, რადგან მთისკაცი — ვაჟკაცი ჩვენს თვალწინ დგას ყოველი მისი სიტყვის წარმოთქმისას, მის მიერ ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას, ყოველი ნაბიჯისას, მოძრაობისას. ხოლო სოუსათვის ბრძოლებში უშუალოდ გვეხატება ამ მოხუცი გმირის საუკეთესო თვისებები.

მთისკაცის გმირული სული შეთვისებულია სიწრფელესთან. მრავალწელგადავლილი, დაბრძენებული მთისკაცი სამამულო ომის დაწყების დღიდანვე იმ რწმენითაა აღჭურვილი, რომ „მოღალატეს დიდი ხნის წარმატება არ უწერია“. ეს

დასკვნა არის აგრეთვე, მთისკაცის ვაჟკაცური, გულმართალი, ჰუმანური ბუნების გამოვლინება. ჩვენი ხალხის უდიდესი საბრძოლო აღტყინების მთავარ საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ ჩვენი საქმე სამართლიანი იყო, ჩვენ სამშობლოს ვიცავდით მუხანათი თავდამსხმელის წინააღმდეგ. მილიონობით საბჭოთა პატრიოტებთან ერთად მთისკაცს ურყევად სწამს გამარჯვება. თვით მთისკაცის ცდაა სამშობლოს ისე გამოადგეს, როგორც ჩვენი ქვეყნის ბედნიერება მოითხოვს, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს მას. ჩვენი ქვეყნის შვილები დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა ერთიანი ძალით იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ. მთისკაცისათვის იმაზე უფრო სანატრელი არაფერია, რომ არმიის რიგებში მყოფ თავის გმირ შვილს გვერდში ამოუდგეს და სამშობლოს დაცვაში პირადი მონაწილეობა მიიღოს.

სოუსათვის ბრძოლებში ცხადდება ბათუ ქარდუას ხასიათი მთელი თავისი დიდი ბუნებით, ოღონდ სიმკვეთრე ემატება ამ ხასიათის რელიეფს და ახალი სხივი ეფინება მას. აქ უპირველესად უნდა აღინიშნოს მთისკაცის კოლექტივისტური მისწრაფებები. ბათუ უაღრესად მოსიყვარულე მამაა და დიდად ახარებს ჯოტოს მიერ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო სახელის დამსახურება, აღფრთოვანებულია ამ ამბით, ოღონდ, როცა მტერი აჭავჭარას მოდგომია, მაშინ მის მთავარ საზრუნავს ჯოტოს გმირობაზე ლაპარაკი კი არ შეადგენს, არამედ ის კოლექტივის ბედიღბალზე ფიქრობს. სოუს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და ამავე სოფლის რაზმის მეთაურს კირილე გორაკოვს მიტინგის გამართვით სურს აღნიშნოს ჯოტო ქარდუას მიერ გმირის წოდების მიღება. ჯოტოს მამა არ იზიარებს ამ აზრს: „ძვირფასო კირილე! — სიტყვა გააწყვეტინა გაკვირვებულმა მთისკაცმა, — როგორ შეიძლება, რა დროსია?“ ასევე მიმართავს მანუჩას: „მტერი რომ ასე მოგვიახლოვდა, ამაზე გვმართებს ფიქრი. ჩემი ვაჟის პატივისცემა მერეც მოესწრება, ჩემო მანუჩა! — ამბობდა აღელვებული მთისკაცი“.

ბათუ ქარდუას ყოველი მოქმედება გვინერგავს პატივისცემას ამ მოხუცი გოლიათისადმი. იგი დინჯია, აუჩქარებელი,

ახასიათებს დარბაისლური ქცევა, რაც მის შინაგან სულიერ ძალას გამოხატავს. მასში ძლიერია ადამიანის ღირსების შეგრძნობა და ამიტომ იგი ამაყი ადამიანია. ადამიანის მიერ თავისი ღირსების შეგნება ლეო ქიაჩელის შემოქმედების მთავარი მოტივია. მთისკაცი ადამიანია, რომელიც გრძნობს თავის ღირსებას, აქვს „თავისთავისადმი მტკიცე რწმენა", „ამაყურ განწყობილებასთან შეთანხმებული". ეს სიამაყე მასში თავისი ღირსების შეგრძნობაა და არა სხვისი პიროვნებისადმი, სხვა ადამიანებისადმი უპატივცემულობა. პირიქით, მთისკაცი უდიდესი პატივისცემით ეპყრობა ყოველ სულდგმულს და, ცხადია, უმეტეს ყოვლისა ადამიანს. მთისკაცი უდიდესი სულიერი ტკივილების დროსაც ნახულობს თავისთავში ღონეს გაიზიაროს სხვისი დარდი და ანუგეშოს ეს ადამიანი. ჯოტოს საწახავად სოხუმისაკენ თავგანწირული მოგზაურობის შემდეგ იულონ გარსიას სახლში შეიტყობს მთისკაცი თემერისა და ჯოტოს საომრად წასვლას. იულონის მდგომარეობას ისე განიცდის ბათუ, როგორც საკუთარს. და კიდევ მეტი, მისი ვეფკაცური ბუნება უფლებას არ აძლევს მას თავის საკუთარ გულისტკივილს მეტად გამოეხმაუროს, ვიდრე ავადმყოფ გარსიას წუხილს. მთისკაცი ამშვიდებს გარსიას. იგი ამ მომენტშიაც პოულობს საჭირო სიტყვებს, რომლებიც გზას იკვლევენ დაზაფრული იულონის გულისაკენ და მალამოდ ედებიან მას.

მთისკაცი ასე გულშემატკივარია ყველასადმი, ვისაც ადამიანური ღირსება გააჩნია. მოვიგონოთ ბათუს დამოკიდებულება მისი აღზრდილი მანუჩასადმი საერთოდ და, კერძოდ, ბრძოლის წინა დღეებში. მთისკაცი მას განუმარტავს საქმის მნიშვნელობას და უზიარებს კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო გამოცდილებას: „დიდი საქმე დაგეკისრა, ჩემო მანუჩა: ჯოგის გახიზვნა. ფრთხილად უნდა იარო, შენი ნაწილი ისე ატარე, რომ უწყლო ადგილზე გაჩერება არ მოგიხდეს. ხომ იცი, უწყლობა ჯოგისათვის რას ნიშნავს? არაფრის შეგეშინდეს. არაფერმა არ აგაჩქაროს... ეს მთავარია, თუ ცოცხალი ვიქნები, მეც შენთან მიგულე გაჭირვების დროს: მოგნახავ, მოვალ გვერდში ამოგიდგები".

ბათუ ქარდუას სიდინჯე, სიფრთხილე და გონივრულობა გამომდინარეობს ცხოვრების სიბრძნიდან, რომელსაც არც-თუ ხანმოკლე დროის განმავლობაში ეწაფებოდა მთისკაცი. მისი ბრძნული დასკვნები გამოცდილებიდანაა გამოტანილი, მაგრამ ერთგვარად უკვე განზოგადებულია და ჭეშმარიტებას აღწევს. „ჩემო მანუჩა — მიმართავს ის თავის გაზრდილს— ახლა გმართებს ჭკუა და წინდახედულება... ცხოვრებაში აჩქარება და დაგვიანება ერთნაირად მავნებელია, მაგრამ ადამიანი იშვიათად თუ დაინახავს მათ შუა სავალ გზას. ამიტომ გადაჭრილს ვერაფერს გეტყვი, სად და როგორ მოიქცე, თუ მტერი შემოგვესია და თავისი ხარბი თვალი ჩვენს ჯოგს დაადგა, ვერაფერს გეტყვი გარდა ამისა, რაც წელან გითხარი: შენ იცი, ჩემო მანუჩა... ხიფათი ცხოვრების თანამგზავრია. მასთან ბრძოლაში ალღო ისევე შველის ადამიანს, როგორც გონება. ხშირად კი უფრო მეტადაც, რადგან თუ უეცარია ხიფათი, უეცარივეც უნდა იყოს შველაც, სანამ გონება თვალს გაახელდეს“.

ცხოვრების სიბრძნე მთისკაცისათვის არ არის ლოგიკური კატეგორიები, განყენებული მსჯელობისა და თეორიული აზროვნების პროდუქტი. მას, მაგალითად, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ასტრონომიაზე და სხვა საკითხებზე. სამაგიეროდ, ბათუს აზროვნება ნათელია და ჭეშმარიტი, როცა საქმე ეხება პრაქტიკულ მოქმედებას და ამ მოქმედების გარემოს. მთისკაცის ზნეობრივი კანონების ძალა იმაშია, რომ ეს კანონები არ არის ვისიმე დასამოძღვრავად გამოგონილი, არამედ „ცდით შემოწმებულია“, მათი პირველი გამტარებელი თვით მთისკაცია. მთისკაცის მორალი განსაკუთრებულ აზრს და ძალას ღებულობს იმის გამო, რომ მისი ზნეობრივი იდეალი არ არის მისთვის მიუღწეველი ოცნება, არამედ მისი განხორციელება მოცემულია ამ მოხუც გმირშივე. საქმე მარტოოდენ იდეალში როდია. მთისკაცს თავისი პატრიოტული გრძნობები, მეგობრობა, ვაჟკაცობა, გმირობა შეუძლია საქმით დაამტკიცოს, მოქმედებით დაადასტუროს. ამაშია მისი, როგორც დადებითი გმირის, ძლიერების ერთ-ერთი საფუძველი.

სრულიად არ არის საკმარისი გქონდეს კარგი სურვილები,

საჭიროა შეგწევდეს ძალა მათი განხორციელებისათვის. განა ვინმესთვის სადავოა, რომ ნ. ოსტროვსკის, ან მისი თხზულების გმირს კორჩაგინს უსაზღვროდ უყვარდათ თავიანთი სამშობლო? მაგრამ როგორც პირველს, ისე მეორეს ვერ აკმაყოფილებდა მარტოოდენ კეთილი სურვილები. საჭირო იყო თვით გაეკეთებინათ რაღაც სამშობლოსათვის, როგორმე, რანაირი გზითაც არ უნდა ყოფილიყო ეს, მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი სამშობლოს ბედნიერების გამოჭედვაში.

მთისკაცი მოცემულია, როგორც ჰარმონიული პიროვნება. მისი აზრი და მოქმედება, სიტყვა და საქმე, მჭიდრო კავშირშია, მისი მიზანი და საშუალება შეწონილია, ზნეობრივი კანონი მისი ქცევის საფუძველია. მორალური მრწამსის დაცვისათვის ის აღჭურვილია ნათელი აზროვნებით, ცხოვრების გამოცდილებით და ფიზიკური ძალით. ყველა ის ვაჟკაცური თვისება, რომელიც მწერალმა პირველივე დახასიათებაში და პორტრეტში მოგვცა, შემდეგ გმირის მოქმედებაში ხორციელდება, განსაკუთრებულ კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს უშუალოდ ბრძოლის ეპიზოდებში.

ახალგაზრდობაშივე სწორუპოვარი ვაჟკაცი, სახელგანთქმული მონადირე მთისკაცი, ცხენოსნობაშიაც უბადლო, სიბერის ჟამსაც ავლენს ამ შესანიშნავ თვისებებს. ბათუს ვაჟკაცობა ახლა კიდევ უფრო სხივმოსილია, რადგან მას აცისკროვნებს ყველაზე ბრწყინვალე, პატრიოტული იდეა, სამშობლოს დაცვის იდეა. სოუს ბრძოლებში ჩვენი ჯარებისათვის მეგზურობის გაწევა მთისკაცისათვის სანატრელი და სასიქადულო დავალებაა. იგი დიდი გულმოდგინეობით და აღგზნებით შეასრულებს ამ ამოცანას, თუ საჭირო იქნება შეეწირება სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებას. ის ღირსეულად ასრულებს საპატიო მოვალეობას, სოუს მისადგომებთან გაიყვანს ჩვენი არმიის ნაწილებს. სოუსათვის ხელჩართულ ბრძოლაში ძველებურად, ქართველურად შესძახებს: „ჰკა მაგას, ბიჭებო!“.

მტერი დამარცხდა და უკუიქცა. მოკლე, მაგრამ ფიცხელ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა მთისკაცი.

ოსტატურადაა შესრულებული რომანის ფინალი. აქ კიდევ

ერთხელ მთელი ძალით გვეხატება მთისკაცი, როგორც დიდი ჰუმანური ადამიანი, უაღრესად მოყვარული მამა; მაგრამ არა მხოლოდ მამა, არამედ „სხვა“ ადამიანების მოყვარული, ღრმა გრძნობებით გამსჭვალული, კოლექტივიზმის სულისკვეთებით აღჭურვილი პიროვნება. დიდ სამამულო ომში კიდევ უფრო შემჭიდროვდა ჩვენი საბჭოთა საზოგადოება, კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები. დიდი სამამულო ომის პერიოდში სამშობლოს დაცვის იდეა გადაიქცა საერთო-სახალხო იდეად, რომელსაც ემსახურებოდა ყველა პატიოსანი საბჭოთა ადამიანი. პიროვნული ინტერესები უკანა პლანზე გადასწია ომის ხანამ და ყურადღების ცენტრში ერთი საერთო იდეა დააყენა. ფრონტი და ზურგი, მთელი ჩვენი საბჭოთა ქვეყანა მობილიზებული იყო უდიდესი ისტორიული ამოცანის განსახორციელებლად. ეს შესაძლებელი იყო ადამიანების ურთიერთგაგების, ურთიერთ დაცვისა და ყოველმხრივი დახმარების საფუძველზე. ერთიან, კოლექტივისტურ სულისკვეთებას შეეძლო დაეძლია ის დიდი ბოროტება, რომელიც ფაშიზმის სახით მოევლინა კაცობრიობას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

საგულისხმოა, რომ მთისკაცის სიკვდილისწინა აგონიაში, როცა შინაგანი კონტროლი დაკარგულია და „წმიდად, ნებისყოფის ჩაურევლად ვლინდება ამ მოხუცი ჰუმანისტის ბუნება, ერთხელ კიდევ ვხედავთ სარკესავით ნათელ მორალურ სახეს, ადამიანს — ამ სიტყვის უაღრესად მაღალი მნიშვნელობით. დამახასიათებელია მთისკაცის ზრუნვა, უპირველეს, მახლობელი ადამიანების ბედიღბალზე, მათ სიცოცხლეზე. სიკვდილმა შემაშინაო, ჯოტო! — ეუბნება ის გონებისათვის ხილულ თავის გმირ შვილს, მაგრამ თავისმა მოსალოდნელმა სიკვდილმა როდი შეაშინა მთისკაცი, არა, ამისათვის ის არ შეაწუხებდა ჯოტოს, ასე შორიდან არ გამოუძახებდა — მოეჩვენა, თითქოს ლიას თავი წაართვა წყეულმა, ლიას მიეშველეო ეუბნება ჯოტოს. მაცი ზურუბაიას აფხაზური სიმღერა ესმოდა მთისკაცს, ომში დაჭრილის სიმღერა... მაცისაც მიშველება უნდა... „ — ჰმ, კიდევ არიან აქ მტრის ტყვიით ბრძოლაში ჩემსავით განგმირულები... ჩვენები... ძმები, შვილები, მეგობრები... ადა-

მიანები... კვნესა და ოხვრა მესმოდა მათი... ჩვენი ბიჭები ჯერ კიდევ განაგრძობენ ბრძოლას, არ სცალიათ, რომ მომაკვდავთ მიხედონ. სანამ დაბრუნდებიან გამარჯვებულები, საჭიროა მივეშველოთ იმათ, რაკი აქა ხარ“ — მიმართავს შვილს მთისკაცი.

მანუჩასაც მოაგონებს ჯოტოს, გმირი ყოფილა, ქართველური დატირების ღირსიაო. „როცა შეასრულებ ჩემს ყველა თხოვნას, სულ ბოლოს ჩემთან მოდი“. მთისკაცს თავი კოლექტივის წევრად მიაჩნია და თავისი ბედნიერება, სიცოცხლე მხოლოდ ამ კოლექტივის წევრების ბედნიერებასთან, სიცოცხლესთან დაკავშირებით წარმოუდგენია. მთისკაცის ეს სურვილები გვევლინება როგორც მისი შინაგანი ბუნება, შესისხლხორცებული ჩვევები, მისი პიროვნების მორალური არსი. ყველაფერი ეს, განსაკუთრებით მთისკაცის სასიკვდილო დაჭრასთან კავშირში, ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე, განაცდევინებს მთისკაცის ბუნების სიდიადეს. გაუნელებელ გულისტკივილს იწვევს ამ მოხუცი ჰუმანისტის, ძლიერი გმირის სიკვდილი. მკითხველმა ფინალამდე უკვე მოასწრო მისი საგულდაგულო შეყვარება. მისი სიკვდილი შესძრავს მკითხველის გულს.

ლ. ქიაჩელი არ იჩენს ყალბ ოპტიმიზმს და მეორე მსოფლიო ომს ომობანას თამაშად არ წარმოგვიდგენს. დიდი სამამულო ომის სახალხო ლაშქრობაში დაიღუპნენ საუკეთესო ადამიანები, საბჭოთა ხალხის გმირი შვილები, ომი კაცობრიობისათვის უდიდესი უბედურებაა. ქიაჩელის რომანი ეუბნება მკითხველს, ვინც არ უნდა იყოს ის: ომი საუკეთესო შვილებს ართმევს კაცობრიობას, დიდ უბედურებად ატყდება თავს ხალხებს, ებრძოლეთ ომის გამჩაღებლებს! ამასთანავე შეაგონებს: მაგრამ, თუ ვინმე გაბედავს და დაარღვევს ხალხების ნებას, საბჭოთა ქვეყანას ჰყავს მთისკაცისთანა, ჯოტოსთანა გმირები, რომლებიც სიცოცხლესაც კი არ დაიშურებენ სამშობლოსათვის, შეანანებენ მტერს თავხედობას.

ბათუს რჩება გმირი შვილი, არა მარტო მთაში ცნობილი თავისი ვაჟკაცობით, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. ბათუს ერთი-მთავარი საზრუნავიც ეგ იყო — მომავალი. ის არ ჰგავს

იმ „ადამიანებს“, რომელთა ფიქრი არ სცილდება ეგოისტურ მისწრაფებებს და რომლებიც ამბობენ „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილაო“. მთისკაცი ხალხის ჭეშმარიტი შვილია, მისი მოსპობა ისევე არ შეიძლება, როგორც ხალხის მოსპობა არ შეიძლება. ბათუს მიერ ჯოტოს ხილვა, გონების თვალით სიკვდილის წინ — ეს მთისკაცის უკვდავების შეგნებაა. იგი იცოცხლებს, ის არ მოისპობა. „ჰოო, რა ბედნიერია მთისკაცი. ადვილია ახლა მისთვის სიკვდილი, როცა გრძნობს, რომ შვილის სახით უკვდავი რჩება ამ ქვეყანაზე“.

ამრიგად, ლ. ქიაჩელის რომანი გვიხატავს მთისკაცს, როგორც ქართველი კაცის განზოგადებულ სახეს, წარმოგვიდგენს ხალხის სიცოცხლეს მის უწყვეტ განვითარებაში და გვეუბნება, რომ ამ სიცოცხლის კანონიერი და ღირსეული მემკვიდრეა საბჭოთა ადამიანი.

მთისკაცი როგორც გმირი და პატრიოტი თავისუფლად შეიძლება გოგოთურის მონუმენტური ფიგურის გვერდით დავაყენოთ.

ვინ არის ის გმირი, რომელიც მთისკაცის ვაჟკაცობის ტრადიციებს აგრძელებს და იგი უფრო მაღალ ხარისხში აჰყავს?

ჯოტო რომანის „დაუსწრებელი“ პერსონაჟია. სოხუმში მიმავალ ჯოტოს მამასთან ერთად მკითხველიც მიისწრაფვის მის სანახავად. მაგრამ პატრიოტი ჭაბუკი ამ დროს უკვე სოხუმში აღარ იმყოფება. მას გული იქითკენ მიუწევდა, სადაც იმხანად ომის ცეცხლი ტრიალებდა. ამის შემდეგ ჩვენ მას ვეცნობით მისი „ნაკვალევის“ მიხედვით, და მის შესახებ მოსული ცნობების მიხედვით. ერთიც და მეორეც ძლიერი უნდა იყოს, ძლიერი უნდა იყოს ჯოტოს სიყვარული მისი მეგობრების, ამხანაგების, საყვარელი არსების, დედის, მამის თუ სხვათა გულში, რომ ასე ძლიერად აღიბეჭდოს ის.

„დაუსწრებელი“ გმირი ახალი ამბავი არ არის ლიტერატურის ისტორიაში. ოღონდ ლეო ქიაჩელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესძლო ამ გმირის ხელშესახებად დახატვა, შესძლო ცოცხალი მხატვრული სახის შექმნა.

ლეო ქიაჩელი ჭეშმარიტად დიდი მხატვარია. მას შეუძლია თითქოსდა უმნიშვნელო დეტალების, მცირე ნიუანსების მი-

ხედვით აღადგინოს მთლიანი სურათი. უკვე მანამდე, სანამ ჯოტოს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალ წოდებას მიანიჭებდნენ, მკითხველი დარწმუნებულ იყო, რომ ჯოტო ღირსეულად მოიქცეოდა. რის მიხედვით იქმნება ასეთი შთაბეჭდილება?

მწერალი ამბების განვითარების გადმოცემისას, ხელსაყრელ მომენტში აქა-იქ გვამცნობს ჯოტოს დამოკიდებულების შესახებ მის ახლობლებთან, ამხანაგებთან. უკვე ვხედავთ გულისხმიერ ჭაბუკს. მთისკაცის აზრი მასზე კი უკვე მთელ წარმოდგენას გვიქმნის. ომი თუ დაიწყო, „ჯოტოს ამბავი რომ ვიცი, რომ არ გაიწვიონ, იგი თვითონ წავალ“ — ასე სწამს მთისკაცს და აკი არც მოსტყუვდა ის. ამასთან მწერალი გვაწვდის ცნობას, რომ „ჯოტო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო და კომკავშირის საოლქო ორგანიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკად ითვლებოდა“. როგორც მანუჩარა და მთისკაცის საუბრიდან ირკვევა, ბათუს წინათ ჰქონია საუბარი შვილთან ომზე და მისგან მტკიცე სიტყვა სმენია „გავიმარჯვებთო“. უკვე მკითხველს საკმაო „მასალა“ აქვს იმისათვის, რომ შეადგინოს მგზნებარე პატრიოტი ჭაბუკის ცოცხალი სურათი. ასევე ნიუანსებისა და მცირე დეტალების მეშვეობით ვეცნობით ჯოტოს ძლიერი და ლამაზი სიყვარულის ამბავს, რაც აძლიერებს გმირის მთლიანობაში აღქმას.

ჯოტოსთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება ასრულებს ამ გმირის სურათს მკითხველის წარმოდგენაში. ხოლო მთისკაცის ჩვენება რომანის ფინალში ერთხელ კიდევ ამტკიცებს მკითხველის წარმოდგენას ჯოტოზე, როგორც მორალურად სპეტაკ, გმირული ბუნების მქონე პიროვნებაზე.

ფრიად ორიგინალური ხერხით გვეხატება რომანში ჯოტოს გმირობა.

ლ. ქიაჩელი აგვიწერს სოხუმის ცაზე გამართული საჰაერო ბრძოლის დიად სურათს. მთისკაცი აღტაცებით შესცქერის ამ ბრძოლას. მას „ისე წარმოედგინა, ვითომ აქაც ჯოტოს ხედავდა მეთაურად მტრის მდევარ თვითმფრინავთა გუნდისა, ბრძოლის ცეცხლის შუაგულში უშიშრად შეჭრილს.

ასე წარმოედგინა, რადგანაც სულერთია, სად და რომელ ცაზე იბრძოდა ჯოტო, ყველგან, ალბათ, მტერს ასეთივე თავგანწირვით უტევდა.

და ამ ბრძოლის სურათის მიხედვით ცდილობდა საყვარელი შვილის ვაჟკაცობა ნათლად წარმოსახოდა, — გაეზომა იგი ან აეწონ-დაეწონა, თუ რა გული, ან თვალი უნდა ჰქონოდა ჯოტოს, რომ არც ერთსა და არც მეორეს განსაცდელის დროს არ ეღალატნა მისთვის.

ბუნებით მარადჟამ გმირობისა და მამაცობის თაყვანისმცემელს, სიკვდილის პირისპირ ბედის ცდის უშიშარ მოტრფიალეს, ახლა თითქო შური იპყრობდა შვილისადმი, რომელთანაც გატოლებაც კი ვერ გაებედა, თუმცა ვაჟკაცობაში ბადალი არასოდეს არავინ ჰყოლია.

მაგრამ ეს .იყო მამის შური მჯობნი შვილისადმი, გულის საოხად და დარდის გასაქარვებლად მის მიერვე მოგონილი.

— შეხედე ჯოტოს, რა გაბედული ყოფილა იგი... ასეთ გმირთან კი რა უნდა სიკვდილს, ძაბუნო, რომ გული შიშით აგტირებია! — უსაყვედურებდა იგი თავისთავს... და გრძნობდა, რომ შვილისათვის შიში სოუდან გამოყოლილი, გულიდან ამოვარდნოდა.

— ჰკა მაგასო, — ცაში გამართული ბრძოლის ეშხით აგზნებული ქვემეხებთან ერთად გრგვინავდა გულში და თავის გმირ შვილთან ყოფნას ნატრობდა, რომელიც მას ადამიანის გაბედულების უკანასკნელი, თავბრუდამხვევი მიჯნიდან სავაჟკაცოდ ეძახდა ვითომ“.

ჯოტო ღირსეული მემკვიდრეა. ის შეცვლის მთისკაცს. კირილე გორაკოვი, აღფრთოვანებული ჯოტოს მიერ საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მიღებით, ასე მიმართავს მთისკაცს:

„ — მამაკაცის დიდება და სამკაული ვაჟკაცობაა, მთისკაცო, მაგ დიდებით შენ იყავი მთაში შემკული... ამიერიდან ჯოტო შეგცვლის თავისი სახელით... ჩვენს მთაში კი არა მხოლოდ, მთელ საბჭოთა კავშირში კიდით კიდემდე“.

მცდარია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თითქო „მთისკაცი“ ერთი გმირის დახატვას მიეძღვნა (თუმცა ასეც რომ იყ-

ოს, როდი შეიძლება ეს ვუსაყვედუროთ მწერალს). რომანში ძლიერადაა დახატული ჯოტოს, გორაკოვის, ზურუბაიას, მანუჩას, ლიას სახეები, ეპიზოდურად გაიელვებენ ჩვენ წინ ვახტანგი, რეჯიბი, ბატა, მაგრამ ისე კი, რომ მკითხველის მეხსიერებაში აღიბეჭდებიან.

კირილე გორაკოვი ერთ-ერთი მთავარი გმირია რომანისა. იგი ახალგაზრდობიდანვე დასახლდა სოუში, წარმოშობით ყუბანელი ყაზახი იყო. მას ზურუბაიების გვარის ქალი ჰყავდა ცოლად და მთელ სოფელს საამაყო სიძედ მიაჩნდა. კირილე სოუს კოლმეურნეობის დამაარსებელი იყო და მისი სულის ჩამდგმელიც. დაუღალავი, მარჯვე და გაბედული, „ქვასაც კი წყალს გამოადენდა, როცა ამას კოლმეურნეობის ინტერესი მოითხოვდა“.

გორაკოვი სამაგალითოდ ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობას, რაშიაც მას ხელს უწყობდა მეფუტკრეობისა და მევენახეობის საუკეთესო ცოდნა. მეურნეობის ეს ორი დარგი კი სოუს კოლმეურნეობის მთავარ შემოსავალ წყაროს წარმოადგენდა. კირილეს „მეცადინეობით სოუს კოლმეურნეობის თაფლს მეტოქე არ ჰყავდა ბაზარზე, ხოლო სოუს მესაქონლეობის ფერმა პირველთაგანი იყო მთელ კუთხეში“.

მწერალი გვაწვდის კირილეს ბიოგრაფიის ადრინდელ ცნობებსაც. იგი ძველი მებრძოლი იყო, ჩრდილოეთ კავკასიის უმძაფრესი სამოქალაქო ომების მონაწილე. კირილე ამაყობდა თავისი წარსულით და მკერდზე მოუშორებლად ატარებდა რევოლუციონერ-პარტიზანის საპატიო ნიშანს.

„ბზის ხის ნამორევით მკვრივი და სწორად მოკვეთილი, საშუალო ტანის, ვერცხლის წყალივით დაუდეგარი, კირილე გორაკოვი მუდამ გამომწვევად შემართული დადიოდა, — იმიტომ კი არა, რომ ეს შეეფერებოდა მდგომარეობით და დამსახურებით, — იგი ბუნებით იყო ასეთი“. გორაკოვი მეგობრისათვის მეგობარი იყო და მტრისათვის რისხვა, იგი სამამულო ომის პერიოდში სათავეში უდგება სოუს რაზმს და ხელმძღვანელობს მას. კირილე მტკიცე და ჩამოყალიბებული მებრძოლია.

მთისკაცისა და გორაკოვის მეგობრობა სიმბოლიურად აგ-

ვისახავს ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობას. და ამ მეგობრობას მტრის ვერავითარი ხერხი ვერ დაარღვევს. კირილე გორაკოვი ფრთხილი და დაკვირვებული მებრძოლია. შემოჭრილი დივერსანტის სიტყვებს მთისკაცის შესახებ ამოწმებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ კირილეს არ შეიძლება შეერყეს რწმენა მთისკაცისადმი, მისი მორალური სისპეტაკისადმი. და რაოდენ დიდ სიხარულს იწვევს მასში ის, რომ მთისკაცთან გასაუბრების შემდეგ ქრება ის მცირეოდენი ეჭვიც, რომელიც ლამის ბინდად წამოეფარა მთისკაცის ნათელ სახეს. და როცა გორაკოვმა მთისკაცთან შეხვედრისას კვლავ დაადასტურა თავისი აზრი მისი უმწიკვლობის შესახებ, კირილეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და თვალი თვალს გაუსწორეს ვაჟკაცურად.

ასევე გმირული შარავანდედით არიან მოსილი მთიელი ვაჟკაცი მაცი ზურუბაია და მწყემსი მანუჩა.

* *

შავგვრემანი, მაღალი და ტანადი ოფიცერი, რომელსაც ჰოსპიტალში შეხვდა ბეჟან დავლაძე, მისი თანამემამულე ქართველი ასტამურ მატახერია იყო.

მატახერიამ სწორედ ომის დაწყების წინ დაამთავრა საინჟინრო ინსტიტუტი და ხელი უნდა მიეყო საალმშენებლო საქმისათვის. მაგრამ ჩვენს სამშობლოზე ფაშისტების ვერაგულმა თავდასხმამ დიდი სამამულო ომის ფრონტზე გადაიტანა ასტამურ მატახერიას მოღვაწეობის ასპარეზი. იმ მომენტში, როცა ჩვენ მას ვეცნობით, ის ფრონტზე ჭრილობის მიღების გამო ჰოსპიტალში მკურნალობს. მისი ოცნებაა, როგორმე მალე დაასრულოს მკურნალობა და ისევ დაუბრუნდეს ფრონტს, კვლავ უშუალო მონაწილეობა მიიღოს მტრის განადგურებაში.

„— მივდივარ! გათავდა!“ — სიხარულით აღივსო მატახერიას გული, როცა ჰოსპიტლიდან გაწერას მიაღწია.

თავდადებული პატრიოტი, რომლის სამშობლოს ფარგლები ძლიერ ფართოა — მთელ საბჭოთა ქვეყანას მოიცავს, — ხალხთა ერთიან ძმურ კავშირს თავის ძლიერ მხარს უერთებს. იგი იბრძოდა ბელორუსიაში, იგი მზადაა იბრძოლოს კიევი-

სათვის, რომელიც ისევე მშობლიურია მატახერიასთვის, როგორც კიეველი პილიპენკოსათვის. ეს ქართველი ოფიცერი მზადაა სისხლი დაღვაროს უკრაინის დედაქალაქისათვის, „თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც გასწიროს". „წითელ ყაყაჩოში" დ. შენგელაიას ყურადღების ცენტრშია საბჭოთა პატრიოტიზმი, საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ერის ადამიანების ერთიანი ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ.

„ხალხთა თანაცხოვრების საბჭოთა წესმა გამოავლინა თავისი უპირატესობანი. ომის მსვლელობაში ჰიტლერელებმა არა მარტო სამხედრო დამარცხება განიცადეს, არამედ მორალურ-პოლიტიკურიც. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულმა ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის იდეოლოგიამ სრული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერელთა მხეცური ნაციონალიზმისა და რასობრივი სიძულვილის იდეოლოგიაზე" [1].

მთელი რომანის მანძილზე დ. შენგელაია განსაკუთრებით ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას და გვისახავს მას ჩვენი ისტორიული გამარჯვების უეჭველ პირობად. ამასვე ადასტურებს ჰოსპიტალის სცენები, სადაც ციმბირელი სავგაჩოვი, უკრაინელი პილიპენკო და ქართველი მატახერია ერთად მკურნალობენ და ერთად ოცნებობენ მებრძოლთა რიგებში ჩადგომაზე. დიდი საბჭოთა სამშობლოს ინტერესები აერთიანებს მათ, თვითეული მათგანი მზად არის თავი გასწიროს სამშობლოსათვის. უყურებთ მატახერიას და გჯერათ, რომ ის გმირულად იბრძოლებს. „კუშტსა და სიტყვაძვირს გაბმული, მიდებ-მოდებული საუბარი ჭირისდღესავით ეჯავრებოდა. მთელი დღეები ჩუმად იყო, იშვიათად თუ გაიცინებდა; მაგრამ როცა გაიცინებდა, გულს ხალისით, სიხარულის გრძნობით აგივსებდა". ჩვენის აზრით, ამ მოკლე დახასიათებაში არა მარტო ინდივიდუალური თვისებებია მოცემული, არამედ ერთგვარად ტიპიურ ხარისხშია იგი აყვანილი და მიგვითითებს გარესამყაროს გმირზე ზემოქმედების შესახებ. საბჭოთა ადამიანი, რომლის გული თავისუფალი შრომის სი-

---

[1] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, 1951 წ., გვ. 305.

ხარულმა და ბედნიერებამ აავსო, აღჭურვილია უდიდესი ადამიანური ხალისით, სილაღით, გამსჭვალულია კაცთმოყვარული დიადი გრძნობით. ჰუმანიზმი მისთვის განყენებული იდეალი კი არ არის, არამედ განხორციელებულია თვით მასში.

ფაშისტების მხეცურმა თავდასხმამ ღრმა ჭრილობები მიაყენა ჩვენს ქვეყანას. საჭირო გახდა ახალი ამოცანების შესაბამისად გარდაქმნა, საომარ ყაიდაზე გარდაქმნა, რათა საბჭოთა ადამიანი ულმობელი ყოფილიყო თავხედ მტერთან ბრძოლაში. საჭირო იყო ფხიზელი და მკაცრი ფსიქიკის შემუშავება, სწრაფი, მოსაზრებული და ფიცხელი მოქმედების უზრუნველსაყოფად. ნაკლები სიტყვა, მეტი საქმე, მზადყოფნა თავგანწირვისათვის. ასტამურ მატახერიას იგივე რომ ეთქვა, რაც მომაკვდავმა არჩილ დარაშელიძემ თქვა, მასაც დავერწმუნებოდით სრულად: „რომ შემეძლოს, ჩემი ქვეყნისათვის მეორედ მოვკვდებოდი“.

ასევე თავდადებულია სამშობლოსათვის ბეჟან დავლაძე. ბეჟან დავლაძე კიდევ იმით არის საინტერესო, რომ ის, როგორც ლიტერატურული პერსონაჟი, სიუჟეტურად ჰკრავს და აერთიანებს „წითელ ყაყაჩოს“. ბეჟანის ცხოვრების ისტორია ომის წლებში არის ის მთავარი მხატვრული ხაზი, რომელმაც უნდა დააკავშიროს თხზულების სხვადასხვა ეპიზოდები და ერთ მთლიან ნაწარმოებად აქციოს იგი. რამდენად სრულდება ეს ამოცანა თხზულებაში, ამას ჩვენ ქვემოთ შევეხებით. ახლა ორიოდე სიტყვით გვინდა აღვნიშნოთ ბეჟანის, როგორც მხატვრული სახის, კიდევ ერთი მხარე. ბეჟანისა და მაიკოს მხატვრულ სახეებთან მჭიდროდაა დაკავშირებული „წითელი ყაყაჩოს“ ოპტიმისტური ბუნება. რომანის დასაწყისშივე ვხედავთ ჩვენ „წითელ ყაყაჩოსავით სათუთ და ალერსიან“ მაიკოს. ანცი და ცქრიალა გოგონა სიცოცხლისა და სიხარულის სიმბოლური სახეა. იგი მკითხველის გონებისა და გრძნობისათვის ბოლომდის რჩება, როგორც ბედნიერებისა, სიხარულისა და უმანკო სიყვარულის შეგრძნების წყარო.

ომმა დიდი ჭრილობა მიაყენა ჩვენს ქვეყანას. მან შეიწირა სიცოცხლით სავსე არჩილ დარაშელიძე, მაიკოს ღვიძლი ძმა და მწვავე ტკივილი აწვნია ნორჩ, ნაზ მოყვარულ გულს. მაგ-

რამ მაიკო, ახლა უფრო დადინჯებული, ისევ სიცოცხლის, ბედნიერებისა და სიხარულის სახებად რჩება რომანის ფინალისათვის.

თხზულების ეს კონცეფცია კარგად იხატება მაიკოსა და ბეჟანის შეხვედრის სცენაში ომის დამთავრების შემდეგ.

„— ის არის! — გამიელვა.

გაზეთი რომ დავუქნიე, შეცბა, ერთი ჩიტივით შეფრთხიალდა. იმანაც მიცწო, ფოფინა თვალებში გაოცების, თან სიხარულის გრძნობა გაპოეხატა. დაძახება ვეღარ მოვასწარ.

— ბეჟან! — შეჰკივლა. მაკინტოში რატომღაც მხარზე გადაიკიდა, ჩამოიშორა, ისევ მკლავზე გადაიკიდა, მატარებელს გამოედევნა; მზემოკიდებული ნაზი სახე სირბილისაგან, სიხარულისაგან წამოუფაკლდა, შვეტი ფეხები, სიცოცხლით სავსე დრეკადი ტანი მის არც ისე გრძელს, მაგრამ თხელ კაბაში მომხიბლავად ინაკვთებოდა.

ის დღე თვალწინ წარმოგიდგა, ამ ოთხი წლის წინათ თბილისის სადგურზე რომ მოგვდევდა. ეს დღე თითქო იმ დღის გაგრძელება იყო“. ...მაიკო და ბეჟანი ხელიხელჩაკიდებულნი მიაბიჯებენ წინ! ასეთი დიდი იდეური დატვირთვის მატარებელია მაიკოს თითქოსდა ეპიზოდური მხატვრული სახე, ბეჟანის სახესთან ერთად, „წითელ ყაყაჩოში“.

„წითელ ყაყაჩოს“ აქვს თავისი ნაკლოვანებანი, რომელნიც უარყოფით გავლენას ახდენენ რომანის სახეთა სისტემაზე, და კერძოდ, დადებითი გმირების მხატვრული გამოკვეთის ძალაზე. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში თავიდანვე გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ „წითელ ყაყაჩოში“ ცხოვრების სურათებს საკმაოდ ხშირად ცვლის მსჯელობა, საქმეები ნაკლებად არის ნაჩვენები, ადამიანის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის ნაცვლად გვაქვს მისი ფიქსირებული ჩვენება.

ბეჟან დავლაძის ცხოვრების გზის ირგვლივ ვერ მოხერხდა მჭიდრო კომპაქტური სიუჟეტის ჩამოყალიბება და ამიტომ რომანის არქიტექტონიკას სერიოზული ხარვეზები აღმოაჩნდა.

რატომ მოხდა ეს?

ჩვენის ფიქრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ბეჟან დავლაძე

ნაკლებად მოქმედებს. იგი უფრო სხვის მოქმედებას აკვირდება და აგვიწერს, იგი უფრო მეთვალყურის, მემატიანის როლში გამოდის. თუ, მაგალითად, „ბათა ქექიაშიც“ ნაწარმოების სიუჟეტური გამართვა ბათას მხატვრულ სახეს ეკისრება და ამას იგი წარმატებითაც ასრულებს, აქ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ბათა ქექიას თვით მიჰყავს მოქმედება, თვით მოჰყავს მოძრაობაში თხზულების სახეთა სისტემა, უშუალოდ მისი ქცევების ლოგიკური შედეგია ნაწარმოების ეპიზოდების მიმდევრობა. ბეჟან დავლაძე კი, ძირითადად, მხოლოდ აკავშირებს „წითელი ყაყაჩოს“ ეპიზოდებს და არ ქმნის მათ საკუთარი მოქმედებით. აქ, ჩვენის აზრით, თავი იჩინა ნაწარმოებების თემატურმა სხვადასხვაობამ, მასალის, ასახვის ობიექტის სხვადასხვაობამ, რაც ხშირად განსაზღვრავს ნაწარმოების სტილურ-თავისებურებებსაც. „ბათა ქექია“ და „წითელი ყაყაჩო“ სხვადასხვა სტილის ნაწარმოებებია და შეიძლება მართებული არ იყოს გარკვეული მხატვრული ხერხის დაახლოებით ერთგვარად გამოყენება. აღნიშნულმა ნაკლოვანებებმა ზიანი მიაყენა „წითელ ყაყაჩოში“ მოქმედების განვითარების დინამიურობას და აქედან გამომდინარე, რომანის სახეთა სისტემის მხატვრულ ძალას.

ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ „წითელ ყაყაჩოში“ მთელი თავისი ძალით ვერ გამოვლინდა ყველა ის შესაძლებლობა, რაც დემნა შენგელაიას, ცნობილი ქართველი მწერლის, თვისებას შეადგენს და გამომჟღავნდნენ მის სხვა მხატვრულ თხზულებებში. მიუხედავად ამისა, „წითელი ყაყაჩო“ ერთ-ერთი სერიოზული მნიშვნელობის მქონე მხატვრული თხზულებაა ქართულ ლიტერატურაში საშამულო ომის თემაზე. ამ ნაწარმოებმა მოგვცა პატრიოტი საბჭოთა ადამიანების მხატვრული სახეები. მათ შორის, ჩვენის აზრით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მაშენკა. მწერალი ისეთი სიფრთხილითა და სინაზით უყურებს ქალიშვილს, როგორც სათუთ იას. დიდი გულისყურით უკვირდება ყოველი ნერვის მოძრაობას მის ჯერ კიდევ ნორჩ სახეზე, ცდილობს არ გამოეპაროს გარეგანი ფერთა კრთომა და გმირის შინაგანი სულიერი მისწრაფებანი. მწერალი საინტერესოდ გადმოგვცემს მაშენკას

წმიდა და ღრმა სიყვარულის ამბავს, მისი ჩვენება ამ მხრივ ასრულებს ნაზი და ჰაეროვანი, მაგრამ მოქმედი და მოძრავი პატრიოტი გოგონას მხატვრულ სახეს.

* *

საბჭოთა ქალები ღირსეული მეგობრები აღმოჩნდნენ მამაკაცებისა არა მარტო მშვიდობიანი შრომის პერიოდში, არამედ სამამულო ომის წლებშიც. ჩვენმა გმირმა ქალებმა დაიკავეს ომში წასული ქმრების, ძმების, მამების ადგილი საწარმოში, კოლმეურნეობებში. მაგრამ მარტო ამას როდი დასჯერდნენ, ისინი იბრძოდნენ ჩვენი არმიის რიგებში, უერთდებოდნენ პარტიზანულ რაზმებს, უვლიდნენ დაჭრილ მებრძოლებს ჰოსპიტლებში. საუკუნოდ დარჩება ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლიზა ჩაიკინას, ლიუბოვ შევცოვას, ულიანა გრომოვას და სხვა გმირ ქალთა სხივმოსილი, უკვდავი სახელები.

მაშენკა მოწაფე იყო, სწავლობდა მუსიკას, ცეკვებს, ჰყავდა მშობლები და ცხოვრობდა ბედნიერად. ჯერ კიდევ ბავშვს, თხუთმეტი წლის გოგონას, მოუსწრო სამამულო ომმა. აქედან იწყება მაშენკას პარტიზანული ცხოვრებისა და ჰოსპიტალში მუშაობის ისტორია. სამი წლის განმავლობაში მან განვლო ცხოვრების დიდი გზა და მიიღო გამოცდილება. ამიტომაა, რომ მის ხასიათში შეზავებულია ბავშვური ქცევა და მოზრდილი ადამიანის სიდინჯე, რომანტიკული ფანტაზია და ცხოვრების უაღრესად ფხიზელი პრაქტიკული ხედვა, ლირიკული ოცნება და ყოველდღიური საქმიანობა. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, განსაზღვრელი მისი ცხოვრების გზაზე არის დიდი საბჭოთა სამშობლოს და მისი გმირი ადამიანების უსაზღვრო სიყვარული. მაშენკა „წითელი ყაყაჩოს“ ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო სახეა, თუმცა თხზულების საერთო ნაკლოვანებებმა გავლენა იქონიეს მაშენკას მხატვრულ სახეზედაც.

დემნა შენგელაია მიმზიდველად გადმოგვცემს მაშენკას ცხოვრების ისტორიას.

საინტერესოდ, მხატვრული საღებავების ზუსტი გამოყენებით გვიხატავს ლ. ქიაჩელი თავის რომან „ბთისკაცში“ ლიას.

ლიას მხოლოდ მაშინ ვხედავთ თხზულებაში, როცა ამბების ბუნებრივი განვითარება მოითხოვს მის გამოჩენას. ყოველ

სურათს, რომელშიაც ლია გვეხატება, სიუჟეტის განვითარებაში თავისი ადგილი აქვს მიჩნეული. თავის მხრივ ლიას ხასიათი განსაზღვრავს ამ გმირის ადგილს მოვლენათა მსვლელობაში (ეს ახასიათებს მაშენკასაც). ის, რომ ლია საბჭოთა ჯარის მოწინავე ნაწილებს მიჰყვება სოუსათვის ბრძოლაში, ლიას ხასიათმა განსაზღვრა. ეს ლოგიკურად გამომდინარეობს ამ კომკავშირელი გოგონას მთელი ადრინდელი ცხოვრებიდან და მისი მიზან-მისწრაფებებისაგან.

კომკავშირმა ლიაში აღზარდა ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნავი პატრიოტი გოგონა, სიცოცხლით სავსე, გაბედული, მარჯვე, სულიერად და ფიზიკურად გამოწრთობილი საბჭოთა ქალიშვილი.

სამამულო ომის დაწყებისას მოხუცი მშობელის წინაშე მოვალეობის გრძნობამ გააჩერა შინ, თუ არა, არ უნდოდა თემურსა და ჯოტოს ჩამორჩენოდა, „მათზე ნაკლები რითი ვარო“ ამბობდა. ნებისყოფის საოცარ სიმტკიცეს იჩენს ლია. ძმის დაღუპვის ამბავმა, მშობლის სიკვდილმაც ვერ გატეხა ის.

როგორც ამის შესახებ უკვე ითქვა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, ლიას სიკვდილის სურათი, ისე როგორც მთისკაცის სიკვდილის სცენა, თავისუფალია ყოველგვარი სენტიმეტალობისაგან. ეს არის საბრალდებულო აქტი ფაშისტ-დამპყრობლების და ყველა ჯურის ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

არიან „დიდი ლიტერატურული გმირები“, როგორც დიდი როლი პიესაში და არიან „პატარა როლები“, რომლებსაც დიდი მსახიობები თამაშობენ და უდიდეს რეზონანსს აძლევენ.

რომანში მსახიობი არ თამაშობს. ყველა გამოსახვით საშუალებას მწერალი ფლობს და ლეო ქიაჩელმაც არაფერი არ დაიშურა იმისათვის, რომ ლია — ეს „პატარა ლიტერატურული გმირი“ — დიდი სითბოთი დაეხატა ჩვენთვის. ლიას ნათელი სახე არ ამოიშლება „მთისკაცის“ მკითხველის მეხსიერებიდან. ლიასა და მაშენკას — ღირსეული საბჭოთა გოგონების სახეები დასამახსოვრებელი სახეებია და მნიშვნელოვანი წვლილია ჩვენი ლიტერატურისათვის, ოღონდ ისინი მაინც ვერ დაფარავენ ნაკლს ჩვენი მხატვრული პროზისა, რომელმაც სისრულით ვერ ასახა საბჭოთა ქალის როლი დიდ სამამულო ომში.

მასების მეთაურები და აღმზრდელები

საბჭოთა მწერლები დიდი სიფრთხილითა და მონდომებით ჰკიდებენ ხელს პარტიის თემას — პარტიის მოღვაწეობის ასახვას. თუმცა მხოლოდდამხოლოდ პარტიის წევრის, კომუნისტის სახის შემოყვანით ლიტერატურაში როდი განისაზღვრება ეს ამოცანა. რა კუთხითაც არ უნდა მიუდგეს შემოქმედი სინამდვილეს, ცხოვრების რა მცირე კუნჭულიც არ უნდა ასახოს მან, მაინც გამოჩნდება პარტიის ღვაწლი, პარტიის საქმე, მისი როლი, რადგან არ არსებობს ჩვენს ქვეყანაში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რამ წამოწყება, ცხოვრების რომელიმე მხარე, რომელსაც პარტია არ ხელმძღვანელობდეს. მთელი ეს პერიოდი, რომელთა შესახებ ჩვენ აქამდე გვქონდა საუბარი, ყველა ის გმირები, რომლებიც დავახასიათე, ასე თუ ისე, განიცდიდნენ პარტიის ცხოველმყოფელ, ხელმძღვანელ ძალას, მის წარმმართველ იდეურ ზეგავლენას.

ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლას, გადაიქცა მათ ხელმძღვანელ ძალად, გამოატარა ისინი სახელოვან ბრძოლებში და მიიყვანა გამარჯვებამდე, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარებამდე. კომუნისტური პარტია იყო და არის მასების მოძრაობის სულისჩამდგმელი სოციალიზმის მშენებლობაში. კომუნისტური პარტია არის „ჩვენი ეპოქის ჭკუა, პატიოსნება და სინიდისი“ (ლენინი).

პარტიის წევრის, კომუნისტის ასახვა საპატიო დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. იგი სოციალისტური რეალიზმის მწერლობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა გახდა თავიდანვე. მ. გორ-

კიმ თავის ბრწყინვალე რომანში „დედა“ დაგვიხატა „პარტიის კაცი“ პავლე ვლასოვი, რომელმაც საქვეყნოდ განაცხადა: „გაუმარჯოს რუსეთის მუშების სოციალ-დემოკრატიულ პარტიას... ჩვენს სულიერ სამშობლოსო“. უფრო გვიან ფურმანოვი, სერაფიმოვიჩი, ფადეევი, გლადკოვი, შოლოხოვი, ოსტროვსკი და სხვები ქმნიან კომუნისტი მებრძოლების მხატვრულ სახეებს. კლიჩკოვი, კოჟუხი, ლევინსონი, კორჩაგინი, ჩუმალოვი, მიხეილ კოშევოი, დავიდოვი და სხვები კომუნისტი გმირები არიან.

კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა მოიცავს მთლიანად ჩვენი სამშობლოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტს. კომუნისტის სამოქმედო ასპარეზს განსაზღვრავს ეპოქის ძირეული ამოცანები, იგი მოვლენების ცენტრში ექცევა და საკვანძო საკითხების გადაწყვეტის ინიციატორი და ორგანიზატორია.

კლიჩკოვის, კოჟუხის, ლევინსონის, კორჩაგინის მოქმედების არე სამოქალაქო ომის პერიოდია. მათი ამოცანაა დაიცვან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი მასების ორგანიზების გზით. ეს გმირები რაზმავენ ხალხს. ასწავლიან მათ კოლექტიური ცხოვრების, სოციალიზმის პირველ. ასოებს, ყოველმხრივ ავითარებენ მათში სოციალიზმისათვის ერთიანი ბრძოლის იდეას, აღაფრთოვანებენ .მათ პირადი მაგალითით მტერთან ბრძოლაში. ამ გზით ახორციელებენ ეპოქის მთავარ ამოცანას.

როცა სამოქალაქო ომი წარმატებით დაასრულა, ჩვენი ახალგაზრდა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დღის წესრიგში დადგა სამეურნეო მშენებლობის ამოცანები. სამოქალაქო ომის ფრონტიდან გლებ ჩუმალოვი იმ ქარხანაში დაბრუნდა, სადაც წინათ მუშაობდა. ქარხანა ძლიერ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მანქანების უმრავლესობა დამტვრეული იყო, ზოგს კიდევ მრავალი ნაწილი აკლდა, იგრძნობოდა მუშახელის მწვავე ნაკლებობა. დისციპლინა მოშვებული იყო. ქარხანა ვერ იძლეოდა პროდუქციას. კომუნისტი ჩუმალოვი სათავეში ჩაუდგა ქარხნის აღდგენას და წარმატებას მიაღწია.

შოლოხოვმა „გატეხილ ყამირში“ გვიჩვენა კომუნისტი მუშების ბრძოლა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. დავიდოვი ოცდახუთათასიანი არმიის წარმომადგენელია. დავიდოვთან ერთად არიან გრემიაჩი ლოგელი კომუნისტები ნაგულნოვი და რაზმიოტნოვი. კოლექტივის თავკაცად ხდება კომუნისტი კირილე ედარკინიც ფ. პანფეროვის რომანის „ბრუსკის“ მიხედვით.

შემდგომშიაც რუსული საბჭოთა ლიტერატურის ყურადღების ცენტრშია პარტიის თემა. დიდი სამამულო ომის პერიოდის ამსახველ რომანებში, თუ ომისშემდგომ თხზულებებში გვეხატება პარტიული მოღვაწის ნათელი სახეები.

ქართულ ლიტერატურაში პირველად პანტელეიმონ ჩხიკვაძემ შემოიყვანა რომანში კომუნისტი (გ. გიგაურის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი და აქ აღარ გავიმეორებთ). ეს თემა უფრო სრულყოფილად კ. ლორთქიფანიძემ გადაჭრა თავის „კოლხეთის ცისკარში“.

* *

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია ეს იყო უღრმესი რევოლუციური გადატრიალება, ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალი თვისობრივი მდგომარეობისაკენ, რომელიც თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციური გადატრიალების თანაბარი მნიშვნელობისა იყო.

ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელება მოითხოვდა კომუნისტური პარტიის თავდადებულ ბრძოლას, საოცარ ნებისყოფასა და სიმტკიცეს, რათა ჩვენს ქვეყანაში მოსპობილი ყოფილიყო კაპიტალიზმის უკანასკნელი დასაყრდენი — ერთპიროვნული მეურნეობა და განადგურებულიყო კულაკობა როგორც კლასი. კომუნისტურმა პარტიამ ეს ამოცანა იმავე რევოლუციურ გაქანებით და შეუპოვრობით განახორიცელა, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. „არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება კომუნისტებს არ

შეეძლოთ“. მათ ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაშინებთ და ვერ შეაფერხებთ. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გატარება ეს ერთ-ერთი უდიდესი ამოცანა იყო, რომელიც პარტიამ განახორციელა.

თუ ამ ასპექტში განვიხილავთ ტარასი ხაზარაძის ბრძოლას საქართველოში ერთ-ერთი პირველი კოლექტიური მეურნეობის ჩამოყალიბებისათვის, მხოლოდ მაშინ წარმოგვიდგება მთელი თავისი სიდიადით მისი მოღვაწეობა, რაც ჩვენი კომუნისტური პარტიის ამ პერიოდში გაწეული გრანდიოზული ბრძოლის ტიპიურ გამოსახულებას წარმოადგენს.

ტარასი ხაზარაძე რომანის დასაწყისშივე გვევლინება, როგორც ჩამოყალიბებული ხასიათი. ტარასი ჭაბუკობის მღელვარე დღეებში „ნაქერალას ქედზე მეგზურად დაჰყვებოდა ლეჩხუმის აჯანყებულ რაზმებს“ და თავიდანვე თავისი ბედი მშრომელების უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას დაუკავშირა. სოფელ ზემოციხეში გლეხობის უმრავლესობა ღარიბები იყვნენ. გიორგი ჯიშკარიანის სახლის ფანჯარაში „ყოველ ზამთარს წითელი ბალიში იყო გარჭობილი, გამოზაფხულდებოდა, გამოაძრობდნენ, დაზამთრდებოდა კვლავ გაუკეთებდნენ, გიორგიმ მინების ჩასასმელი ფულიც კი ვერ გადაირჩინა“. „მართა გორდაძის ოჯახში ოთხი სული ცხოვრობდა, ქმარი, ცოლი, დოფინა და შიმშილი“. ასე იყო ლევან კინწურაშვილის, ბეჟან უშვერიძის და სხვათა ოჯახებში. ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, ერთადერთი გზა ღარიბი და საშუალო გლეხის კეთილი, ბედნიერი ცხოვრებისაკენ კოლექტიური მეურნეობა იყო და ამიტომ დაადგა ტარასი ხაზარაძე კოლექტივის ჩამოყალიბების სწორ გზას.

ამ გზაზე ტარასის მრავალი სიძნელის დაძლევა უხდება. მთავარი სიძნელე იმაში იყო, რომ კოლექტივი სრულიად ახალ საქმეს წარმოადგენდა, რომელზედაც წარმოდგენა არ ჰქონდა გლეხობის მასებს. მათ უნდა დაეძლიათ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული კერძომესაკუთრული ჩვევები. ღარიბი გლეხი გიორგი ჯიშკარიანიც კი თავიდან უნდობლად უყურებს საქმეს. ტარასის დიდ შრომად უღირს მისი დარწმუნება, გადმობირება.

კოლექტივიზაციის დასაწყის პერიოდში პარტია გლეხობის მიმართ ახორციელებდა შემდეგ პოლიტიკას: „შეგვეძლოს შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან — ამავე დროს კი ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას". ლენინის ეს ლოზუნგი, როგორც სტალინი განმარტავს, აერთიანებს სამ მომენტს, რომლებიც ერთ ამოცანას ექვემდებარებიან და ყოველად შეუძლებელია მათი ნაწილებად დაშლა. ტარასი, როგორც პარტიის პოლიტიკის გამტარებელი სოფელ ზემოციხეში, მტკიცედ მიჰყვება პარტიის პროგრამას და თანმიმდევრობით ახორციელებს მას. ხაზარაძემ ღარიბების ჯგუფიდან შეადგინა პირველი კოლმეურნეობა „კოლხეთის ცისკარი".

კოლმეურნეობის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას აწარმოებდნენ კულაკი საგანელიძე და ჩარჩი პირტახია, უნდობლად უყურებდა „კოლხეთის ცისკარს" საშუალო გლეხი ასლან მარგველაძე და სხვები. თვით კოლექტივის შიგნით არსებობდა მთელი რიგი დაბრკოლებები. გლეხებს არ ჰქონდათ ერთად შრომის ჩვევა, არ იყო მიღწეული საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესის ერთიანობა. სიძნელეს წარმოადგენდა მიწათმოწყობის, გამწევი ძალის და იარაღების ორგანიზაცია. პირველ ხანებში თანდათან უფრო ძნელდებოდა შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობის წევრების რიცხობრივ ზრდასთან ერთად.

ყველა ეს ერთად აღებული წარმოადგენდა რთულ ამოცანას კოლმეურნეობის ხელმძღვანელისათვის. მხოლოდ კომუნისტური ტიპის მეთაურს თუ შეეძლო გამკლავებოდა ამ სიძნელეებს და „კოლხეთის ცისკარი" გამარჯვების გზაზე დაეყენებია. ტარასიმ შესძლო ეს.

ტარასი აღჭურვილია კომუნისტის თვისებებით. პირველ რიგში მისთვის დამახასიათებელია მიზნის სიცხადე. მას ნათლად აქვს წარმოდგენილი რისთვის იბრძვის, ვისთვის იბრძვის, რას ემსახურება და მტკიცედაა დარწმუნებული მისი წამოწყებული საქმის უძლეველობაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ ტარასის მიზნებსა და ამოცანებს, ნათელ გონებას კარგად იცნობენ ზემო-

ციხელები. ხალხმა იცის, რომ „ტარასი ანდეზე არაფერს წამოიწყებს“, მას შეგიძლია დაუჯერო, დაეყრდნო. ეს აძლევს საშუალებას ტარასის ახლოს იყოს ხალხის მასებთან. მჭიდროდ დაუკავშირდეს მათ. „ჩვენებური გლეხი მხოლოდ იმისთანა თავკაცს აფასებს, რომელსაც ასი ყური აქვს და ერთი ენა; — „კარგმა გამგონემ კარგი საქმე იცისო!“ ზემოციხის კომუჯრედის მდივანი ტარასი ხაზარაძე სწორედ იმიტომ უყვარდა სოფელს, რომ ლაპარაკზე მეტად მოსმენა უყვარდა. მისი სახლის აივანზე მუდამდღე ტრიალებდნენ რჩევა-დარიგების მისაღებად მისული გლეხები“.

თავიდანვე ტარასი ეწევა დიდ სააგიტაციო მუშაობას, ავრცელებს სოციალისტური მშენებლობის იდეას ხალხში, უმთავრესად ღარიბ გლეხობაში, ამზადებს მათ უშუალო პრაქტიკული საქმიანობის დაწყებისათვის. შემდეგაც, როცა პრაქტიკულად შეუდგებიან კოლმეურნეობის მშენებლობას, ტარასი მუდამ ხალხში ტრიალებს, ხალხს ეყრდნობა. ყოველ წინააღმდეგობას ის ხალხთან ერთად სძლევს. ამაშია ტარასის ძალა. „გაზეთში წავიკითხე კოლექტივი მოგიწყვიათ “ — უთხრა მას ლადო გეგელიამ „ — გავბედეთ. თვითონ ხალხმა გამაბედვინა, ლადო, მაშინვე მხარში ამომიდგნენ“ — უპასუხა ტარასიმ.

ტარასი პრინციპულია და ულმობელი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამას ვხედავთ ბარნაბა საგანელიძესთან მის დამოკიდებულებაში. მაგრამ ტარასის პრინციპულობა_ მარტო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში როდი მჟღავნდება, ის თავს იჩენს ახლად ჩამოყალიბებული არტელის საორგანიზაციო საქმეებში. ის გლეხებიც კი, რომლებიც ტარასის უეჭველი მომხრენი არიან, ყოველთვის როდი უჯერებენ მას. არავინ არ მიემხრო ტარასის როცა კოლექტივის დაქსაქსული ყანების სატურიას ჭალაზე გადაცვლის საკითხი დადგა. ყველას თავისი მიწის ნაკვეთისაკენ მიუწევდა გული, ვერ თმობდნენ „საკუთარს“. მაგრამ „ტარასი არ იყო დამყოლი კაცი, როცა სასწორზე კოლექტივის ბედიღბალი დაიდებოდა“. მან თავისი გაიტანა. ტარასი ფრთხილად ჭრიდა მიწის გამოყენების საკითხს. მექი და აგრონომი გეგელია ბევრს ეხვეწნენ მას მიემატებინა მიწა სანერგის გასაფართოებლად. მაგრამ ტარასი არ ნებდე-

ბოდა, რადგან სიმართლეს თავის მხარეზე ხედავდა. ამ ეპიზოდებში ტარასის პრინციპულობის გარდა, მისი ხასიათის კიდევ სხვა ელემენტები იჩენენ თავს. ზემოციხის კომუჯრედის მდივანს ახასიათებს კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით მიდგომა საკითხისადმი.

„— ეხ, ჩემო მექი, — ტარასის ულვაშებში გაეღიმა: — შენ და შენს მოხუც აგრონომს ისე გეჩვენებათ, თითქოს მე ამ ხეების ფასი არ ვიცოდე. თქვენ თქვენი ღობიდან გადასცქერით მთელ ქვეყანას, მაგრამ ის თქვენი ღობე ძალიან დაბალია!

— შენი ღობე კი მაღალია? — გაცეცხლდა მექი: — არა მგონია.

— ჩემი ღობე? — ტარასი ჩაფიქრდა: — ყური დამიგდე, მექი. გუშინ ლევან კინწურაშვილს მესამე შვილი შეეძინა. გზაზე შევხვდი და მივულოცე. იცი რა მითხრა? „რას მილოცავ, ჩემო ტარასი, შიმშილი ძიძად არ გამოდგება და ნანას არ გეტყვისო?“ აი, რაზე უნდა ვიფიქროთ ახლა, ჩემო მექი. ორი კარგი მოსავალი, მხოლოდ ორი მოსავალი, რომ კოლექტივი ფეხზე წამოვაყენოთ, რომ ხალხმა დაინახოს, რა ძალაა კოლექტიურ შრომაში. ეს არის ახლა მთავარი. მერე გლეხი თვითონ შეგვეხვეწება, აბა ის შენი ნერგი მომეციო. აი, ეს არის, მექი, ჩემი ღობე, ძალიან დაბალია?“

არა, ტარასი, როგორც ეს მექის ეგონა, არ არის ჩამორჩენილი კაცი, რომელმაც ვერ გაითვალისწინა ახალი კულტურის შემოღების სარგებლიანობა და სურს მხოლოდ სიმინდის თესვით ამოწუროს არტელის სამეურნეო ამოცანები. მას არა აქვს უფლება ცხოვრებას ჩამორჩეს, პირიქით, ტარასის აქვს უნარი მოვლენათა მსვლელობაში გამონახოს მთავარი, ძირითადი რგოლი და ხელი ჩასჭიდოს მას. ეს კომუნისტის უპირველესი დამახასიათებელი თვისებაა. ტარასი მექის უზიარებს თავის გამოცდილებას, ასწავლის მას, აწრთობს.

რაკი სიტყვამ მოიტანა აღვნიშნოთ ისიც, თუ რა დამოკიდებულებაშია ტარასი მექისთან. მექი ხომ ისეთი გმირია, რომლის ირგვლივ აგებულია თხზულება კომპოზიციურად და ამიტომ სახეთა სისტემაში მთავარ ადგილს იჭერს. მექისთან პირად დამოკიდებულებაში ტარასი ამჟღავნებს მამაშვილურ

გრძნობებს, ფაქიზად და მზრუნველად ეპყრობა ჭაბუკს. მაგრამ რა თქმა უნდა, მარტოოდენ ამით როდი შეიძლება შემოვფარგლოთ ტარასის ანუ პარტიის დამოკიდებულება მექისადმი. ტარასის მთელი საქმიანობა კოლექტიური მეურნეობის მშენებლობისათვის—არტელის შექმნისათვის, პირდაპირ ეხება მექის. ერთგან ჩვენ უკვე ვთქვით, რომ „კოლხეთის ცისკარი" ყველაზე მეტად მექის სჭირდებოდა, კოლექტიურმა მეურნეობამ გამოიყვანა ჭაბუკი ცხოვრების დიდ გზაზე.

ტარასისათვის, როგორც პარტიული მუშაკისათვის, დამახასიათებელია ტაქტი, ზომიერება. ეს განსაკუთრებით კარგად შეიმჩნევა ტარასის ასლან მარგველაძესთან — საშუალო გლეხთან ურთიერთობაში. საშუალო გლეხის კოლექტიური მეურნეობისაკენ მობრუნება რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო. ჩვენი პარტიის პროგრამაში, რომელიც რ. კ. პ. (ბ) VIII ყრილობის მიერ იქნა მიღებული, საშუალო გლეხის შესახებ ნათქვამია: „პარტია თავის ამოცანად ისახავს ჩამოაშოროს საშუალო გლეხობა კულაკებს და გადაიყვანოს იგი მუშათა კლასის მხარეზე მისი საჭიროებებისადმი ყურადღებით მოპყრობით, ებრძოლოს მის ჩამორჩენილობას იდეური ზეგავლენის ზომებით და სრულიადაც არა ძალდატანებით, ეცადოს ყოველ ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე მის სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება, პრაქტიკულად შეუთანხმდეს მას, სოციალისტურ გარდაქმნათა გატარების ღონისძიებათა განსაზღვრაში წავიდეს მისდამი დათმობაზე" [1].

ტარასი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ასლანს. მარგველაძე შრომისმოყვარე, გამრჯე და გამჭრიახი გლეხია, მაგრამ კოლექტივში შესვლა არ უნდა, ეშინია, უფრთხის. „ცაცხვისუბანში მარგველაძე თავკაცობს. იგი რომ დავითანხმოთ, — ფიქრობს ტარასი, — მერე სხვებიც გატყდებიან".

მაგრამ კერძომესაკუთრული ბუნება იმდენადაა ფესვგადგმული ასლანში, რომ ის არტელის შესაქმნელად შეყრილ კრებაზე მოსულიც კი საბოლოოდ ვერ წყვეტს კოლექტივში შესვლის საკითხს და ძმის ავადმყოფობის მომიზეზებით კრებას

[1] საკ. კ. პ. (ბ) პროგრამა და წესდება, 1942 წ., გვ. 53 — 54.

ტოვებს. ამ ღალატის გამო ტარასის თვალში ახლა „მარგველა-ძეზე საზიზღარი კაცი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა. თავი მაინც შეიკავა და მშვიდად გამოეთხოვა“.

მიუხედავად ამისა, ამ ღამის შემდეგაც გულღიად ხვდებოდა კოლექტივის თავმჯდომარე ასლანს. ბოლოს ტარასის მოპყრობამ და კოლექტივის წარმატებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ასლან მარგველაძემ ერთ დღეს ურემი კოლმეურნეობის ეზოში შემოიყვანა, ხარები გამოხსნა და სად დავაბაო იკითხა. მერე შინაურივით დატრიალდა. ეს იყო ტარასი ხაზარაძის გამარჯვება — ეს იყო პარტიის გამარჯვება.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ტარასი რომანში შემოდის როგორც ჩამოყალიბებული ხასიათი, მაგრამ იგი მუდმივი განვითარების, ზრდის პროცესშია. ტარასი არ არის შეუცდომელი, მაგრამ, რაც მთავარია, არ ეშინია თვითკრიტიკულად მოეპყრას თავისთავს, ცნოს თავისი შეცდომები და იბრძოლოს მათი გამოსწორებისათვის.

ქუთაისის პარტიულ კონფერენციაზე ტარასიმ მოისმინა სამაზრო კომიტეტის მდივნის ვარლამ ბაკურაძის სიტყვა, რომელშიაც აღინიშნა: „სადაც ბობოლა წყნარად არის, იქ ცუდი ბოლშევიკები სხედან... იგი იმიტომ არის წყნარად, რომ კომუნისტებმა მას რაღაც დაუთმეს, რაღაცაში მოსტყუვდნენ, ბობოლას სავსე ხონჩა დაუდგესო“! სამაზრო კომიტეტის მდივანი მართალს ამბობდა. სწორედ ასე იყო ზემოციხეშიც. საგანელიძე დუმდა. ტარასის გუმანი ვერ მიეტანა, რაში მოსტყუვდა, რა დაუთმო ბარნაბას. „გამოდის, რომ მე და შენ ცუდი ბოლშევიკები ვყოფილვართ, ჩემო ბაჭუა“! გულჯავრიანად მიუგო მის შეკითხვაზე ტარასიმ თავის ერთგულ თანაშემწეს, ზემოციხის კომკავშირლების მეთაურს ბაჭუა ვარდოსანიძეს. ეს შეგნება საკმარისი გახდა იმისათვის, რომ ტარასი უფრო ფხიზელი გამხდარიყო. ასეთმა განწყობამ მალე შედეგი გამოიღო.

ტარასი მოტყუვდა სიდედრის მიერაც, რომელმაც ძიძიშვილის სახელის საფარველქვეშ ფაქტიურად მოჯამაგირე შემოაპარა ოჯახში. მაგრამ ტარასიმ გულწრფელად აღიარა ეს შეცდომა.

ტარასი ხაზარაძის სახის ხატვაში ყოველთვის ვერ დავეთან-

ხმებით მწერალს. ერთგან უკვე აღვნიშნეთ, რომ სასოფლო კრებაზე ტარასის მიერ დაშვებული შეცდომები მწერლის სურვილითაა გამოწვეული და მხატვრულად დაუსაბუთებელია.

არ შეიძლება გავიზიაროთ სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქო ტარასიზე უაჩაღ დვალიშვილის თავდასხმა და შემდეგ ტარასის მიერ დვალიშვილის მოკვლა არ იყო ტიპიური მოვლენა და ამავე დროს ჩართულ ნოველასაც წარმოადგენდეს. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ კულაკები აშკარად გამოდიოდნენ კოლმეურნეობების წინააღმდეგ, აწარმოებდნენ მხეცურ ბრძოლას კოლმეურნე აქტივისტთა წინააღმდეგ, მოწინავე კოლმეურნეთა წინააღმდეგ, ჰკლავდნენ მათ მიპარვით, უწვავდნენ სახლებს, ბეღლებს და სხვ... შეიძლება მხოლოდ ის ვუსაყვედუროთ მწერალს, რომ ერთგვარი ავანტურული იერი მისცა თავებს, რომლებშიაც ტარასისა და დვალიშვილის ბრძოლის სურათებია მოცემული. კერძოდ, ზედმეტი უნდა იყოს ტარასის ხეტიალი ტყეში ორ დღედაღამეს მშიერი და შემდეგ ტყემლით დანაყრება.

ტარასი ხაზარაძის მხატვრული სახე კომუნისტის ყველაზე ნათელი და მკაფიო ტიპია ქართულ საბჭოთა რომანში.

საკოლმეურნეო წყობილების საბოლოო გამარჯვების შემდეგ მთავარი რგოლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ისე როგორც მრეწველობაში, გახდა შრომის ნაყოფიერების ზრდა. ეს არის სოფლის კომუნისტების მთავარი ამოცანა. ამ პერიოდის პარტიული მუშაკების მხატვრული სახის გამოკვეთაში უმთავრესი ის არის, როგორ რაზმავს კომუნისტი მასებს — ხალხს შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, როგორ მუშაობს ის ადამიანებთან. სწორედ ამ თვალსაზრისით უდგება კომუნისტის მხატვრული სახის ხატვას ალ. ჭეიშვილი თავის რომანში „ლელო“.

მაშინ როცა მასების შემოქმედებითი აქტივობა უაღრესად იზრდება, ასპარეზზე გამოდიან მანამდე შეუმჩნეველი ადამიანები, ებმებიან თავისუფალი, ამამაღლებელი შრომის ფერხულში, ამ უდიდესი ძალის წარმართვას, ადამიანებში შეგნებული საბჭოთა მოქალაქის აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა

ენიჭება და პარტიის საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს. ალ. ჭეიშვილმა პარტიული მუშაკების — სოფლის კომუნისტთა რამდენიმე მხატვრული სახე შექმნა „ლელოში“. რომანში გვხვდება როგორც რაიონის პარტიული ხელმძღვანელები, ისე პირველადი ორგანიზაციის მდივნები, აგრეთვე კომუნისტი სამეურნეო ხელმძღვანელები.

სოფლის კომუნისტები წარმოადგენენ მთავარ მაორგანიზებელ ძალას სოფლის ცხოვრებაში. გიორგის, გრამიტონის, შერმანდის, ეპიფანეს, ჯორბენაძის მთავარ დამახასიათებელ თვისებას ხალხთან მტკიცე კავშირი წარმოადგენს, რადგან კომუნისტური პარტია, სეფეს სიტყვებით რომ ვთქვათ „მშრომელების პარტიაა“. ხალხის და პარტიის განუყრელობა განმტკიცებულია ურთიერთ რწმენის საფუძველზე. ხალხს სჯერა პარტიული მუშაკების, კომუნისტი სამეურნეო ხელმძღვანელის. „შერმანდიმ შოვნაც იცის და მოხმარაცო“ — ამბობენ კოლმეურნეობის წევრები თავმჯდომარეზე, რომელსაც კოლმეურნეობის შემოსავლის თავგზიანი განაწილება სჩვევია. აღმშენებლობასაც ეწევა, მაგრამ ისე გამოზომილად, რომ შრომადღის ფასი არ შემცირდეს. კომუნისტებიც უდიდეს რწმენას გამოსთქვამენ ხალხის მიმართ. „ჩვენი ხალხი მუშაობაში სანდოა და გამტანი“ მტკიცედ სწამს ეპიფანეს. ეს კომუნისტები ხალხის ჭეშმარიტი შვილები არიან. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოუდგენელია ხალხის გარეშე. ამიტომ მათი დამახასიათებელი თვისებაა თავმდაბლობა, ხალხთან სიახლოვე. „ქიშვარდის სიამაყით ევსებოდა გული, რომ პარტიის ძველი წევრი, კოლმეურნეობის ორდენოსანი ხელმძღვანელი, მას, კომკავშირელ ახალგაზრდას უზიარებს თავის ფიქრებს და ჭმუნვას“ — ვკითხულობთ რომანში. აქ გასაკვირი არაფერია. ამას იწვევს ხალხისა და პარტიის მიზნების ერთიანობა, ერთი ამოცანისაკენ სწრაფვა. ამიტომ გასაგებია, შერმანდის არაფერი აქვს დასამალავი ქიშვარდისთან, ისევე როგორც კოლექტივის სხვა წევრებთან.

ეპიფანე, შერმანდი, ჯორბენაძე და სხვები ტრიალებენ ცხოვრების შუაგულში, რაზმავენ მასებს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისათვის, გამოავლენენ საუკეთესო ახალ ადამიანებს. ცხოვრების სწორ გზაზე აყენებენ მათ, წარმართავენ

მათ ცხოვრებას, ეხმარებიან. ამის შესახებ სრულიად მართებულად ამბობს ციცინო ფარვანიძე სტახანოველ კომკავშირელთა რაიონულ შეკრებაზე თავის უბრალო, მაგრამ გულწრფელ სიტყვებში: „კომკავშირმა დაგვრაზმა, პარტორგანიზაცია დაგვეხმარა. გამგეობა დაგვეხმარა, ქვეყანა ჩვენ დაგვეხმარა...“ ასე ხელიხელჩაკიდებული ურთიერთ რწმენით მიემართება პარტია და ხალხი წინ, კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

„ლელოში“ პარტიული მუშაკების სახეებში ალ. ჭეიშვილმა გვიჩვენა კომუნისტის ტიპიური ნიშნები: მაღალი იდეური შეიარაღება, ახლის ჩანასახის შემჩნევის უნარი და მისდამი დახმარება, საშიშროების ჩანასახშივე შემჩნევის უნარი და მისთვის განვითარების საშუალების მოსპობა, ღრმა, ყოველდღიური კავშირი მასებთან, კადრების მზრუნველობითი აღზრდა.

რ. ჯაფარიძის რომანი „ხევის პატარძალი“ ომისშემდგომი ცხოვრების პერიოდს ეხება. უმთავრესად იგი დემობილიზებული მებრძოლების სამეურნეო და ორგანიზატორულ მუშაობას გვიხატავს. არჩილ ნავაძის მხატვრული სახე ახალგაზრდა მწერლის მიერ სწორადაა გააზრებული. ნავაძე კომუნისტის მაღალი თვისებითაა აღჭურვილი.

მიუხედავად ამ სახის სწორად მოხაზვისა, მას მაინც აკლია სიცოცხლე და ძალა. ამის მიზეზი ის არის, რომ მწერალმა ვერ მონახა ცხოვრების ძლიერი კონფლიქტები, ნამდვილი წინააღმდეგობანი, რომელთა დაძლევაშიაც უნდა გამოჩენილიყო პერსონაჟის ძალა და ბუნება. უნდა გავიზიაროთ კრიტიკოს დ. ბენაშვილის აზრი: „გამოგონილ კონფლიქტად მიგვაჩნია სამსონსა და არჩილს შორის ატეხილი დავა. — ამ ბოლო დროს რატომღაც შტამპად იქცა კოლექტივის თავმჯდომარესა და პარტორგს შორის კონფლიქტი, და როგორც წესი — სიმართლე ყოველთვის კოლმეურნეობის პარტორგის მხარეზეა. ასეთი ხელოვნური კვანძები დამაჯერებლობას უკარგავს ნაწარმოებს“ [1].

---

[1] დ. ბენაშვილი, „1951 წლის ქართული პროზა“. ჟურნ. „მნათობი“, 1952 წ., № 8, გვ. 134 — 135.

ისეთი კვანძები, რომელთაც ხელოვნურობის იერი დაჰკრავთ მარტო რ. ჯაფარიძის რომანს როდი ახასიათებს. „შტამპად იქცაო“ ამბობს კრიტიკოსი და ეს სავსებით მართალია. ე. წ. „უკონფლიქტობის თეორიის“ მიხედვით ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს არ ახასიათებს წინააღმდეგობანი, კონფლიქტები. ასეთმა შეხედულებებმა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაშიაც იჩინეს თავი. 1952 წლამდე ვრცელდებოდა მოსაზრებანი, რომლის მიხედვით უკლასო სოციალისტური საზოგადოების პირობებში ახალი და ძველი ყოველთვის არ გულისხმობს კაპიტალისტური წარსულის ნაშთების შებრძოლებას სოციალისტურ შეგნებასთან, არამედ იგი გამოხატავს ხოლმე უფრო მოწინავე და ნაკლებ მოწინავე სოციალისტური შეგნების დროებით კონფლიქტს.

„ნაკლებ მოწინავე“ და „უფრო მოწინავე“ დიდ ვერაფერს კონფლიქტს შექმნიან მხატვრულ ნაწარმოებში და, რაც მთავარია, ამ გზით არასწორად აისახება ჩვენი სინამდვილის არსი.

ასეთი რეცეპტების მიხედვით იქმნებოდა ბევრი ნაწარმოები. ამ „თეორიის“ გავლენა ეტყობა რ. ჯაფარიძის „ხევის პატარძალსაც“, რის გამოც რომანში გარკვეული ნაკლოვანებანი გამომეღავნდა.

აქ კიდევ ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს: როცა რომანებში ყოველთვის კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და პარტორგს შორის წარმოიშვება კონფლიქტი და ყოველთვის „სიმართლე, როგორც წესი, პარტორგის მხარეზეა“, საქმე გვაქვს პარტიის რაობის დამახინჯებულ გაგებასთან. თითქოს პარტიას მხოლოდ პარტორგი წარმოადგენდეს და ჭეშმარიტი კომუნისტი მხოლოდ პარტიული მუშაკი შეიძლება იყოს. ცხადია, პარტიულ სამუშაოზე წინ წამოსწევენ ხოლმე მოწინავე, ძლიერ კომუნისტს, მაგრამ პარტიული მუშაკისა და სამეურნეო მუშაკის დაპირისპირება და, მით უმეტეს, ასეთი დაპირისპირების „კანონად“ გადაქცევა ამახინჯებს სინამდვილეს, რადგან სამეურნეო პასუხისმგებელი მუშაკები ხშირად კომუნისტები არიან და არაფრით არ ჩამოუვარდებიან იმ კომუნისტებს, რომელთაც პარტიული სამუშაო აქვთ მინდობილი. ანდა სამეურნეო

ხელმძღვანელი თუნდაც უპარტიო კომუნისტი იყოს, რატომ უნდა დაუპირისპირდეს მას პარტიული მუშაკი.

რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, კოლმეურნეობის პარტორგსა და მის კომუნისტ თავმჯდომარეს შორის ატეხილ დავაში, თუ ასეთი დავა მაინცდამაინც წარმოიშვება ნაწარმოების მიხედვით, სიმართლე კოლმეურნეობის თავმჯდომარის მხარეზე აღმოჩნდეს ზოგჯერ?

რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს „ხევის პატარძლის" ავტორს განსაკუთრებულად ვუსაყვედურებდეთ რაიმეს. ეს ჩვენი მწერლობის მრავალი რომანის თვისება გახდა და ჯაფარიძის თხზულებაც არ იყო მოკლებული ამ ნაკლოვანებებს. სწორედ ამიტომ, მით უმეტეს საჭირო იყო ამ დამახასიათებელი ნაკლოვანების აღნიშვნა. კრიტიკოსი სერგი ჭილაია არჩილსა და სამსონში, ორივეში დადებით გმირს ხედავს და მართებულად აღნიშნავს, რომ „განსხვავება მხოლოდ იმაში არის, რომ სამსონზე უფრო სწორად არჩილი ერკვევა საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანებში. კონფლიქტიც ამაზეა აგებული" [1]. რ. ჯაფარიძის სასარგებლოდ კი უნდა ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ მის რომანში ძირითადი კონფლიქტი ხელოვნურობის იერს ატარებს, მწერალმა მაინც მონახა ცოცხალი საქმეები და მის მოამაგედ არჩილ ნავაძე წარმოადგინა. ასეთია ელსადგურის მშენებლობის ორგანიზაცია (ხალხის დარაზმვა და არა დავა თავმჯდომარესთან იმის შესახებ, ავაშენოთ თუ არა ელსადგურიო), ცოცხალ ადამიანებთან დამოკიდებულება — მათი ბედით დაინტერესება (სარდიონი და სხვ.); ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ არჩილ ნავაძის მხატვრული სახე არ არის ინტერესსმოკლებული.

ომისშემდგომ ქართულ პროზაში რომ მხოლოდ რამდენიმე დიდი ნაწარმოები შეიქმნა, ისიც ძლიერ შეზღუდული პრობლემატიკით, ეს შემოქმედებითი გაუბედავობის შედეგია. ომისშემდგომ ქართულ პროზას, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ახასიათებს, ერთგვარი კრთომა ცხოვრების პრობლემების

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1951 წ., № 149, 27/VI.

წინაშე. მწერლობა გაბედულად ვერ ასახავდა ცხოვრების კონ-ფლიქტებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე მიუთითებდა საბჭოთა მწერლობას, რომ აუცილებელია იგი ჩაწვდეს ცხოვრების სიღრმეს, გაბედულად აჩვენოს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ამხილოს გადაგვარებული, ხელისშემშლელი ელემენტები, გადმოსცეს მთელი სიმძაფრით ის ბრძოლა, რომელიც ამ ელემენტების, ტენდენციების წინააღმდეგ მიმდინარეობს ჩვენს საზოგადოებაში. არ არის საჭირო სინამდვილის შელამაზებულად გადმოცემა, არ არის საჭირო საზეიმო ელფერი ყველგან და ყოველთვის. მანკიერი მხარეების კრიტიკა ჩვენი საზოგადოების წინსვლის აუცილებელი პირობაა.

პარტიის მზრუნველობა ანაყოფიერებს საბჭოთა მწერლობის შემოქმედებით მუშაობას. მწერლობა გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას და არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ნაწარმოები დაიწერა ომისშემდგომ ცხოვრებაზე. იწყებს გამოცოცხლებას ქართული მხატვრული პროზაც. ამ ბოლო დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი თხზულება გამოქვეყნდა. მათ შორის გამოირჩევა ო. ჩხეიძის „ჯებირი“ [1].

„ჯებირი“ მწერლის შემოქმედებითი გაბედულობის, ცხოვრების სიღრმეში ჩახედვისაკენ მისწრაფების გამოხატულებას წარმოადგენს. მწერალი გაბედულად აყენებს ცხოვრების პრობლემებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი, გვერდს არ უვლის და არ უფრთხის მათ. სადაც ჩვენი ეპოქის მოწინავე ტენდენციები იჩენენ თავს, მწერალიც იქ არის, გამოსთქვამს აღტაცებას, აღაფრთოვანებს მკითხველს. მაგრამ ჩვენი სინამდვილის მახინჯ მოვლენებს სასტიკად აკრიტიკებს, ამხელს მათ. არ უშინდება ზოგჯერ პრობლემის უარყოფით გადაწყვეტას (ლადო სავანელის ოჯახის დარღვევა), არ იჩენს ყალბ ოპტიმიზმს, არამედ გვაყენებს ნამდვილ ურთი-

[1] ო. ჩხეიძე, ჯებირი, „სახელგამი“, 1956 წ.

ერთობათა წინაშე, სადაც ახალი იმარჯვებს დიდი ჭიდილის, მწვავე ტკივილების საფასურად.

„ბუნების გარდაქმნისათვის ალალია ადამიანის მთელი ძალღონე... მაგრამ... მხოლოდ ბუნების გარდაქმნა არ კმარა, ადამიანიც უნდა გარდაიქმნას, გადასხვანაირდეს, გამოიცვალოს. ადამიანი გარდაქმნის ბუნებასაც, გარდაიქმნება თვითონაც". ეს სიტყვები განსაზღვრავენ რომანის თემას.

ბუნების გარდაქმნა და ადამიანის აღზრდა! — ეს არის რაიკომის მდივნის ირაკლი შუბითიძის მთავარი საზრუნავი ამოცანები. მაგრამ ყოველთვის როდი ხერხდება აღზრდა. ხანდახან პირდაპირ ბრძოლა უხდებათ, ამ სიტყვის უაღრესად მკაცრი მნიშვნელობით.

ირაკლი შუბითიძეს რომანის დასაწყისშივე ეცნობით და თავიდანვე გიზიდავთ მაღალიდეური, ნათელი სახისა და გონების ადამიანი. იგი რაიონის ნამდვილად გულშემატკივარი ხელმძღვანელია. უაღრესად პრაქტიკული გონებისა და ალღოს, ამასთანავე მომავალზე ფიქრისა და ოცნების ადამიანი. მას იმდენად ცოცხლად და მდიდარი ფერებით ხატავს მწერალი, რომ მკითხველს აღელვებს მისი ცხოვრება, მისი ბედი, შეუყვარდება ეს გმირი და მასთან ერთად განიცდის ყოველ დადებით თუ უარყოფით მოვლენას. ჩვენი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ შუბითიძე გვეხატება ცხოვრების ნამდვილ სურათებში, ცხოვრებიდან აღებულ წინააღმდეგობებთან ბრძოლაში — და ეს მთავარია. ეს ბრძოლა, ეს მოძრაობა აცოცხლებს გმირს, მოითხოვს დიდ შინაგან ძალას, რომელიც უნდა გამოავლინოს ამ გმირმა, თუ მასში პოტენციურად არსებობს.

დაბრკოლებებთან ბრძოლაში შუბითიძე პრინციპულია, მისთვის უცნობია დათმობა, თუ იგი სახალხო საქმეს ვნებს.

შუბითიძე ჩვენ ერთ-ერთი მაღალი რანგის დადებით გმირად მიგვაჩნია. ვერ დავეთანხმებით მწერალს ფინალის გადაწყვეტაში. ვერ შევურიგდებით იმას, რომ ირაკლი ისე უღიმღამოდ გავიდეს თხზულებიდან. დასაშვებია, რომ ის მოხსნეს უმართებულოდ, „სიტყვაც კი არ ათქმევინეს ბიუროზე". მაგრამ ამით ამოიწურა ყოველივე? კომუნისტს, რომელიც

დარწმუნებულია თავის სიმართლეში, არ შეუძლია იჯდეს და ელოდოს, როდის მოხსნიან დამნაშავეებს. მარტო ჭეშმარიტი რწმენა როდია საკმარისი კომუნისტისათვის, აუცილებელია შეუდრეკელი, დაუნდობელი ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც კომუნიზმის მშენებლობის ხელის შემშლელია.

რამდენიმე შენიშვნა საერთოდ ნაწარმოების შესახებ:

პრობლემა, რომელიც „ჯებირის" ძირითად თემას წარმოადგენს, მაინც ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაა. სიუჟეტის ძირითადი ხაზის დასაყრდენი სავანელის ოჯახური კონფლიქტია. ოჯახი სახელმწიფოს უწვრილესი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ამ ნაწილის სიცოცხლისუნარიანობაზე, სიჯანსაღეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ოჯახის ზნეობრივი სიმაღლე და სიმყარე გავლენას ახდენს ოჯახის ყოველი წევრის მონაწილეობაზე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ასეთია თხზულების მართებული კონცეფცია. მერი გზას უღობავს ლადო სავანელს მთელი ძალით გამოავლინოს თავისი ენერგია და ორგანიზატორული ნიჭი ორბისის კოლმეურნეობის საქმიანობაში.

მაგრამ ორბისის კოლმეურნეობის ჩამორჩენის მხატვრული დასაბუთება არ მიგვაჩნია მთლად მართებულად. მწერალს ორბისის კოლმეურნეობის ჩამორჩენა გამოჰყავს მთლიანად ლადო სავანელის ოჯახური კონფლიქტიდან, რაც არ არის სწორი. მართალია, „პატარა შინაგანი ტკივილი, სულ პატარა ტკივილი"გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი მოღვაწის საქმიანობაზე, მის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებზე, ამ კერძო შემთხვევაში კოლმეურნეობის საქმეებზე, მაგრამ კოლმეურნეობის ჩამორჩენა რომ მთლიანად ლადო სავანელის ცოლს მერის დავაბრალოთ, შეცდომას დავუშვებთ, და ასეთ ხელოვნურ დასკვნამდე მივალთ: ლადო სავანელი ოჯახურმა უსიამოვნებამ მოადუნა, პარტორგი კოტე ბაბუციძე მას ეყრდნობოდა, ენდობოდა და ამან გამოიწვია კოლმეურნეობის ჩამორჩენა, გარღვევები საგაზაფხულო თესვაში, ბაღების საგანგაშო მდგომარეობა.

იგივე აღმოჩნდა მიზეზი იმისა, რომ კოლმეურნეობას არ გააჩნდა კლუბი, გზები, რადიო, ელექტროგაყვანილობა, არ შრომობდნენ ახალგაზრდები, არ იყო გაშლილი თვითმოქმედი წრეების მუშაობა.

აქ მეტი მხატვრულად დამაჯერებელი საბუთები უნდა ყოფილიყო. მწერალი ხანდახან რემარკების საშუალებით მიგვითითებს, რომ ორბისში „მოიპოვებოდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც არ შეეძლო ღრმად განცდა არც სიხარულისა, არც სიმძიმილის, ან თავიანთი პატარა სიხარული ჰყოფნიდათ, ან რაღაც საკუთარ პატარა ნაღველსაც ვერ მორეოდნენ“. ორბისში არიან ადამიანები, რომლებიც ექიმის ცნობას მოიტანენ, რეცეპტს ჩააკვრევინებენ საქმეში ცნობის მაგივრად, ოღონდ კი შრომას თავი აარიდონ. მაგრამ მწერალს არცერთი სახე არ შემოჰყავს ნაწარმოებში. ფიქრობს, რომ „ამგვარნი რა მარაქაში გასარევნი არიან, რა გავლენა გააჩნიათ?!“.

ჩვენის აზრით სწორედ აქ იჩინა თავი ხარვეზმა სინამდვილისადმი მიდგომაში. მწერალს რომ რამდენიმე ასეთი ტიპი შემოეყვანა ნაწარმოებში, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა ორბისის კოლმეურნეობის ჩამორჩენის მოტივი.

ასეთია ის ნაკლოვანებანი, რომელიც ახასიათებს სიტუაციის დასაბუთებას. გაზვიადებულია სავანელის ოჯახური კონფლიქტის მნიშვნელობა და შედეგები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თხზულებაში გვხვდება სიუჟეტურად სუსტად დაკავშირებული ეპიზოდები, რომლებიც ამბების განვითარებიდან არ გამომდინარეობენ, ან არ ემსახურებიან ნაწარმოების იდეას და ამიტომ არაფერს ეუბნებიან მკითხველს. ასეთად მიგვაჩნია ეთერის თამარაშენში სტუმრობის აღწერა, მისი შეხვედრები იქაურ ახალგაზრდებთან, და გოდერძისა და ეთერის სასიყვარულო სცენები ოლიმპიადის მსვლელობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ეს ადგილები თავისთავად არ არის ცუდად დაწერილი. (ეს ითქმის უფრო პირველი ეპიზოდის შესახებ, მეორე კი შეიცავს ბუნდოვან ადგილებს და ძნელი გასაგებია, ამ ეპიზოდით რისი თქმა უნდა მწერალს).

როგორი მკაცრიც არ უნდა იყოს ეს შენიშვნები, ისინი

ისეთნი არ არიან, რომლის დაძლევა მწერალს არ შეეძლოს ამ რომანზე მომავალ მუშაობაში, რაც აუცილებლად საჭიროა თხზულების სრულყოფისათვის.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ „ჯებირი“ ომისშემდგომ ქართულ პროზაში, „მთისკაცის“ შემდეგ, ერთ-ერთი უძლიერესი თხზულებაა. მის სახეთა სისტემაში ყველაზე ძლიერია ირაკლი შუბითიძის — მასების მეთაურის და აღმზრდელის, ჭეშმარიტი კომუნისტის სახე.

ახლა ჩვენ ვფიქრობთ უფლება გვაქვს ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ კომუნისტის სახის შესახებ ქართულ საბჭოთა რომანში.

ქართველი რომანისტები კომუნისტებს გვიხატავენ როგორც მასების მეთაურებს და აღმზრდელებს, მათ ხელმძღვანელებს, ისინი იმყოფებიან ყოველთვის ცხოვრების შუაგულში და მიჰყავთ ის წინ. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც საფეხურს წარმოადგენს ჩვენი ხალხის წინსვლაში, განსაზღვრავს კომუნისტის მოღვაწეობას. სხვადასხვა პერიოდში ისინი სხვადასხვა ამოცანას წყვეტენ, სხვადასხვანაირად, სხვადასხვა ხერხებით, ავლენენ თავიანთ ინდივიდუალურ თვისებებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ იდეურ ერთიანობას — გიგაურიდან მოკიდებული შუბითიძემდე ყველა პარტიული მუშაკი, რომლებიც ქართულ საბჭოთა რომანებში ასახულა, ერთი გულისთქმით მოქმედებს: მოუტანოს საბჭოთა ხალხს ბედნიერება, დარაზმოს ხალხი კომუნიზმის მშენებლობისათვის.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რა თქმა უნდა, რომ ეს სახეები იხატება შტამპურად, ერთი ყალიბით. ყველა ამ გმირს შენარჩუნებული აქვს თავისი ინდივიდუალობა, თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები და, ბოლოს, შენარჩუნებული აქვს „ეპოქის სული“. თავისი მომზადების დონით, კულტურით, პარტიული მუშაობის გამოცდილებით მაღლა. დგას შუბითიძე, ვიდრე, ვთქვათ, ტარასი ხაზარაძე. (მიუხედავად იმისა, როგორც მხატვრული სახე ეს უკანასკნელი გაცილებით ძლიერია, ვიდრე შუბითიძე). კომუნისტური პარტია, თვითეული კომუნისტი წარ-

მართავს რა საზოგადოების წინსვლას, იზრდება თვითონაც. ამაშია მისი ამოუწურავი ენერგიის ძალა, უჭკნობი სიცოცხლისუნარიანობა.

ქართველი რომანისტები კომუნისტებს ხატავენ როგორც ინიციატივიან ორგანიზატორებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია მაღალი იდეური შეიარაღება, ახლისა და ძველის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის მიღება. კომუნისტი იბრძვის ყოველთვის ახლის მხარეზე და უზრუნველყოფს მის გამარჯვებას. კომუნისტი ებრძვის ყოველივე დრომოჭმულს. ქართველი რომანისტების უეჭველი გამარჯვებაა გრიგოლ გიგაურის, ტარასი ხაზარაძის, გერა ბიგვას, ირაკლი შუბითიძის და სხვა კომუნისტთა მხატვრული სახეები. ოღონდ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ქართველი მწერლები მაინც ვალში არიან საბჭოთა საზოგადოების წინაშე. კომუნისტის ნათელი, მკაფიო სახის შექმნა მაინც მომავლის ამოცანად რჩება. ჯერჯერობით, საკმაო სიმკვეთრით და სიდიადით ვერ ასახა ქართულმა რომანმა კომუნისტთა ტიპები, რომლებიც უკვე მოგვცა ჩვენმა სინამდვილემ. ეს საპატიო ამოცანა ღირსეულ გადაწყვეტას მოითხოვს.

თავი მესამე

დადებითი გმირის მხატვრული ასახვის ზოგიერთი ძირითადი საკითხი

საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვით ლიტერატურათმცოდნეობას არა აქვს მიზნად ხელოვანს შემოქმედებითი კანონები დაუწესოს. ეს მართებული მოსაზრებაა. ლიტერატურათმცოდნეს არავითარი უფლება არა აქვს, და არც შეუძლია, საკუთარი სუბიექტური სურვილის მიხედვით დააწესოს მხატვრული ნაწარმოების აგების თუ მხატვრული სახის ხატვის კანონები. მაგრამ ლიტერატურათმცოდნეობა ახსნის შემოქმედებით პროცესს, განმარტავს, აფასებს მას, ამოიცნობს კანონებს.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ეკონომიურს თუ იდეოლოგიურს, მათ შორის ლიტერატურასა და ხელოვნებასაც, გააჩნია თავისი განვითარების ობიექტური კანონები, რომლებიც სუბიექტის სურვილებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. ძალდაუტანებელი, ბუნებრივი შემოქმედებითი პროცესი თავის თავში ატარებს ობიექტურ კანონებს. ლიტერატურათმცოდნეობის მოვალეობაა გამოავლინოს ეს კანონები, გაუზიაროს მწერლობას თავისი დაკვირვებები ლიტერატურულ პროცესზე, დახმარება გაუწიოს მას.

ლიტერატურათმცოდნე კი არ გამოიგონებს ხოლმე კანონებს, არამედ ამოიცნობს მათ. მართალია, ასახვის პროცესი უეჭველად სუბიექტური პროცესია და სუბიექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასახვაში, მაგრამ ასახვამ ობიექტი უნდა წარ-

მოგვიდგინოს ცოტად თუ ბევრად ადეკვატურად გამოხატული. ამიტომ რაღაც კანონები აუცილებლად უნდა არსებობდნენ, რომ ხატი ასახვის ობიექტს დაემსგავსოს. ეს კანონები სავალდებულონი იქნებოდნენ ყველა შემოქმედისათვის, რომელიც რეალისტური მეთოდით ასახავს სინამდვილეს. მაგრამ არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ობიექტური კანონები და შტამპები, ან ეპიგონური ხელოვნება. ეს ობიექტური კანონები თვითეულ ხელოვანთან თავისებური ელფერით გამოვლინდება, ტალანტის ინდივიდუალობასთან შეფარდებით, მაგრამ ისინი მაინც კანონები არიან და თავს იჩენენ ყოველთვის. თუ დაირღვა ეს კანონი და აღარ იქნა გამოყენებული ხელოვანის მიერ, ირღვევა ასახვის პროცესის რეალისტურობა და ხელოვნების მართალი ნაწარმოებების ნაცვლად ვღებულობთ მცდარ სურათებს. დღეს ყველასათვის ცნობილია თუ რა ზიანი მოუტანა ჩვენს ლიტერატურას ე. წ. „უკონფლიქტობის თეორიამ". როგორც კი კონფლიქტი გამოეცალა პიესას ან რომანს, დაირღვა სიუჟეტური წყობა, გამკრთალდნენ და გაუფერულდნენ მხატვრული სახეები. მაშასადამე კონფლიქტის გარეშე შეუძლებელი ყოფილა მხატვრული ნაწარმოების აგება. კონფლიქტი, ძალთა შეჯახება მხატვრული ნაწარმოების ობიექტური კანონი ყოფილა. ამაში თავის დროზე ვერ გაერკვა ჩვენი კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს მწერლობას. მაშასადამე, უნდა შევთანხმდეთ, რომ ლიტერატურას აქვს თავისი ობიექტური კანონები, რომლის ამოცნობა ლიტერატურათმცოდნეობის მოვალეობას წარმოადგენს.

კერძოდ, ამ შემთხვევაში გვსურს წარმოვადგინოთ ჩვენი დაკვირვებანი დადებითი გმირის მხატვრული ასახვის ძირითადი საკითხების შესახებ. ასეთ საკითხებად ჩვენ მიგვაჩნია:

დადებითი გმირის დამოკიდებულება ხალხთან, შრომასთან, დადებითი გმირი და კონფლიქტი მხატვრულ ნაწარმოებში, დადებითი გმირის ტიპიურობის საკითხი. ეს საკითხები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს და ერთმანეთში გადადიან. ოღონდ, ჩვენის აზრით, მაინც შეიძლება მათი პირობითად დაყოფა.

დადებითი გმირის მხატვრული ასახვის საკითხი ფართო საკითხია, ჩვენი მომდევნო მსჯელობანი ამ საკითხზე, არ იფა-

რგლება მხოლოდ იმ შედარებით მცირე მასალით, რომელიც წინამდებარე ნაშრომის მეორე თავშია წარმოდგენილი. ამ საკითხებზე მუშაობისას ჩვენ ვცდილობდით დავკვირვებოდით მთელ იმ მდიდარ მასალას, როგორიცაა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურა, განსაკუთრებით, რუსული საბჭოთა ლიტერატურა. გზადაგზა მსჯელობისას შევეცდებით გამოვიყენოთ მაგალითები რუსული ლიტერატურიდან, მაგრამ აქ ჩვენ არც ადგილი არც საშუალება არა გვაქვს წარმოვადგინოთ თუნდაც რამდენიმე ნაწარმოების მხატვრული ანალიზი. თუმცა როგორც მარქსი ამბობს: „რასაკვირველია, გადმოცემის წესი ფორმალურად უნდა განსხვავდებოდეს კვლევა-ძიების წესისაგან. კვლევა-ძიებამ უნდა აითვისოს მასალა დეტალურად, გაუკეთოს ანალიზი მისი განვითარების სხვადასხვა ფორმებს და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი.

მხოლოდ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ შეიძლება სათანადოდ გადმოცემული იქნას ნამდვილი მოძრაობა. თუკი ეს მოხერხდა და მასალის ცხოვრებამ თავისი იდეალური ასახულობა ჰპოვა, მაშინ შეიძლება გვეჩვენოს, რომ ჩვენ აპრიორულ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე“ [1].

დადებითი გმირის მხატვრული ასახვის საკითხები არ არის იოლი საკითხები. ამიტომ ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, რომ „მასალის ცხოვრება თავის იდეალურ ასახულობას ჰპოვებს“ ჩვენს მსჯელობებში. ჩვენი მიზანია, რამდენადმე მივუახლოვდეთ მაინც სწორ დასკვნებს. მხოლოდ ჩვენი შემდგომი მსჯელობისას ის არ უნდა ვიფიქროთ, რომ „აპრიორულ კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე“.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 521 — 522.

დადებითი გმირი და ხალხი

„დადებითი გმირის“ ცნების განსაზღვრისას აღვნიშნეთ, რომ დადებითი გმირის რაობას გვიჩვენებს მისი დამოკიდებულება ხალხთან, რამდენად პასუხობს ის ხალხის ინტერესებს, რამდენად ხორციელდება მის მოღვაწეობაში ეპოქის მოწინავე იდეალები კონკრეტულ-ისტორიულ პერიოდში, დგას თუ არა ის მასების ავანგარდში.

საზოგადოების განვითარებაში ხალხთა მასებისა და გმირების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ადრიდანვე იპყრობდა სოციალური მეცნიერების ყურადღებას. სუბიექტური სოციოლოგია საზოგადოების ხსნას „ცალკეული გმირების“ მოქმედებაში ხედავდა. მათი ეს მცდარი შეხედულება გამომდინარეობდა მცდარი პოზიციიდან საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების მიმართ. მათ არ ესმოდათ ეს კანონები. ისინი ხელოვნურად თიშავდნენ გმირებსა და ხალხს და მთელ იმედებს ამყარებდნენ ცალკეულ „კრიტიკულ პიროვნებებზე“, აქედან მიდიოდნენ პიროვნების კულტამდე.

განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა ეს შეხედულებები ნაროდნიკებთან. ცნობილია ნაროდნიკული „თეორიები“ „გმირებისა“ და „ბრბოს“ შესახებ.

იმპერიალისტურ ეპოქაში სუბიექტურ-იდეალისტური შეხედულებები მეტისმეტად ფართოდ გავრცელდა ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში. რა თქმა უნდა, ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონებით გარდუვალი დაღუპვისათვის განწირული რეაქციული ბურჟუაზია იმედს ამყარებს შემთხვევებზე, ამავე დროს ისტორიაში

პიროვნების როლის შესახებ სუბიექტივისტური თეორიების დახმარებით ცდილობს ჩაუნერგოს ხალხის მასებს მათთვის უცხო და უჩვეულო პასიურობა, ინერტიულობა და ფატალიზმი, დათესოს ურწმენობა საზოგადოებრივი პროგრესის ძალებისადმი.

მარქსიზმ-ლენინიზმი, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ჭეშმარიტ ცოდნაზე დამყარებით, სასტიკად აკრიტიკებს სუბიექტურ სოციოლოგიას, რომელიც ვერ ხედავს, ან არ სურს დაინახოს ხალხის შემოქმედებითი ძალა. მარქსიზმი გვასწავლის, რომ ხალხის მასები, რომლებიც მთელ დოვლათს ქმნიან, არიან ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი და მამოძრავებელნი. საზოგადოების ისტორია უპირველესად არის ისტორია წარმოების წესებისა, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთს ცვლიდნენ. საზოგადოების ისტორია მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ისტორიაა — ხალხთა ისტორია.

ისტორიის დიად შემოქმედ ძალას მშრომელთა მასები წარმოადგენენ. ხალხია სოციალური რევოლუციების დამკვრელი ძალა. ფორმაციიდან ახალ ფორმაციაზე გადასვლა, რასაც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების საჭიროება, ახალ საწარმოო ძალთა და ძველ საწარმოო ურთიერთობათა შეუსაბამობა იწვევს, ყოველთვის ხორციელდებოდა ხალხთა მასების გადამწყვეტი მონაწილეობით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ხალხი არა მარტო მწარმოებელი ძალაა საზოგადოებაში, არამედ ენის, სულიერი კულტურის — მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების წყარო და შემოქმედი.

მარქსიზმის მიერ ისტორიაში ხალხის მასების გადამწყვეტი როლის აღიარება, ამავე დროს, არ ნიშნავს პიროვნების როლის უარყოფას. მარქსიზმი პიროვნების მოღვაწეობას უეჭველ მნიშვნელობას ანიჭებს, თუ პიროვნების მოქმედება უკავშირდება და ახორციელებს ხალხის ინტერესებს, მით უმეტეს, თუ მის მიერ შეცნობილია საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები და პიროვნება მოქმედებს ამ კანონების შეცნობის საფუძველზე.

სწორი არ არის გმირებისა და ხალხის გათიშვა. არამედ,

პირიქით, გმირები მაშინ მოიპოვებენ ხოლმე დადებითის მნიშვნელობას, როცა ხალხის სულისკვეთების გამომხატველი ხდებიან.

ხალხსა და გმირებს ხელოვნურად თიშავდა მეტაფიზიკური მატერიალიზმიც. მარქსი შენიშნავს: „მატერიალისტური მოძღვრება, რომ ადამიანები გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები არიან, მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი გარემოებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიან, ივიწყებს, რომ გარემოებას სწორედ ადამიანები ცვლიან და რომ აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს. ამიტომ ამ მოძღვრებას აუცილებლად საზოგადოების ორ ნაწილად გათიშვისაკენ მივყევართ, რომელთაგან ერთ-ერთი საზოგადოებაზე მაღლა დგას (მაგ. რობერტ ოუენთან).

გარემოებათა და ადამიანთა მოქმედების ცვლილების თანამთხვევა შეიძლება წარმოვიდგინოთ და რაციონალურად გავიგოთ მხოლოდ როგორც რევოლუციური პრაქტიკა“ [1].

ჩვენი ეპოქის დადებითი გმირი მოქმედებს მასების, საზოგადოების შუაგულში და წარმოადგენს რევოლუციური პრაქტიკის მთავარ დამკვრელ ძალას. რა თქმა უნდა, ეს გარემოება კი არ თიშავს მას ხალხის მასებისაგან, არამედ ყველაზე უფრო რელიეფურად გამოახატვინებს მასების მოძრაობის ხასიათს, საზოგადოებრივი განვითარების ტიპიურ მიმართულებას. მარქსი სხვაგანაც მიუთითებს, რომ „ადამიანები თვით ქმნიან საკუთარ ისტორიას, მაგრამ არა თვითნებურად, არა ნებაყოფლობით არჩეულ პირობებში, არამედ უშუალოდ არსებულ, მოცემულ და გადმოცემულ პირობებში“ [2].

დადებითი გმირი უნდა აღიზარდოს და იზრდება კიდეც უშუალოდ მოცემულ პირობებში, ე. ი. წარმოადგენს მოცემული სინამდვილის ღვიძლ შვილს. წარმოადგენს რა მოწინავეს, გამორჩეულს, უკეთესს, იგი არავითარ შემთხვევაში არ უპირისპირდება ხალხთა მასებს, არამედ გამოხატავს მის ინტერესებს. დადებითი გმირი უპირისპირდება იმ ელემენტებს, რომ-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, გვ. 485.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, გვ. 267.

ლებიც ეწინააღმდეგებიან, ან ამა თუ იმ ზომით ხელს უშლიან ხალხთა მასების მოძრაობას, მის წინსვლას. ამით განისაზღვრება დადებითი გმირის როლი საზოგადოებრივ განვითარებაში.

როგორც მეტაფიზიკური მატერიალიზმი, ისე სუბიექტური სოციოლოგია სხვადასხვა გზით მიდიან ერთ შედეგთან: საზოგადოების გარდამქმნელი ძალა არ შეიძლება გაიზარდოს, წარმოიქმნას თვით ამ საზოგადოებაში, საზოგადოებრივი პროგრესი უნდა განახორციელოს არა მოცემულმა რეალურმა ძალებმა, არამედ გარედან მიყენებულმა, სხვა სამყაროდან მოვლინებულმა ძალებმა. ასეთ დასკვნებს იმიტომ აკეთებს ერთიცა და მეორეც, რომ არცერთი მათგანი არ ეყრდნობა საზოგადოების ნამდვილ მამოძრავებელ ძალებს, არ წარმოადგენს იმ კლასის მსოფლმხედველობას, რომელიც სინამდვილეში ასრულებს საზოგადოებრივ პროგრესს. მხოლოდ შემოქმედი კლასის იდეოლოგიამ, პროლეტარიატის, მშრომელი მასების იდეოლოგიამ, მარქსიზმმა შესძლო საკითხის ჭეშმარიტი გადაჭრა. საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების თანახმად ახალი ძალები წარმოიშვებიან ძველი ურთიერთობების წიაღშივე და ახორციელებენ საზოგადოებრივ წინსვლას. პროგრესს ემსახურება ყველა ის ძალა, რომელიც ასე თუ ისე გამოხატავს მშრომელი ხალხის მისწრაფებებს და მის ინტერესებს. ამ გმირებს წარმოშობს თვით მშრომელი, ჩაგრული ხალხის მოძრაობა უშუალოდ მისი რიგებიდან, ან კიდევ სხვა საზოგადოებრივი ფენებიდან და კლასებიდან. ეს გმირები ღებულობენ ძალას ხალხის მოძრაობისაგან, იზრდებიან ხალხის მოძრაობის წიაღში და შემდეგ გავლენას ახდენენ ხალხის მოძრაობაზე, თვით კვლავ განაგრძობენ ზრდას, განუწყვეტლივ მტკიცე კავშირში არიან ხალხთან.

კომუნისტური პარტია სისტემატურად და თანმიმდევრულად განუმარტავს ამას ხალხს. პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლამ დიდი ადგილი დაიკავა პარტიის XX ყრილობაზედაც. XX ყრილობამ განმარტა, რომ ხალხთა მასების როლის დამცირება სოციალიზმის მშენებლობაში უმართებულოა. ჩვენი მონაპოვარი შემოქმედ საბჭოთა ხალხს ეკუთვნის.

ჩვენი ეპოქის და აქედან სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირის ერთ-ერთი უპირველესი თვისება ისაა, რომ ის არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, გაქვავებული ხასიათი. იგი მუდმივ განვითარებაშია, მზარდია, უკან არ რჩება მოვლენების წინსვლას. მუდამ ახალ, მაღალ თვისებებს იძენს და სრულყოფილი ხდება.

საიდან იძენს ამ ახალ თვისებებს, შინაგან სიმტკიცეს ეს გმირი?

ყველა სიკეთეს მას შესძენს მოწინავე იდეოლოგია, ფაქტებისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა, ცხოვრების გამოცდილება, რევოლუციური პრაქტიკა, რაც მხოლოდ ხალხის მოძრაობის წიაღში ხორციელდება.

მეტნაკლები მხატვრული ოსტატობით და მიღწევებით ასე გვიხატავს დადებით გმირებს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა.

ზემოთ, მხატვრული სახეების განხილვისას, ვცდილობდით კონკრეტულ მაგალითებზე გვეჩვენებინა დადებითი გმირების ეს თვისება. განსაკუთრებით მკაფიოდ გვეხატება ხასიათის განვითარება და ზრდა ტარასი ხაზარაძის, მექი ვაშაკიძის, ციცინო ფარვანიძის, ქიშვარდი ქილიფთარისა და სხვათა მაგალითებზე.

რუსული საბჭოთა ლიტერატურა ამ მხრივაც მაგალითის მაჩვენებელია ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხების მწერლობისათვის.

ჯერ კიდევ მ. გორკის „დედაში“ ბრწყინვალედაა ნაჩვენები დადებითი ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი. პელაგია ნილოვნა, დაბეჩავებული რუსი ქალი, ხდება სოციალისტური იდეალის მატარებელი, ხალხთა უკეთესი მომავლისათვის შეგნებული მებრძოლი გმირი, ხოლო პავლე ვლასოვი უბრალო მუშიდან ხდება „პარტიის კაცად“, კომუნისტური საზოგადოებისათვის თავდადებულ, გამოწრთობილ და უშიშარ მებრძოლად, ის დგება პროლეტარიატის ავანგარდში, მოწინავეთა რიგებში.

ხასიათის ზრდის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ჩაპაევის (დ. ფურმანოვი — „ჩაპაევი“) მხატვრული სახე. პიროვ-

ნების ტალანტს, შეერთებულს რევოლუციის საქმის უდიდეს რწმენასთან, კომისარ კლიჩკოვის მეშვეობით, რევოლუციური პრაქტიკის მეშვეობით, ჩაპაევში უერთდება გონებრივი და იდეური განვითარება. ჩაპაევი ხდება გაცილებით მაღალი თვისებების, ფართო მასშტაბის გმირი.

ნ. ოსტროვსკიმ თავისი რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მიუძღვნა საბჭოთა ადამიანის — პავლე კორჩაგინის ფოლადისებური ხასიათის ჩამოყალიბებას. ასევე ახალგაზრდა გმირების ხასიათის განვითარებას და დიად ადამიანურ ხასიათად გადაქცევას მიეძღვნა ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, რომელიც კრასნოდონელი კომკავშირლების დიდ პატრიოტულ საქმეებს ასახავს.

მაგალითების მოყვანა კვლავ და კვლავ შეიძლებოდა, საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი იკრებს საუკეთესო თვისებებს, განუწყვეტლივ იზრდება, იწრთობა მისი ხასიათი. ეს ჩვენი სოციალისტური სინამდვილის უცილობელი შედეგია.

მაგრამ იზრდება ეს გმირი არა თავისთვის, იზოლირებულად, მასებისაგან მოწყვეტით, არამედ საზოგადოებაში, განუწყვეტელი ურთიერთ ზემოქმედების პროცესში. დადებითი გმირი, თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას ახდენს გარემოზე, საზოგადოებაზე და მიჰყავს ის წინ, პირველ რიგში, საკუთარი მოღვაწეობის ძალით, უშუალო პრაქტიკული შედეგების ძალით, ამასთან ერთად, ის წარმოადგენს უმწიკვლო, თავდადებული მოღვაწის ცოცხალ, მისაბაძ მაგალითს მასებისათვის. დადებითი გმირი თავის ცოდნასა და ენერგიას არ იშურებს სახალხო საქმისათვის და წარმოადგენს დიდ დამრაზმავ ძალას.

მკაცრი ბრძოლა სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ. პიროვნების კულტის წინააღმდეგ დღესაც საჭიროა. ეს გვავალებს ყურადღება გავამახვილოთ პიროვნების კულტის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. ოღონდ არ უნდა მივიდეთ მეორე უკიდურესობამდე, პიროვნების როლის. უარყოფამდე. მარქსიზმი ასეთი შეცდომების წინააღმდეგია. შეცდომა იქნებოდა საზოგადოების — კოლექტივის წარმოდგენა ერთგვაროვან, უსახო მასად. კოლექტივის ერთიანობა გვესახება მისი შემადგენელი პიროვნებების ხასიათთა მრავალფეროვნებაში.

კოლექტივში ყოველთვის არიან მოწინავენი და ჩამორჩენილნი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნებოდა, საერთოდ, განვითარება.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ, როცა დადებითი გმირის მხატვრული სახის შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკური თავისებურება. მხატვრული მწერლობის გმირი არ არის ერთი რომელიმე პიროვნების ასლი, არამედ ეს ხალხის მოწინავე შვილის **განზოგადებული, ტიპიურ ხარისხში** აყვანილი სახეა.

3. აჟაევის რომანში „მოსკოვიდან დაშორებით", შორეულ აღმოსავლეთში ნავთსადენის გაყვანის ძნელ საქმეს, რომელიც კიდევ უფრო დაძაბული და რთული გახადა იმ გარემოებამ, რომ ეს სამუშაოები სამამულო ომის მძიმე წლებში წარმოებდა, თავი ვერ გაართვა წარმოების ძველმა ხელმძღვანელობამ და მისმა მეთაურმა სიდორენკომ. სრულიად შეცვალა საქმე ბატმანოვის, ბერიძის, კოვშოვისა და სხვათა გამოჩენამ. ძირითადი მასა მშენებლებისა არ შეცვლილა მათი მისვლის შემდეგ, მაგრამ სამუშაოთა სათავეში ბატმანოვის ჩადგომამ მოაბრუნა საქმე. ბატმანოვმა შესძლო დაერაზმა ხალხი, ჩაწვდომოდა მათ სულსა და გულს, სურვილებს, მისწრაფებებს. იგი მათი ნამდვილი მეთაური გახდა. ამის შემდეგ მშენებელთა კოლექტივი თითქო გამოიცვალა. მანამდელი უტემპო, უწესრიგო მუშაობა შეიცვალა ორგანიზებული შრომის პროცესით. ბატმანოვისა და ზალკინდის მეშვეობით საათის მექანიზმივით ამუშავდა მთელი კოლექტივი. ბატმანოვის ორგანიზატორულმა ნიჭმა, კომუნისტურმა იდეურობამ უდიდესი როლი შეასრულა დიდი სამხედრო მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის დროულად და ხარისხიანად დასრულებაში.

ჩვენ ზემოთ საშუალება გვქონდა თვალი გვედევნებინა, თუ ძალების როგორი დაძაბვითა და მძიმე დაბრკოლებების გადალახვის გზით უხდებოდა პირველი კოლმეურნეობის შექმნა ზემოციხის კომუჯრედის მდივანს ტარასი ხაზარაძეს.

ტარასის შეგნებული ჰქონდა, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობის კეთილდღეობის გზა კოლექტიური მეურნეობა იყო. მას, როგორც პარტიის წევრს, ესმოდა საზოგადოების ობიექ-

ტური განვითარების ნამდვილი მიმართულება. მაგრამ ტარასის ისიც ესმოდა, რომ ეს ობიექტური განვითარება თავისთავად არ მოდის, იგი დიდი წინააღმდეგობების დაძლევით, დიდი ბრძოლებით მოიპოვება, რომ უშუალოდ მოცემული გარემოებები თვით ადამიანებმა უნდა შეცვალონ. ამიტომ იყო ასე თავდადებული და პრინციპული ტარასის მოღვაწეობა. მიღწევებში, რაც ზემოციხეში საკოლმეურნეო საქმის გამარჯვებით გამოიხატა, განუზომლად დიდი იყო ტარასი ხაზარაძის როლი.

ვოროპაევმა, ჭეშმარიტმა კომუნისტმა, რომელმაც საბოლოოდ შეიგნო, რომ ბედნიერების მოპოვება შეუძლებელია ხალხის მასებთან კავშირის გარეშე, ვერ მოითმინა კორიტოვის უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულება ხალხისადმი და კომუნისტური პრინციპულობით გააკრიტიკა ის. ვოროპაევი სათავეში ჩაუდგა ყირიმის ერთი რაიონის მშრომელთა შემოქმედებით საქმიანობას და წაიყვანა ისინი წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ.

ჰოსპიტალიდან დაბრუნებული ვ. ბორტნიკოვი (გ. ნიკოლაევას „მკა") სათავეში ჩაუდგა ჩამორჩენილ კოლმეურნეობას, რომელიც უგრენის რაიონში უკანასკნელად ითვლებოდა. სულ მოკლე ხანში მდგომარეობა ისე გამოსწორდა, რომ კოლმეურნეობა „პერვომაისკი" მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ცხადზე უცხადესია, რომ ბორტნიკოვს მარტოდმარტო თავისი შრომით არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო მოეხდინა გარდატეხა კოლმეურნეობის ცხოვრებაში. ბორტნიკოვის გამარჯვების საიდუმლოება იმაშია, რომ მან შესძლო კოლმეურნეობის ნამდვილი ხელმძღვანელი გამხდარიყო, შესძლო კოლმეურნეებთან საერთო ენის გამონახვა, მათი ძალის შეკავშირება და დანიშნულებისამებრ წარმართვა. ის კოლმეურნეობის უნარიანი, მცოდნე, გამრჯე და ჭკვიანი ხელმძღვანელი აღმოჩნდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 2 მარტის დადგენილებაში აღნიშნულია: „...კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობა და ყოველმხრივი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა შერჩევაზე. ფაქტები ცხადყოფენ: თუ კოლმეურნეობის ხელმძღვანელად ასახელებენ საქმიან და ინიცი-

ატივიან თავმჯდომარეს, რომელმაც იცის თავისი საქმე და აქვს მასების დარაზმვის უნარი, **ყველაზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობა ორი-სამი წლის მანძილზე მოწინავე ხდება,** ხოლო კოლმეურნეები შრომადღეებზე იღებენ დიდ შემოსავალს. ასეთ კოლმეურნეობებში სწორადაა შეხამებული სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესები კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესებთან. **პირიქით, მდიდარ საწარმოო შესაძლებლობათა კოლმეურნეობები ჩამორჩენას იწყებენ და სუსტდებიან,** როცა მათ ხელმძღვანელებად აღმოჩნდებიან შემთხვევითი ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ უნარი გაუძღვენ მსხვილ სოციალისტურ წარმოებას“ [1].

ბატმანოვი, ხაზარაძე, ვოროპაევი და სხვები „განზოგადებული პიროვნებანი“, ანუ ტიპიური ხასიათები არიან, რომელთაც ჭეშმარიტად ესმით ხალხის მასების სურვილები, ცხოვრების განვითარების მიმართულება, აქვთ მინდობილი საქმის გაძღოლისათვის საჭირო ცოდნა და ენერგია და დაუღალავად შრომობენ. დიდია მათი როლი საზოგადოების, ხალხის ცხოვრებაში.

დადებითი გმირი მთელ თავის ძალღონეს და ცოდნას სახალხო საქმეს ახმარს. მისი უანგარო თავდადება თავგანწირვამდე მიდის, მას ჰყოფნის გამბედაობა და ვაჟკაცობა სიცოცხლეც კი შესწიროს ხალხის საქმეს თუ ეს სამშობლოსათვის საჭიროა. დადებითი გმირი თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტია. **სოციალისტური ქვეყნის ახალი ადამიანისათვის ხალხისა და სამშობლოს ცნება გასცილდა ვიწრო ეროვნულ ინტერესებს, სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყანა არის საბჭოთა ადამიანის ერთი დიდი სამშობლო. მრავალი ერის, მრავალი ხალხის გამაერთიანებელი სახელი გახდა: საბჭოთა ხალხი.** ახალ ადამიანს

---

[1] „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1954 წლის 2 მარტს ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების გამო. გაზ. „კომუნისტი“. 6/III, 1954 წ., გვ. 1 (ხაზი ჩემია — შ. ჩ.).

ახასიათებს როგორც თავისი ერის, ისე სხვა მოძმე ერების სიყვარული და პატივისცემა.

ამიტომ იყო, რომ დიდი სამამულო ომის დროს დიადი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მხარდამხარ იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ერები: რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი, სომეხი, ყაზახი, ესტონელი და სხვ., სადაც არ უნდა ყოფილიყო ეს: ბელორუსიაში, უკრაინაში, მოსკოვისა და ლენინგრადის მისადგომებთან თუ კავკასიის კარებთან.

ამ პერიოდში ყველაზე უფრო ნათლად გამოვლინდა პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების ერთიანობა სოციალისტურ ქვეყანაში. საზოგადოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესები მაღლა დადგა ყოველგვარ პიროვნულზე, ისეთი ინსტინქტური შეგრძნობაც კი დაიმორჩილა, როგორც არის თავის გადარჩენის, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის სურვილი. ჩვენი საბჭოთა ადამიანები შეგნებულად წირავდნენ სამშობლოს თავიანთ სიცოცხლეს, რითაც გამოამჟღავნეს უდიდესი გმირობა და სულის სილამაზე.

მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა პატრიოტიზმი მოითხოვს ახალი ადამიანისაგან თავდადებულ შემოქმედებით შრომას პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული მორიგი, ახალი ამოცანების განხორციელებისათვის.

საბჭოთა ხალხს კომუნისტური პარტია რაზმავს. მიჰყავს ის ახალი გამარჯვებებისაკენ. ჩვენი ეპოქის დადებითი გმირი ყურადღებით უკვირდება კომუნისტური პარტიის ყოველ ახალ მოწოდებას, არ ზოგავს ძალებს მისი განხორციელებისათვის და რაზმავს სხვებსაც. პარტიული და უპარტიო დადებითი გმირი პარტიის ხაზის განუხრელად გამტარებელია.

მცირეა თუ დიდი კოლექტივი, იგი სახელმწიფოებრივ ამოცანებს ასრულებს და მისი საქმიანობა პარტიისა და სახელმწიფოს მიერ არის განსაზღვრული. ამიტომ დადებითობის აუცილებელ პირობად, როგორც კოლექტივისათვის, ისე ცალკეული გმირისათვის გვევლინება ისეთი მოღვაწეობა, რომელიც მთლიანად სახელმწიფოებრივ ამოცანებს ემორჩილება. გმირის მოღვაწეობა ფუჭია პარტიის, სახელმწიფოს, კოლექტივის ინტერესების გარეშე. დადებითი გმირის მოღვაწეობა თანხმო-

ბაშია საერთო-სახალხო ინტერესებთან და მათი განხორციელებისკენაა მიმართული.

მაშ ვის წინააღმდეგ გამოდის დადებითი გმირი? ერთი სიტყვით შეიძლებოდა გვეპასუხნა: ყველა იმათ წინააღმდეგ ვინც ხელს უშლის სახალხო მოძრაობას, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს, პარტიის, სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანების განხორციელებას.

სოციალისტურ საზოგადოებაში ყველაზე უფრო ტიპიურია წინააღმდეგობანი, რომლებშიაც კოლექტივის ავანგარდი ექცევა კოლექტივის ჩამორჩენილ ელემენტებთან; ან იმ ადამიანებთან, რომლებიც ჩამორჩებიან. კონფლიქტი წინსვლისა და ზრდის ნიშანია, ის ყველგან წარმოიშობა, სადაც თუნდაც მცირე მოძრაობა არის წინ. კონფლიქტი არ არის იქ, სადაც არ არის ბრძოლა და წინააღმდეგობა. ასეთ წინააღმდეგობათა გადალახვა ლაპარაკობს ჩვენი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობაზე, პროგრესული იდეების აღმზრდელობით ძალაზე, ჩვენი ეპოქის გმირის სისტემატურ ზრდაზე, სოციალისტური საზოგადოების ამ მოწინავე რაზმის რიგების გაფართოებაზე.

სოციალისტური საზოგადოების ახალი, განმასხვავებელი ტიპიური თვისება ის არის, რომ დადებითი გმირები მასში ერთეულები კი არ არიან, ან მცირე ჯგუფები, არამედ წარმოდგენილნი არიან მრავალრიცხოვანი არმიის სახით, მთელი კოლექტივების სახით.

დადებითი გმირი ერთი მრავალთაგანია თავისი ხალხის მოწინავე რაზმში. ამიტომ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით სიუჟეტებს, რომელთა საფუძველიც არის არა ერთი რომელიმე გმირის ცხოვრების ისტორია, არამედ მთელი კოლექტივისა, მის მოძრაობაში ახალი, მაღალი იდეალებისაკენ. ადგილი, რომელიც უჭირავს გმირს ამ პროცესში, განსაზღვრავს მის თვისებებს, ასე ვთქვათ, მისი დადებითობის ხარისხს.

ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ ნოვატორი გმირის არცერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი წამოწყება, შრომისა და ცოდნის, თუ ბრძოლის რომელ სფეროსაც არ უნდა ეხებოდეს ის, არ შეიძლება განხორციელე-

ბული იქნეს კოლექტივის ყოველმხრივი მხარდაჭერის გარეშე. ამიტომ დადებით გმირს არ შეუძლია მოწყდეს ხალხის მასებს, კოლექტივს, რომელმაც ის აღზარდა.

დადებითი გმირი და შრომა

ადამიანთა საზოგადოების საარსებო წყაროს შრომა წარმოადგენს. მაგრამ მშრომელ ადამიანს არასდროს დაფასება არ ღირსებია. ის ყვლეფისა და ექსპლოატაციის საგნად იყო გადაქცეული. მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში მშრომელი საზოგადოებრივი იერარქიის უდაბლეს საფეხურზე იდგა და ოფიციალურად იყო აღიარებული დაბალი ღირსების ადამიანად. ვერც კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეღირსა დაფასება მშრომელ ადამიანს. ადამიანი, რომელიც იურიდიულად „თავისუფალია", მაგრამ არსებობის არავითარი საშუალება არ გააჩნია, ფაქტიურად იძულებულია მიეყიდოს კაპიტალისტს, რომელსაც მისაკუთრებული აქვს წარმოების საშუალებები. მშრომელი მთლიანად დამოკიდებულია კაპიტალისტის სურვილზე და იძულებით შრომას ეწევა. კატორღული შრომის საფასურად კაპიტალისტი მას აძლევს იმდენს, რომ ფიზიკური არსებობა შეუნარჩუნოს, რათა კვლავ შეეძლოს მისი გაყვლეფა, აღვირახსნილი ექსპლოატაციის განგრძობა.

ექსპლოატატორულ საზოგადოებაში არ შეიძლებოდა შრომა გმირობის საქმედ გადაქცეულიყო. იმიტომ, რომ ის საერთოდ არ სარგებლობდა პატივისცემით, მძიმე — უსიხარულო შრომა არ იწვევდა აღფრთოვანებას თვით მშრომელებში, რადგან „ვინა შრომობდა და ვინა ჰძღებოდა". შრომის ნაყოფის უდიდეს ნაწილს, ყოვლად უსამართლო განაწილებისას, ითვისებდნენ ერთი მუჭა ექსპლოატატორები. ეს ახშობდა შრომითი აღმავლობის ყოველგვარ სტიმულს. კაპიტალიზმის ჭაობმა, მისმა მგლურმა კანონებმა გააფუჭა, შერყვნა ადამიანების სულიც, განავითარა მათში უკიდურესი ინდივიდუალიზმი, „თავისთვის შრომის" ჩვევა.

სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში ლენინი

ამბობდა: „საერთო შრომას ერთბაშად ვერ შექმნი, ეს შეუძლებელია. ეს ციდან არ ვარდება. ეს ტანჯვით უნდა მოიპოვო, შექმნა. ეს ბრძოლის მსვლელობაში იქმნება“ [1].

მხოლოდ სოციალისტურმა საზოგადოებამ შესძლო „შრომის ახსნა“, კაპიტალის უღლისაგან შრომის დახსნის შესახებ კაცობრიობის პროგრესულ შვილთა ოცნების განხორციელება. შრომის განთავისუფლების იდეა კაცობრიობის ყველა უკეთილშობილეს იდეაზე დიადი იყო.

სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც შრომის ნაყოფი მშრომელს ეკუთვნის და პირდაპირ თუ არაპირდაპირ მას ხმარდება, დამკვიდრდა შრომისადმი ახლებური დამოკიდებულება, მისი ახლებური გაგება. შრომა იძულებითი საკატორღო ბეგარიდან, როგორიც ის კაპიტალიზმის დროს იყო, გადაიქცა ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში მშრომელები იჩენენ უდიდეს ინიციატივას, ნოვატორობას, ზრუნავენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი მთავარი გმირი სწორედ ეს მშრომელი ადამიანი გახდა.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა სინამდვილეზე დაყრდნობით ქმნის ტიპიურ მხატვრულ სახეებს და მას არ შეუძლია გვერდი აუაროს ეპოქის ნამდვილ გმირებს. ვინ არიან ეს გმირები?

„მუშები და გლეხები, რომლებიც უხმაუროდ და უაურზაუროდ აშენებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, მაღაროებსა და რკინიგზებს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს, ქმნიან ცხოვრების ყველა სიკეთეს, აშმევენ და ასმევენ მთელ მსოფლიოს, აი ვინ არიან ახალი ცხოვრების ნამდვილი გმირები და ნამდვილი შემოქმედნი“ [2].

შრომა — წყარო გმირობისა, მშრომელი — გმირი, ეს საბჭოთა ეპოქის და საბჭოთა ლიტერატურის ახალი, განსაკუთრებული თვისებაა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 355.

[2] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, გვ. 536 — 537

საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები, ერთის მხრით, დაკავშირებულია სოციალისტურ შრომასთან. უპირველესად საზოგადოებრივ შრომაში მეღავნდება ადამიანის მორალი, მისი დამოკიდებულება საზოგადოებისადმი.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მორალის შესახებ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვეხებით რაღაც განყენებულს, დამოუკიდებელს ადამიანის წარმოებითი საქმიანობისაგან. მორალური ელემენტი მჭიდრო კავშირშია ადამიანის მოქმედებასთან კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ქარხნებში, კულტურის ფრონტზე და ყველგან. უფრო სწორად, სწორედ ამ საქმიანობაში პოულობს უმთავრესად თავის გამოხატულებას საბჭოთა ადამიანის მორალი.

კომუნიზმის მშენებლობის იდეით გამსჭვალული ადამიანი მთელ თავის ძალღონეს საერთო საქმეს ახმარს, კოლექტიურ შრომაში ამეღავნებს თავის მისწრაფებებს. კეთილშობილური იდეალი და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა აყალიბებს ახალი ადამიანის ზნეობრივ სახეს. ამგვარად ჩამოყალიბებულმა ხასიათმა თავი უნდა იჩინოს ყოფაცხოვრების ყოველ მხარეში, ოჯახში თუ ოჯახის გარეთ, სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში.

მაგრამ ჩვენში დღესაც საკმაოდ მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ვერ მივიდნენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიადი იდეის სრულ გაგებამდე და ჯერ კიდევ ატარებენ ბურჟუაზიული მორალის გადმონაშთებს. ასეთი ადამიანი ბორძიკობს ცხოვრებაში, ადამიანებთან დამოკიდებულებაში, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამეღავნებს ჩამორჩენილ, დახავსებულ შეხედულებებს. პირველ რიგში მისი ჩამორჩენილობა საზოგადოებრივ შრომასთან დამოკიდებულებაში იჩენს თავს. ზოგი მათგანი უსაქმური ცხოვრების მომხრეა — არ უყვარს შრომა, ზოგს კი შრომა არ მიაჩნია საერთო ბედნიერების შექმნის წყაროდ, შრომა მათი წარმოდგენით პირადი ბედნიერების შექმნის საფუძველია. სიპიტო ქილიფთარს (ალ. ჭეიშვილის „ლელო“) უყვარს შრომა, კიდევ მეტი შეიძლება ითქვას: ბონდოსა და მისი უთანხმოების მთავარი ძირი — ბონდოს უსაქმურობაა, სიპიტოს კი ეჯავრება უსაქ-

მური კაცი. თვითონ იგი ძალასა და ღონეს არ ზოგავს მუშაობაში. მაგრამ საქმე ის არის, როდის და რა დროს. სიპიტო. როცა კოლმეურნეობის საქმეს აკეთებს, თაღლითობს, იმიტომ. რომ ეს მისი პიროვნული საქმე არ არის, საერთო საქმე კი არ გამხდარა მისი პიროვნების ინტერესი. ხოლო როცა სიპიტო ხეებს ჭრის დიდ რაყაში, საკუთარ სავაჭროში გასაყიდად, ან საწნეხელი გამოაქვს ტყიდან, ან კიდევ თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობს, შეუსვენებლივ შრომობს მთელი ძალ-ღონის დაძაბვით. ასე მეღავნდება სიპიტო ქილიფთარში კერძო მესაკუთრული, წვრილბურჟუაზიული ჩვევები, ანტიკომუნისტური მორალი.

ანტიკომუნისტური მორალი სხვადასხვა ფორმით გვევლინება. თუ სიპიტო ქილიფთარი საერთო-საკოლმეურნეოს აშკარა მოწინააღმდეგეა, როდიონ ვასილცოვი (ელიზარ მალცევის „მთელი გულით)" მტრულად არ უყურებს საერთოს. ოღონდ არც აინტერესებს ის და არც იბრძვის მისი გაძლიერებისათვის. როდიონი პირადი ინტერესებით შემოიფარგლა, თავისი შრომა მხოლოდ პირად სარგებლობას და ბედნიერებას დაუკავშირა და ამგვარად სავსებით დაუპირისპირდა თავის მეუღლეს, სოციალისტურ იდეალით განმსჭვალულ მშრომელს — გრუნია ვასილცოვას.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ როდიონი სხვაზე ცუდად როდი მუშაობს. ის თავისებურად პატიოსნად შრომობს და ფაქტიურად ნაკლები სარგებლობა არ მოაქვს საერთო საქმისათვის, ვიდრე კოლმეურნეობის რომელიმე სხვა წევრს. მაგრამ შედეგის მიღწევა ყოველთვის როდი ნიშნავს ფაქტის მორალურობას. ამას გაარკვევს სუბიექტის შინაგანი სურვილი, მისწრაფება. გრუნიასა და როდიონში სხვადასხვაგვარ სიამოვნებას იწვევს საკუთარი შრომის შედეგი. ფაქტი შეიძლება მორალური იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის სუბიექტის შინაგანი მოთხოვნილებაა და განხორციელებულია მის მიერ ობიექტურად. გრუნიას თავისი შრომის შედეგი ახარებს არა მარტო პირადი სარგებლიანობის თვალსაზრისით, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ ეს შედეგი ხელს უწყობს საერთო საქმის წინსვლას, ეს ჩვენი კომუნისტური მორალის გამომჟღავ-

ნებაა. როდიონს თავისი შრომის შედეგი ახარებს მხოლოდ მისი პირადი ბედნიერების თვალსაზრისით და აქ თავს იჩენს ბურჟუაზიული მორალის გადმონაშთები. როდიონის მიღწევები ვიწრო პირადული მისწრაფების განხორციელებაა, რასაც არ შეიძლება საერთო ჰქონდეს კომუნისტური მორალის მაღალ თვისებებთან. ცხადია, კომუნისტური მორალი არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს პიროვნების ინტერესებს, იმას, რაც პიროვნების დაკმაყოფილებას გამოიწვევს. მაგრამ მთელი საქმე იმაშია, რამდენად უთანხმდება ეს პიროვნული საზოგადოებრივს. ის, რაც სიამოვნებს გრუნიას, არ იწვევს ამავე გრძნობას როდიონში, ხოლო ის, რაც სიამოვნებს როდიონს, ნაკლებად აკმაყოფილებს გრუნიას. ამასთან ერთად, ამ მოწინავე ქალს საზოგადოებისათვის შრომის სარგებლიანობა უპირველეს ამოცანად და მოვალეობად მიაჩნია.

თუ გრუნიასა და როდიონის მორალურ სახეს შევაფასებთ ემპირიულად, მხოლოდ მათი შრომის შედეგების მიხედვით, ეს მიგვიყვანდა ობიექტივიზმამდე, დასკვნა ზერელე იქნებოდა და მცდარი. ხოლო ღრმა, შინაგანი გააზრება ამ შედეგების მიღწევის პროცესისა გვაძლევს ნამდვილ, ჭეშმარიტ წარმოდგენას გრუნიასა და როდიონის მორალურ სახეზე. მაშასადამე, არ შეიძლება მართებული იყოს ფაქტის მორალურობის შეფასება მხოლოდ ფაქტიური შედეგის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებული შედეგი აუცილებელი პირობაა ყველა შემთხვევაში. თქმა არ უნდა, რომ არ კმარა მარტოოდენ კარგი სურვილები, საჭიროა ბრძოლა მათი განხორციელებისათვის, შედეგის მიღწევა, მაგრამ მორალს განსაზღვრავს შინაგანი მისწრაფებანი და ამ მისწრაფებების განხორციელების გზები და საშუალებები, რომელთაც იყენებს სუბიექტი.

ამრიგად, **თავდადებული შრომა მხოლოდ მაშინ შეიძლება აღიარებული იქნას მორალურ ფაქტად, თუ ის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის იდეალს უკავშირდება, და მხედველობაში აქვს საერთო სახალხო ამოცანები.**

სოციალისტური შრომა ჩვენი ეპოქისა და მისი ლიტერატურის დადებითი გმირის ერთ-ერთი უპირველესი თვისებაა.

საბჭოთა ლიტერატურამ, განსაკუთრებით რუსულმა საბ-ჭოთა ლიტერატურამ, მშრომელი ახალი ადამიანის მრავალი მაღალმხატვრული სახე შექმნა.

საბჭოთა რომანების მიხედვით, ისე როგორც ჩვენს სინამ-დვილეში, საბჭოთა ადამიანები იჩენენ შეგნებულობას და მა-ღალ იდეურობას, თავიანთ შრომას უქვემდებარებენ საერთო ინტერესებს, კოლექტივის ინტერესებს.

აქვე უნდა აღინიშნოს რომანების ზოგიერთი ნაკლოვანება შრომისა და მშრომელი ადამიანის ასახვის მხრით.

რომანების უმრავლესობა სწორად ასახავს რა საბჭოთა ადამიანების შრომას საზოგადოებრივი თვალსაზრისით, უგუ-ლებელყოფს პიროვნების ინტერესებს. აქ, ცხადია, არ უნდა ავრიოთ ერთმანეთში ვიწროდ შემოფარგლული ეგოისტური მისწრაფებები პიროვნებისა და თვითეული საბჭოთა ადამია-ნის კანონიერი, ბუნებრივი მოთხოვნილებანი, რომლებიც სავ-სებით კანონზომიერად უთანხმდებიან საზოგადოების ინტერე-სებს. იმის გამოხატვა კი, რომ საერთო შრომა ადამიანის სუ-ლიერ გადახალისებას არა მარტო ერთიანი შრომის პროცესით იწვევს, არამედ იმითაც, რომ მის პიროვნულ მოთხოვნილებებს უკეთესად აკმაყოფილებს, ჩვენის აზრით, აუცილებელია და სინამდვილესთან უეჭველ თანხმობაშია. ბოლო დროის რომა-ნებში უმეტეს ნაწილად აღარ აისახება, როგორ ამაღლებს სა-ერთო კოლექტიური შრომა პიროვნების საყოფაცხოვრებო პირობებს. თითქო ეს აღარ წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების საზრუნავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი მწერლობა, ამახ-ვილებს რა ყურადღებას შრომის საზოგადოებრივ-კოლექტიურ მხარეზე, ხშირად ივიწყებს პიროვნების შინაგან ცხოვრებას. პიროვნების შრომის შედეგების ჩვენება არ არის დამაკმაყო-ფილებელი. მხატვრული თხზულება უნდა გვიჩვენებდეს რო-გორ მაღლდება ადამიანის პიროვნება, როგორ კმაყოფილდება ის როგორც მატერიალურად, ისე სულიერად — მორალურად. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამის დეკლარაციულად გადმოცემა, როგორც ხშირად ნახავთ რომანებში, სრულებით არ არის და-მაკმაყოფილებელი. ეს მხატვრულად დამაჯერებლად უნდა აგ-ვისახოს თხზულებამ, უნდა ჩაგვახედოს გმირის შინაგან ცხოვ-

რებაში, სქემის ნაცვლად უნდა გვიჩვენოს ცოცხალი ადამიანი. მწერლობამ თავის ასახვაში უნდა შეახამოს საზოგადოებრივი, საერთო-სახალხო და პიროვნების ინტერესები, რადგან ეს ასეა ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გამარჯვებულ მშრომელთა ენთუზიაზმს, მათ მიერ მოწყობილ შაბათობებს, ურთიერთდახმარებას, სადაც უშუალო პირადული დაინტერესების ნიშან-კვალიც არ არის, მაგრამ ამავე დროს შენიშნავდა, რომ „მარტოოდენ ენთუზიაზმით კომუნიზმს ვერ ააშენებ". საჭიროა მუშათა და გლეხთა პიროვნული დაინტერესება, საჭიროა გლეხი და მუშა მომავალი, ბედნიერი, კეთილი ცხოვრების ჩანასახ ფორმებს უკვე დღევანდელობაში ხედავდეს, რომ მომავალი სარწმუნო იყოს და არც აწმყო — ურიგო. მუშები და გლეხები რაღაც ფანატიკური, გაუაზრებელი გატაცებით კი არ შრომობენ, არამედ მათი თავდადებული შრომა მათსავე ინტერესებს, მათ კეთილდღეობას, მათ ბედნიერებას ემსახურება.

ჩვენ გვაქვს მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიაც ეს საკითხი სწორად არის გადაჭრილი. საყვედური არ ეთქმის, მაგალითად, „ლელოს" ავტორს. ციცინო თავდადებული მშრომელი ხდება, მის შთაგონებულ შემოქმედებით შრომას ამოძრავებს კოლექტივიზმის სულისკვეთება, საერთო იდეალი, ოღონდ საერთოდან გამორიცხული არ არის ციცინოს პიროვნების ინტერესი. ციცინოს დაუღალავი შრომის სტიმული ისიცაა, რომ მას შეგნებული აქვს „ახლა რომ ქალები ჩააბრეშუმ-ჩაკოვერკოტებული არიან, მაგი სულ ჩაიში მუშაობითაა". ქიშვარდი კოლმეურნეობაზე ფიქრსა და ზრუნვასთან ათავსებს თავის პიროვნულ მოთხოვნილებებს. თავისი შრომის საფასურით იშენებს ოდას და სურს მოაწყოს თავისი ოჯახური ბედნიერება ციცინოსთან ერთად. ოღონდ ციცინოსა და ქიშვარდის შეგნებაში პიროვნული ვერასდროს ვერ ჩრდილავს საყოველთაოსახალხოს, კოლექტიურს, რადგან მათ მშვენივრად ესმით, რომ მათი პიროვნული ბედნიერების გარანტიას სწორედ კოლექტივი, კოლექტიური შრომა იძლევა.

ზემოხსენებული ნაკლოვანებანი კი, რომელიც მრავალ რომანს ახასიათებს, შრომის არასწორ გაგებასთან უნდა იყოს

დაკავშირებული. შრომა არ შეიძლება გაგებული იქნას როგორც თვითმიზანი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ შრომის საკითხს ადამიანთა საზოგადოებაში და თავიანთ ნაშრომებში უდიდეს ადგილს უთმობდნენ წარმოების წესის მექანიზმის გამოკვლევას. მარქსი სხვა ცოცხალ არსებათაგან ადამიანის ძირითად განმასხვავებელ თვისებად ადამიანის მიერ შრომის პროცესის გააზრებას აღიარებდა, ხოლო ენგელსი ასკვნიდა „შრომამ შექმნა ადამიანი“. მიუხედავად ამისა, მარქსიზმის კლასიკოსებთან ვერსად ვერ შეხვდებით შრომის გაგებას, როგორც თვითმიზნისა, პირიქით, შრომა ყოველთვის განიხილება როგორც ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება.

ჩვენს საზოგადოებაში გაიზარდა ადამიანის ცხოვრების აზრი, გამდიდრდა ადამიანის გრძნობა და გონება, მრავალფეროვანი გახდა მისი ინტერესები.

საბჭოთა ადამიანი უპირველესად მშრომელი ადამიანია. ამავე დროს რთულია მისი სულიერი სამყარო. იგი უდიდესი პოლიტიკური აქტივობის, მოქალაქეობრივი აქტიეობის ადამიანია, რომელსაც აინტერესებს მსოფლიოს ბედი, თავისი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ბედი, თავის ირგვლივ მყოფი ადამიანების ბედი, მისი ინტერესების რკალი ძლიერ ფართოა. იგი ცოცხალი ადამიანია, რომელსაც ცოცხალი ურთიერთობა აქვს სხვა ადამიანებთან, სძულს, უყვარს, განიცდის მწუხარებას, უსიამოვნებას, ბედნიერების სიხარულს, აღტაცებას; უყვარს გართობა, დასვენება, მხიარული დროსტარება. ხოლო თუ ყველაფერი ეს ჩამოვაცილეთ ჩვენი ეპოქის ლიტერატურის გმირს და იგი მხოლოდ დაზგასთან ან კომბაინზე დავხატეთ, მაშინ გამოვა, რომ საბჭოთა ადამიანის შრომა თვითმიზნური ყოფილა. ეს კი დიდი შეცდომაა. საბჭოთა ადამიანის დიდი ცხოვრების მარტოდენ შემოქმედებითი შრომით შემოფარგვლა საკითხის გამარტივება და საბჭოთა ადამიანის ცალმხრივად, გაღარიბებულად ასახვა იქნებოდა.

ეს მცდარი შეხედულება ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს იმისა, რომ ხშირად ნაწარმოების წამყვან მოტივს ტექნიკური

ამოცანის გადაჭრა შეადგენს, თითქო მხატვრული ლიტერატურის ამოცანა შრომის პროცესის ტექნიკური საკითხებით განისაზღვრებოდეს. მწერალი მართალია ინჟინერია, მაგრამ ის „ადამიანის სულის ინჟინერია“ და არა ინჟინერი-ტექნოლოგი, ან აგრონომი. მწერალს არ ევალება აღმოჩენები მოახდინოს ტექნიკაში, სოფლის მეურნეობაში, მისი ვალია „აღმოაჩინოს“ ადამიანის სულის სიმდიდრენი და გახადოს იგი მშრომელთა ფართო წრეების საკუთრებად, მიიყვანოს ის მკითხველთა ფართო მასების შეგნებამდე. ტექნიკური ამოცანა ვერ შეცვლის კონფლიქტს ნაწარმოებში.

საკითხი იმის შესახებ, უნდა გამოხატოს რომანმა შრომის პროცესი თუ არა, გვგონია, არ შეიძლება სადავო იყოს. ჩვენი ეპოქის მშრომელი ადამიანის დახატვა მისი საქმიანობის, კერძოდ, შრომის გარეშე, შეუძლებელია. მაგრამ შრომის პროცესის ხატვა იმდენადაა საჭირო მხატვრულ ნაწარმოებში, რამდენადაც ის ეხმარება მწერალს გმირის დახასიათებაში. ამავე დროს, შრომის სცენები მჭიდროდ უნდა შედიოდეს ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებაში და არასოდეს არ უნდა გადაიქცეს თვითმიზნად, რადგან მწერლობის ერთადერთი ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი, კერძოდ, მშრომელი ადამიანი, და არა მხოლოდ შრომის პროცესი.

შრომის პროცესების დეტალური შესწავლა და მისი აღწერა მხატვრულ ნაწარმოებში ხშირად საღდება „ცხოვრების ცოდნად“. ჩვენი კრიტიკაც დიდ დამსახურებად უთვლის მწერალს, რომ მან „ზედმიწევნით შეისწავლა ფოლადის გამოდნობის რთული პროცესი“, „ერკვევა ტექნიკის უაღრესად რთულ საკითხებში“, „დაწვრილებით შეისწავლა ნიადაგის ეროზია“. ყველა ამის ცოდნა, რა თქმა უნდა, ზედმეტი არ არის მწერლისათვის, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს მთავარი ამოცანა. ვიმეორებთ მწერლისათვის მთავარია ადამიანის ბუნება და არა შრომის პროცესი.

ყველა ამის გამო, რომანებში ხშირადაა მოცემული შრომის პროცესის გაჭიანურებული ხატვა, რაც ხშირად მეორდება და ამძიმებს სიუჟეტს, ღლის მკითხველს და ანელებს მიღებულ შთაბეჭდილებებს გმირების შესახებ. გმირის მხატვრული სახე

ᲙᲠᲗᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲗ. ᲔᲡ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲪᲕᲚᲘᲐᲜ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲖᲝᲛᲝᲓ ᲖᲠᲓᲘᲐᲜ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲔᲑᲡ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ ᲒᲛᲘᲠᲡ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ, ᲐᲠ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲔᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲨᲘᲜ, ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲝᲯᲐᲮᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ; ᲠᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛ ᲒᲛᲘᲠᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲘᲥᲘᲗ, ᲠᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲔᲫᲚᲔᲕᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲝᲓᲜᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲖᲔ. ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲕᲘᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲓᲘᲐᲓᲔ, ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲓᲡ ᲒᲐᲮᲓᲘᲓᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲡ.

დადებითი გმირი და კონფლიქტი მხატვრულ ნაწარმოებში

დადებითი გმირი, ისე როგორც ყოველი ლიტერატურული პერსონაჟი, მწერალმა უნდა გვიჩვენოს მოქმედებაში, იგი შეგრძნობადი უნდა გახადოს, დაგვიხატოს მისი ცოცხალი სახე. ჯერ კიდევ არისტოტელე ავითარებდა მოსაზრებას, რომ მხატვრული ნაწარმოებისათვის სპეციფიკურია „ასახვა შემოქმედებით და არა თხრობით“ [1]. გმირის ხასიათი მკითხველისათვის მისაწვდომი უნდა ხდებოდეს არა მწერლის რემარკებით, არამედ თვით მას უნდა გამოჰქონდეს დასკვნები გმირის მიერ კონკრეტულ შემთხვევაში მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებიდან. მაგრამ კონკრეტული დეტალი, რაგინდ მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს ის, ვერ მოგვცემს მთლიან, დასრულებულ წარმოდგენას გმირზე, ვერ შექმნის ცოცხალ მხატვრულ სახეს. ამისათვის საჭიროა გმირი დავინახოთ მრავალ ასეთ დეტალში, ცოცხალ ადამიანებთან ურთიერთობაში, ამისათვის საჭიროა ყველა ესენი გაიმიზნოს, გაერთიანდეს ერთ მთლიანად, რის საშუალებასაც სიუჟეტი იძლევა. ჩვენ აქ განსაკუთრებით აღვნიშნავთ დეტალების გაერთიანება-გამიზნვას. ეს იმიტომ, რომ რაგინდ მრავალი დეტალი არ უნდა იყოს თავმოყრილი მხატვრულ ნაწარმოებში, თუ ის არ არის გაერთიანებული ერთი ძირითადი თემის ირგვლივ, კვლავ უძლურია რაიმე დასრულებული წარმოდგენა მოგვცეს მოვლენებზე და გმირებზე, დაგვიხატოს ნათელი ტიპიური სახეები. რეალისტური ხელოვნების ეპიურ ჟანრებში ამას აწესრიგებს სიუჟეტი, რომელ-

---

[1] არისტოტელე, პოეტიკა, 1944 წ., გვ. 14.

საც თავის მხრივ ძირითადი კონფლიქტი განსაზღვრავს. თუმცა აქ დიდი გასაქანი ეძლევა მწერლის ფანტაზიას, ტალანტს, ინდივიდუალურ მიდრეკილებას, მაგრამ რეალისტი მწერლისათვის სიუჟეტის შეთხზვისას განმსაზღვრელია ცხოვრებიდან აღებული კონფლიქტი, რომელიც წარმოადგენს ამოსავალ წერტილს და რომელზე დაყრდნობითაა მხოლოდ შესაძლებელი სიუჟეტის აგების ვარიაცია.

მხატვრული ნაწარმოების დაწყება-დამთავრებას განსაზღვრავს კონფლიქტი. როცა კონფლიქტი გადაწყვეტილია, როცა მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ამოწურულია, ნაწარმოები დამთავრებულია, მიუხედავად იმისა თუ რა მოუვათ გმირებს ამის შემდეგ. კონფლიქტი ქმნის აგრეთვე დინამიურობას, რაც აუცილებელია ცოცხალი, გრძნობადი სახეების შესაქმნელად.

ეს რაც შეეხება მხატვრული ნაწარმოების არქიტექტონიკას და სხვა სპეციფიკურ თავისებურებებს, რის მეშვეობითაც უნდა გამოიხატოს შინაარსი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტის არსი, ასე თუ ისე, განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოების იდეურ კონცეფციას.

* *

ცნობილია, თუ რა ზიანი მიაყენა „უკონფლიქტობის თეორიამ" ჩვენს ლიტერატურას და ხელოვნებას. უკანასკნელი წლების მანძილზე გამოქვეყნდა სუსტი ნაწარმოებები, რომლებიც ვერ ასახავდნენ სინამდვილეს, ამახინჯებდნენ მას.

ზოგიერთი კრიტიკოსი გულწრფელად ფიქრობდა, რომ ამის მიზეზი იყო მწერლების მიერ სინამდვილის, ცხოვრების ცუდი ცოდნა და მოუწოდებდა მათ წასულიყვნენ კოლმეურნეობებში, ქარხნებში, იალაღებზე. თუ აქ შეიძლება იყოს სინამდვილის ნაწილი, მაინც ძალიან მცირე და ეს არ იყო მთავარი მიზეზი. ეს კრიტიკოსები ეყრდნობოდნენ დებულებას, რომ ხელოვნება გამოხატავს ცხოვრებას. მაგრამ, როგორც ჯერ კიდევ პლეხანოვმა შენიშნა, ეს ძლიერ ზოგადი ფორმულაა და არ იძლევა. პასუხს მომდევნო კითხვაზე: როგორ გამოხატავს ხელოვნება ცხოვრებას. ამ ფორმულას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ, როცა რეალისტური ხელოვნების მედროშე-

ნი ბრძოლას აწარმოებდნენ იდეალისტური ესთეტიკის წინააღმდეგ. მაგრამ ახლა, როცა ხელოვნების უთუო და უეჭველ პირობად მიღებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვა, არ შეიძლება ცხოვრების ცოდნის საჭიროება ცოტად თუ ბევრად სერიოზული მტკიცების საგნად ვაქციოთ. ის უნდა მივიღოთ უცილო და უეჭველ პირობად. ცხოვრების კარგად ცოდნის გარეშე ზედმეტია ლაპარაკი მწერლის მიერ კარგი ნაწარმოების შექმნაზე და საერთოდ რაიმე ნაწარმოების შექმნაზე. დამახასიათებელია, რომ „უკონფლიქტობის თეორიის" მომხრენი არ იბრძოდნენ ზემოხსენებული დებულების წინააღმდეგ, პირიქით, ისინი იყენებდნენ მას და ამტკიცებდნენ: ლიტერატურასა და ხელოვნებაში კონფლიქტი არ შეიძლება მოგვევლინოს იმიტომ, რომ იგი არ ახასიათებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასო.

გამომდინარე აქედან, მწერლებს უნერგავდნენ იმ აზრს, რომ არ დაენახათ კონფლიქტები, წინააღმდეგობანი.

მაშასადამე, სრულიად არ არის საკმარისი წავიდეს მწერალი კოლმეურნეობაში, ქარხნებში, საძოვრებზე მწყემსებთან და ემპირიულად აითვისოს ფაქტები. რაკი სინამდვილეს ახასიათებს წინააღმდეგობანი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასახვაშიც თავს იჩენს იგი ყოველთვის. აქ, გადაჭრით უნდა ითქვას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლმხედველობას. როგორც უკვე ვთქვით, ასახვაში არა მხოლოდ ერთი მხარე „ობიექტი" იგულისხმება, არამედ „სუბიექტიც". ობიექტის სურათი დამოკიდებულია არამარტო ობიექტზე, არამედ სუბიექტზედაც. და თუ ჩვენი მწერლების მიერ სუსტი ნაწარმოებების შექმნაში მცირე წილი მიუძღოდა მწერლების მიერ ცხოვრების შესწავლაში დაშვებულ უდარდელობას, „... მთავარ, გადამწყვეტ მიზეზად მოგვევლინა დრამატურგებისა და კრიტიკოსების მიერ სოციალისტური რეალიზმის თეორიისა და პრაქტიკის არასწორი გაგება და პირველ რიგში საკითხისა კონფლიქტის შესახებ, როგორც დრამატული ნაწარმოების საფუძველისა" [1].

---

[1] გაზ. „პრავდა" 7/III, 1952 წ

აქ ლაპარაკია დრამატურგიის შესახებ. იმავე წერილში ქვემოთ წერია: „უკანასკნელ დროს გვევლინება პიესები იმავე ნაკლოვანებებით, როგორც ბევრი პროზაული ნაწარმოებები“. აქვე, სურათის სისრულისათვის, შეიძლებოდა მიგვემატებინა პოეტური ეპოსიც.

როგორც ჩანს, „უკონფლიქტობის თეორია“ არ ყოფილა დამახასიათებელი მხოლოდ დრამატურგიისათვის, როგორც ამას ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობდა. ის იყო წარმოქმნილი ზოგიერთი „მარქსისტის“ მსოფლმხედველობაში სუბიექტური იდეალიზმის რეციდივების საფუძველზე. ეს ამხანაგები ფიქრობდნენ, რომ იმ განსაკუთრებული როლის გამო, რომელიც ისტორიამ საბჭოთა სახელმწიფოს მიანიჭა, მას შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს პოლიტიკური ეკონომიის არსებულ კანონებს, თვითონ შექმნას ახალი კანონები.

თუ სოციალისტური საზოგადოების განვითარება ემყარება არა ობიექტურ კანონებს, არამედ მთლიანად დამოკიდებულია საბჭოთა სახელმწიფოს ნებაზე, მაშინ ბუნებრივია, რომ ჩვენს საზოგადოებაში წინააღმდეგობანი არ უნდა არსებობდნენ. აქედან გამომდინარე აღარ არის საფუძველი კონფლიქტისათვის მხატვრულ ნაწარმოებში.

მაშასადამე შეცდომა რომ არ დავუშვათ, ობიექტური განვითარების თვალსაზრისით უნდა შევხედოთ სოციალისტურ საზოგადოებას. მაშინ კი აღმოჩნდება, რომ წინააღმდეგობანი ახასიათებენ ჩვენს საზოგადოებას, მიუხედავად უაღრესად დიდი მიღწევებისა ეკონომიურ თუ იდეოლოგიურ ფრონტებზე. ზოგიერთი ამხანაგი კი ფიქრობდა, რომ რაკი ჩვენში აღარ არიან დაპირისპირებული კლასები, ყოველგვარი წინააღმდეგობა თავიდან აცილებულია. ჯერ კიდევ 1917 წელს ლენინი წერდა: „მარქსიზმის მოძღვრებაში მთავარია კლასთა ბრძოლა. ასე ამბობენ და წერენ ძალიან ხშირად. მაგრამ ეს არაა სწორი...“ [1].

საინტერესოა მარქსის შეხედულება ამ საკითხზე. აი რას სწერდა ის ვეიდემაიერს 1852 წლის 5 მარტს: „რაც შემეხება

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 25. გვ. 388, რუს. გამოცემა.

მე, მე არ მეკუთვნის არც თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებობისა და არც მათ შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე გადმოსცეს ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიური ანატომია. ის ახალი რაც მე გავაკეთე იმის დამტკიცება იყო, რომ 1) კლასთა არსებობა დაკავშირებულია **წარმოების განვითარების მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ ფაზებთან**; 2) რომ კლასთა ბრძოლას აუცილებლად მივყავართ **პროლეტარიატის დიქტატურამდე**; 3) რომ თვით ეს დიქტატურა წარმოადგენს მხოლოდ გადასვლას ყოველგვარი კლასების მოსპობაზე და უკლასო საზოგადოებაზე...“ [1].

ჩვენი საკითხისათვის აქ განსაკუთრებით საინტერესოა მესამე პუნქტი. ყოველგვარი კლასების მოსპობა და უკლასო საზოგადოებაზე გადასვლა, ხომ არ ნიშნავს ყოველგვარი წინააღმდეგობის მოხსნას? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. ერთი წუთითაც არ შეიძლება დავუშვათ ეს, თუ არ გვინდა დავუპირისპირდეთ მარქსისტულ მატერიალისტურ დიალექტიკას. წინააღმდეგობის გარეშე წარმოუდგენელია განვითარება. მატერიის თვისება მოძრაობაა. მოძრაობა თვით წინააღმდეგობაა. არ შეიძლება დავუშვათ იდეალური საზოგადოების არსებობა, რომელიც აღარ საჭიროებს განვითარებას, თუ არ გვინდა იგივე შეცდომა გავიმეოროთ, რაც დაუშვა ჰეგელმა თავის დროზე.

ჩვენი ლიტერატურის ადრინდელი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო კლასობრივი ბრძოლის ასახვა. კლასობრივი წინააღმდეგობანი იშლეოდა საფუძველს კონფლიქტისათვის მხატვრულ ნაწარმოებში. ეს პერიოდი მწერლობაში მოიცავს 20—30-იან წლებს. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენში აღარ არიან დაპირისპირებული კლასები, მხატვრულ ლიტერატურაში აღინიშნა გარკვეული შეფერხებანი, თუ არ ჩავთვლით თხზულებებს სამამულო ომზე, ან თხზულებებს, რომლებიც სამამულო ომის მიზეზებიდან გამომდინარე კონფლიქტზეა აგებული

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, გვ. 547.

(აქ კონფლიქტის საკითხი აშკარა და ნათელი იყო ყველასათვის). ეს შეფერხებანი ზემოხსენებულ სუბიექტურ მიზეზთა გამო წარმოიშვა და მას ობიექტური მიზეზები არ ჰქონია. ის, რომ ჩვენში აღარ არიან დაპირისპირებული კლასები, არ იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, თითქო წინააღმდეგობანი ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში აღარ იყოს.

ლიტერატურა უნდა იბრძოდეს ამ წინააღმდეგობების დასაძლევად, როგორც დადებითი მაგალითით, ისე უარყოფითის უარყოფითი ესთეტიკური შეფასებით. ორივეს საფუძველს მას სინამდვილე აძლევს. ლიტერატურა და ხელოვნება ვალდებულია ცხოვრების ეს წინააღმდეგობანი ასახოს, ბოლოსდაბოლოს, დადებითი გმირი ხომ დაბრკოლებათა გადალახვაში შეიძლება იქნას გამოქანდაკებული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, თხზულების ავტორის სურვილის მიუხედავად, დაემსგავსებოდა ქარის წისქვილებთან მებრძოლ ლამანჩელ რაინდს.

*

„უკონფლიქტობის თეორიის“ ვარიანტს წარმოადგენს ე. წ. „ჰარმონიის თეორია“, რომლის მიხედვით სოციალისტური რეალიზმი ჰარმონიაშია სინამდვილესთან. აქ ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამხანაგები, რომლებიც ამ დებულებას იცავენ, ღრმა შეცდომას უშვებენ. როგორც ცნობილია, სინამდვილეს აქვს ორი მხარე, ორი ტენდენცია: დადებითი და უარყოფითი, რომელთაგანაც პირველი ჩვენ უნდა დავიცვათ, მეორე კი უარვყოთ. წარმოუდგენელია ორივე მხარესთან, რაც სინამდვილეს ერთიანობაში წარმოადგენს, ჰარმონიაში იყოს სოციალისტური რეალიზმი. საბჭოთა ლიტერატურის ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი განვითარების მოწინავე ტენდენციების განმტკიცებას, მჭიდრო კავშირშია უარყოფითის უარყოფის ფუნქციასთან. ამის შესახებ გორკი ამბობდა: „Наша молодая литература призвана историей добить и похоронить все враждебное людям...“[1]

---

1. გორკი, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, 1937, გვ. 550

თუ ლიტერატურა ჰარმონიაშია სინამდვილესთან, მას ეკარ-
გება ეს ფუნქცია. როგორც ცნობილია, ლიტერატურისა და
ხელოვნების მოწინავე ფრთას ყოველთვის აცოცხლებდა
ბრძოლის პათოსი. ლიტერატურა და ხელოვნება ყოველთვის
რაღაცას ებრძოდა, რაღაცას განამტკიცებდა, რაღაცას ეწინა-
აღმდეგებოდა, რაღაცას შველოდა, მხარს უმაგრებდა. ხოლო
თუ ხელოვნება და ლიტერატურა ოდესმე ჰარმონიაში მოექცა
სინამდვილესთან, ე. ი. მას ყველაფერი მოსწონს, აღარაფერი
აღარ არის უარსაყოფი, დასაძლევი, მაშინ მისი (ხელოვნებისა
და ლიტერატურის) ფუნქცია ისპობა თავისთავად, მას აღარა-
ფერი რჩება საკეთებელი. თვით დადებითი სახეების და მოვ-
ლენების გამოხატვა იმიტომ სჭირდება ხელოვნებას და ლიტე-
რატურას, რომ ამავე დადებითს ხელი შეუწყოს რაღაც წინააღ-
მდეგობების დაძლევაში, უარყოფითთან ბრძოლაში. ამიტომ
გვგონია, რომ არ შეიძლება ლიტერატურა სინამდვილის ორი-
ვე მხარესთან ჰარმონიაში იყოს. შეიძლება ამხანაგები, რომლე-
ბიც „ჰარმონიის თეორიას" იცავენ, ერთმანეთში ურევენ ორ
სხვადასხვა ცნებას, „სინამდვილეს" და „გაბატონებულ საზო-
გადოებრივ ფორმაციას". არა გვგონია, რომ ასე იყოს, ის ჩაი-
თვლებოდა უბრალო მოწაფურ შეცდომად და არ ეღირებო-
და მასზე სერიოზულად სიტყვის ჩამოგდება.

*

ყველა ზემონათქვამის შემდეგ გარკვევით უნდა აღინიშნოს:
კონფლიქტი, რომელიც ცხოვრების სინამდვილის წინააღმდე-
გობებს გამოსახავს მხატვრულ ნაწარმოებში. წარმოადგენს
ეპიური ნაწარმოების ბირთვს, რომლის გარშემო იკვრება
თხზულების მთელი მხატვრული ქსოვილი. სიუჟეტის კონსტ-
რუქცია შეიძლება შეიცვალოს ცხოვრების თავისებურებათა
ცვლილების გამო, მაგრამ ერთი რამ უცვლელია: ყველა ეპიუ-
რი ჟანრის ნაწარმოებისათვის სიუჟეტის საფუძველს ყოველ-
თვის კონფლიქტი წარმოადგენს. თუ ერთი წუთითაც კი და-
ვუშვებთ, რომ კაცობრიობის განვითარების რომელიმე საფე-
ხურზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღარ იქნებიან წინააღმ-
დეგობანი, და თუ რეალისტური ხელოვნების საგანი საზოგა-
დოებრივი ცხოვრების ასახვაა, მაშინ ეპიურ ნაწარმოებებს

აღარ ექნება ის საფუძველი, რომელსაც ის უნდა ეყრდნობოდეს, აღარ ექნება ის ბერკეტი, რომელსაც მოჰყავს მოძრაობაში. მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეპიური თხზულებებისათვის აღარ არის პირობები და ისინი უარყოფილნი უნდა იქნან. უნდა ვაღიაროთ, რომ ეპიური ჟანრები მოკვდნენ.

მაშასადამე, კონფლიქტი დამახასიათებელია ეპიური ჟანრებისათვის ასასახავი ობიექტისაგან დამოუკიდებლად, ხოლო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღარ არიან წინააღმდეგობანი, რომლის ასახვაც კონფლიქტს მოგვცემდა მხატვრულ ნაწარმოებში, მაშინ ეპიური ნაწარმოების შექმნა შეუძლებელია. ამაში მდგომარეობს კონფლიქტის კანონის ობიექტური ხასიათი ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის.

ამრიგად, „უკონფლიქტობის თეორია", ფაქტიურად, სურდათ თუ არ სურდათ ეს მის ავტორებს, მიმართული იყო ეპიური ჟანრების წინააღმდეგ, ლიტერატურისა და ხელოვნების წინააღმდეგ.

ნათელია, თუ რა ზიანის მიყენება შეეძლო „უკონფლიქტობის თეორიას", კერძოდ, დადებითი გმირის ასახვისათვის. ყველა დადებითი გმირი, რომელიც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას შეუქმნია პავლე ვლასოვიდან მოკიდებული მერესიევამდე და შემდეგაც, დახატულნი არიან მწვავე, ცხოვრებიდან აღებული კონფლიქტების ფონზე. ტყუილად ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი, რომ ეპიურ ნაწარმოებებს, ვთქვათ, რომანს ან პოემას შეეძლოს უკონფლიქტოდ განვითარდეს. ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში გვხვდებოდა ასეთი მოსაზრებებიც: „რამდენადაც საბჭოთა საზოგადოება არსებითად უკლასო საზოგადოება არის, რამდენადაც კოლმეურნე გლეხობას, მუშებსა და ინტელიგენციას შორის ინტერესთა წინააღმდეგობა ისპობა და ჰარმონია მყარდება, თანდათან ნიადაგი ეცლება სოციალურად მძაფრ სიუჟეტებს. **ჩვენი ეპოქის ასახვა უფრო ადვილად ეპოსში შეიძლება ან რომანში, ვიდრე დრამაში?(?)** [1].

---

[1] გ. ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, 1945 წ., წერილი „თეატრი და დრამატურგია". ხაზი ჩემია — შ. ჩ.

რომანსა, ან სხვა რომელიმე ეპიკური ჟანრის ნაწარმოებსა, და დრამას შორის სპეციფიკური განსხვავება სრულიად არ მდგომარეობს იმაში, რომ ერთს შეიძლება ჰქონდეს კონფლიქტი და მეორეს არა. პირიქით, ვფიქრობთ, ეს ისეთი რამ არის, რაც საერთოა მათთვის, სპეციფიკური სხვაობა კი, რომლის დადგენა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს, სხვაგან უნდა ვეძიოთ. რაც შეეხება ეპიური ჟანრის თხზულებაში აღწერისა და დახასიათების გამოყენებას, ეს არაფერს ამბობს იმაზე, რომ მათ დამოუკიდებლად შეეძლოთ მხატვრული სახის შექმნა. ძნელია წარმოვიდგინოთ ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ აღწერებისა და დახასიათებისაგან შედგებოდეს. მხატვრულ ნაწარმოებში ის, რაც მოცემულია აღწერებში და დახასიათებებში მწერლის მიერ, უნდა მართლდებოდეს და ხორცს ისხამდეს გმირის მოქმედებაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიღოთ მხატვრული სახე და არა მორალური ლანდი.

მაგალითისათვის ავიღოთ ს. თავაძის „ქართული ფოლადი", ნაწარმოები დაწერილია ისეთ სერიოზულ თემაზე, როგორიცაა უდიდესი ქარხანა-გიგანტის და ქალაქის მშენებლობა. მიუხედავად თემის სიდიდისა, ამ რომანში არაა შექმნილი დადებითი გმირის არცერთი ცოტად თუ ბევრად ძლიერი მხატვრული სახე. ეს იმიტომ ხდება, რომ ნაწარმოებს საფუძვლად არ უდევს სერიოზული კონფლიქტი, რომლის დაძლევამაც უნდა დაგვანახოს გმირის დადებითობა. რომანში მოქმედება არ ვითარდება. გმირებს კი ვერ ვხედავთ, არამედ მწერალი გვიყვება მათ შესახებ. პირდაპირ ახასიათებს მათ, ეს ასეთია, ეს კი ისეთიო. მოგვითხრობს მათი მოქმედების შედეგების შესახებ. რომანის დიალოგი უმთავრესად ამბის განვითარებას კი არ შეიცავს, არამედ მსჯელობას გმირების შესახებ.

ყველაზე მეტი პრეტენზია დადებითობაზე ტარიელ ბარველიძეს უნდა ჰქონოდა. მაგრამ ტარიელი არავითარ სასარგებლო საქმეს არ აკეთებს, ძნელი გასაგებია, ბოლოსდაბოლოს, რა თანამდებობას ასრულებს ის. დადის ქარხნისა და ქალაქის ტერიტორიაზე და ათვალიერებს მშენებლობას, მხარზე ხელს მოუთათუნებს მუშებს, შეაქებს და განაგრძობს გზას.

მწერლის აზრით კი მას „მთლიანი ადამიანის“ პრეტენზია აქვს. თუმცა მარინა სერგეევნა[1] კი ფიქრობს ტარიელზე „თუ ვინმეა მთლიანი, უთუოდ ეს იქნებაო“, მაგრამ ეს მაინცდამაინც როდი სჯერა მკითხველს. მშენებლობაზე ყველაფერი ჰარმონიულად მიმდინარეობს, უმნიშვნელო წინააღმდეგობანი კი სულის შებერვით გაიფანტებიან და ტარიელის სერიოზულ შრომას არ თხოულობენ. ერთადერთი კონფლიქტი, რომელიც, რომანის მიხედვით, ტარიელ ბარველიძეს ცხოვრებაში შეხვდა, ეს არის მისი ოჯახური მდგომარეობა. მაგრამ ვერც ამ კონფლიქტის გადაწყვეტა ჰმატებს ტარიელის სახეს რაიმეს. იგი ინერტულად მოქმედებს, პასიურად, ბოლოს მიატოვებს ოჯახს და წავა. იბადება კითხვა, რატომ ადრევე არავითარი ზომები არ მიიღო ტარიელმა თავისი ცოლის აღვირახსნილი საქციელის ასალაგმავად? ეს კითხვა ტარიელსაც ებადება და თვითვე გამოაქვს განაჩენი თავის თავის მიმართ: „წინად რატომ არ მიაქცია ამას ყურადღება? გულკეთილობით მოსდიოდა? რა შუაშია. კეთილი გული ისაა, რომელიც არავითარ უკეთურობას არ ურიგდება“[2]. რა გვეთქმის, უნდა გავიზიაროთ ტარიელის აზრი, რომელიც ავტორის აზრთანაც თანხმობაშია. ერთადერთი რამ, რაშიაც მკითხველი გულწრფელად თანაუგრძნობს ტარიელს, ეს ბავშვის სიკვდილის გამო გამოწვეული წუხილია. თუმცა ესეც უნდა ითქვას, რომ ჩვილი ბავშვების „მოკვლა“ სენად გადაექცა ბევრ ჩვენს მწერალს. იგი გაჭირვების ტალკვესად გაიხადეს. მოჰყვნენ და „ანადგურებენ“ ბავშვებს თავიანთ ნაწარმოებებში „ქართული ფოლადის“ ავტორი, თ. დონეაშვილი („ვერ მიგატოვებ“), მ. მრევლიშვილი („ხარატაანთ კერა“), ან განსვენებული რაჟდენ გვეტაძე („ცხოვრება იწყება თავიდან“) და სხვები. თითქო ამ ქვეყნად მხოლოდ ბავშვები კვდებიან და მოზრდილები ან ხნიერები კი არა.

ერთი სიტყვით, მწერალმა ვერაფერი მონახა ისეთი, რომ

---

[1] „ქართული ფოლადის“ პერსონაჟია.

[2] ს. თავაძე, „ქართული ფოლადი“, საბჭოთა მწერალი, 1953 წ., გვ. 20.

ხორცი შეესხა ტარიელისათვის. ასე არ შეიძლება დადებითი გმირის ხატვა. სამწუხაროდ, მარტო „ქართულ ფოლადს" როდი აქვს ამგვარი ნაკლოვანებები.

* *

მაშასადამე, დადებითი გმირის ცოცხალი მხატვრული სახე რომ შეიქმნას, ამისათვის მხატვრულ ნაწარმოებებში უეჭველად უნდა აისახოს ის წინააღმდეგობანი, რომელიც იმ საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებს, სადაც ეს გმირი ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქო კონფლიქტი ერთადერთი საშუალება იყოს დადებითი გმირის დასახატავად. კონფლიქტის საკითხზე ყურადღების გამახვილებამ ერთი წუთითაც არ უნდა დაჩრდილოს მხატვრული ასახვის სხვა მხარეები. ყველაზე მძაფრი და ძლიერი კონფლიქტი დაჩიავდება და დაკნინდება ავტორის ხელში, რომელიც ყურადღებას შეანელებს ხატვის სხვა საშუალებების მიმართ. მხატვრული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ შეიძლება სრულფასოვანი იყოს, თუ ხატვის საშუალებათა ყველა ელემენტი მასში განხორციელებულია თანაბრად ოსტატურად. მხატვრული ნაწარმოები შეიძლებოდა შეგვედარებინა, ამ მხრით, საათის ურთულეს მექანიზმთან, რომელიც ერთი უმცირესი ნაწილის სიყალბის გამო ვერ ამოძრავდებოდა. მხატვრული ნაწარმოების ყველა ელემენტი თანაბრად საჭირო და მნიშვნელოვანია.

დადებითი გმირის ტიპიზაციის საკითხისათვის

დადებითი გმირის ტიპიზაციისათვის არავითარი განსაკუთრებული პრინციპი არ არსებობს. დადებითი გმირის ტიპიზაცია ემორჩილება მხატვრული სახის ტიპიზაციის საერთო ხერხებსა და კანონებს. აქ საგანგებოდ გამოვყოფთ ამ დიდ პრობლემას ერთი კონკრეტული საკითხის გამო. ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა დადებითი გმირის მხატვრული სახის შესახებ, როგორი უნდა იყოს ახალი ადამიანის ტიპი?

როგორც კრიტიკოსები, ისე მწერლები თავიანთ გამოსვლებში პრესის ფურცლებზე სხვადასხვაგვარად აშუქებდნენ და აშუქებენ ამ საკითხს.

„დადებითი გმირის" ცნების განსაზღვრისას ჩვენ აღვნიშნეთ: აღარავისთვის სადავო არ შეიძლება იყოს, რომ საბჭოთა ლიტერატურის დადებითი გმირი, ეს კომუნიზმის მშენებელი გმირია, ხალხის ინტერესების განმახორციელებელი გმირია. მაგრამ სადავო ის გახდა: უნდა იყოს დადებითი გმირი იდეალური, უნაკლო, თუ მას უნდა ახასიათებდეს გარკვეული ნაკლოვანებანი.

ამ დავას კარგა ხანგრძლივი ისტორია აქვს და გრძელდება დღემდე. ერთნი ფიქრობენ, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირი იდეალური უნდა იყოს, არავითარი ნაკლოვანება ან სუსტი მხარე მას არ უნდა ჰქონდეს. მეორენი კი ასეთ გმირებს „სქემებს" უწოდებენ და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დადებით გმირს ცოცხალ მხატვრულ სახედ

მხოლოდ ნაკლოვანებების მიმატება გახდის, „გააადამიანურებს“ მას, რადგან უნაკლო ადამიანები არ არსებობენო.

ცნობილი მწერალი ვ. ლაცისი სტატიაში „მწერლის შენიშვნები“ იბრძვის რა წინააღმდეგ ზოგიერთი კრიტიკოსისა, რომლებიც დადებითი გმირის „გააადამიანურებას“ მოითხოვენ, ავითარებს აზრს, რომ ჩვენი მწერლობისათვის აუცილებელია შექმნა მხოლოდ“ „...целостного, морально-безупречного и в своих действиях умного и безукоризненного литературного героя“ [1].

სხვა პოზიცია დაიკავა მეორე ცნობილმა მწერალმა კ. სიმონოვმა თავის მოხსენებაში დრამატურგთა საკავშირო შეკრებაზე. სიმონოვის აზრით, უბედურება იმაშია, რომ დრამატურგები ეძებენ „...каких-то особенных, исключительных положительных героев...“ [2] მისი აზრით დრამატურგიამ უნდა გამოხატოს დადებითი გმირები, რომელთაც ახასიათებთ ნაკლოვანებები, უშვებენ შეცდომებს, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, სწორ გადაწყვეტილებებთან მიდიან. დადებითი გმირი არ უნდა გავაიგივეოთ იდეალურ გმირთან.

სხვა ავტორთა მოსაზრებებს აღარ მოვიყვანთ, რადგან ეს ორი საწინააღმდეგო აზრი კარგად გამოხატავს საკითხის ირგვლივ წარმოებული ლიტერატურული კამათის აზრს.

რომელი მათგანი უნდა მივიჩნიოთ სწორად?

ჩვენის აზრით, არცერთი არ გამოხატავს საგნის ნამდვილ არსს.

მთლიანად ეს კამათი უნდა გამომდინარეობდეს იმ მცდარი მოსაზრებიდან, რომლის მიხედვით, ტიპიურად მხოლოდ ერთ რომელიმე სახეს აცხადებენ. პროფ. ლ. ტიმოფეევი, მაგალითად, აცხადებდა, რომ საბჭოთა ლიტერატურაში ტიპიური შეიძლება მხოლოდ დადებითი იყოსო. უარყოფითის ტიპიურ ხარისხში აყვანა მას არ მიაჩნდა მართებულად. გაზ. „პრავდამ“ ამგვარ გამოსვლებს „კაზიონური“ ოპტიმიზმი“ უწოდა.

---

[1] „ლიტერატურნაია გაზეტა“ №21, 1952 წ.

[2] „ლიტერატურნაია გაზეტა“ №125, 1953 წ.

წინააღმდეგობისა და ბრძოლის არსს არ შეიძლება გამოხატავდეს ცალკე აღებული რომელიმე ტიპი. დაპირისპირება განსაზღვრავს ძველსა და ახალს, ჩამორჩენილსა და მოწინავეს, დადებითსა და უარყოფითს. ჩვენი მწერლობა უნდა გამოხატავდეს უარყოფითსაც, უნდა ამათრახებდეს და ცხელი შანთით ამოსწვავდეს მას. ამასთან რეალისტური ლიტერატურის ძლიერებად აღიარებულია მის მიერ ჩვენი ეპოქის მთავარი გმირის, კომუნიზმის მშენებელი რიგითი ადამიანის მაღალმხატვრული სახის შექმნა. საკითხავია, თუ ნაწარმოებში უნდა მოგვეელინოს დადებითიცა და უარყოფითიც, შეიძლება თუ არა ერთი მათგანი ტიპიური იყოს და მეორე არა? ვფიქრობთ, მტკიცებაც კი ზედმეტია. და არა მარტო ორი ტიპი შეიძლება იყოს მხატვრულ თხზულებაში. მხატვრულ ნაწარმოებში შემოყვანილი ყველა სახე ტიპიური უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არა გვაქვს საქმე ჭეშმარიტ ხელოვნების ნაწარმოებთან, ანდა ეს ნაწარმოები არ არის რეალისტური ნაწარმოები.

ენგელსის აზრით „თვითეული პირი — ტიპს წარმოადგენს, მაგრამ ამასთანავე გარკვეულ ინდივიდუალურ ადამიანსაც... ასეც უნდა იყოს“ [1]. ამავე აზრს ავითარებს ბელინსკი, როცა ამბობს, რომ „ჭეშმარიტ ტალანტთან თვითეული პირი ტიპია“ [2], ეს მოსაზრება სავსებით სამართლიანი და სწორია.

საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ პირობებში განა ერთი შესაძლებლობით, ერთი მისწრაფებით, მიზნით, საშუალებით იბრძვის ყველა დადებითი ან უარყოფითი გმირი?

ავიღოთ მაგალითად ლიტერატურის ისეთი ბრწყინვალე ნაწარმოები, როგორიცაა მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“. ჭეშმარიტად, აქ რამდენიც სახეა, იმდენი ტიპია. უბრალოდ ჩამოვთვალოთ ჯერ უარყოფითი პერსონაჟები: ფროლ რვანი. ტიმოთე, ტიტოკი, იაკობ ლუკას-ძე ოსტროვნოვი, პოლოვცევი და სხვ.

---

[1] კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949 წ., გვ. 434.

[2] ბ. ბელინსკი, თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. 2, გვ. 224.

ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ადამიანური ხასიათები, სხვადასხვაა მათი ბრძოლის ხერხებიც. ფროლ რვანი, როგორც იტყვიან, ოდითგანვე კულაკია. სულ სხვაა ტიტოკი. იგი ღარიბი გლეხი იყო და თავიდან რევოლუციას ემხრობოდა და მისთვის იბრძოდა. მაგრამ ტიტოკის მიზანი რევოლუციაში სულ სხვა ყოფილა. მას უნდოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება გამოეყენებინა გამდიდრებისათვის— კულაკად გახდომისათვის. იგი პირდაპირ აცხადებს ამის შესახებ და არ ფარავს, მისი ბრძოლის ხერხები აშკარაა და პირდაპირი. მდიდარი გლეხი იაკობ ლუკას-ძე ოსტროვნოვი საბჭოთა ხელისუფლების მტერია, მაგრამ თავს ისე იჩენს თითქო დიდი მოყვარე იყოს, გაქნილი მოწინააღმდეგეა. თვალთმაქცური მოქმედების წყალობით იგი კოლმეურნეობაშიც კი შეძვრება და იქ ეწევა მავნებლობას. მტრების ბანაკს ეკუთვნის, აგრეთვე, ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცერი პოლოვცევი, რომელიც შეიარაღებულ გამოსვლას ამზადებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ყველა ეს ფროლი, ტიმოთე, იაკობ ლუკას-ძე, პოლოვცევი და სხვები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან და უარყოფითი პერსონაჟები არიან, მაგრამ განა შეიძლება ამ სახეების ერთ ტიპად გაერთიანება? ბარნაბა საგანელიძე, ერემო პირტახია, გოგისა ცაგარეიშვილი, დახუნდარა ტურაბელიძე უთუოდ სხვადასხვა ტიპები, სხვადასხვა ტიპიური ხასიათები არიან.

ახლა გადავხედოთ „გატეხილი ყამირის“ დადებით ხასიათებს. დავიდოვის, რაზმიოტნოვის, ნაგულნოვის და სხვათა მოქმედებას უთუოდ განსაზღვრავს მთლიანად სოციალისტური იდეალი. მათი ბრძოლა მიმართულია ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მტრობას იჩენს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ვინც ეღობება, ხელს უშლის კოლმეურნეობის ჩამოყალიბების საქმეს. ყველა ამ გმირის მიმართულება ერთია. მაგრამ განა ერთი წუთითაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ისინი საზოგადოებრივი მებრძოლის ერთ რომელიმე ტიპს განასახიერებენ? ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პიროვნული თვისებებით, ცოდნის დონით, განვითარებით, წარსულით, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა უეჭველად მათი ხასიათების

ჩამოყალიბებაში, და ყველა ამის შესაბამისად საზოგადოებრივ ბრძოლაში ისინი გარკვეულ, თავთავიანთ ადგილს იჭერენ, თავთავიანთი, მაგრამ სხვადასხვაგვარი წვლილი შეაქვთ საერთო საქმეში. მათი განვითარებისა და საერთო დონის შესაბამისად, მათი ამოცანებიც განსხვავდებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განა ტარასი ხაზარაძის, მექი ვაშაკიძის, ბაჭუა ვარდოსანიძის, გიორგი ჯიშკარიანის და სხვათა როლი და მნიშვნელობა ერთია დაძაბულ სოციალურ კონფლიქტში, რომელსაც „კოლხეთის ცისკარი“ გვიხატავს, ანდა მათი ხასიათები სხვადასხვა არ არიან?

გადავხედოთ გ. ნიკოლაევას რომანის „მკა“-ს დადებით გმირებს. ჩვენს წინაშე წარმოდგებიან სხვადასხვა მასშტაბის მოღვაწეები, სხვადასხვა ხასიათები: სტრელცოვი, ბორტნიკოვი, ავდოტია, ვალენტინა და სხვები თავიანთი იდეური მიმართულების ერთიანობაში წარმოადგენენ დადებით ხასიათთა მრავალფეროვნებას.

„მოსკოვიდან დაშორებით“ აჟაევისა საკმაოდ მკვეთრად ანსხვავებს დადებითი გმირების სახეებს. ბატმანოვი, ზალკინდი, ბერიძე, კოვშოვი, როგოვი და სხვები მაღალი რანგის დადებითი გმირები არიან, მაგრამ მათ შორის ტიპიური სხვაობა შეინიშნება. ამჯერად ყურადღება მივაქციოთ თუნდაც მხოლოდ ერთ მთავარ თვისებას მათი ხასიათისა. ყველა მათგანს უსაზღვროდ უყვარს სამშობლო. სამშობლოსათვის, თავისი გმირული ხალხისათვის თავგანწირვა მათი სულის უდიდეს სიამოვნებას წარმოადგენს. ყველა მათგანს სურს სამამულო ომის მძიმე დღეებში იქ დადგეს, სადაც მეტ სარგებლობას მოუტანს სამშობლოს, სადაც ისინი ყველაზე მეტად საჭირონი არიან. მაგრამ სწორედ ამ მომენტის შეფასებაში იჩენს თავს მათი ხასიათების სხვადასხვაობა. როცა ჩვენს სამშობლოს მრისხანე საფრთხე ემუქრება, როცა მტერი მოსკოვის მისადგომებთანაა მოსული, კოვშოვი და როგოვი ფიქრობენ, რომ მათი ადგილი არმიაშია, უშუალოდ ფრონტზე.

რამ გამოიწვია ასეთი დასკვნა?

იმან, რომ ისინი ვერ სწვდებიან მოვლენების მთელ სიღრმეს, ვერ აკეთებენ საღ ანალიზს, სათანადოდ ვერ აფასებენ

მტრისა და ჩვენს ძალებს. კოვშოვის აზრით: „ომის ბედი წყდება დღეებით, ვიღას უნდა ნავთსადენი, თუნდაც ის მზად იქნეს არა სამი, არამედ ერთი წლის შემდეგ? ან ჩქარა იქნება გადამწყვეტი შეტაკება და ჩვენ დავამარცხებთ მათ ან...“ [1]

კვანძი სწრაფად უნდა გაიხსნას და გადაწყდეს და რა საჭიროა სადღაც შორეულ აღმოსავლეთში ნავთსადენის გაყვანა?

ბატმანოვისათვის, ზალკინდისათვის, ბერიძისათვის არავითარი „ან.... ან ...“ არ არსებობს. ბერიძე ეუბნება კოვშოვს: „დაიხსომე და ჩაიდე მაგ რეგვენ თავში: არავითარი „ან“! ომი გაგრძელდება იმდენხანს, რამდენიც საჭირო იქნება გამარჯვებისათვის. თუ საჭიროა, ერთი წელი! თუ საჭირო დარჩა, სამი წელიწადი, ხუთი წელი, ათი წელი! და კიდევ ჩაიდე თავში: რაკი მთავრობამ გადაწყვიტა ნავთსადენის მშენებლობის გაგრძელება, მაშასადამე ის უაღრესად საჭიროა და არა უგვიანეს ერთი წლისა“ [2].

ამიტომ არის, რომ ბატმანოვი, ზალკინდი და ბერიძე უყოყმანოდ ემორჩილებიან და ასრულებენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას ნავთსადენის შენების შესახებ. ბატმანოვი, ზალკინდი და ბერიძე გვეელინებიან როგორც ჩამოყალიბებული, მტკიცე ნებისყოფის ადამიანები, რომელთაც ძალა შესწევთ უშუალო ემოციები დაუმორჩილონ საღ გადაწყვეტილებებს. ეს იდეურად ჩამოყალიბებული ადამიანები მტკიცედ არიან დარწმუნებული საბოლოო გამარჯვებაში და ესაა მათი სულიერი წონასწორობის საფუძველი. მათი ვნებები მუდმივია, უწყვეტი, აფექტების გარეშე და წარმართავს მათ ხანგრძლივ, თავდადებულ საქმიანობას გამარჯვების მოპოვებისათვის. კოვშოვი და როგოვი, დიდი და ლამაზი სულის ადამიანები, ყოველთვის ვერ იჩენენ ნებისყოფის სიმტკიცეს და ხანდახან უშუალო ემოციების გავლენის ქვეშ ექცევიან. თუ მათ, საბოლოო ანგარიშით, ძალიან დიდი წვლილი შეიტანეს ნავთსადენის გაყვანის სამხედრო-სახელმწიფოებრივ საქმეში და ამით სამშობლოს სწორედ იქ გამოადგნენ, სადაც ისი-

---

[1] ვ. აქაევი, მოსკოვიდან დაშორებით, მოსკოვი, 1949, გვ. 20.

[2] იქვე.

ნი ყველაზე მეტად საჭირონი იყვნენ, ამაში მათ დიდ პატრიოტულ გრძნობებთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ბატმანოვის, ზალკინდისა და ბერიძის მათზე ზემოქმედების ძალას. მათ ზემოქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგოვისა და კოვშოვის ხასიათების საბოლოო ჩამოყალიბებისათვის.

ასე წარმოგვიდგებიან ვ. აჟაევის რომანში დადებითი ადამიანების სხვადასხვა ტიპები.

ახლა ავიღოთ საკითხი უფრო კონკრეტულად და გადავხედოთ კომუნისტის სახეს ჩვენს ლიტერატურაში.

თუ მაინცდამაინც ერთ ტიპზე ჩამოვარდება ლაპარაკი, თითქო მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ კომუნისტის სახე ერთი ტიპით მოგვეევლინებოდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში. მაგრამ თუ საქმეს ჩავუკვირდებით, აქაც კი ასე არ გამოდის. ხელოვანი, რომელიც ღრმად სწავლობს ცხოვრებას, კომუნისტის სხვადასხვა ტიპს გვაძლევს.

მაგალითისათვის კვლავ „გატეხილ ყამირს“ დავუბრუნდეთ. დავიდოვი, ნაგულნოვი, რაზმიოტნოვი კომუნისტები არიან, მაგრამ როდი დგანან ერთ იდეურ დონეზე, როდი არიან ერთნაირი მტკიცე ხასიათის, როდი მოქმედებენ ერთნაირად მიზანშეწონილად. „გატეხილ ყამირში“ აშკარად ვხედავთ განსხვავებას დავიდოვსა და ნაგულნოვს შორის. დავიდოვი, მიუხედავად იმისა, რომ არ არის თავისუფალი ფაქტიური შეცდომებისაგან, უახლოვდება კომუნისტის იდეალურ სახეს. იგი განვითარებული წევრია პარტიისა, იდეურად გამოწრთობილი და ჩამოყალიბებული ხასიათით. მისი გადაწყვეტილებები ყოველთვის საღი განსჯის და დაკვირვების შედეგია. მას აქვს მტკიცე ნებისყოფა და ახასიათებს პრინციპულობა, რაც საჭიროა ამ გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის. რაც მთავარია, დავიდოვს ეხერხება ხალხთან საერთოს გამონახვა და მტკიცე კავშირის დამყარება. ეს იმიტომ, რომ ის უსმენს ხალხს, ითვალისწინებს მის გულისწადილს, მისწრაფებებს. მისი მოქმედება ყოველთვის ზომიერია და მიზანშეწონილი, თავისუფალია აფექტისაგან.

მაკარ ნაგულნოვი რწმენით კომუნისტია, უეჭველი დ-

ვულწრფელი მომხრეა რევოლუციისა და, გადაჭრით უნდა ითქვას, მისი ერთ-ერთი შემოქმედი. ნაგულნოვი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა რევოლუციაში, იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტზე. მისი იდეალი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებაა. მაგრამ გრემიაჩი ლოგში კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისას უშვებს შეცდომებს. მისი ეს შეცდომები გამომდინარეობენ იდეური მოუმწიფებლობისაგან. ნაგულნოვს კარგად ვერა აქვს წარმოდგენილი სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სისტემის დანერგვის პროცესი, არ ესმის საკმაოდ ძალთა განლაგება და პარტიის პოლიტიკა ამ ძალებთან დამოკიდებულების საკითხში. მას ანარქისტული წარმოდგენები აქვს პიროვნების თავისუფლებაზეც (გავიხსენოთ მაკარის აზრი მისი ცოლის ლუშას გარყვნილ კავშირზე კულაკ ფროლ რვანის ვაჟთან — ტიმოთესთან).

მაგრამ როგორც კი დავიდოვის შენიშვნების სისწორეში დარწმუნდება, ნაგულნოვი უყოყმანოდ იღებს მათ და ცდილობს გამოასწოროს თავისი შეცდომები, როგორც სოციალიზმის საქმისათვის ხელის შემშლელი. ნაგულნოვი მხარში ამოუდგება დავიდოვს და გარკვეული სარგებლობა მოაქვს გრემიაჩი ლოგში კოლმეურნეობების ჩამოყალიბების საქმისათვის.

მაგალითების მოყვანა კვლავ და კვლავ შეიძლებოდა. საბჭოთა ლიტერატურის ყველა ნიჭიერად დაწერილ თხზულებაში ნახავთ დადებით ხასიათთა მრავალ ტიპს. კრიტიკულმა აზრმა უნდა მოუწოდოს მწერლობას, რომ კვლავ ამ გზით წარმართოს თავისი შემოქმედებითი მუშაობა. საწინააღმდეგო მოსაზრება შეზღუდავდა მწერლობას რომელიმე ერთი ტიპით, ან გმირით, რომელსაც არა აქვს არავითარი ნაკლოვანებანი — იდეალურია, ან გმირით, რომელსაც უეჭველად ნაკლოვანებები უნდა ახასიათებდეს. ეს გააღარიბებდა მწერლობას და ხელს შეუშლიდა ლიტერატურული გმირების მრავალფეროვნების საქმეს.

თუ ცხოვრებას ღრმად ჩაუკვირდება ჩვენი მწერლობა, მას ეს საკითხი საკამათოდ აღარ გადაექცევა. ცხოვრება თავის ძლევამოსილ წინსვლაში ავლენს უთვალავ ხასიათს, როგორც

უარყოფითს, ისე, უფრო მეტს, დადებითს. ჩვენი ლიტერატურა ცხოვრებას ასახავს თავისი მდიდარი შინაარსით, უარყოფითითა და დადებითით.

დადებით გმირებს ჩვენი ლიტერატურა გვიხატავს ისეთებს, რომელთაც გარკვეული ნაკლოვანებები ახასიათებთ, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, საბოლოო ანგარიშით, დადებით როლს ასრულებენ, ისეთებს, რომლებიც უახლოვდებიან იდეალს და ისეთებსაც, რომლებიც იდეალური-ნი არიან.

ეს ასეა ცხოვრებაში და ასე უნდა იყოს ლიტერატურაშიც.

ოღონდ „იდეალურის" გაგებისას არ უნდა დავდგეთ დუალისტურ თვალსაზრისზე, რომლის მიხედვით იდეალური მხოლოდ იდეების ქვეყნისათვისაა რეალური და არა ჩვენი ხილული სამყაროსათვის. მატერიალისტური ესთეტიკისათვის ცნება „იდეალური" სხვას არაფერს შეიძლება ნიშნავდეს, თუ არა ყველაზე უფრო სრულყოფილს მოცემულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ხალხის, საზოგადოების გადაუდებელი ამოცანების განხორციელების თვალსაზრისით.

* *

ორიოდე სიტყვა იდეალის გამოხატვის შესახებ გმირის მხატვრული სახის საშუალებით.

ლიტერატურათმცოდნე ბ. ბურსოვი სავსებით მართებულად ებრძვის რა ანტიპატრიოტ კრიტიკოსებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურას დადებითი გმირი არ ჰყავდაო, ავითარებს დებულებას: მხატვრულ თხზულებაში „Идеалы... всегда имеют своего носителя"[1].

ჩვენ ვფიქრობთ, ეს არ არის სწორი მოსაზრება. მე-19 საუკუნის კრიტიკულ-რეალისტურ ლიტერატურას, ცხადია, ჰყავდა დადებითი იდეალის მატარებელი გმირები და აქ ბურსოვი უთუოდ მართალია. მაგრამ მე-19 საუკუნის ლიტერატურაში უამრავი თხზულებაა, სადაც დადებითი გმირები არ გვხვდებიან. ჩვენ აქ არ შევუდგებით განხილვას გოგოლის, სალტიკოვ-შჩედრინის, ჩეხოვის და სხვათა მთელი რიგი თხზულებე-

[1] ბ. ბურსოვი, რეალიზმის საკითხები რევოლუციონერ-დემოკრატების ესთეტიკაში, მოსკოვი, 1953, გვ. 373.

ბისა, რომლებშიაც მხოლოდ უარყოფითი ლიტერატურული პერსონაჟები არიან და არც ერთ დადებით გმირს არ გვიხატავენ.

მაგრამ რაკი ამ თხზულებებში მხოლოდ უარყოფითი პერსონაჟები არიან, ეს ნაწარმოებები უარყოფით იდეალს როდი გამოხატავენ. მათი ღირებულება სწორედ იმაშია, რომ ისინი დადებით იდეალს ავითარებენ. გვიხატავენ რა უარყოფითს, ისინი აძლევენ მას უარყოფით ესთეტიკურ შეფასებას. ავიღოთ ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ აქ თქვენ ვერც ერთ დადებით პერსონაჟს ვერ ნახავთ, ხოლო ლუარსაბ თათქარიძე ჩვენში გადაიქცა მცონარა და გადაგვარებული კაცის სიმბოლოდ, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ეწოდოს ადამიანი, მწერლის აზრით, და მკითხველის აზრითაც[1] მწერლის დამსახურება სწორედ იმაშია, რომ მკითხველი მიჰყავს ამ აზრისაკენ. უკვე ამით ილია ავითარებს დადებით იდეალს.

სხვაგვარად უდგება საკითხს კ. სიმონოვი ზემოხსენებულ თავის გამოსვლაში. იგი წერს: „ერთ თავის სტატიაში თეატრალურ თემაზე შჩედრინი წერდა: „თუმცა მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ მწერლისაგან მოვითხოვთ იდეალური ადამიანების ხატვას, რომლებიც თავისთავში აერთიანებენ ყოველგვარ სიკეთეს, არა, ჩვენ სრულებით არ მოვითხოვთ მათგან იდეალურ ადამიანებს, არამედ მოვითხოვთ იდეალს“. ეს აზრი ძალიან მართებული და სწორია. ჩვენ გარკვევით უნდა ვუთხრათ თავისთავს: ჩვენ, დრამატურგები, ვიწყებთ რა პიესის წერას, ჩვენს იდეალებს გამოვხატავთ ნაწარმოების მთელი განვითარებით და, მათ შორის, ძალიან დიდი ზომით ჩვენი დადებითი გმირების საქმეებითა და სიტყვებით, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო თვით გმირების იდეალიზაციასთან. ისინი ცოცხალი, მიწიერი ადამიანები არიან, რომლებიც იბრძვიან, ფიქრობენ, ხშირად მერყეობენ, ხანდახან შეცდომებს უშვებენ, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, სწორ გადაწყვეტილებებთან მიდიან“[1].

---

[1] „ლიტერატურნაია გაზეტა“. №125, 1953 წ.

აქ, ჩვენის აზრით, სწორადაა გადმოცემული მხატვრულ ნაწარმოებში იდეალის გამოხატვის არსი. დადებითი იდეალი გამოიხატება საერთოდ მთელი თხზულების განვითარებით. კერძოდ, დადებით იდეალს ატარებს დადებითი გმირი. მაგრამ კ. სიმონოვი არ თვლის შესაძლებლად დადებითი გმირის გაიდეალებას — ე. ი. იმას, რომ დადებით გმირში მთლიანად ხორციელდებოდეს შემოქმედის, ან თხზულების იდეალი. დიდ პატივსა ვცემთ რა რევოლუციონერი-დემოკრატების მემკვიდრეობას, კერძოდ, სალტიკოვ-შჩედრინის როგორც მხატვრულ შემოქმედებას, ისე თეორიული აზროვნების ნიმუშებს, საჭიროება არ მოითხოვს მისი ყველა მოსაზრების დოგმატურად მიღებას. ისინი ჩვენი საბჭოთა ეპოქის მხატვრულმა აზროვნებამ შემოქმედებითად უნდა აითვისოს და განავითაროს. შჩედრინის სიტყვებში მთავარი სავსებით მართებულადაა გადმოცემული. მხატვრული თხზულება თავისი სპეციფიკური საშუალებებით, რა გზებითაც არ უნდა იყოს ეს, უნდა ავითარებდეს დადებით იდეალს. ოღონდ ჩვენი ეპოქისათვის, რომელშიაც ცხოვრობს და მოღვაწეობს ყველა ეპოქის ადამიანზე უფრო ამაღლებული, კომუნიზმის მშენებელი ადამიანი, სავსებით შესაძლებელია ლიტერატურულ გმირში მთლიანად ხორციელდებოდეს იდეალი. სხვა სიტყვებით, საბჭოთა ლიტერატურა უნდა ხატავდეს იდეალურ გმირებსაც. ეს არა თუ შესაძლებელია, არამედ საბჭოთა ლიტერატურის გადაუდებელი ამოცანაა.

როცა ჩვენ „დადებითი გმირის“ ცნებას განვსაზღვრავდით. შევეცადეთ ამ ცნებაში გამოგვეხატა საერთო, ზოგადი ნიშანი. არ ვცდილვართ პედანტური სიზუსტით გამოგვეყვანა იმ თვისებათა ბუხჰალტერული ბალანსი, რომელიც განსაზღვრავდა დადებითი ხასიათის ყველა მოსალოდნელ ნიუანსს. ასეთი განსაზღვრა მიგვიყვანდა აბსურდამდე, რომლის გამო ჩვენ საშუალება არ გვექნებოდა დადებით გმირად ჩაგვეთვალა ის ლიტერატურული პერსონაჟი, რომელსაც რაიმე ნაკლი აღმოაჩნდებოდა. მაგრამ არაა სწორი იმის მტკიცება, თითქო უნაკლო, იდეალური გმირების ასახვა შეუძლებელი იყოს ჩვენი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ა თ ვ ი ს. ჩ ვ ე ნ ზ ე მ ო თ ე რ თ გ ა ნ ა ღ ვ ნ ი შ ნ ე თ, რ ო მ ი დ ე ა ლ უ რ ი გ მ ი რ ი ს ა

და დადებითი გმირის ცნება ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს თითქო არასდროს არ ემთხვეოდეს, ხდება ხოლმე ასეთი დამთხვევაც, დადებითი გმირი უტოლდება იდეალურ გმირს, ან დადებით გმირში ხორციელდება იდეალი მთლიანად.

აქ არ შეიძლება არ შევეხოთ ტიპიურობის ერთ საერთო საკითხს.

ლიტერატურათმცოდნეების ერთი ნაწილი დღემდე იმეორებს თავის მცდარ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქო განზოგადება საჭირო არ იყოს ხელოვნებაში. ისინი ავითარებენ მოსაზრებას, რომ მწერლის მხატვრული შემოქმედების ნაყოფი ყოველთვის დაბლა დგას მხატვრის ჩანაფიქრზე, იმ იდეალზე, რომელიც მწერლის წარმოსახვაში არსებობს, ხოლო თვით ეს იდეალი არაფრით არ შეიძლება აღემატებოდეს ცოცხალ, ნამდვილ ადამიანებს. ამგვარ მსჯელობაში დავიწყებულია მარქსიზმის კლასიკოსების მოსაზრებები ფანტაზიის მნიშვნელობის შესახებ.

ყოველგვარი ასახვა, ე. ი. მხატვრული ასახვაც, არ არის სარკისებური მკვდარი აქტი, არამედ აქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის ფანტაზიას, განზოგადების პრინციპთან ერთად. ხელოვნება კნინდება მაშინ, როცა ნატურალიზმისაკენ ეშვება და ცალკეული სახის ჩახატვას იწყებს. ხელოვნების ძალა განზოგადებაშია, ტიპიურ ხასიათებშია.

ტიპიური მხატვრული სახე მოკლებული არ არის ცხოვრების სინამდვილეს, პირიქით, მხატვრული განზოგადების ძალით ის გაცილებით მკვეთრ და მკაფიო გამოხატულებას იღებს. აქ უნდა მოვიგონოთ ვ. ლენინის აზრი იმის შესახებ, რომ, როცა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ მივდივართ, კი არ ვცილდებით ჭეშმარიტებას, არამედ ვუახლოვდებით მას.

ამ ბოლო დროს ჩვენი პრესა და ლიტერატურული საზოგადოებრიობა სრულიად სამართლიანად ებრძვიან სქემატიზმს ტიპიურის გაგებაში. მაგრამ ზოგიერთი კრიტიკოსი სქემატიზმის კრიტიკის საბაბით ფაქტიურად ტიპიურში არსის გამოხატვის წინააღმდეგ იბრძვის.

ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტამ" გამოაქვეყნა ა. მაშინსკის სტატია: „კიდევ მხატვრული განზოგადების ბუნებაზე" (№ 38, 1956 წ.). მაშინსკი მართებულად გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ თითქოს ტიპიური მხოლოდ მოცემული სოციალური ძალის არსის გამოხატვა იყოს. იბრძვის ხასიათების სქემატურად გადმოცემის წინააღმდეგ. ამტკიცებს, რომ მხატვრული სახე არ უნდა კარგავდეს „ცოცხალ ინდივიდუალობას" (ჩერნიშევსკის გამოთქმაა), თავისებურებას, კონკრეტულობას. მართალია მაშინსკი აგრეთვე მაშინ, როცა ამბობს: ტიპიური სახის დიალექტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ცხოვრების განზოგადებული ასახვა ითავსებს სინამდვილის მოვლენების თავის განუმეორებელ თავისებურებაში ასახვის ამოცანასო.

მაგრამ ხშირად ჩვენს კრიტიკულ აზროვნებას ახასიათებს რადიკალური გამორიცხვა და სწორი აზრის უკიდურესობამდე მიყვანა. რამდენადაც არასწორი იყო ტიპიურში მხოლოდ არსის გახსნის დანახვა და ტიპის ინდივიდუალიზაციის უყურადღებოდ მიტოვება, იმდენადვე არასწორი იქნება ახლა ტიპიზაციაში სახის ინდივიდუალიზებას დავუთმოთ მთავარი ადგილი და მხედველობიდან გამოვუშვათ ტიპის განზოგადებითი ფუნქცია, ანდა განზოგადება დავინახოთ განუმეორებელი ინდივიდუალური ნიშნების გამოხატვაში. მაშინსკი წერს: „განზოგადების ფუნქცია ტიპისა მხატვრულ ნაწარმოებში ხორციელდება მით უფრო ფართოდ და ღრმად რაც უფრო მეტყველად და ნათლად იხსნება მასში განუმეორებელი ინდივიდუალური თავისებურების ნიშნები". ასეთ მტკიცებას მივყევართ მეორე უკიდურესობისაკენ, ცალკეულის, შემთხვევითის და არატიპიურის გამოხატვის ქადაგებისაკენ.

ამ დასკვნებს მაშინსკი ერთის მხრით, აფუძნებს გოეთეს გამონათქვამებზე, ეყრდნობა რა გოეთეს საუბარს ეკერმანთან და მოჰყავს ამონაწერები: „ცხოვრების გამოცდილება და მწერლის მხატვრული ინდივიდუალობა ყველაზე ნათლად მეღავნდება „განსაკუთრებულის" გამოხატვაში" და არა „საერთოსი". „...სანამ ჩვენ გამოვსახავთ საერთოს, თვითეულს შეუძლია მოგვბაძოს, — განაგრძობს გოეთე — მაგრამ განსაკუთრებულის სესხება ჩვენგან არავის შეუძლია. რატომ? იმიტომ,

რომ არავის სხვას არ განუცდია ეს“. „შემოქმედების პროცესში ყველაზე მეტად ძნელია განსაკუთრებულის აღქმა გამოხატვა“, რადგან „ეს არის ხელოვნების ნამდვილი სიცოცხლე“. „ინდივიდუალურის გაგებას — წერს მაშინსკი — გოეთე უწოდებდა „ყველაზე მაღალს და ყველაზე ძნელს ხელოვნებაში“.

ჩვენი აზროვნების დიალექტიკა ხშირად არ არის თანმიმდევრული. ეს მოგვდის მაშინაც, როცა მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე. მწერალი ან რომელიმე მოღვაწე თუ ვაღიარეთ და დადებითად შევაფასეთ, ანდა მას, ჩვენი აღიარების გარეშეც დიდი სახელი ჰქონდა და აქვს ისტორიაში, მზადა ვართ ამ მოღვაწისა თუ მწერლის ყოველი გამონათქვამი დოგმად მივიღოთ. აღარ ვუყურებთ იმას, რომ თავად ეს მოღვაწე, რაგინდ ბუმბერაზი არ უნდა ყოფილიყო ის, ვითარდებოდა და მისი შეხედულებები და მოსაზრებები განიცდიდნენ ცვლილებებს. თქმა არ უნდა, რომ გენიალური გოეთეს მხატვრული შემოქმედება, თუ თეორიული აზროვნების ნიმუშები, ძვირფასი განძია კაცობრიობისათვის. ოღონდ ისიც ცხადია, რომ ამ მემკვიდრეობის განურჩევლად და ხელაღებით გამოყენება დიდი შეცდომა იქნებოდა. კერძოდ, ამ გამონათქვამებში, რომელიც მაშინსკის მოჰყავს, არ არის დაცული რეალისტური ხელოვნების პრინციპები. ტიპიური სახე კი, როგორც ცნობილია, რეალიზმთან არის დაკავშირებული.

ტიპიურისაგან არსის გამორიცხვა წაგვიყვანს სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებისაკენ ესთეტიკაში. ტიპიურში ზოგადი და კონკრეტული ერთიანობაშია მოცემული; არსი და ცალკეული, განსაკუთრებული და საერთო მთლიანობაშია გამოხატული, ხოლო ზოგადი, არსი რჩება ძირითად მომენტად ტიპიურისათვის.

* *

დადებითი გმირის ტიპიურობის საკითხის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გარემოებებს, რომლებშიაც მოქმედებენ დადებითი გმირები. როგორც ცნობილია, ენგელსი რეალიზმის უეჭველ პირობად თვლიდა „ტიპიური ხასიათების გადმოცემას ტიპიურ გარემოებებში“.

ის, რაც ნამდვილია ცხოვრებისათვის, ყოველთვის ნამდვილი არ არის ხელოვნებისათვის — ეს საკმაოდ ცნობილია და აქ არას ვამბობთ იმაზე, რომ ცხოვრების ყოველი ფაქტი არ გამოდგება მხატვრული თხზულებისათვის. ზოგჯერ მწერლის ფანტაზიაში შექმნილი გარემო, რომელიც სინამდვილის განზოგადებას შეიცავს, მეტ საშუალებას იძლევა სინამდვილის სისრულით გადმოცემისათვის. საერთოდ სიუჟეტის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მწერლის ფანტაზიას.

მაგრამ მწერლის ისეთი ფანტაზია, რომელიც კი არ მუშაობს სინამდვილის უფრო ნათლად, მკაფიოდ გადმოცემის სასარგებლოდ, არამედ შორდება სინამდვილეს და აბუნდოვანებს, ამახინჯებს მას, უეჭველად ფუჭია და ხელისშემშლელი. თუ გმირი არ გადმოიცა ტიპიურ გარემოებებში, მხატვრულად დამაჯერებელ სიტუაციებში, ისიც კარგავს დამაჯერებლობას. ასეთ ფაქტს ვხვდებით, მაგალითად, თინა დონჟაშვილის რომანში „განთიადი"[1].

ჩვენ მიზნად არა გვაქვს ამჟამად მთლიანად შევაფასოთ ეს რომანი, რომელსაც დადებითი მხარეებიც გააჩნია, მაგრამ მათ არ შეუძლიათ თავი იჩინონ, იმიტომ, რომ რომანში არსებითად მცდარი თვალსაზრისითაა ასახული სინამდვილე. ამაში ჩვენ დავრწმუნდებით თუ თვალს გადავავლებთ იმ ხერხებს და საშუალებებს, რომლებსაც იყენებს ავტორი ერთ-ერთი გმირის, რუსუდან ლომიძის დახატვისათვის. რუსუდანი ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა იმიტომ, რომ წარმოადგენს არსებითად „განთიადის" მთავარ გმირს და მას დადებითის პრეტენზია აქვს; მეორეც, იმიტომ, რომ მწერლის ის იდეოლოგიური შეცდომები, რომელსაც, საბოლოო ანგარიშით, თხზულება ამჟღავნებს, პირდაპირ კავშირშია ამ გმირის ხატვის ხერხებისა და საშუალებების მცდარად გამოყენებასთან.

რუსუდან ლომიძე, როგორც თხზულებიდან ჩანს, განზრახულია ავტორის მიერ დადებით გმირად. მწერალს მიზნად დაუსახავს დაეხატა ისეთი გმირი, რომელსაც ახასიათებს შე-

---

[1] ჩვენი მსჯელობის საგანია 1950 წელს გამოცემული რომანი „განთიადი" თინა დონჟაშვილისა, აგრეთვე ამ რომანის 1951 წელს გამოქვეყნებული რუსული თარგმანი სახელწოდებით „Слава".

მოქმედებითი მიდგომა სინამდვილისადმი, რომელიც ვერ ურიგდება ერთი ადგილის ტკეპნას, აინტერესებს წინსვლა, ახლის ძიება, ახასიათებს მტკიცე ნებისყოფა, პრინციპულობა და შემტევი ხასიათი. მაგრამ ეს თვისებები კი არ ხორციელდება ცოცხალ მხატვრულ სახეში, **რომელიც რეალურ ტიპიურ** სიტუაციებში მოქმედებს, არამედ მწერალს აუღია და უცდია ხასიათის ამ მხარეების გახსნა ნებისმიერ, გამოგონილ სიტუაციებში, კონფლიქტებში, წინააღმდეგობებში.

მწერლის განზრახვის საწინააღმდეგოდ რუსუდანი დამოუკიდებელ ცხოვრებაში პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე მკითხველის ანტიპათიას იმსახურებს. რა მოხდა, როგორ? მწერალს ხომ კარგი განზრახვა ჰქონდა?

სამამულო ომის მძიმე დღეებია. სამუშაოზე პირველად გაგზავნილი ახალგაზრდა ექიმი რუსუდან ლომიძე დანიშნულების ადგილზე, კოლმეურნეობა „განთიადში“ მივიდა. „ფიცრული საავადმყოფო“ არ მოეწონა და, რამდენიმე საათის შემდეგ, პირველი შეხვედრისთანავე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოლიკო შევარდნაძეს შეუვალად განუცხადა: ახალი უნდა ავაშენოთო.

— „რა გინდა, ცავ? არ გამოვა შენი გეგმიდან არაფერი, — თქვა ბოლოს სოლიკომ. — ერთ კაპეიკსაც არ დავხარჯავ ახლა მშენებლობაზე. დაწყებული რომ იყო, ის შეჩერდა მთელ ქვეყანაში, ეს არ იცი შენ?“[1].

რომანის ავტორს არ სურს ამას ანგარიში გაუწიოს. რუსუდანს მაინც დაჟინებით მოათხოვინებს საავადმყოფოს მშენებლობის დაწყებას. საავადმყოფოს მშენებლობას მაშინვე ეყრება საფუძველი. ამით არ ამოწურულა ექიმის საამშენებლო მოღვაწეობა. საავადმყოფოს გარდა, მისი ინიციატივით აშენდა „განთიადში“ სკოლის შენობა და კოლმეურნეობის გამგეობის ლამაზი ორსართულიანი სახლი; და ეს ყველაფერი ომის მრისხანე წლებში.

თავი რომ გავანებოთ იმას, რომ ამბების იმგვარი განვითარება, როცა ექიმის ინიციატივა აუცილებელი ხდება ყოველგ-

---

[1] თ. დონეაშვილი, „განთიადი“, 1950, გვ. 61

ვარი მოძველებულის და ცუდის ახლით შეცვლისათვის, ამცირებს როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარის სოლიკო შევარდნაძის, ისე პარტორგის აკაკი თავაძის და „განთიადის“ მთელი საზოგადოების როლსა და მნიშვნელობას, განა დასაშვებია სამამულო ომის წლებში ამგვარ აღმშენებლობებზე ლაპარაკი? განა ეს ტიპიურია, ანდა თუნდაც საერთოდ შესაძლებელი, სავარაუდებელი? განა ეს სინამდვილის დამახინჯება არ არის?

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა დიდი აღმშენებლობა ომის პერიოდში. ეს მართალია. მაგრამ საკითხავია, რა შენდებოდა? აქვე, ჩვენ შევჩერდით აჟაევის რომანზე — „მოსკოვიდან დაშორებით“. ეს რომანი მიძღვნილია დიდი მშენებლობისადმი, მაგრამ აქ შენდება სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი. ომის წლებში უდიდესი აღმშენებლობა წარმოებდა ურალზე და საერთოდ აღმოსავლეთის რაიონებში. აქედან ზოგი დასავლეთ რაიონებიდან ევაკუირებული ქარხნები იყო, ზოგიც ახალი, მაგრამ ყველა ეს მშენებლობა უკავშირდებოდა ომის საჭიროებებს, თავდაცვითი ომის მოთხოვნილებებს, უშუალო, საარსებო მოთხოვნილების საგნებს. სახელმწიფოსა და მთელი ჩვენი საზოგადოებრივი სიმდიდრე, საბჭოთა ადამიანის პირადი დანაზოგები ხმარდებოდა ომის გადაუდებელ ამოცანებს. ქვეყანა მუშაობდა ლოზუნგით „ყველაფერი ფრონტისათვის“. და ამ დროს არ რჩებოდა საშუალება სკოლების, საავადმყოფოების, ადმინისტრაციული შენობების ასაშენებლად. ისე კი ხდებოდა, რომ უკვე აშენებულ სკოლებს ვიყენებდით საავადმყოფოებისათვის და სხვა სამხედრო დანიშნულებისათვის. სავსებით გასაგებია, როცა სოლიკო შევარდნაძის ქალიშვილმა ვერიკომ პიანინოს შესასყიდად მოგროვილი ფული სახელმწიფოს გადასცა ტანკების ასაშენებლად, როგორც თავისი წვლილი. ხალხი თმობს თავის პირად მოთხოვნილებებს, დროდადრო, პიანინოს კი არა, უაღრესად საჭირო საარსებო მოთხოვნილების საგნებსაც, ოღონდ საშობლო დარჩეს თავისუფალი, არ მოაკლდეს მის დამცველებს საომარი საჭურველი, საჭმელი, სასმელი. სავსებით კანონზომიერია ისიც, რომ კოლმეურნეობა „განთიადის“ მშრომელები ამუშავებენ მანამდე

აუთვისებელ მიწებს, იბრძვიან მაღალი ბოსავლის მიღებისათვის, რათა მეტი პროდუქტი მიაწოდონ სამშობლოს. მაგრამ ყოველად დაუშვებელია თუნდაც ერთ რომელიმე კოლმეურნეობას ომის წლებში სკოლის, საავადმყოფოს და გამგეობის სახლის მშენებლობა ეწარმოებინა. არ იყო ამისათვის არც მატერიალური საშუალება და არც მუშახელი.

მილიონერმა კოლმეურნეობამ ომის დაწყებამდე ვერ შესძლო ვერც ერთი ახალი შენობის აგება. ომს და რუსუდან ლომიძეს პირდაპირ გაჩანაგებული ხვდება „განთიადის" საალმშენებლო მეურნეობა. „ომი რა შუაშია, — ფიქრობს რუსუდანი, — აქ უწინაც ასე იქნებოდა" [1].

ჩვენ სრულიად სამართლიანად ვამბობთ: ომი აჩანაგებს ქვეყანას, ვიბრძოლოთ ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ! „ომი რა შუაშიაო" — გვეუბნება რომანი „განთიადი" და რუსუდან ლომიძის ინიციატივით და მეთაურობით ააშენებს, ააყვავებს კოლმეურნეობა „განთიადს" ომის წლებში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები საარაკო შრომითს გმირობას იჩენდნენ ომის წლებში, მაგრამ შრომის ყოველგვარი ნაყოფი ომსა და საარსებო მოთხოვნილებების საგნებს ხმარდებოდა.

სრულიად გასაგებია და დამაჯერებელი, როცა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჰოსპიტალიდან მშობლიურ სოფელში, ომის უშუალო ასპარეზიდან საკმაოდ დაშორებულ უგრენის რაიონის „პერვომაისკში" დაბრუნებულ ვასილ ბორტნიკოვს დახვდება ჩამორჩენილი კოლმეურნეობა, რომელიც ომის წინა წლებში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა. სავსებით კანონზომიერია ისიც, რომ ახლა ბორტნიკოვმა უწინდელზე ნათლად შეიგრძნო და შეიგნო ომის მთელი საშინელება და მისი მასშტაბები, როცა „პერვომაისკში" სამმა კომუნისტმაც კი ველარ შეიყარა თავი.

რომანი „განთიადი" კი გვეუბნება, რომ კოლმეურნეობა „განთიადი" ომის წლებში აშენდაო.

საიდან მივიღეთ ეს შეცდომა? იქიდან, რომ მხატვრული სახის თვისებები ჩამოაყალიბა მწერალმა ჯერ თავის გონებაში აბსტრაქტულად და შეუდგა ამ თვისებების დადასტურებას,

[1] თ. დონეაშვილი, „განთიადი", 1950, გვ. 56.

გახსნას ნებისმიერი ილუსტრაციების საშუალებით. წინააღმ-დეგობათა უმთავრესი ნაწილი, რომელთაც „ძლევს“ ეს გმირი, არ არის ომის დროისათვის ტიპიური და ხელოვნურადაა შეტა-ნილი თხზულებაში, არ ეყრდნობა ცხოვრების სინამდვილის ცოდნას, დადებით გმირს არ გვიხატავს ტიპიურ გარემოში. და მწერლის კარგი განზრახვის ნაცვლად, მივიღეთ ყალბი სუ-რათები.

რა ღირებულება უნდა ჰქონდეს ამის შემდეგ რუსუდან ლომიძის მხატვრულ სახეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს გმირი რომანის მიხედვით სხვა რეალურ, სასარგებლო საქმეებსაც აკეთებს? არავითარი, რადგან მთავარი მის მოქმედებაში ყალ-ბია. მისი მოქმედება ვერ აღაფრთოვანებს მკითხველს, არამედ აღიზიანებს, რადგან მას ესმის, რომ ეს არ არის სიმართლე, ეს ტყუილია.

განა ომის დროს ცოტა იყო დაბრკოლებები, წინააღმდეგო-ბანი, რომ მოგონილი ამბების მიხედვით არ გაეცნო გმირი მწე-რალს ჩვენთვის?

შემოქმედმა მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ დადებითი გმი-რის სახე მხოლოდ მაშინ შეიძლება დამაჯერებელი იყოს, თუ იგი ცხოვრების სინამდვილის ტიპიურ გარემოებებში გვეხატე-ბა, გმირის დადებითი თვისებები მეღავნდება ტიპიურ წინააღ-მდეგობათა დაძლევაში.

* *

დადებითი გმირი საზოგადოების ისტორიულ განვითარება-ში ხალხს ემსახურება კონკრეტული ამოცანების გადაჭრით. ეს კონკრეტული ამოცანები ისახება საზოგადოებრივი განვითარე-ბის წინსვლაში და ტიპიურნი არიან გარკვეული ეპოქისათვის.

ამ წინააღმდეგობათა დაძლევას, ხალხის ამოცანების განხორციელებას სხვადასხვა ძალით ახერხებენ დადებითი გმირე-ბი. ცხოვრება იძლევა დადებითი გმირის მრავალ ტიპს.

საბჭოთა ლიტერატურა ასახავს ამ გმირებს, ისეთებს, რომ-ლებიც გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდებიან, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, წინსვლის საქმეს ემსახურებიან, ისეთე-ბსაც, რომლებიც უახლოვდებიან იდეალს და ბოლოს ისეთებ-საც, რომლებიც იდეალურნი არიან.

დასკვნა

დადებითი გმირის პრობლემა ქართული საბჭოთა რომანისათვის ძირითადად შეიძლება განისაზღვროს შემდეგი საკითხებით:

რა ადგილი უჭირავს დადებით გმირს საბჭოთა ლიტერატურაში?

რას წარმოადგენს დადებითი გმირი?

აქვს თუ არა ქართულ ლიტერატურას დადებითი გმირის ასახვის რაიმე ტრადიციები?

ქართული საბჭოთა რომანის წყარო დადებითი გმირის ასახვაში.

დადებითი გმირის მხატვრული ასახვის ძირითადი პრინციპები.

ქართული საბჭოთა მწერლობის მიღწევები, მისი ამოცანები.

ვფიქრობთ, ყველა ამ კითხვას, ასე თუ ისე, პასუხი გავეცით.

საბჭოთა ლიტერატურა თავის მიზნად ისახავს ყოველმხრივ ებრძოლოს ძველის, რეაქციულის, უარყოფითის გამოვლინებას და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს იმ ახალს, დადებითს, რომელიც ეპოქის მოწინავე ტენდენციებს გამოხატავს და იზრდება.

თავის ამ საპატიო და დიდ ამოცანას საბჭოთა ლიტერატურა ასრულებს როგორც უარყოფითის უარყოფით, ისე დადებითის გამოხატვით. მშვენიერის იდეალს უმთავრესად დადებითი გმირის მხატვრულ სახეში ახორციელებს.

იდეალს საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება პოულობს

თვით ცხოვრებაში, ჩვენი გმირული ეპოქის წიაღში. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირი ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში არსებული ახალი ადამიანების მხატვრული სახეა.

დადებითი გმირი ის პერსონაჟია, რომელიც ხალხს ემსახურება, ახორციელებს ეპოქის მოწინავე ტენდენციებს კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად.

დადებითი გმირი აისახებოდა ადრინდელ ლიტერატურაშიაც, კერძოდ, კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის მიერაც. ოღონდ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირი თვისობრივად განსხვავდება კრიტიკული რეალიზმის დადებითი გმირისაგან. ჩვენი რევოლუციური სინამდვილის გმირი, — კომუნიზმის მშენებელი ადამიანი, დადებითი გმირის ყველაზე უმაღლესი გამოხატულებაა. მისი მხატვრული სახის შექმნა საბჭოთა ლიტერატურის საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანაა, რასაც გულმოდგინედ ჰკიდებს ხელს საბჭოთა მწერლობა.

დადებითი გმირის ასახვის საინტერესო ცდებს ვხვდებით ქართულ საბჭოთა რომანშიაც. ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, რ. გვეტაძის „თეო“ და „ჭიაკოკონა“, პ. ჩხიკვაძის „სართულები“, დ. შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“, ო. ჩხეიძის „ჯებირი“, რ. ჯაფარიძის „ხევის პატარძალი“ და სხვ. ნათლად გვიჩვენებენ ქართველი საბჭოთა მწერლების მისწრაფებას გამოხატონ ჩვენი ეპოქის დადებითი გმირი. და ამ მხრივ ერთგვარ წარმატებებსაც აღწევენ ისინი. ქართული საბჭოთა მწერლობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს მექი ვაშაკიძის, ტარასი ხაზარაძის, გერა ბიგვას, ციცინო ფარვანიძის, ქიშვარდი ქილიფთარის, მთისკაცის და კირილე გორაკოვის მხატვრული სახეები, რომლებიც გვეხატებიან ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის და ალ. ჭეიშვილის რომანებში.

მაგრამ ეს მიღწევები ვერ ფარავენ იმ დიდ ნაკლოვანებებს, რომლებიც ახასიათებს ქართულ საბჭოთა პროზას. ქართული საბჭოთა პროზა ჯეროვნად ვერ პასუხობს ეპოქის მოთხოვნილებებს, ვერ ასრულებს თავის ვალს კომუნიზმის მშენებელი ხალხის წინაშე.

პროზის ჩამორჩენა ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ თითქოს ჩვენი მწერლები არ წერდნენ რომანებს, მოთხრობებს, ნოველებს. პროზაული თხზულებები ჩვენში საკმაოდ ბევრი იწერება, მხოლოდ საქმე მათ ხარისხშია.

მსოფლიო ლიტერატურის ყველა ცნობილ მხატვრულ ძეგლს სიცოცხლეს უნარჩუნებს მკაფიო მხატვრული სახე, ძლიერი ხასიათი. ეპიური ჟანრის რეალისტური ნაწარმოების სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავს ტიპიური ხასიათი. თუ ეპიური თხზულება ვერ ასახავს ტიპიურ ხასიათს საკმაო მხატვრული ძალით, იგი ვერ უძლებს დროის მცირედ გამოცდასაც კი.

ქართველი მწერლების მე-4 ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა, რომ სანამ ჩვენი პროზა საკმაო სიძლიერით ვერ დაგვიხატავს დადებით გმირს, რომელიც ჩვენი სინამდვილის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, ყოველთვის იქნება ლაპარაკი პროზის ჩამორჩენაზე.

პროზის აღმავლობისათვის საჭიროა მწერლებმა გადაჭრით გაიუმჯობესონ მხატვრული ოსტატობა. მაგრამ მთავარი ამოცანა მაინც მწერლობის იდეური დონის განუხრელი ამაღლებაა. მხატვრული ხერხებისა და საშუალებების ვერავითარი ოსტატური ფლობა ვერ დაეხმარება მწერალს, თუ ის ჯანსაღი, პარტიული თვალსაზრისით არ უყურებს ცხოვრების სინამდვილეს. ნაწარმოების იდეური ხაზი განსაზღვრავს ყველა მხატვრული საშუალების გამოყენების რაციონალურობას. ყალბად გაგებული „იდეურობა“, რომელიც ალამაზებს სინამდვილეს და ია-ვარდით მოფენილად წარმოგვიდგენს მას, სპობს მხატვრული ნაწარმოების შექმნის საშუალებას და ყოველივე ოსტატობა, ამ შემთხვევაში, ფუჭი ხდება.

ომისშემდგომი ქართული საბჭოთა პროზის ჩამორჩენა სინამდვილის ასახვისადმი არასწორმა მიდგომამ განსაზღვრა, ე. ი. „უკონფლიქტობის თეორია“ იყო მთავარი და გადამწყვეტი მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ბელეტრისტიკაში არ შექმნილა მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები, მნიშვნელოვანი ქართული რომანი, რომელიც მთელი სისავსით აგვისახავდა ჩვენი ხალხის ომისშემდგომ ცხოვრებას, დიდი მხატვრული ძალით

წარმოგვიდგენდა ომგადახდილ მშვიდობიან მშენებელს, მის გმირულ საქმიანობას.

პარტიამ მიუთითა მწერლობას, რომ საჭიროა აისახოს წინააღმდეგობანი, რომლებიც ახასიათებენ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მწერლობისათვის უცხო არ უნდა იყოს ცხოვრებიდან აღებული უარყოფითი ტიპების გამოხატვა. სწორედ მათთან ბრძოლა და ახლისათვის მხარის დაჭერა არის სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის მხატვრული ნაწარმოების იდეურობის უეჭველი ნიშანი.

ოღონდ აქ უნდა აღინიშნოს, რომ მითითება უარყოფითის გამოხატვაზე ყალბად იქნა გაგებული ზოგიერთი მწერლის მიერ. ამ ბოლო დროს როგორც რუსულ, ისე ქართულ ლიტერატურაში მოგვეევლინა მხატვრული თხზულებანი, რომლებიც მხოლოდ უარყოფითზე ამახვილებენ ყურადღებას, უარყოფითს იხდიან ასახვის მთავარ ობიექტად და სავსებით უშვებენ მხედველობიდან დადებითს, რითაც ამახინჯებენ სინამდვილეს. თუ წინათ მხოლოდ დადებითის გამოხატვას ცდილობდნენ, ცალკე აღებულად, დამოუკიდებლად, ახლა მხოლოდ უარყოფითს ასახავენ. ასეთი მერყეობა და უკიდურესობანი მხოლოდ იდეურმა მოუმწიფებლობამ შეიძლება გამოიწვიოს. უარყოფითთან ჩვენს სინამდვილეში ყოველთვის კონფლიქტშია დადებითი. ხოლო როცა თხზულება გვიხატავს მხოლოდ უარყოფითს, რომელიც თავისთავსაა მინდობილი და არავინ ეწინააღმდეგება მას, ეს სინამდვილის დამახინჯებაა.

მხატვრული ასახვისას ეს სინამდვილის კონფლიქტის არსის სწორად განსაზღვრა იძლევა სწორ საფუძველს ნაწარმოების როგორც იდეური ისე მხატვრული გამართულობისათვის, რადგან კონფლიქტი წარმოადგენს სიუჟეტის საფუძველს. ხოლო თუ სიუჟეტი არ არის აგებული ნამდვილ საფუძველზე, არამედ მოჩვენებით, ყალბ საძირკველზეა დაყრდნობილი, არ შეიძლება ის გამართულად, დამაჯერებლად განვითარდეს.

ჩვენის აზრით, ახლანდელ ეტაპზე მაინც ჯერ კიდევ კონფლიქტის საკითხი რჩება ჩვენი მწერლობის მთავარ პრობლემად, მიუხედავად იმისა, რომ კარგახანია აღიარებულია წინა-

აღმდეგობათა რეალური არსებობა ჩვენს საზოგადოებრივ განვითარებაში.

ამასთან, ჩაკვირვება მართებს ჩვენს მწერლობას ტიპიურობის საკითხზე. კერძოდ, დადებითი გმირის ტიპიზაციისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, ჩვენის აზრით, რომელიმე ერთი ტიპით შემოფარგვლა. ახლისათვის ბრძოლა იძლევა დადებითი გმირის სხვადასხვა ტიპებს. მწერლობამ უნდა გამოხატოს ისინი მთელი თავისი მრავალფეროვნებით, გამოხატოს მათი ბრძოლა უარყოფითის წინააღმდეგ, ასახოს მათი ძლევამოსილი წინსვლა.

მხოლოდ უარყოფითთან შეუნელებელ ბრძოლაში, წინააღმდეგობათა შეუპოვარ გადალახვაში შეიძლება დაიხატოს დადებითი გმირის ცოცხალი მხატვრული სახეები, რომლებიც განასახიერებენ ახალი ტიპის ადამიანებს, მათი ადამიანური ღირსების მთელ მშვენიერებას.

.ამ ბოლო დროს შეინიშნება კიდევ ერთი მოვლენა არამარტო ქართულს, არამედ მთელ ჩვენს საბჭოთა ლიტერატურაში. ყველა მწერალი იმას ცდილობს, რომ დაამტკიცოს თავისი აღებული გეზი. ვ. ოვეჩკინი, მაგალითად, „საშუალოების“ ხატვის გზას იცავს, გ. ნიკოლაევა — „იდეალური გმირებისა“, კოჩეტკოვი — ოჯახური და ინტიმური ამბებისა, სხვები ე. წ. „საწარმოო რომანებისა“ და ამავე დროს უარყოფენ დანარჩენების მოსაზრებებს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება რომელიმე მათგანის მოსაზრებები საყოველთაო უნივერსალურ კანონად გაიხადოს ჩვენმა მწერლობამ, თუ არ უნდა მას შაბლონური, სქემატური და ერთფეროვანი გახდეს. მწერლობა მრავალნაირობით, მრავალსახეობით, მრავალფეროვნებით უნდა ხასიათდებოდეს. ამ მწერლებმა წერონ თავიანთი არჩეული გზით, თავიანთ საყვარელ თემებზე, ოღონდ ნუ .შეეცდებიან თავიანთი არჩეული გზა თავს მოახვიონ სხვა მწერლებს. ჩვენი მწერლები უნდა ხასიათდებოდნენ თავისებურებებით და მაშინ იქნება მდიდარი ჩვენი ლიტერატურა.

ქართული მწერლობის ვალია გააფართოოს თავისი თსზუ-ლებების თემატიკა, შემოიყვანოს ნაწარმოებში მუშის, ინტელიგენტის დადებითი მხატვრული სახეები, უფრო მაღალი

ოსტატობით დაგვიხატოს კოლმეურნის, პარტიული მუშაკის მხატვრული სახეები.

დადებითი გმირის ასახვა კვლავ ამოცანად რჩება ქართული საბჭოთა პროზისათვის. მკითხველი მოელის ისეთი გმირების დახატვას, რომლებიც მთელი სისრულით წარმოგვიდგენენ ჩვენი დიადი ეპოქის სისხლსავსე ცხოვრებას, ჩვენი ეპოქის გმირს — ახალ ადამიანს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

		გვ.
	ზესავალი	3
თავი	I.	
	დადებითი გმირის ცნება და ტრადიციის საკითხი	13
	ნოვატორობის საკითხისათვის . .	24
	დადებითი გმირის ასახვის ტრადიცია ქართულ ლიტერატურაში	34
თავი	II.	
	დადებითი გმირი ქართულ საბჭოთა რომანში	62
	პირველი მშენებლები . .	80
	დადებითი გმირის პრობლემა და „გვადი ბიგვა"	121
	შრომის გმირები .	129
	სამშობლოს დამცველი გმირები	149
	მასების მეთაურები და აღმზრდელები	173
თავი	III.	
	დადებითი გმირის მხატვრული ასახვის ზოგიერთი ძირითადი საკითხი . . .	193
	დადებითი გმირი და ხალხი	196
	დადებითი გმირი და შრომა . .	207
	დადებითი გმირი და კონფლიქტი მხატვრულ ნაწარმოებში .	217
	დადებითი გმირის ტიპიურობის საკითხისათვის	228
	დ ა ს კ ვ ნ ა	247

რედაქტორი ბ. ნატრუშვილი

მხატვრები დ. და ლ. ქუთათელაძეები
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე
ტექრედაქტორი ან. ღვინიაშვილი
კორექტორი თ. ახალაია

გადაეცა წარმოებას 16/X-56 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 4/IV-57 წ. ანაწყობის ზომა 5,5×9.
ქაღალდის ზომა 84×108. ნაბეჭდი თაბახი 13,12.
უე 00035. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 576.
ფასი 6 მან. 46 კაპ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

*

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5